B-73

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

თუთი ჩიჯავაძე

# ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის საკითხები

თბილისი
2005

821.353.1(07)

ნაშრომი ეხება ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის ძირითად საკითხებს. მასში მოცემულია სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურული ნაწარმოებების სწავლების გზები, მეთოდები, რეკომენდაციები, გაკვეთილის მოდელები, რაც უთუოდ გამოადგება ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებსა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს.

რედაქტორები: პროფ. შ. ქურდაძე
ფილ. მეცნ. დოქტ. მ. მთვარელიძე

რეცენზენტები: პროფ. მ. რეხვიაშვილი
დოც. დ. კოტორაშვილი

K 251932
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის საგანი

ადამიანის სულიერ კულტურაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია მხატვრულ ლიტერატურას, განსაკუთრებით კი მშობლიურ მწერლობას. მხატვრული სიტყვა უძველესი დროიდანვე ამდიდრებდა ადამიანის ფანტაზიას. იგი მისი ცნობიერების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია, ეროვნული ცნობიერებისა და სულიერების ღვრიტაა. ამიტომ წარმოუდგენელია თანამედროვე განათლებული მოქალაქის ფორმირება, მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება ამ ცოდნის გარეშე. ჩვენი ორიენტირია რეალისტური ხელოვნება, რომელიც არის კიდეც მხატვრული აზროვნების მთავარი მაგისტრალი.

ქართული ეროვნული სკოლის უპირველესი მიზანია განათლებული, შემოქმედი, თავისუფლად მოაზროვნე, ეროვნული ცნობიერების მქონე თაობის აღზრდა. ამგვარი აღზრდის საფუძველს იძლევა ჰუმანიტარული ციკლის საგნების სწავლება. ამ მხრივ გამორჩეულია ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო საგნის – ქართული ლიტერატურის როლი. იგი არის მოზარდი თაობის გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და პატრიოტული აღზრდის, ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ფორმირების მძლავრი საშუალება, რომელიც უდიდეს ხელოვნებას, ცოდნასა და ძალისხმევას მოითხოვს მასწავლებლისაგან. მას შემდეგ, რაც ქვეყნად გაჩნდა ოსტატ-შეგირდობა, მასწავლებელს უდიდესი ნდობა გამოუცხადა საზოგადოებამ. შემთხვევითი არ არის რომ ძველ საქართველოში მასწავლებელს მოძღვარი ერქვა. მოძღვარს ერის სულიერებაზე, მის მარადიულ არსებობაზე ზრუნვა მართებს. ქართული ლიტერატურის მასწავლებელს კი ყველაზე გამორჩეული მისია აკისრია. „მე აკაკის ვთხოვდი, ქართულის მასწავლებლად შესულიყო სკოლაში“, – უთქვამს ნიკო ლორთქიფანიძეს. ეს სიტყვები ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ როგორი მოთხოვნები იდგა ყოველთვის ქართული ლიტერატურის მასწავლებლის მიმართ. მასწავლებლობა ნამდვილი ხელოვნებაა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ორ უმთავრეს

მოთხოვნას – საგნის საფუძვლიან, მეცნიერულ ცოდნასა და მისი გადაცემის ხერხებისა თუ მეთოდების ოსტატური, შემოქმედებითი გამოყენების უნარს. მომავალი მასწავლებლისათვის სწორედ ამ უკანასკნელის ათვისებას, განმტკიცებასა და სრულყოფას ემსახურება ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა.

ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა პედაგოგიკურ მეცნიერებათა დარგია, რომელიც ამუშავებს ლიტერატურის სწავლების თეორიულ საფუძვლებს, ეძიებს ოპტიმალურ გზებს, ახალ-ახალ ხერხებსა და მეთოდებს. მისი მთავარი ამოცანაა აღჭურვოს სტუდენტი იმ პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნა-ჩვევებით, რომელიც აუცილებელია მისი მომავალი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, აღუძრას ინტერესი დამოუკიდებელი მეთოდიკური ძიებისათვის, სათანადო დახმარება გაუწიოს ამ საგნის სწორად სწავლებაში.

ლიტერატურის სწავლებას აქვს სასწავლო-საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქცია. მეთოდიკის მიზანი კი ლიტერატურის მეშვეობით მოსწავლეთა სწავლა აღზრდის რთული პედაგოგიური პროცესის სწორად წარმართვაა. სწორედ ლიტერატურის საშუალებით ტრადიციული, ეროვნული ფესვების შეცნობა უნდა იქცეს სწავლების უმთავრეს კონცეპტუალურ საფუძვლად. ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მთავარი ამოცანა უნდა იყოს მოსწავლეებში ეროვნული ცნობიერების დამკვიდრება, შესასწავლ ნაწარმოებში წვდომის, მისი გაანალიზების უნარის განვითარება, რადგან ლიტერატურა ერის სულიერი ყოფის ანარეკლია და მისი სწორად გააზრება ძალზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი.

ლიტერატურის სწავლების მეთოდიკამ პასუხი უნდა გასცეს სამ კითხვას: რა ვასწავლო, როგორ ვასწავლო და რისთვის ვასწავლო.

ლიტერატურის მეთოდიკა ემყარება შემოქმედებით პრინციპებს, მასწავლებლის ინიციატივას, ექსპერიმენტს, ეძიებს ახალ-ახალ გზებსა და საშუალებებს. საზრდოობს სამი ძირითადი წყაროთი: 1. მასწავლებლის ინდივიდუალური გამოცდილება, 2. ეროვნული სკოლების კოლექტიური გამოცდილების განზოგადება და 3. მე-19 საუკუნის მოღვაწეთა მეთოდიკური მემკვიდრეობიდან რაციონალურის, ღირებულის გამოყენება.



ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა განუწყვეტლივ ვითარდება. ივსება ახალ-ახალი საინტერესო, ქმედითი ხერხებითა და მეთოდებით, იბრძვის და ზრუნავს ლიტერატურის მაღალ დონეზე სწავლების მიღწევისათვის. საამისოდ გვმართებს დოგმატურ შეხედულებათა დაძლევა. ის განახლების სულისკვეთება, რაც საგრძნობია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მძლავრად უნდა შეიჭრას პედაგოგიკის კონკრეტულ სფეროებში. საკითხების პრობლემური დაყენება, კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე მუშაობა, ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება, მოსწავლეთა პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენა, დიფერენცირებული, პროფილირებული სწავლება, ტესტებზე მუშაობა. აი, რა უნდა იყოს ლიტერატურის მასწავლებლის მთავარი მიზანი.

## ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კავშირი მონათესავე დისციპლინებთან

ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა მჭიდრო კავშირშია მონათესავე მეცნიერულ დისციპლინებთან, ესენია: ლიტერატურისმცოდნეობა (ლიტერატურის თეორია, ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა), ესთეტიკა, ენათმეცნიერება, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, საქართველოსა და ქართული ხელოვნების ისტორია და თეოლოგია.

ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა წარმოუდგენელია ***ლიტერატურისმცოდნეობის*** გარეშე. ისინი იმდენად ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ მათი შესწავლის ობიექტებსა და სფეროებს ზოგჯერ აიგივებენ კიდეც. რაც, რა თქმა უნდა, არასწორია, მაგრამ მათ ძლიერ სიახლოვეზე რომ მიგვანიშნებს, ცხადია.

ბოლოსდაბოლოს, რა არის ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, თუ არა ლიტერატურული ნაწარმოების შესწავლისა და ანალიზისას ლიტერატურათმცოდნეობის დარგის მეცნიერებათა შესაბამისი მონაცემების ოპტიმალური ფორმით დაყვანა მოსწავლეთა ცნობიერებამდე. ამიტომ წარმოუდგენელია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა სწავლების სწორი, გამართლებული მეთოდებითა და ხერხებით წარმართოს მუშაობა, თუ მან კარგად არ იცის ლიტერატურათმცოდნეობის სამივე დარგი. მათი ცოდნა ყოველ გაკვეთილზე, გაკვეთილის ყველა მონაკვეთში აუცილებელია.

როგორ მოახერხებს მასწავლებელი რიგიანად ასწავლოს ვაჟა-ფშაველას „კაი ყმა“, თუ უპირველესად მოსწავლეთათვის ნათელი არ იქნა ვაჟას ზნეობრივ-ეთიკური პრინციპები. მწერალმა ხომ ისე გაიაზრა და ასახა მთიელთა ცხოვრება, რომ აშკარა გახადა მათი კავშირი მთელი ქვეყნის, მთელი კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესებთან. კაი ყმა ვაჟკაცის იდეალია, ხორცსხმული ზნეობრიობაა, რომელიც ერთნაირად სჭირდება ყველა ქვეყანას ყველა დროში. ან როგორ შესძლებს მასწავლებელი გაააზრებინოს, რას ნიშნავს – „მტრის ჯავრის ედგას ლოგინი, მტრის ჯავრი საბნად ფარავდეს“ – თუ საფუძვლიანად არ ერკვევა მეტაფორული გამოსახვის არსში... ასეთი მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ერთი რამ უდაოა, ლიტერატურისმცოდნეობა ლიტერატურის მასწავლებელს აიარაღებს იმ აუცილებელი ცოდნით, რომლის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი მასალის სრულფასოვანი სწავლება.

***ესთეტიკა***. ლიტერატურა ესთეტიკური ციკლის დისციპლინაა. ამდენად, სავსებით ბუნებრივია ლიტერატურის მეთოდიკის კავშირი ესთეტიკასთან, რომლის მთავარი მიზანია, გაარკვიოს ხელოვნებისა და მშვენიერების რაობა, მათი შინაგანი ბუნება და ღირებულება ადამიანთა ცხოვრებისათვის (უფრო ვრცლად იხილეთ – მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა).

***ენათმეცნიერება.*** ენა მხატვრულ ნაწარმოებში სახეების შექმნის ერთადერთი საშუალებაა. ლიტერატურის მასწავლებლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ენათმეცნიერული დისციპლინების ცოდნას. ის ხომ ქართული ენის მასწავლებელიცაა და, ბუნებრივია, მან ეს მეცნიერება კარგად უნდა იცოდეს. ლიტერატურის სწავლებისას კი ეს ცოდნა მას დაეხმარება უჩვენოს მოსწავლეებს განსხვავება მხატვრულ, სასაუბრო, ადმინისტრაციულ და მეტყველების ეგზომ განსხვავებულ სტილთა შორის. გარდა ამისა, წარმოუდგენელია ძლიერი მხატვრული სახის შექმნა, თუ ავტორი ზედმიწევნით არ ერკვევა ენობრივ ნორმებში, მის დიალექტურ თუ სხვა ფორმებში. ეს ეხმარება მას პერსონაჟთა ინდივიდუალური თვისებების გამოსაკვეთად, ხოლო მასწავლებელმა ეს სახეები, მათი ხასიათები უნდა გახსნას ისე, რომ მოსწავლეთა ცნობიერებამდე ადვილად დაიყვანოს, უნდა შეძლოს მხატვრული ნაწარმოების პოეტური ენის ანალიზი, ბუნებრივია, მასწავლებელი ამგვარ მუშაობას ვერ წარმართავს, თუ მას არ გააჩნია სათანადო ენათმეცნიერული ცოდნა და მასთან ერთად უნარი, რომ ყოველ გაკვეთილზე აჩვენოს მოსწავლეებს, როგორ ოსტატურად იყენებს მწერალი შთამბეჭდავ პოეტურ სამკაულებს, როგორ იყენებს მშობლიური ენის ამოუწურავ შესაძლებლობებს და ქმნის ორიგინალურ, სუბიექტურ სტილს.

***პედაგოგიკა.*** ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგია. პედაგოგიკა კი არის მეცნიერება აღზრდის, სწავლებისა და განათლების შესახებ. პედაგოგიკა აძლევს ლიტერატურის სწავლებას სწორ პედაგოგიურ მიმართულებას, ადგენს და გვთავაზობს გაკვეთილის ორგანიზაციის, სტრუქტურული აგებულების მზა მოდელს, კლასგარეშე თუ სკოლისგარეშე მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს.

***ფსიქოლოგია*** არის მეცნიერება ფსიქიკის შესახებ. ფსიქოლოგიის საგანს შეადგენს ადამიანის ფსიქიკური ფუნქციების (აზროვნება, ყურადღება, აღქმა, მეხსიერება, ნებელობა, წარმოსახვა და სხვ.) გარკვევა. სწორედ ამ ფსიქიკური კანონების ცოდნაა აუცილებელი ყოველი მასწავლებლისათვის. იგი უნდა ითვალის-

წინებდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თუ ინდივიდუალურ თავისებურებებს და ამის შესაბამისად აწესრიგებდეს მათდამი მიდგომის სწორ პედაგოგიურ მეთოდებს.

მოსწავლის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა მასწავლებელმა უნდა წარმართოს ფსიქოლოგიური ფაქტორების სწორად გათვალისწინებით.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ისეთი გაკვეთილები აღწევს მიზანს, როცა მასწავლებელს ყურადღებიდან არ რჩება არც საერთო ფსიქოლოგიური და არც ინდივიდუალური ფაქტორები. სანიმუშოდ შეიძლება ლიტერატურის გაკვეთილის ერთი რომელიმე მომენტი განვიხილოთ ამ მხრივ.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მუშაობისას საგანგებოდ ვუსვამთ ხაზს მეგობრობის ერთგვარ „კანონს“, რომლის ავტორი ავთანდილია. იგი თავის ერთგულ ქვეშევრდომს- შერმადინს ასე უსაბუთებს ტარიელთან წასვლის აუცილებლობას:

„სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:
პირველ ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ-მოთმენა,
მიცემა და არა შური, ჩუქებისა არ მოწყენა,
გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა“.

მოსწავლეებს ვამეორებინებთ ამ მოთხოვნებს და ვთხოვთ, იმსჯელონ, რომელ მათგანს მიანიჭებენ უპირატესობას. პასუხები სხვადასხვაა. უჭირთ, რომელიმეს გამოყოფა, რადგან ყველა მეტად მნიშვნელოვანია მეგობრობაში. აქ მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს ეს „დავა“. უცნაური სიჩუმე დაისადგურებს კლასში, თუ ვეტყვით: ალბათ, მთავარი მაინც ეს არის – „მიცემა და არა შური. თუ კი მეგობრის რაიმე შეგშურდათ, თქვენ თავს მაინც გამოუტყდით, რომ არა ხართ ნამდვილი მეგობარი... მოსწავლეები წამიერად მარტოდ რჩებიან, საკუთარ თავს ულრმავდებიან, წარსულს ჩხრეკენ... მასწავლებელი სწორედ ფსიქოლოგიურ მომენტს ითვალისწინებს, როცა ამ დუმილს არ წყვეტს და იქამდე არ იღებს ხმას, ვიდრე თვითონ მოსწავლეები არ-დაიწყებენ ისევ მსჯელობას.



ფსიქოლოგიის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ნაწარმოების სრულყოფილი ანალიზი, ცალკეული პასაჟისა თუ პერსონაჟის დახასიათება. როგორ უნდა ლაიჯეროს მოსწავლემ ნიკო ლორთქიფანიძის ნოველის – „ტრაგედია უგმიროდ“ – მთავარი პერსონაჟის საქციელი, თუ არ ავუხსენით, რომ უკიდურესი შიმშილი ხორცის ტკივილია, რომელიც ადამიანს აზროვნების უნარს უკარგავს და ცხოველურ ინსტიქტებს აღვივებს. რომ ამ დროს ადამიანის არსებაში დგება ჟამი, როცა მშობლიური გრძნობაც კი ითრგუნება, მაგრამ, როდესაც გონს მოდის და ჩადენილს აანალიზებს, სული ასტკივდება ისე, რომ მის დაამებას ვერ შეძლებს და სიკვდილში ჰპოვებს ხსნას.

ასე რომ, ფსიქოლოგიის ცოდნა ქართული ლიტერატურის მასწავლებელს საშუალებას აძლევს, სწორად წარმართოს მოსწავლეთა აზროვნების განვითარება, ლიტერატურული მასალის მომარჯვებით გაარკვიოს ისინი ადამიანის ზოგად-კაცობრიული დანიშნულების მოთხოვნებში, კეთილმყოფელი გავლენა იქონიოს მათ ფსიქიკურ განვითარებაზე.

მაშასადამე, პედაგოგიკა და ფსიქოლოგია ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკისათვის უაღრესად მახლობელი მეცნიერული დისციპლინებია.

***საქართველოს ისტორიისა და ქართული ხელოვნების ისტორიის*** ცოდნა ქართული ლიტერატურის მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია. რომელი პერიოდის ნაწარმოებსაც არ უნდა ხსნიდეს იგი, აუცილებლად დასჭირდება იმ ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების, საზოგადოებრივ ყოფითი ურთიერთობების ცოდნა ისტორიულ-ყოფითი კომენტარისა თუ ნებისმიერი საკითხის სრულყოფილი განმარტებისათვის.

ისტორიული თხზულებების სწავლებისას კი, წარმოუდგენელია მან ზედმიწევნით კარგად არ იცოდეს ის ისტორიული ფაქტი და მის შესახებ არსებული რეალიები, რომლებიც შესასწავლ ნაწარმოებშია გადმოცემული.

ყოველი მწერალი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილია. ამდენად მისი შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, ეპოქალურ მოთხოვნებს ემსახურება. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ვერც ერთი მწერლის შემოქმედებას სათანადოდ ვერ ჩასწვდება მასწავლებელი (ე.ი. ვერც ასწავლის), თუ გააზრებულად არ იცის, რა სოციალ-პოლიტიკური ვითარებით ხასიათდებოდა დრო, რომელშიც მოღვაწეობდა მწერალი, რა შეადგენდა იმ დროს ერის სასიცოცხლო ინტერესებს, რამდენად შეძლო მწერალმა ხელი შეეწყო, დაეძლია მის ხალხს ის სიძნელეები, რომელიც ხელს უშლიდა ქვეყნის დამოუკიდებლობას, სიძლიერეს, წინსვლას. ნათქვამის საილუსტრაციოდ აკაკი წერეთლის ლირიკის შედევრი — „განთიადი" გავიხსენოთ. ვიდრე მოსწავლეებს უშუალოდ გავაცნობთ ლექსს, ვისაუბრებთ მის მაღალიდეურობასა და უბადო პოეტურ სამკაულებზე, ბუნებრივია, საკმაოდ ვრცლად უნდა შევჩერდეთ ლექსის ადრესატზე — დიმიტრი ყიფიანზე. ეს სახელი მათთვის ნაცნობია. გაიხსენებენ თაობათა ბრძოლას, ილიას ცნობილ „გამოცანებს", რომლებშიც მხოლოდ დიმიტრი ყიფიანზეა ნათქვამი: — „ამას ქვეყანა ფეებზე არ ჰკიდია", რომ მას „ბანკის ძირი ჩაურგავს". მასწავლებელი ისაუბრებს დიმიტრი ყიფიანის დამსახურებაზე ქართველი ხალხის წინაშე. მას აკაკი წერეთელმა მეორე „დიმიტრი თავდადებული" უწოდა, რადგან უშიშრად აღიმაღლა ხმა რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ. განსაკუთრებით ვჩერდებით მის მოწამეობრივ აღსასრულზე, მის დაკრძალვაზე რომელიც ქართველი ხალხის ეროვნული ნების გამოხატულებად იქცა.

ბუნებრივია, ყოველივე ეს ისტორიაა, რომლის ცოდნა, როგორც აღვნიშნეთ, აუცილებელია მასწავლებლისათვის.

საქართველოს ისტორიასთან კავშირი კიდევ უფრო ნათელია ისეთი ნაწარმოების სწავლებისას, რომელშიც უშუალოდ არის ასახული ესა თუ ის ისტორიული ეპოქა.

ჩვენი ლიტერატურის პირველივე ძეგლის — იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების" სწავლებისას მოსწავლეები უნდა



გავარკვიოთ V საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიულ ვითარებაში. მათ უნდა იცოდნენ, რომ ვახტანგ გორგასალის მეფობა აღმოსავლეთ საქართველოში სამ ძირითად მომენტს მოიცავს: ***პირველ რიგში*** მან სასულიერო ფეოდალების ქვეყნის სამსახურში მტკიცედ ჩაყენების მიზნით გაატარა საეკლესიო რეფორმა; ***მეორე*** — ვახტანგ გორგასალმა სწორად განჭვრიტა, რომ ირანელებთან ბრძოლაში წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიონზე გადასასვლელების ხელში ჩაგდებას. ამიტომ საიმედოდ ჩაკეტა დარიალი და ჩრდილო კავკასიის მეომარ ხალხზე განამტკიცა ქართლის სამეფოს გავლენა. ***მესამე*** და გადამწყვეტი ნაბიჯი კი იყო გათიშვის მომხრე ფეოდალების წინააღმდეგ შეტევა. სპარსელების სამსახურში ჩამდგარი დიდაზნაურების ლიდერი ვარსქენ პიტიახში იყო. ირანის სამეფო კარი სარგებლობდა ამ წინააღმდეგობით და დიდაზნაურთა თავის მხარეზე გადაბირებას ახერხებდა. დაახლოებით ამგვარი მიმოხილვის გარეშე მოსწავლეთათვის გაუგებარი იქნება ვარსქენ პიტიახშის მიერ მაზდეანობის მიღების არსი.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ, ალბათ, ქართულ ლიტერატურაში არ მოიძებნება ნაწარმოები, რომელიც სისხლხორცეულად არ იყოს დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ისტორიის რომელიმე მონაკვეთთან.

ქართული ლიტერატურის მასწავლებელი კარგად უნდა ერკვეოდეს ***ხელოვნების ისტორიაში***, განსაკუთრებით ხუროთმოძღვრებასა და ფერწერაში, რამდენადმე მუსიკაშიც (იგი ხომ პოეზიას ასწავლის, რომელშიც რიტმიკას, ლექსის მელოდიურ გააზრებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება).

ხუროთმოძღვრულ ძეგლებთან შეხვედრა ჩვენს მოსწავლეებს მარტო ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების შესწავლისას კი არა, არამედ ლიტერატურის ისტორიის მთელ მანძილზე უხდებათ. სხვანაირად როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როცა ისინი სწავლობენ გალაკტიონის „ქებათა ქება ნიკორწმინდას", კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას", გურამ რჩეუ-

ღიმჯილის „ალავერდობასა“ თუ „უსახელო უფლისციხელს“. ბუნებრივია, მასწავლებელს მდიდარი თვალსაჩინოება სჭირდება, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი თვალსაჩინოება თვითონ ძეგლის ნახვაა. მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა მიაახლოს ჩვენი წარსულის ამ ნაშთის სვეტებთან, რათა მათ შეიგრძნონ ამ ძეგლებში უცნობი ხუროთმოძღვრის გზნება, ლოდების უცნაური ჰარმონია. ეს კი მაშინ მოხდება, თუ მასწავლებელი შეძლებს, ისე დაინახოს გუმბათის ყელი თუ თითოეული ჩუქურთმა, როგორსაც ეს ძეგლი იმსახურებს, ეს მაშინ მოხდება, თუ მოსწავლეებს შთააგონებს, რა მისტიკური გატაცებით აშენებდა ჩვენი წინაპარი იმ დიდებულ ძეგლებს, რომ სწორედ მათში იყო განივთებული ის სულიერი სამყარო, რომელიც ასე ძალუმად აისახა ჩვენს მწერლობასა და მხატვრობაში. რომ ამ ძეგლებს ქართველთა სული ედგა, რომ მათში ქართული ძარღვი ფეთქავდა.

ქართული ლიტერატურის მასწავლებლისათვის აუცილებელია ***თეოლოგიის*** საკითხებში წვდომა. „შუშანიკის წამების“ სწავლებისას მოსწავლეს უნდა გავაგებინოთ, რომ ქრისტიანულ რელიგიაში უმთავრესია სხვისი არგანკითხვისა და მონანიების უნარი. ამის გარეშე ვერ ჩასწვდებიან მოსწავლეები თხზულების ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს: როცა იაკობმა და სხვა სასულიერო პირებმა ცურტავიდან მოსული დიაკვნის მეშვეობით შეიტყვეს ვარსქენის გამაზდეანების ამბავი, ისინი აღივსნენ დიდი მწუხარებით და ტიროდნენ საკუთარ ცოდვათა წარმოჩინებისათვის. ე.ი. ისინი რჯულგაყიდული მთავრის განსჯას კი არ შეუდგნენ, არამედ საკუთარ თავს ჩაუღრმავდნენ. მთავრის სარწმუნოებრივი ღალატი უფლის რისხვად ჩათვალეს. საკუთარი ცოდვების დატირებით კი იაკობ ხუცესი, აფოც ეპისკოპოსი და რელიგიის სხვა მსახურნი გვიჩვენებენ, რომ მათში ღრმად გაუდგამს ფესვები ქრისტეს რწმენას, ისინი ამაღლებულნი და განწმენდილნი არიან „განცდაითა თვისითა ცოდვათა“.

გ. მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლისას მოსწავლეთათვის გაუგებარი იქნება გრიგოლისა და მისი სულიერი ძმების ოპიზის მონასტერში ორი წლით ბერად დაყუდების არსი, თუ მათ არ განვუმარტავთ, რომ თავისუფალი ნებით ადამიანი იმიტომ ირჩევს განდეგილობას, რომ განჯვის გზის გავლით (ხორცის გმობით) სული აიმაღლოს და მიემსგავსოს უზენაესს. ადამიანის ღმერთისკენ ლტოლვა კი ორი სახით ხორციელდება: როგორც გრძნობის სურვილი და როგორც გონების ნება. პირველ საფეხურზე მოსალოდნელია სხვადასხვა საცდური, რადგან ადამიანი ჯერ კიდევ გაორებულია. მას, მართალია, იზიდავს სასუფევლის ხატი, მაგრამ ცხოვრებაც ეწევა თავისკენ. სწორედ ამის გამოცდა ჩააბარეს გრიგოლმა და მისმა სულიერმა ძმებმა ოპიზის მონასტერში და სრულიად განწმენდილები გადავიდნენ ხანძთაში.

ასევე გაუჭირდებათ მოსწავლეებს სრულყოფილად გაიაზრონ გიორგი მერჩულეს მიერ გრიგოლის ძმობის წევრ ზენონისაგან ამქვეყნიური სიმდიდრის მიტოვების ასეთი შეფასება: – „ახოვან იქმნა ნეტარი ესე, რამეთუ მონაგებთა დატევება სისხლთა დათხევასა ემსგავსების“ – თუ მათ საგანგებოდ არ გავუანალიზებთ სახარების იმ ადგილს, სადაც აღნიშნულია, რომ მდიდრებს ძალიან უჭირთ სასუფევლის დამკვიდრება. ისინი ვერ ელევიან საუნჯეს და ავიწყდებათ, რომ ეს მონაგები სულის წარმწყმედია. ამიტომ ურჩევთ მათ უფალი: „განყიდენით მონაგებნი თქუენნი და მიეცით ქველის-საქმე და ყავთ თავისა თქუენისა საფასე, რომელი არა დაძუელდეს და საუნჯე მოუკლებელი ცათა შინა, სადა – იგი მპარავი არა მიეხების არცა მღილმან განრყუნის“ (ლუკა, 12, 33).

საერთოდ ზენონის პიროვნების შეფასებისას აუცილებელია სახარების იმ ეპიზოდების დამოწმება, სადაც უფალი თავის მოწაფეებს ასწავლის სამოთხის დაუფლების გზებს.

ასევე მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ მირონის – უდიდესი ქრისტიანული სიწმინდის მნიშვნელობა და შემდეგ მიხვდებიან ეფრემ მაწყვერელის ღვაწლს, რომელმაც „მიჰრონისა კურთხევა ქართლსა განაწესა“.

უნდა აღინიშნოს, რომ **თეოლოგიის** საკითხებში წვდომა საჭიროა არა მხოლოდ ჰაგიოგრაფიული მწერლობის, არამედ ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშების – სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის შემოქმედების შესწავლისას. ასევე საერთოდ ქართული ლიტერატურის მთელი კურსის სწავლებისას. განა სულისა და ხორცის დაპირისპირების ქრისტიანული მსოფლხედვის ცოდნის გარეშე შეიძლება ვასწავლოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკის ისეთი შედევრები, როგორიცაა „რად ჰყვედრი კაცსა“ ან „ვპოვე ტაძარი“ თუ „ჩემი ლოცვა“. ან ასკეტიზმის ზოგადი პრინციპების ცოდნის გარეშე შეიძლება გავიაზროთ ილიას „განდეგილის“ არსი სრულყოფილად?! მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა მრავლად შეიძლება (“თორნიკე ერისთავიდან“ კათალიკოსისა და თორნიკეს საუბარი, „დიდოსტატის მარჯვენიდან“ იაკობის ღმერთთან შერკინების იდეის ლეიტმოტივი, გალაკტიონის ლირიკა და სხვ.).

მაშასადამე, ქართული ლიტერატურის მასწავლებელი გარკვეული უნდა იყოს ქრისტიანული თეოლოგიის საკითხებში.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, ქართული ლიტერატურის მასწავლებელმა კარგად უნდა იცოდეს ლიტერატურათმცოდნეობა, ესთეტიკა, ენათმეცნიერება, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, საქართველოს ისტორია, ქართული ხელოვნების ისტორია და თეოლოგია, განსაკუთრებით დღეს, როდესაც ინტეგრირებულ სწავლებას ასეთი დიდი როლი ენიჭება.

## ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის ისტორიიდან

ქართული პედაგოგიკური და მეთოდიკური აზროვნება ჩვენი ცხოვრების ადრეულ პერიოდში იღებს სათავეს. ამის დამადასტურებელია კოლხეთის აკადემიის არსებობა, ჰაგიოგრაფიული მწერლობა, გელათისა და იყალთოს აკადემიები, ქართული ფილოსოფიური მწერლობა, ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ მე-19 საუკუნის მეთოდიკურ მემკვიდრეობაზე ვამახვილებთ ყურადღებას.

ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში გარკვეულ შენაკადად შედის რევოლუციამდელი სკოლის პროგრესული მეთოდიკური მემკვიდრეობა. თანამედროვე მეთოდიკამ ანგარიში უნდა გაუწიოს ეროვნული სკოლის მიერ ხანგრძლივი დროის მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას, მიიღოს და შეითვისოს მისგან რაციონალური, სწორი და დადებითი.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მეფის რუსეთმა საბოლოოდ მოსპო ეროვნული მმართველობა და მის მაგივრად რუსული სამხედრო-ბიუროკრატიული რეჟიმი დაამყარა. რუსული სკოლების ტიპებისა და სასწავლო გეგმების გადმონერგვამ, ყველა საგნის სწავლების რუსულ ენაზე წარმოებამ გააღრმავა ქართველთა უკმაყოფილება. მეფის ადგილობრივმა თვითმმართველობამ შეცვალა ტაქტიკა და ქართულ ენას 43 კვირეული გაკვეთილიდან გამოეყო ერთი საათი, ხოლო ქართული ლიტერატურა საერთოდ არ ისწავლებოდა.

„ქართული სიტყვიერება“, როგორც დამოუკიდებელი საგანი, პირველად შემოღებული იქნა 1825 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. მასში პირველივე დღიდან 1832 წლამდე ქართულ ენასა და ლიტერატურას – „სიტყვიერებას“ ასწავლიდა გამოჩენილი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე **სოლომონ დოდაშვილი**, რომელიც მოსწავლეებში მამულიშვილური გრძნობის გაღვივებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ლიტერატურის სწავლებას ანიჭებდა. მასში ხედავდა ერის სულიერი და ენობრივი სიმდიდრის გამოხატულებას. იმ დროს არ არსებობდა ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო და სასწავლო ლიტერატურული მასალის შერჩევა მთლიანად მასწავლებლის ცოდნაზე, გემოვნებასა და ორიენტაციაზე იყო დამოკიდებული. ს. დოდაშ-

[illegible] კი ის ღირსეული მამულიშვილი გახლდათ, რომელსაც ხე-
[illegible]წიფებოდა უდიდესი პატრიოტული სულისკვეთებითა და მა-
[illegible] მეცნიერულ და პედაგოგიურ დონეზე წარემართა ეს საპა-
სუხისმგებლო საქმე.

1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ გაჩაღებუ-
ლი მკაცრი რეპრესიების ნიადაგზე ქართული ლიტერატურა, რო-
გორც დამოუკიდებელი საგანი, ამოღებული იქნა სასწავლო გეგმი-
დან.

კავკასიის სასწავლო ოლქის ადმინისტრაცია ყოველნაი-
რად ცდილობდა, მშობლიური ენის სკოლიდან განდევნასთან ერ-
თად ამ საგნის სწავლებაში სწორი მეთოდების შემუშავებისა
და დანერგვისათვის ხელის შეშლას.

ერთ-ერთი გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი ფაქტორი ქარ-
თული ენისა და ლიტერატურის სწავლების რამდენადმე ნორმა-
ლურ პირობებში ჩაყენებისათვის, იყო სახელმძღვანელოების
შექმნა. ასეთ ვითარებაში გამოჩნდა სწორედ პირველი ნაბეჭდი
სახელმძღვანელო.

1846 წელს პეტერბურგში გამოიცა ***დავით ჩუბინაშვი-
ლის*** ქრესტომათია. ეს იყო ქართული ლიტერატურის პირველი
სასკოლო სახელმძღვანელო, რომელიც ათეული წლების მანძილ-
ზე გამოიყენებოდა.

დ. ჩუბინაშვილი იყო პირველი ქართველი პროფესორი,
რომელმაც გრამატიკისა და რუსულ-ქართული ლექსიკონის შედ-
გენით ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართულ ლინგვისტიკასა
და ლექსიკოგრაფიას, ხოლო მისმა ქრესტომათიამ მტკიცე სა-
ფუძველი დაუდო ძველი მწერლობის ძეგლთა მეცნიერულ შეს-
წავლას.

არსებულ პირობებში პირველი სახელმძღვანელოს გამოჩენა
მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომელმაც გამოქვეყნებისთანავე მიიქ-
ცია მკითხველის ყურადღება და წმინდა პრაქტიკულ-გამოყენებითი
მნიშვნელობა მიიღო. პროგრესული იდეებით გატაცებული მასწავ-
ლებლები მას დიდი გულმოდგინებით იყენებდნენ მოსწავლეებში



ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისა და ჩვენი ხალხის მდიდარი
სულიერი წარსულის გასაცნობად.

1863 წელს ქრესტომათია განმეორებით გამოიცა. იგი
საკმაოდ განსხვავდებოდა პირველისაგან. მასში უფრო სრულად
იყო წარმოდგენილი ძველი ქართული მწერლობა და ამავე დროს
მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის პოეტების შემოქმედებაც. აღსა-
ნიშნავია ისიც, რომ ***დ. ჩუბინაშვილმა პირველმა დაურთო
ტექსტებს გაუგებარი სიტყვების განმარტება და ამით
ქართულ მეთოდიკაში დასაბამი მისცა „ლექსიკურ კო-
მენტარს“.***

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული მწერლობის
ისტორიაში გამოჩნდა ორი უდიდესი ფიგურა: ***ილია ჭავჭავაძე
და აკაკი წერეთელი***. მათ განუსაზღვრელად დიდი როლი ითა-
მაშეს მაშინდელი საქართველოს ისტორიაში და ქართული მე-
თოდიკური აზროვნების ახალი გზით განვითარების საქმესაც
დაამჩნიეს გარკვეული კვალი.

ი. ჭავჭავაძემ თეორიულად დაასაბუთა მხატვრული ლიტე-
რატურის უდიდესი საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი მნიშვნე-
ლობა, „რომ ლიტერატურა ხალხის ჭკუა, გონება, გრძნობა, ფიქრი,
ჩვეულება და განათლების ხარისხია“.

***ილიამ თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით*** ცხად-
ყო ამ დებულებათა ჭეშმარიტება, თვით მოგვცა ნიმუში იმისა,
თუ როგორ უნდა ემსახუროს მწერალი ხალხს.

მწერლის კრიტიკულ წერილებში „ორიოდე სიტყვა თავად
რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვიდამ „შეშლილის“
თარგმანზედა“, „პასუხი“, „საქართველოს მოამბეზედ“, „ჩვენი ლიტე-
რატურის დღევანდელი ყოფა“, „წერილები ქართულ ლიტერა-
ტურაზე“, „ა. წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“ და სხვ. აღძრულია
ხელოვნების, ლიტერატურის თეორიის ძირითადი და კარდინა-
ლური საკითხები.

ყოველივე ამით ილია განუზომლად დიდ და კეთილისმყო-
ფელ გავლენას ახდენდა განსაკუთრებით ქართული ენისა და

ლიტერატურის მასწავლებლებზე, ქართული პედაგოგიურ-მეთოდიკური აზროვნების განვითარებაზე.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მშობლიურ ენაზე სწავლების უფლების მოპოვებისათვის აქტიურად იბრძოდა ა. წერეთელი. იგი განუწყვეტლივ ხალხში ტრიალებდა, საქართველოს ყოველ კუთხეში სკოლების ხშირი სტუმარი იყო და რჩევა-დარიგებას აძლევდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს.

მე-19 საუკუნის ყველაზე დიდი პედაგოგი იყო ***იაკობ გოგებაშვილი***. მან შეძლო გარკვეულ მოძღვრებად, სისტემად ჩამოეყალიბებინა პედაგოგიურ-მეთოდიკური იდეები, მოგვცა მშობლიურ ენაზე სწავლების პრინციპების მეცნიერული დასაბუთება, ქართული ენის სწავლების მეთოდიკის, ქართული საბავშვო ლიტერატურის თეორიული საფუძვლების შემუშავება, ასევე შეძლო ლიტერატურის სწავლების მთელი რიგი საკვანძო მეთოდიკური საკითხების წამოყენება-დამუშავება.

ი. გოგებაშვილი იბრძოდა კლასიკური ენების სქოლასტიკური სწავლების წინააღმდეგ და მათ ხარჯზე სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების უფლების მოპოვებისათვის. ქმნიდა თეორიულ წანამძღვრებს ამ საგნის სწავლების სწორ მეთოდიკურ ნიადაგზე დასაყენებლად.

ი. გოგებაშვილი წინ აღუდგა მშობლიური ენის ფორმალისტურ შესწავლას და დაასაბუთა სკოლაში შესასწავლი ლიტერატურული მასალის მეშვეობით მოსწავლეთათვის რეალური, ენციკლოპედიური, მრავალმხრივი განათლების მიწოდება. ამრიგად, ი. გოგებაშვილისათვის სკოლაში საკითხავი ლიტერატურულ-მხატვრული ტექსტი წარმოადგენდა მოსწავლეთათვის ენციკლოპედიური ცოდნის მიწოდების, მათი ენისა და აზროვნების განვითარების, ეროვნულ-პატრიოტული, ზნეობრივი აღზრდის, მათში გარკვეული მსოფლმხედველობის გამომუშავების საფუძველს. ენციკლოპედიური განათლება, ე.ი. ცოდნის მიწოდება მეცნიერების სხვადასხვა სფეროდან: ისტორია, გეოგრაფია, ბუნება; ასტრონო-



მია, რაც სხვა არაფერია დღეისათვის, თუ არა ინტეგრირებული სწავლება.

სწორედ ამ პრინციპზე იყო აგებული მისი „ბუნების კარი", რომლის პირველი გამოცემა 1868 წელს გამოვიდა. არსებითად ამ პერიოდიდან „დედა ენასთან" ერთად „ბუნების კარმა" და კრებულებმა — „ხომლი", „კუნწულა", „კონა" მოსწავლეთა აღზრდის საქმეში განსაკუთრებულად დიდი როლი შეასრულა. ცხადია, მის ფუძემდებლურ აზრებს, სამაგალითო მხატვრულ შემოქმედებას, წერილებსა და სახელმძღვანელოებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა იდეური ზრდისა და ქართული მეთოდიკური აზროვნების სრულიად ახალი გზით განვითარებისათვის.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლების ერთ-ერთი პედაგოგ-ლიტერატორია ***მიხეილ ნასიძე***. მან იმდროინდელი ქართული მეთოდიკური აზროვნების განვითარებაში გარკვეული როლი ითამაშა. იგი იყო ავტორი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოებისა. მან მოგვცა ქართული ლიტერატურის სწავლებისა და მიზნების შესახებ მეტად ღირებული მეთოდიკური შეხედულებანი.

1885 წელს მ. ნასიძე „ივერიაში" ბეჭდავს ვრცელ წერილს „ქართული ენის სწავლების შესახებ", სადაც გამოკვეთილად აღნიშნავს, რომ სკოლაში მოსწავლეს სახელმძღვანელოდ უნდა ჰქონდეს, როგორც ქრესტომათია, ისე ლიტერატურის მიმოხილვა-ისტორია: „განა ეს ორი საგანი ერთი და იგივეა? ქრესტომათია არის ნაწყვეტები წარჩინებულ მწერალთა ნაწერებიდან, მიმოხილვა კი კრიტიკაა, შეფასება, მწერლებისა და მათი ღვაწლისა. ვიდრე რაიმეს შეფასება-დაფასებას შევუდგებით, ჯერ უნდა შევისწავლოთ დასაფასებელი საგანი... ერთი არის წინმავალი შრომა, მეორე მისი შედეგი. ერთი იძლევა ფაქტებს, მეორე — დასკვნას"... ამ სტატიაში პირველადაა ნაჩვენები ქართული ლიტერატურის ქრესტომათიასა და ქართული ლიტერატურის კრიტიკულ განხილვას შორის არსებული სხვაობა და ორივე მათგანის აუცილებ-

ლობა სკოლისათვის. ჩანს ავტორის მეთოდიკური შეხედულებები, ორიგინალური კონცეფციები. ამავე სტატიაში მ. ნასიძე წარმოგვიდგენს მეთოდიკურ შეხედულებებს ლიტერატურის სწავლების სრულყოფის შესახებ და აღნიშნავს: „ყოველივე ამისათვის საჭიროა სხვადასხვა კლასებისათვის ქრესტომათიების შედგენა, ქართული ენის გრამატიკისა და ქართული მწერლობის ისტორიის შედგენა და ბოლოს, როგორც გვირგვინი ყველა ამისა, ვრცელი მეთოდიკა ქართული ენის მასწავლებელთათვის".

სწორედ ამ პერიოდში მას უკვე გამოსაცემად მზად ჰქონდა ქრესტომათია მესამე და მეოთხე კლასებისათვის, რომელიც 1885 წელს გამოსცა. „ქართული ქრესტომათიის" ბოლოსიტყვაობაში მ. ნასიძემ პირველად ახსნა „განმარტებითი კითხვის" მნიშვნელობა.

მ. ნასიძემ სამ მონაკვეთად გამოსცა სახელმძღვანელო „ქართველი მწერლები". 1886 წელს გამოვიდა I ნაწილი- „სულხან-საბა ორბელიანი". მასში შედიოდა წინასიტყვაობა, ბიოგრაფია, შემოქმედების ზოგადი დახასიათება, რჩეული იგავები და გაუგებარი სიტყვების განმარტება.

ამ გამოცემის შესახებ „ივერია" აღნიშნავდა, რომ ეს იყო ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა.

1887 წელს გამოიცა „ქართველი მწერლების" მეორე მონაკვეთი – „დავით გურამიშვილი". ისიც იმავე პრინციპით იყო შედგენილი (ბიოგრაფია, შემოქმედების ზოგადი დახასიათება, ტექსტები, გაუგებარი სიტყვების ახსნა და სქოლიოები).

„ქართველი მწერლების" მესამე მონაკვეთი „ვახტანგ მეექვსე" გამოიცა 1887 წელს. იმავე წელს გამოდის პირველი სახელმძღვანელო წიგნი არაქართულ სკოლებში ქართული ენის შესასწავლად „Грузинская речь или начальный курс грузинского языка для русских".

1898 წელს გამოსცა ფაქტობრივად პირველი მონოგრაფიული ნაშრომი „თავადი ილია ჭავჭავაძე". მას წამძღვარებული ჰქონდა გეგმა: 1. ილიას მშობლები, 2. ქართველობა და მისი ლიტერატურა ილია ჭავჭავაძემდე. 3. ი. ჭავჭავაძის მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურასა და ცხოვრებაში, როგორც პუბლიცისტისა, 5. ილია, როგორც პოეტი და მოქალაქე, 6. ილია, როგორც ბელეტრისტი. 7. გვაქვს საბუთი სიამაყისა.

ამ ნაშრომმა და ზემოთდასახელებულმა „ქართველი მწერლების" სამმა მონაკვეთმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის სწავლების მკვიდრ ნიადაგზე დაყენების საქმეში.

ქართული მეთოდიკური ლიტერატურის ისტორია გვერდს ვერ აუვლის ***გიორგი იოსელიანის სახელს***.

1893 წელს მან გამოსცა „სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი". იგი 87 გვერდისაგან შედგებოდა. პოემის ძირითადი სიუჟეტური ქარგის დაცვით მან პოემა პროზად გადააკეთა. სათაურად კი უწოდა: „ვეფხისტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყმაწვილებისათვის გ. იოსელიანის მიერ". სახელმძღვანელოს ამშვენებდა მ. ზიჩის 14 სურათი.

ეს მე-19 საუკუნის 90-იანი წლების სასკოლო ცხოვრების თავისებურ, უჩვეულო და მეტად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა. ამ გამოცემის შესახებ წარმოიშვა ორი საწინააღმდეგო შეხედულება. ერთ-ერთ უარყოფით რეცენზიაზე პასუხის გაცემისას გამოიკვეთა გ. იოსელიანის პედაგოგიკური შეხედულებები, მისეული კონცეფცია „ვეფხისტყაოსნის" სწავლებაზე და საერთოდ ლიტერატურის სწავლების მნიშვნელოვან საკითხებზე.

„ვეფხისტყაოსნის" სწავლებასთან დაკავშირებით ის იყენებს პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობისას ა. წერეთლის აზრს, რომ „მაინც კიდევ გაჭირდა მრავალი ადგილის გაგება და გადაჭრით გამოცნობა. „ვეფხისტყაოსნის" ბევრი ადგილი დღემდე მაინც გამოურკვეველია". პატრიოტი პედაგოგი გულისტკივილით აღნიშნავს: „თუ ტექსტის დამდგენი კომისიისათვისაა გაუგებარი, მოსწავლეებმა რა ქნან, მით უფრო, რომ „დღეს ჩვენს ყმაწვილებს დედა-ენას არ ასწავლიან ისე, როგორც საჭიროება

მოითხოვს და საიდან უნდა იცოდნენ ჩვენმა შვილებმა ქართული ენა ისე კარგად, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თავისუფლად წაკითხვა და გაგება შეძლონ?“

მეორე მხრივ, გ. იოსელიანის პასუხიდან საგულისხმოა ის ფაქტი, რომ განსხვავებით მ. ნასიძისა და სხვა პედაგოგებისაგან, ***ის მხატვრულ ნაწარმოებს ახალ ფუნქციას აკისრებს***.

არკვევს რა ჰომეროსის „ილიადასა“ და რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებრივ-აღმზრდელობით მნიშვნელობას, მიუთითებს, რომ ორივე პოემა სარკეა, საიდანაც შეგვიძლია, ვიხილოთ და გავიცნოთ როგორი იყო ის ხალხი, რომლის ცხოვრებაც პოეტს ასე მშვენივრად დაუხატავს. ამიტომ ასეთ დიდებულ ნაწარმოებთა სწავლების დროს „საჭირო და სავალდებულოცაა გავაცნოთ ყმაწვილებს ხალხის ცხოვრება, ზოგი მისნი მოვლენანი, ჩავახედოთ ამ ცხოვრებაში და მოვამზადოთ თანდათან ცხოვრებისათვის“. გ. იოსელიანის ეს აზრი მოწმობს, რომ მხატვრული ლიტერატურის სწავლების მიზნებისა და ამოცანების გარკვევის საკითხში თავს იჩენდა ახლებური თვალსაზრისი, ჩამოყალიბებული მეთოდიკურ შეხედულებად, რომელიც სრულიად ახალი ეტაპი იყო ქართული მეთოდიკური აზროვნების განვითარებაში.

გ. იოსელიანი მხატვრულ ნაწარმოებს განიხილავს, როგორც ***ხალხის ცხოვრების გამომსახველს და ამ ცხოვრებისათვის მოსწავლეთა მომზადების დიდმნიშვნელოვან ფაქტორს.***

ლიტერატურული ნაწარმოების მეშვეობით ენის მხოლოდ გრამატიკული ფორმებისა და ლექსიკოლოგიური მრავალფეროვნების შესწავლის კონსერვატულ იდეას ახლა მკვეთრად დაუპირისპირდა ***ნაწარმოებში გამოსახული საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველზე ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის იდეა***, რაც სრულიად ახალი სიტყვა იყო ქართული მეთოდიკური აზრის ისტორიაში. გ. იოსელიანი ლიტერატურას მოსწავლეთა აღზრდის საქმეში აძლევდა ახალ დატვირთვას, ახალ



ფუნქციას, ახალ მნიშვნელობას, სხვა მიზანსა და ღირებულებას.

ქართული მეთოდიკური ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებულია ***ლუარსაბ ბოცვაძის*** ადგილი. იგი იყო ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და ი. გოგებაშვილის ერთგული თანამებრძოლი. შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, უაღრესად ერუდირებული, არაჩვეულებრივად მეტყველი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

1895 წელს ჟურნალ „მწყემსში“ დაიბეჭდა მისი მნიშვნელოვანი მეთოდიკური ხასიათის სტატია: „ლექსები, როგორც ერთი საშვალებათაგანი დედა-ენის შესასწავლად პირველ დასაწყისს სკოლაში“. მასში ლ. ბოცვაძე არკვევს ***ლირიკული ნაწარმოების სწავლების სასწავლო-საგანმანათლებლო და აღმზრდელობითს მნიშვნელობას***. ამავე დროს იძლევა ისეთ კონკრეტულ-მეთოდიკურ მოსაზრებებს, რომლებსაც თავიანთი აქტუალურობა და ღირებულება დღესაც შენარჩუნებული აქვთ.

განიხილავს ბავშვის სწავლა-აღზრდის სისტემას მთლიანობაში და აყალიბებს ლირიკული ნაწარმოების სწავლების მიზნებსა და ამოცანებს. ლირიკული ლექსის სწავლების მეთოდოლოგიური და დიდაქტიკური საფუძვლების ცხადად გარკვევის შემდეგ მთელი სიღრმით აშუქებს მისი სწავლების კონკრეტულ-მეთოდიკურ საკითხებს. მისი გაგებით ლირიკული ნაწარმოების სწავლება მარტოოდენ მოსწავლის გონებრივ აღზრდას კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ – მათი „ესთეტიკური და ზნეობრივი გრძნობების“ განვითარებას.

ეროვნული თვითშეგნება, პატრიოტიზმი, შრომის სიყვარული და ესთეტიკური იდეალები – აი, ის საფუძველი, რომელზედაც უნდა შენდებოდეს მოზარდი თაობის გონებრივი და მორალურ-ზნეობრივი აღზრდა. ეს უნდა იყოს ლირიკული ნაწარმოების სწავლების ძირითადი მიზანი.

ლ. ბოცვაძე აყალიბებს მოსწავლეთა ზოგადი ლიტერატურული განათლების ფორმირების გზებსა და საშუალებებს. ამ საქმეში ის ჯეროვან ადგილს უთმობს ***გამომეტყველებით***

*კითხვას*. საგანგებოდ არკვევს მასწავლებლის როლს სკოლაში სანიმუშო, გამომეტყველებითი კითხვის დანერგვის საქმეში. იგი მხატვრულ-გამომეტყველებითი კითხვის ელემენტების (ინტონაცია, პაუზა, მახვილი) საფუძვლიან ცოდნასთან ერთად ამჟღავნებს გამომეტყველებითი კითხვის სახეების, ფორმების, საჭირო ხერხების ცოდნას და შემოაქვს ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში. კონკრეტულად მან დაასაბუთა როლებში კითხვის უპირატესობა ტექსტის შესწავლის საქმეში და დაამკვიდრა კიდეც პრაქტიკაში. ჩვენს სასკოლო ცხოვრებაში გამომეტყველებითი კითხვის საკითხი აღძრა ი. გოგებაშვილმა, ხოლო განავითარა ლ. ბოცვაძემ.

მე-19 საუკუნის დასასრულიდან დაწყებული მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე ნაწილობრივ გაფართოვდა მშობლიურ ენაზე სწავლების უფლება, გაძლიერდა ლიტერატურის საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი როლის გააზრება სწავლების პროცესში, ყურადღების ცენტრი გადატანილ იქნა მხატვრული ნაწარმოების იდეური შინაარსის საფუძვლიანად გაგება-შესწავლისა და მისი ღრმა ანალიზისაკენ.

ქართველ მეთოდისტთა პლეადას ამშვენებს ***ივანე გომელაური.*** მისი შრომა „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები“ (I გამოც. 1906 წ.) ოცი წლის განმავლობაში წარმატებით ემსახურებოდა მოსწავლეებში ლიტერატურული ცოდნის გაფართოებასა და ფორმირებას.

1907 წელს გამოდის წიგნის მეორე გამოცემა, რომელშიც ავტორს გაუთვალისწინებია მითითებული ნაკლოვანებები, ტექსტების დალაგების თანმიმდევრობა სიადვილე-სირთულის მიხედვით, ავტორთა ფოტოსურათებთან მათი ბიოგრაფიის მიწოდება მოსწავლეთათვის და სხვ. 1911 წელს გამოდის მესამე გამოცემა. იმავე 1911 წელს ივ. გომელაურმა გამოსცა „სკოლაში შესასწავლი მწერლების“ მეორე წიგნი, რომელიც პირველის გაგრძელებას წარმოადგენდა; ხოლო მესამე წიგნი 1919 წელს. მათში, როგორც თვითონ აღნიშნავდა, „ადგილი აქვს დათმობილი მეცხრამეტე საუკუნის სამაგალითო მწერლობას, მაგრამ, ამას გარდა, საპატიო ადგილი უკავია მეთვრამეტე საუკუნის ორი უნიჭიერესი წარმომადგენლის – დ. გურამიშვილისა და საბა-სულხან ორბელიანის ნაწერებსაც, ხოლო ყველა ეს დაგვირგვინებულია ქართული პოეზიის დიდების უკვდავი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ რჩეული ნაწყვეტებით.



ივ. გომელაურის „სკოლაში შესასწავლი მწერლები“ ათეული წლების მანძილზე იყო სახელმძღვანელო წიგნი ქართველ მოსწავლეთათვის, მას ჰქონდა ბევრი დადებითი მხარე:

1. სასწავლო მასალად გამოყენებული იყო ხალხის მოწინავე საზოგადოებრივი იდეალებისა და მისწრაფებების გამომხატველი ნაწარმოებები.

2. შესასწავლ ნაწარმოებებთან ერთად მოცემული იყო მწერალთა ბიოგრაფიული ცნობებიც.

3. ნაწარმოების ბოლოს მოსწავლეებს ეძლეოდათ მეთოდიკურად გამართული სავარჯიშოები.

4. ტექსტზე მუშაობისას მთავარ მიზნად მიჩნეული იყო ნაწარმოების იდეური აზრის მოსწავლეთა შეგნებამდე დაყვანა.

5. მასალის დალაგებისას გათვალისწინებული იყო სიადვილე-სიძნელის პრინციპი.

სახელმძღვანელოს ჰქონდა გარკვეული ნაკლიც: დარღვეული იყო ისტორიზმის პრინციპი და ქრესტომათიებში შეტანილი იყო მთლიანი ტექსტი, რაც ზრდიდა მის მოცულობას.

აღსანიშნავია ასევე დ. თომაშვილის, ს. გორგაძის, ს. ხუნდაძის, ვ. ბარნოვის, ი. ოცხელის, მ. კელენჯერიძის და სხვათა პედაგოგიკურ-მეთოდიკური კონცეფციები.

ამრიგად, ადრინდელი მეთოდიკური მემკვიდრეობა, მასწავლებლის ინდივიდუალური და სკოლის კოლექტიური გამოცდილება, წარმოადგენს იმ სამ აუცილებელ წყაროს, რომლის საფუძველზე ქართული ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდიკა ქმნის ამ საგნის სწავლების მწყობრ სისტემას.

# ლიტერატურის სწავლების მეთოდები

ყოველი ჭეშმარიტი მასწავლებელი თავისი პრაქტიკული საქმიანობის მანძილზე ეძებს ისეთ გზებს, საშუალებებს, ხერხებსა და მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც სწავლებაში უკეთეს შედეგს მიაღწევს. იპოვის რა ასეთ ოპტიმალურ ვარიანტს, ის დომინირებს შემდეგ მთელი მისი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე. ნებისმიერი მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანია პირადი დაკვირვება, გამოცდილება და დასკვნები, მაგრამ რასაკვირველია, ეს საკმარისი არ არის. აუცილებელია სხვათა გამოცდილების გაცნობა, გაანალიზება, ეროვნული სკოლის დახელოვნებულ მუშაკთა მეთოდოლოგიის შესწავლა, განზოგადება.

სწავლების მეთოდები, მიზანი და შინაარსი ისტორიულად იცვლებოდა. იგი იცვლება ყოველ გაკვეთილზეც მასალის ხასიათის, მოსწავლეთა ასაკის, მომზადების დონისა თუ გაკვეთილის მიზნის მიხედვით.

ლიტერატურის სწავლების სისტემა აგებულია ***მოსწავლეთა აქტივიზაციის*** პრინციპზე. მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ მოსწავლე იყოს არა პასიური მსმენელი, არამედ გაკვეთილის აქტიური მონაწილე, ჩაბმული მსჯელობაში, აზრის კოლექტიურ დადგენაში. ამიტომ შემოქმედებითად მომუშავე პედაგოგმა უნდა უარყოს სასწავლო პროცესის ტრაფარეტულად, დაშტამპულად, ერთგვაროვნად წარმართვა და ეძიებდეს ახალ-ახალ გზებსა და საშუალებებს მოსწავლეთა ყურადღების უკეთ მობილიზებისათვის. სწავლება უნდა იყოს არა ძალდატანებითი, თავს მოხვეული, იძულებითი, არამედ სახალისო და საინტერესო. ტექსტზე მუშაობისას ბავშვებმა უნდა შეძლონ შინაარსის სწორად გაგება, მისი იდეური კააზრება, წაკითხულიდან აზრის დამოუკიდებლად გამოტანა, ლოგიკური აზროვნება და მსჯელობა, პერსონაჟთა მოქმედების სწორად შეფასება და სხვ. სწავლების ეს ფორმა არის ტექსტიდან, კონკრეტულიდან, კერძოდან ზოგადისაკენ მიმართული ანუ ***ინდუქციური გზა***. მაგრამ არ შეიძლება ეს



ხერხი ყოველთვის გამართლებული იყოს. ზოგჯერ საჭიროა ზოგადიდან კერძოსაკენ სვლა ანუ დედუქციის გამოყენება. მაგ. როცა ვხსნით ეპოქის მიმოხილვას, ვაცნობთ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, მწერლის ბიოგრაფიას და შემდეგ გადავდივართ ტექსტის შესწავლაზე, ზოგადიდან კერძოსაკენ მივდივართ. ინდუქციური და დედუქციური მეთოდი არ არის ერთმანეთისაგან მკვეთრად იზოლირებული. მეთოდიკა უარყოფს რომელიმე მათგანის გაბატონებას, სწავლების პროცესი არის ამ ორი გზის გამუდმებული მონაცვლეობა.

სწავლების უამრავი ხერხიდან ძირითადია სამი მეთოდი: ***საუბრის, თხრობისა*** და ***სასკოლო სალექციო***.

საუბრის ანუ ეროთემატიკური მეთოდით შეიძლება როგორც ახალი მასალის ახსნა, ასევე გადაცემულის ათვისების შემოწმება და მისი განმტკიცება. საუბრის მეთოდი არის ***ევრისტიკული*** და ***კატეხიზური***. ევრისტიკულია იმ შემთხვევაში, როცა მასწავლებელი მასალას გადასცემს მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით. თავისი საუბრის პროცესში კითხვების დასმით წარმართავს გაკვეთილს ისე, რომ კლასი მიჰყავს შესასწავლი მასალის გაგებამდე, ხდება ძიება, დადგენა, პოვნა და ევრისტიკულიც (ევრიკა-პოვნა) ამიტომ ჰქვია. ეს მეთოდი უმეტესად ახალი მასალის ახსნისას გამოიყენება და მასში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები. მაგრამ არა ნაკლებ ეფექტურია მისი გამოყენება ე.წ. დასკვნითი ანუ შემაჯამებელი მეცადინეობის დროს. საუბრის მეთოდის გავრცელებული ფორმაა დიალოგი.

კატეხიზური ფორმაა საუბრისა, როცა უკვე ნასწავლსა და ათვისებულს გადმოსცემენ კითხვა-პასუხის საშუალებით. იგი მოსწავლეთა გამოკითხვისას გამოიყენება და აქტიურია მასწავლებელი.

ორივე ეს ფორმა ერთმანეთთან კავშირშია, მისი გამოყენება დამოკიდებულია კლასზე და გაკვეთილის თემაზე. აქ მთავარი და გადამწყვეტია მასწავლებლის მიერ სწორად დასმული კითხვების სისტემის შემუშავება. კითხვები უნდა იყოს ლოგიკუ-

რი, სწორად ფორმულირებული და არა ბუნდოვანი.
საუბრის – დიალოგის მეთოდს მასწავლებელი იყენებს რო-
გორც შესავალ, ისე დასკვნითი მეცადინეობის დროს ყველა კლას-
ში.

ნიმუში საუბრის მეთოდით ჩასატარებელი გაკვეთილისა.
გაკვეთილის თემა – აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი", დასკვ-
ნითი მეცადინეობა (შენიშვნა: სასურველია მოსწავლის ზოგიერ-
თი პასუხი საჭიროებისამებრ ერთგვარად შეაჯამოს მასწავ-
ლებელმა).

**მასწავლებელი**: „ბაში-აჩუკი" ისტორიული მოთხრობაა.
ამდენად იგი უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ ისტორიულ სინამდ-
ვილეს. როგორც ნახეთ, ნაწარმოებში რამდენიმე ისტორიული
ფაქტია ასახული. მათგან რომელი მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნე-
ლოვნად და რატომ?

**მოსწავლე**: ყველაზე მნიშვნელოვანია 1659 წლის კახე-
თის აჯანყება ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, რადგან
სწორედ ამ ფაქტზეა აგებული მთელი ნაწარმოები. ყველა სხვა
მოვლენა ემსხაურება ამ თემის გაშლას. მოთხრობაში ნაჩვენე-
ბია, თუ რას მოჰყვა ეს აჯანყება. ეს არის შაჰ-აბას პირველის
ლაშქრობა 1614-16 წლებში კახეთში, როდესაც ამ მხარემ მოსახ-
ლეობის ორი მესამედი დაკარგა. აქაური მოსახლეობის აყრა
მშობლიური მხარიდან და მის ნაცვლად თურქმანების ჩამოსახ-
ლება დღა-წულიანად კახეთის სრულ განადგურებას ისახავდა
მიზნად.

**მასწავლებელი**: როგორ შეხვდა კახეთი ამ განსაცდელს?
გადმოეცით მოთხრობის მიხედვით.

**მოსწავლე**: ძნელი აღმოჩნდა იმ ხალხის დაჩოქება, რომელ-
საც რჯული და ეროვნება ერთმანეთზე გადაება, შეეხორცებინა
და სულს ხორცზე მაღლა აყენებდა. შაჰი მიხვდა, რომ ხალხი,
რომელსაც სხეული გაუკაჟებია და სული აუმაღლებია, საშიშია.
ჯერ უნდა სხეული დაუდუნდეს, სული დაუმდაბლდეს და მერე,
მხოლოდ მერე შეიძლება მისი მოდრეკა. ამიტომ შაჰმა თავისი



პირდაპირი პოლიტიკა ვერაგულით შეცვალა. დაუტკბა მისგან
აოხრებულ ქვეყანას და რისხვა წყალობად შეუცვალა. კუჭმა
გულს სძლია, სულმა ხორცს დაუთმო და ნელ-ნელა ქვეყანამ
საფრთხეში შეტოპა. აღმოსავლეთ საქართველო ნახევრად გა-
თათრდა. ეს გადაგვარება მაღალ წოდებას შეეხო. ხალხი კი
ძველებურად მიწას ოფლს აღვრიდა და მზად იყო სამშობლოს
დასაცავად თავი არ დაეზოგა. ამ უაღრესად ავბედით ჟამს გამოჩნ-
დნენ ქვეყნის ნამდვილი ჭირისუფლები, აჯანყების მესვეურთა
სახით, რომლებმაც მართლაც „კვარივით აანთეს" ხალხი და ორი
ათასმა ქართველმა გმირობის სასწაული მოახდინა, მტრისაგან
მთლიანად გაიწმინდა კახეთი.

**მასწავლებელი**: ამგვარად, ნათელია, რომ მწერალმა
საგანგებოდ აირჩია ასეთი დიდმნიშვნელოვანი ფურცელი ჩვენი
ისტორიისა, რადგან სწორედ ამ აჯანყებით შეწყდა კახეთში
„თურქმანობა". ბახტრიონის ეპოპეამ ერთხელ კიდევ დაარწმუ-
ნა მტერი ქართველთა ქედუხრელობაში, ირანის შაჰმა დამსჯე-
ლი ლაშქრობის მოწყობაც კი ვერ გაბედა. მხოლოდ აჯანყების
მეთაურთა დასჯას დასჯერდა.

სარწმუნო საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ აჯან-
ყების მეთაური ზაალ არაგვის ერისთავი იყო. მოთხრობის მიხედ-
ვით მეთაურად კი ბიძინა ჩოლოყაშვილი გვევლინება. რით ახსნით
ამას?

**მოსწავლე**: ბიძინა ჩოლოყაშვილი ახმეტის ბატონი იყო.
იგი თავისი თვალით ხედავდა თანამემამულეთა მიწასთან გას-
წორებას. ამიტომ ყველაზე მეტად შეეძლო სახალხო აჯანყების
მომზადება. თანაც ბიძინა ქსნის ერისთავებთან ერთად მოწა-
მებრივი სიკვდილით აღესრულა სპარსეთში. ზაალს კი, ცნობილია,
რომ აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია. მან თავისი შვილი
– ზურაბი გამოაყოლა არაგველებს.

**მასწავლებელი**: უნდა გითხრათ, რომ ზაალი ქართულ
ისტორიოგრაფიაში უაღრესად წინააღმდეგობრივ სახედ არის
დახატული. მართალია, იგი შაჰის დავალებით 1661 წელს ქართ-

ლის მეფემ – შაჰნავაზმა მოაკვლევინა, როგორც კახეთის აჯანყების მონაწილე, მაგრამ ამას სხვა მიზეზიც ჰქონდა. არაგვის საერისთაო სრულ შეუვალობას მოითხოვდა და ქართული მიწა-წყლის გაერთიანებას ეწინააღმდეგებოდა. ამდენად ასეთი პიროვნება მწერალს არ გამოადგებოდა ხალხის წინამძღოლის სახის შესაქმნელად.

***მასწავლებელი***: მოთხრობა მდინარე არაგვის აღწერით იწყება. გადმოეცით ეს სიუჟეტური სურათი.

***მოსწავლე***: თვალმიუწვდომელი სიშორიდან გველივით მოიკლაკნებოდა ჩუხჩუხა არაგვი და ერთგან კლდოვან კიდეს გამეტებით ეხლებოდა, რომ ახალი გზა გაეკვლია; თავს არ იზოგავდა, მაგრამ შეუპოვრობისაგან უკუქცეული, დარეტიანებული და თავბრუდასხმული, თითქოს სულის მოსაბრუნებლად, იქვე მორევში რამდენჯერმე მოტრიალდეობდა ხოლმე და მერე კი დაკვირებით გადადიოდა დაბლობზე, რომ მეტის სიფრთხილითა და კვნესა-ღუღუნით დაშვებულიყო ქვემოატეხილი ჭალებისაკენ.

***მასწავლებელი***: რა სიმბოლური დანიშნულება აქვს ამ პეიზაჟურ სურათს?

***მოსწავლე***: არაგვი, მისი გამეტებული ბრძოლა ახალი გზის გასაკვალად, მისი კვნესა-ღუღუნი სიმბოლური მინიშნებაა არა მარტო მოთხრობაში გადმოცემული ამბებისა, არამედ საერთოდ ჩვენი სიტორიისა.

***მასწავლებელი***: რომელი ნაწარმოები გაგახსენათ ამ ეპიზოდმა?

***მოსწავლე***: ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა", რომლის მეორე კარიც არაგვის აღწერით იწყება. „მორბის არაგვი" (1 სტროფი).

***მასწავლებელი***: როგორც ხედავთ, აკაკიმ ბარათაშვილისეული პოეტური სამკაულიც კი გამოიყენა – ატეხილი ჭალები. კიდევ ვინ შეამკო არაგვი?

მოსწავლე: ილია პოემა „აჩრდილში" ასე მიმართავს არაგვს:

„ჩვენო არაგვო, რა რიგ მიყვარხარ,



ქართვლის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ!
შენს კიდეებზედ ჩვენი მამული,
იყო ოდესლაც აყვავებული"...

***მასწავლებელი***: რა აზრობრივი დატვირთვა აქვს კირილე მღვდლის სიზმარს მოთხრობაში? დავყოთ ეს სიზმარი მონაკვეთებად და მოვძებნოთ ნაწარმოებში ამ მონაკვეთების შესაბამისი ეპიზოდები.

***I მოსწავლე***: ალავერდის ტაძარს ვეშაპი შემოხვეოდა გარს. მისი შიშით ტაძარში ველარავინ შედიოდა. გაუქმებული ტაძარი სიმბოლოა დაცემული ქვეყნისა, ვეშაპი – საზარელი, მრისხანე მტრისა. სიზმრის ამ მონაკვეთს შეესაბამება ნაწარმოების ეს ეპიზოდი: „მრისხანებით აღტაცებული შაჰ-აბაზი ცეცხლითა და მახვილით შემოეჭრა კახეთს და მუსრი გაავლო, ციხე-ქალაქები დააქცია, ტაძრები დაანგრია და შებღალა".

***II მოსწავლე***: სიზმრის მეორე მონაკვეთს შეიძლება ვუწოდოთ უსასრულო მსხვერპლი... გამოიღვიძებდა არაწმინდა და გასრიალდებოდა ხალხისაკენ. ჩასანსლავდა ზედიზედ, გამოძღებოდა, გასისინდებოდა და მერე ისევ გარს ეხვეოდა ტაძარს. ე.ი. მტერი – ვეშაპი გამუდმებით მსხვერპლს მოითხოვს და ამ მსხვერპლს დასასრული არა აქვს. ჰკი მოთხრობაშიც ასეა: მძვინვარე შაჰმა რაც გაწყვიტა, გაწყვიტა, რაც არა, ათასობით და ათი ათასობით სპარსეთში გადაასახლა. ყოველწლიურად იგი ცოცხალ ხარკს ითხოვდა, ლამაზ ქალ-ვაჟთა სახით.

***III მოსწავლე***: სიზმარი გვამცნობს, რომ გამოჩნდა სამი მეომარი, ერთი მეორეზე უკეთესი, რომლებმაც ზარდაცემულ ხალხს შთააგონა: „სირცხვილს სიკვდილი სჯობს, ორივე კი ერთად ჯოჯოხეთიაო". შალვა ერისთავიც ასე უცხადებს ზაალს: „თუ ვერ გავიმარჯვებთ, სახელოვნად მაინც დავიხოცებით. „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი".

***IV მოსწავლე***: სიზმარში ხალხის დარაზმვა პირდაპირ შეესაბამება მოთხრობაში აღწერილი ხალხის მზადებას აჯანყებისათვის. ბრძოლას ვეშაპის წინააღმდეგ კი – აჯანყებულთა

მიერ ბახტრიონის ალებას და თურქმანების ამოწყვეტას.

ჯველეშაპი გაქრა. გაძრის კარი გაიღო. ხალხმა პირჯვრის წერით მიაშურა მას. ალსაელის კართან ის სამი გმირი ესვენა. ამ სოფლით გასუდიყვნენ, თავზე ნათლისსვეტი ედგათ და მაღლით გალობა ისმოდა. სიზმრის ამ მონაკვეთის გამომსახველად შეიძლება მოთხრობის შემდეგი სიტყვები მივიჩნიოთ: „რამდენიმე კვირაში ისე გაიწმინდა კახეთი თათრებისაგან, რომ მათი ჭაჭანებაც აღარსად იყო. დახშული ეკლესიების კარები გაიღო და ხელახლა გაისმა ზარების რეკა. გულის სიღრმეში ჩაეჭრა დიდსა და პატარას, როგორც ნიშანი საქრისტიანო, ის ეკლესიის ენა და შეიქნა საერთო ლიტანიობა; ქალი და კაცი, მოხუცი და ყრმა, მაღალი და დაბალი, ყველა ერთხმად ადიდებდნენ ღმერთს და აქებდნენ გმირებს.

***მასწავლებელი***: შემთხვევით არ შევაჩერე თქვენი ყურადღება პეიზაჟური სურათისა თუ სიზმრის სიმბოლურ მნიშვნელობაზე. აი, სწორედ ამგვარი ხერხებით ხდება ისტორიული თუ სხვა სახის მასალა მწერლის მადლიანი კალმის წყალობით მხატვრული ნაწარმოები.

ეს სიზმარი თავისი ფორმით აშკარად ჰგავს ე.წ. მისნურ მღაპარს. რაც აკაკიმ ხალხური შემოქმედებიდან აიღო. გაიხსენეთ, რომელი ეპიზოდები ამჟღავნებენ ნათესაობას ფოლკლორულ მასალასთან?

***მოსწავლე***: ასეთ ეპიზოდებად შეიძლება მივიჩნიოთ აბდუშაჰილის შეხვედრა პირიმზისასთან, პირიმთვარისას გმირული სიკვდილი, ბავშვობაში დაკარგული აბდუშაჰილის გაცხადება განსაკუთრებული ნიშნით (ფეხზე ექვსი თითი შეიძლება შევადაროთ ამირანის ოქროს კბილს). ნაწარმოებში უხვად არის ჩართული ხალხური ანდაზები, ხალხური სიბრძნე: „ძალა აღმართს ხნავსო“, „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“, „სადაც კვამლი მაღალიო, მეც იმისი მაყარიო“, „თოფი მეთოფეს და მეთოფე სოფელსაო“, „ნუ ეძალები წყალდიდსა, უნდა ეძებდე ფონებსო, ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსო“.“ და სხვ.



***მასწავლებელი***: ბაში-აჩუკის სახით მწერალმა დახატა ჭეშმარიტი სახალხო გმირი. თქვენი აზრით, ყველაზე ნიშანდობლივი რა არის სახალხო გმირისათვის?

***მოსწავლე***: პირადულის გაწირვა საქვეყნო ინტერესებისათვის. მან საფრთხეში ჩაიგდო სიცოცხლე, გადაცურა ადიდებული არაგვი, ზაალ ერისთავს დროზე მიართვა ბიძინას წერილი და ასე განუცხადა: „ჩემი განსაცდელი რა სახსენებელია, შენი ჭირიმე, მაშინ, როდესაც მთელი საქრისტიანო განსაცდელშია“. მას დათრგუნვილი აქვს სიკვდილის შიში, უპირველეს ყოვლისა, რწმენის მეშვეობით. მას სწამს სამართლიანობის და ამიტომ არწმუნებს ზაალსაც: „ორი ათასი ქართველი ხუმრობა არ არის, შენი ჭირიმე!“ ბაში-აჩუკს ესმის, რომ კახეთის განსაცდელი იმერეთის განსაცდელიცაა, მთელი საქართველოს განსაცდელია და საქართველოს ყველა კუთხეს ერთნაირი თავგამოდება სჭირდება მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ესაა მწერლის მთავარი სათქმელიც.

***მასწავლებელი***: მწერლის ფანტაზიის ნაყოფია აბდუშაჰილიც. და მაინც იგი მეტად ტიპიური სახეა. როგორ ფიქრობთ, რატომ?

***მოსწავლე***: აბდუშაჰილის მსგავსად ათასობით ქართველი იყიდებოდა აღმოსავლეთის ბაზრებზე. და მიუხედავად უთვისტომობისა, თავიანთი ნიჭით, უნარით, ვაჟკაცობით დიდ წარმატებასაც აღწევდნენ. სხვათა სამსახურში იხარჯებოდა მათი უნარი. აბდუშაჰილს მწერალი თათრობის ქამსაც ნამდვილ რაინდად წარმოგვიდგენს. მასში ყივის წინაპართა სისხლი, იგრძნობა ჯიში ღირსეულობისა. გავიხსენოთ მელანოს ქოხში მისვლის ეპიზოდი ან პირიმზისასთან მისი ამაღლებული, ფაქიზი და ვაჟკაცური დამოკიდებულება.

***მასწავლებელი***: მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები ჩვენი ქვეყნის უმძიმეს ხანას გამოხატავს, მასში ვხედავთ აკაკისეული ხალასი იუმორის ნიმუშებს. რომელს გაიხსენებდით?

***I მოსწავლე***: „ვე პუ, შენს საქმეს, ნურას უკაცრავად, იმერელს ხიდი ვერ დაგახვედრეთ“. „იმერეთის ღელეები ეგონა, ბუ-

ჭულა წისქვილების დასაბრუნებელი!“ „ისე კი დაფრთხა, რომ ერთ წლამდე ღომიც კი ვერ იცნოს!“ – ამას ზაალის მოურავი ამბობს გლახუნა ბაქრაძეზე.

***II მოსწავლე***: იუმორით სავსეა ჭიდაობის სცენა. „ეხლა გინდა შაიტანეთ და გინდა გამოიტანეთ ე თქვენი რუმბივით ფალავანი!“ ამბობენ ბაში-აჩუკის გამარჯვებით გახარებული ქართველები სპარსელების „შაიტან! შაიტან-ის“ საპასუხოდ. „სალამი რომ გაათავო, დამიძახე და მოვალო!“ – ეუბნება გლახუნა ბაქრაძე ყიზილბაშს.

***მასწავლებელი***: საერთოდ ცნობილია, რომ აკაკი მეტად ენამოსწრებული იყო. მწერლის იუმორზე საგანგებო მონოგრაფია შექმნა ცნობილმა მკვლევარმა გრიგოლ კიკნაძემ. აკაკის იუმორს ზოგადად ასე ახასიათებენ: ეს სიცილი შემწყნარებლურია. მას აკლია სიმძაფრე, ნერვული დაძაბულობა. აკაკისეული იუმორი ქართველი კაცის სილაღის მაჩვენებელია. სილაღე კი ჩვენი ეროვნული ხასიათის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისებაა.

აკაკი წერეთელმა რუსთაველს სულმნათი უწოდა. მისი მოთხრობა ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ შოთას წიგნი ჩვენი ხალხის ყველაზე დიდი სულიერი საზრდოა. რას გაიხსენებთ ამის დასტურად?

***მოსწავლე***: ტყუილად არ სჩიოდა ძველად სამღვდელოება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ „სახარებაზე“ უფრო გაუტკბა ქვეყანასო. საუკუნეების განმავლობაში ყველა იმას ეწაფებოდა. კაცები ტარიელ-ავთანდილს ჰბაძავდნენ, ქალები ნესტან-თინათინობას ცდილობდნენ, მეფე და კარისკაცები- როსტევან-სოგრატობაზე ოცნებობდნენ.

იმ რლის ქალები პირობას უდებდნენ სატრფოებს – „გვიჩვენეთ საქმენი საგმირონიო“. ეს პირობა გლახა ბაქრაძესაც დაუდო წერეთლის ასულმა და მამაცმა ჭაბუკმა კახეთს მიაშურა, რადგან იქ ეგულებოდა საგმირო ასპარეზი.

***მასწავლებელი***: მოთხრობა მოქარგულია რუსთველური აფორიზმებით. გავიხსენოთ მისი ფინალი – ერის უკვდავების იდეა რომ არის გამოხატული. როგორ ხმიანდება მასში რუსთველური სიბრძნე – „რა ვარდმან მისი ყვავილი გააჴმოს, დაამჭკნაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“?

***მოსწავლე***: „რაც ფოთლებია ხისთვის, ჩვენც ისევე ვართ ქვეყნისთვის და რაც წელიწადია ფოთლებისათვის, ის საუკუნეა ჩვენთვის. ნახევარი საუკუნის შემდეგ არც ერთი აღარ ვიქნებით. სხვები დაიჭერენ ჩვენს ადგილს: „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. საქართველოც ჩვენი ცხოვრების ხეა, საკუთარ ნიადაგზე დანერგილი და ზედ ქრისტეს რჯულია დამყნილი. სანამდის მისი ძირი არ შესუსტდება, ღერო არ შეინძრევა და ფესვები მაგრად ექნება გადგმული, შტოების დარხევითა და ფოთლების გაცვენით არა უჭირს რა“.

***მასწავლებელი***: ჩვენ ეს ეპიზოდი ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავად მივიჩნიეთ. რამ განაპირობა ეს?

***მოსწავლე***: ეს არის შესანიშნავი ნიმუში აზრის მეტაფორული გამოსახვისა. უაღრესად მაღალი იდეა ასევე მეტად მაღალმხატვრულ დონეზეა წარმოდგენილი.

***მასწავლებელი***: გამოკვეთეთ მოთხრობის დედააზრი აკაკისავე სიტყვებით!

***მოსწავლე***: ეროვნების ხეს ძირის გასამაგრებლად და ფესვების განზე გასადგმელად ოფლთან ერთად ხანდახან წმინდა მოწამებრივი სისხლიც ეჭირვება სარწყავად.“ საქართველოს ჭირიც წაგვილია!“

***მასწავლებელი***: ნაწარმოებს ნათლად გასდევს რწმენა მომავლისა, როგორ გამოხატა ეს მწერალმა მოთხრობაში?

***მოსწავლე***: ბაში-აჩუკისა და აბდუშაჰილის მოდგმამ იმრავლა. მათ ეტყობათ, რომ კარგი წინაპრები ჰყოლიათ.

***მასწავლებელი***: დიახ! ეროვნების ხე ახალ-ახალ ფოთლებს ისხამს, ფესვებს მძლავრად იდგამს და ყოველ ახალ ყლორტს იმედით შეჰყურებს. აკაკისდროინდელი საქართველო, პატივაყრილი, იმედგადაწყვეტილი, ძალიან ჰგავდა „ბაში-აჩუკში“ აღწე-

რილ კახეთს, სადაც ხალხი კვარივით აენთო გმირ მამულიშვილთა წინამძღოლობით და ურიცხვ მტერს სძლია. აი, ვისთვის უნდა მიებაძა მე-19 საუკუნის ქართველობას, ვინ უნდა ყოფილიყო მათთვის სულიერი მეგრომშე.

ამგვარი მუშაობის შემდეგ შეიძლება მივცეთ წერითი თხზულებანი: ნაწარმოების განხილვა, ან ისტორიული სინამდვილე და მხატვრული გამონაგონი მოთხრობის მიხედვით:

***თხრობის მეთოდი*** – ლიტერატურის გაკვეთილზე ფართოდაა გამოყენებული. მასწავლებელი ამ მეთოდს მიმართავს შესავალ სიტყვაში, ნაწარმოების სწავლების დაწყების წინ ან პერსონაჟის დახასიათებისას. ეს სიტყვა უნდა იყოს მაორგანიზირებელი, მეცნიერულად გამართული, საინტერესო და ადვილად გასაგები. თხრობის მეთოდი ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა და გამოიყენება თითქმის ყველა კლასში. იგი გრძელდება 8-10 წუთი.

ნიმუში თხრობის მეთოდისა

გაკვეთილის თემა: გრიგოლ ორბელიანი, „სადღეგრძელო“ (ტექსტზე მუშაობის დასაწყისი)

საქართველოს ისტორიული წარსული რომანტიკოსი პოეტების შემოქმედების მდიდარი მასაზრდოებელი წყარო იყო. გმირი წინაპრების გაცოცხლებას ყოველ დროში უკეთილშობილესი მიზანი აქვს: შესაფერისი პატივი მივაგოთ მათ ნათელ ხსოვნას და მათთა „საქმეთა მოთხრობით“ გულში მამულიშვილური სიყვარულის ცეცხლი დავინთოთ. ამ მიზანს ემსახურება ქართული რომანტიკული პოეზიის ერთ-ერთი შედევრი – გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“. ეს პოემა ორბელიანის ყველაზე ვრცელი და თანაც ყველაზე სრული ნაწარმოებია. მასზე ავტორი დიდხანს მუშაობდა. იგი დაახლოებით 40 წელს იხვეწებოდა. პოემის პირველი ვარიანტი 1827 წელს დაიწერა, საბოლოო რედაქცია კი 1870 წელს დასრულდა (დაფაზე ვწერთ ამ თარიღებს). პოემა 1871 წელს ჟურნალ „კრებულის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა. პოემაზე ასე ხანგრძლივად მუშაობა, რასაკვირველია არა მხოლოდ პოეტის



ლიტერატურულ მოუცლელობას მიეწერება (გენერალს ალბათ ცოტა დრო ჰქონდა შემოქმედებითი მუშაობისათვის), არამედ იმაზეც მეტყველებს, რომ პოეტი მეტად სერიოზულად, კეთილსინდისიერად ეკიდებოდა ლიტერატურულ ნაწარმოებებზე მუშაობას. პოემას ემჩნევა იძულებითი კვალიც სათანადო ცვლილებისა. თქვენს სახელმძღვანელოში „სადღეგრძელოს“ მოკლე რედაქციაა შეტანილი. სრულ რედაქციაში გმირი წინაპრების გაცილებით ვრცელი სიაა წარმოდგენილი. მათ შემდეგ კი იმპერატორ ნიკოლოზის სადღეგრძელოცაა შეტანილი. ეს სადღეგრძელო თავად გრიგოლ ორბელიანს მის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ არც ერთ ბეჭდურ გამოცემაში არ შეუტანია. რა ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ ამ ფაქტს? უმჯობესია, მოვუსმინოთ გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარს – ელგუჯა მაღრაძეს: „მრავალი თავდადრეკილი შემოქმედი, ქედმოხრილი და დამცირებული პოეტი ახსოვს ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე. თვით დიდ პუშკინსაც კი დასცდენია იმპერატორის სახოტბოდ სიტყვა და ჩვენ უნდა გვიკვირდეს არა ეს მხოლოდ ხელნაწერში არსებული ნიკოლოზისადმი მიძღვნილი რამდენიმე სტრიქონი, არამედ ის, რომ მსგავსი მიმართვები მსოფლიოში უდიდესი იმპერიის დიდჩინოსანმა მხედარმა პოეტმა ბეჭდურ გამოცემაში არ შეიტანა და ადრესატი თვითონ არ დაასახელა“.

“სადღეგრძელოს“ პირველ ვარიანტს ეწოდებოდა „ტოლუბაში“. ტოლუბაშის სინონიმური სიტყვაა თამადა. პოემას ჰქონდა წარწერა პოეტისა: „ეს ელქსი 1826 წელს სპარსეთის ომში არის ნათქვამი, როდესაც ირაკლის თაფაზედ იყვნენ ჯარნი დაბანაკებულნი“.

ირაკლის თაფა ტოპონიმია. მას თავად ავტორი ასე განმარტავს: „სარდლის ბაღთან ირაკლის თაფაა, მარჯვნივ მდინარე ზანგისა. ამ გორაზე იდგა მეფე ირაკლი, როცა დაიმორჩილა ერევანი“. მდინარე ზანგი მდინარე ჰარაზდანია, რომელიც ქალაქ ერევანს ჩამოუდის.

ცნობილია, რომ გრიგოლ ორბელიანი რუსეთ-სპარსეთის

1826-1828 წლების ომის მონაწილეა. იბრძოდა გრაფ სიმონიჩის, პასკევიჩის დროშის ქვეშ. სპარსელები სასტიკად დამარცხდნენ შამქორთან, განჯაში, არაქსს გაღმა, რასაც პოეტი სიხარულით შეხვედრია.

გრიგოლ ორბელიანი მამაცურად იბრძოდა ჯარის იმ ნაწილში, რომელმაც აიღო ირაკლის თაფა. სწორედ ამ გამარჯვებამ შთააგონა მას პოემა „სადღეგრძელო".

პოემის საბოლოო სახელწოდება პოეტს ასე ჩამოუყალიბებია: „სადღეგრძელო, ანუ ომის შემდგომი ლხინი ერევნის სიახლოვეს". ნაწარმოებს პირობითად ვუწოდებთ პოემას, რადგან სიუჟეტური მთლიანობა არ გააჩნია. იგი ვრცელი ლექსია და წარმოადგენს სხვადასხვა თემაზე წარმოთქმულ სადღეგრძელოთა კრებულს. მაგრამ ავტორი მაინც ახერხებს გარკვეულ სიუჟეტურ ხაზში მოაქციოს ეს სადღეგრძელოები. მძიმე ბრძოლის შემდეგ „გამარჯვებითა მოილხენს ჯარი". ფეხზე დგება ენამჭევრი თამადა და წარმოთქვამს ყველა იმ ადამიანის სადღეგრძელოს, ვინც თავისი არსებობით საქართველოს ისტორიას გარკვეული კვალი დაამჩნია. ყოველი მისი სადღეგრძელოს შემდეგ ჯარი იმეორებს თამადის სადღეგრძელოს ყველაზე მნიშვნელოვან სიტყვებს. შექცევაში თავს დაათენდათ. გათენდა მშვენიერი, ვარდისფერი დილა. სწორედ ამ დროს სისხლის სათხევად განემზადა ორივე მხარე. თამადა სვამს გამარჯვების სადღეგრძელოს. ასე რომ, „სადღეგრძელო" კომპოზიციურად მარტივი აგებულებისაა, იგი ტრადიციული ქართული ლხინის სურათია. აქვე მოსწავლეებს შევახსენებთ აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი"-დან დავით კურაპალატის სასახლეში გამართულ ლხინის სურათს. განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ სიტყვებზე: „ჩვენი ლხინი რომ ენახათ, სირცხვილითაც დაიწვოდნენ". ეს გამაფრთხილებელი სიტყვები პოეტს იმიტომ სჭირდება, რომ შთაგვაგონოს — სამარცხვინოა, როცა საუკუნეებით შემუშავებული ნადიმის ტრადიცია ირღვევა, ყალბდება და მთვრალობაში გადადის.



ამგვარად, „სადღეგრძელო" ლირიკული პოემაა, თავისებური პატრიოტული ოდა, რომელიც მარტივი არქიტექტონიკის მიუხედავად, უაღრესად ღრმა იდეურია და უზადო მხატვრული ფერებითაა გაჯერებული. ამაში თავად დარწმუნდებით, როცა „სადღეგრძელოს" გაეცნობით და პოემის მრავალი პოეტური სტრიქონი თქვენთვის აფორიზმად დარჩება სამუდამოდ გმირი წინაპრების, მამულის, სიყვარულის, მეგობრობისა თუ ადამიანობის უწმინდეს მოვალეობათა შესახებ საუბრის ჟამს.

***სასკოლო-ლექციური მეთოდი.*** მოსწავლეთა ასაკობრივი და გონებრივი განვითარების ზრდასთან ერთად, იცვლება მათ მიერ შესასწავლი ლიტერატურული მასალის მოცულობა. პროგრამაში შეტანილია დიდტანიანი ნაწარმოებები. მუშაობა ძირითადად სასკოლო ლექციური მეთოდით მიმდინარეობს. მოსწავლის ფსიქიკა და ცნობიერება უკვე მომზადებულია ზუსტი და ფართო ცოდნის მისაღებად. ლექციური მეთოდით გაკვეთილის ახსნაში მეტია პრობლემური საკითხები, მსჯელობა. ეს ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია სასკოლო-ლექციური მეთოდისა თხრობის მეთოდისაგან. მეორე განსხვავება კი დროის ხანგრძლივობაშია. თხრობის მეთოდი 8-10 წუთს მოითხოვს, სასკოლო-სალექციო კი 15-20 წუთი გრძელდება.

როგორც თხრობის, ისე სასკოლო-სალექციო მეთოდი მოიცავს საუბრის, კითხვა-პასუხის ელემენტებსაც. ოღონდ ამ შემთხვევაში კითხვები უნდა იყოს საკვანძო და პრობლემური.

სასკოლო-ლექციის დროს სასურველია გამოვიყენოთ თვალსაჩინო მასალა — ლიტერატურული, გრაფიკული თუ ილუსტრაციული. ეს გაკვეთილს უფრო ეფექტურსა და საინტერესოს ხდის, აფხიზლებს მოსწავლეთა ყურადღებას, შესაძლებლობა გვეძლევა შევუნაცვლოთ ერთმანეთს მათი მხედველობითი და სმენითი აღქმა.

სასკოლო-ლექციის ჩატარების სხვადასხვა ხერხი არსებობს. ასე, მაგალითად: ***I ლექცია — პრობლემური ეპიგრაფით.*** დაფაზე ვწერთ სათაურს და ეპიგრაფს, რომელსაც დავამტკიცებთ

ლექციით. დ. კლდიაშვილის შემოქმედება „ჩემს სიცოცხლეში არავისთვის დამიცინია!“ ***II ლექცია წინასწარი დავალებით***. მოსწავლეებს ვაძლევთ დავალებას ვთქვათ წაიკითხონ კონსტანტინე გამსახურდიას „ლანდებთან ლაციცი“ და ლექციის დროს ჩაერთავთ მათ, ვთხოვთ ამა თუ იმ საკითხის განმარტებას. ***III ლექცია – საუბრის ელემენტებით***. დაფაზე ვწერთ ლექციის თემას და თემიდან გამომდინარე საკითხებს. ამ საკითხებიდან ვარჩევთ ისეთებს, რომლებზეც შეიძლება ისაუბროს მოსწავლემ და ერთმანეთს ენაცვლებიან მოსწავლე და მასწავლებელი. ***IV ლექცია – კონტროლის ელემენტებით***, ანუ ლექცია გეგმის შედგენითა თუ თეზისებით. მოსწავლეებს წინასწარ ვუცხადებთ, რომ მათ ევალებათ ლექციის გეგმის შედგენა. ყოველი საკითხის დამთავრების შემდეგ საკვანძო აზრს გამოვკვეთთ და ვთხოვთ დაასათაურონ, ყველამ თავის ვარიანტი ჩაიწეროს, ბოლოს წავაკითხებთ და მივცემთ სათანადო შეფასებას.

ლექცია-გაკვეთილის ზემოჩამოთვლილი სახეები ემსახურება იმას, რომ მოსწავლე არ იყოს პასიური მსმენელი.

ნიმუში სასკოლო – ლექციისა (კერძოდ ლექცია-კონტროლის ელემენტებით) გაკვეთილის თემა: ნიკო ლორთქიფანიძე, „თავსაფრიანი დედაკაცი“.

უამრავ საფიქრალსა და „წყევლაკრულვიან“ კითხვას აღძრავს ნ. ლორთქიფანიძის ეს სულისშემძვრელი ნაწარმოები. ეს ფიქრი სათაურიდანვე იწყება. „თავსაფრიანი დედაკაცი“ – ასე ეწოდება ნოველას და მისი მთავარი გმირი თავსაფრიანი დედაკაცია. მწერალმა მას საგანგებოდ არ დაარქვა საკუთარი სახელი. ამ გმირში ავტორმა გააერთიანა ქართველი მშრომელი ქალის ყველა ნიშანდობლივი თვისება – შრომისმოყვარეობა, ოჯახის დედაბოძობა, ჭირთათმენა და სიმტკიცე, უკიდეგანო ერთგულება, მშობლიური სიყვარულის მძლეთამძლეობა, სიამაყე, თავმოყვარეობა... ეს კი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ თავსაფრიანი დედაკაცი გაზოგადებული, მონუმენტური სახეა.

სიტყვა დედაკაცი ქალის სინონიმია. მაგრამ დედაკაცი ბევრად აღმატებულია ქალზე. იგი უფრო ტევადი ცნებაა. დედაკაცი ისეთი ქალია, ვინც დედაბოძად და ბურჯად შეუდგება ოჯახს. სხვანაირად ჩვენი წინაპრები ამ სიტყვაში „დედას“ არ შეურევდნენ. დედას ხომ ქართველი კაცი მუდამ ყველაზე წმინდას უკავშირებდა.

სათაურშივე ჩანს დედის გამორჩეული ეპითეტი – ***თავსაფრიანი***, რომლის გარეშე სიტყვა დედაკაცი თითქოს მოკლებულია თავის შინაარსს, ***თავსაფრიანი*** – სინდის-ნამუსისა და პატიოსნების სიმბოლოდაა ქცეული, მასთან ერთად სიტყვა დედაკაცის მნიშვნელობა კიდევ უფრო ღრმავდება. ეს შესიტყვება – ***თავსაფრიანი დედაკაცი*** – თითქოს გვითვალსაჩინოებს ამ ქალის ღირსებას და მისდამი პატივისცემას პირველივე სტრიქონებიდანვე ბადებს (დაფაზე მოსწავლეთა დახმარებით ვწერთ ლექციის ამ პირველი საკითხის დასათაურებას. 1. თავსაფრიანი – სინდის-ნამუსის სიმბოლო; დედაკაცი ოჯახის დედაბოძი).

ნაწარმოების ეპიგრაფში ნიკო ლორთქიფანიძე წერს: „...ნუ დამიწუნებთ! არ შემიძლია გრძნობა-გონება შევაჩერო დიდ პიროვნებებზე... ისინი აშლიან სულის შემხუთველ სურათებს... მე ვწერ თავსაფრიან დედაკაცზე.

მწერალი ერთგვარად მიგვანიშნებს, რომ მისი ნოველის გმირი დიდი ადამიანი არ იქნება. ეს მარტო ამ ნოველას არ ეხება. საეროთოდ, ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებების პერსონაჟთა უმრავლესობა პატარა, სხვებისათვის შეუმჩნეველი ადამიანები არიან. მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ცნებები – დიდი ადამიანი, პატარა ადამიანი – უდაოდ მოკლებულია პირდაპირ მნიშვნელობას. განა სიდიდე თუ სიდიადე აკლია თავსაფრიან დედაკაცს? უნდა გითხრათ, რომ მწერლის მიერ დახატული გმირები თავიანთი განსაკუთრებული მდგომარეობითა თუ ტალანტით, მოღვაწეობითა თუ ცოდნით როლი გვაწონებენ თავს. მათ არაჩვეულებრივი შინაგანი ბუნება აქვთ. უდრტვინველად, სხვებისთვის შეუმჩნევლად ატარებენ ცხოვრების მძიმე ტვირთს, უდიდესი განსაცდელის დროსაც ინარჩუნებენ სულის სიმაღლეს, არ კარგა-

ვენ ადამიანურ ღირსებებს, სიკეთით და სათნოებით სავსენი წუწუნის გარეშე ეწევიან ბედის მძიმე ჭაპანს. ძალიან თავმდაბალნი არიან, მაგრამ შინაგანად ამაყნი, გრძნობიერნი და დიდბუნებოვანნი. მწერლის მახვილი თვალი კარგად ხედავს ამ თითქოსდა „პატარა“ ადამიანებს, მისი უტყუარი ინტუიცია გრძნობს მათი სულის უნაზესი სიმების თითოეულ თრთოლას, და აცოცხლებს მათ, ვინც ცხოვრებამ უსამართლოდ დააყენა ჩრდილში. ასეთია მისი თავსაფრიანი დედაკაცი, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი, მაგრამ ჭეშმარიტად ძეგლისა და დიდების ღირსი. (დაფაზე ვწერთ მეორე საკითხის დასათაურებას – ნ. ლორთქიფანიძის დამოკიდებულება „პატარა“ ადამიანთან; ან ცნება – პატარა ადამიანი).

ძველებური წესით გათხოვდა თავსაფრიანი დედაკაცი. გაძვრა-გამოძვრა მაჭანკალი და მაინც სიყვარული და პატივისცემა დაედო საძირკვლად მათ ოჯახს. სამ წელიწადში სამი შვილის დედა გახდა. რა უნდა ყოფილიყო შვილებისათვის იმაზე დიდი სულიერი საზრდო, თუ არა შრომისმოყვარეობა დედისა... გაიხსენეთ აკაკის „ჩემი თავგადასავალიდან“ დედის შეგონება: „სიზარმაცე და უსაქმურობა დედაა ყოველგვარი ბოროტებისა, კეთილი საქმე კი იგივე ლოცვა-ვედრება“. ილიას ოთარაანთ ქვრივიც ამას შეაგონებდა უქნარა წვრილშვილიან დედაკაცს: შენი მაყურებლები შენგან აბა რა კარგს ისწავლიან! ესენი მაინც არ გეცოდება, შე უბედურის დღისავ!“ ასე რომ, ამ ბრძენ ქალს კარგად სცოდნია, რომ მშობლის პატიოსანი და თავდადებული შრომა დიდი სულიერი საზრდო იყო შვილებისათვის. ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს სულიერი საზრდო არ მოკლებიათ თავსაფრიანი დედაკაცის შვილებს. კაცის თვალს ეამებოდა მისი ეზო კარის ნახვა. ყველა კუთხე-კუნჭულს აჩნდა გამრჯე დიასახლისის მარჯვენის კვალი. ერთნაირად ეხერხებოდა ქალის ხელსაქმე თუ ბოსტანში მუშაობა. გაიხსენეთ, როგორ ძუნწად, მაგრამ მრავლისმთქმელად ხატავს ავტორი თავსაფრიანი დედაკაცის შრომისმოყვარეობას (აქ შეიძლება მოსწავლეც ჩავრთოთ და



მან გადმოსცეს ნოველის ეს მონაკვეთი: „სადედოფლო მაქეა და თითისტარი, კეცი და ჩოგანი, ლარი და საჩეჩელი, პრასი და ო... რახუში; მეწველი ძროხა. კრავიანი ცხვარი; გოჭებიანი ღორი... თხას... თხას არ გაუშვებს, ნამყენი ხეხილით სავსე კარ-მიდამოს გადაღრღნის. ბატები სისინებენ და ამაოდ ეძებენ ტბას. ქათმები ჩიტებივით დაფრენენ ტოტიდან ტოტზე. ციცარი გასართობად...“)

სრულიად ახალგაზრდა დაქვრივდა თავსაფრიანი დედაკაცი. მის ერთადერთ სამოსად შავი ფერი იქცა. შავი ფერი ვერ ფარავდა მის მშვენიერებას. ახალგაზრდა, მომხიბვლელ ქალს ბევრი ეარშიყებოდა შორიდან. მაჭანკლებიც მიუგზავნეს, მაგრამ თავსაფრიანმა დედაკაცმა შვილებს არ უმტყუნა. მამინაცვალი არ დაუსვა სახლში ობლებს. არც ქმრის ხსოვნის ღალატი შეეძლო. გაუნელებელ ტკივილად დარჩა ადრეწასული მეუღლე, სხვებისთვის შეუმჩნევლად ატარებდა ამ დიდ ტკივილს, შვილებსაც არ აჩვენებდა თავის ცრემლებს. სათუთად ინახავდა ქმრისეულ ნაბადს. ერთხელ უცხო მგზავრი, თავსაფრიანი დედაკაცის ეზოსთან რომ ჩაიარა, ასეთ სურათს შეესწრო: „ქალმა უკანა კარებში გამოიტანა ნაბადი, ეზოს მივარდნილ კუთხეში, ბოსტანში გაშალა და ფეხშიშველმა, თმაგაშვებულმა დაიწყო ტირილი, მოთქმა წრფელად, გულამომჯდარი ისეთ ნაზ სიტყვებს, ისეთი მშვენიერი ხმით ამბობდა“, რომ მესერს გადაღმა უცნობი მგზავრი ატირდა, ტირილი ზლუქუნად გადაექცა. ქალმა როგორც კი ე... შენიშნა, ნაბდიანად შინ შევიდა.

მაგრამ მწუხარებისა და წუწუნისათვის მაინც არ ეცალა თავსაფრიან დედაკაცს, დედაბოძი შეურყევლად უნდა მდგარიყო, დედა იყო და უპირველეს ვალად შვილების აღზრდა მიაჩნდა. სამართალი უნდა გაეჩინა მათთვის, არავისთვის დაეჩაგვრინე... ბინა, კერა არ გაეციებინა, რა ვუყოთ მერე, რომ იკლო მოყვარე... იმატა მტერმა, სწორედ ახლა მართებდა თავსაფრიან დედაკაცს გამაგრება, გაუსაძლისის გაძლება, მას საამისოდ ძალას მატებდა შვილების მიმართ უსაზღვრო სიყვარული, გარდაცვლილი ქმრის ხსოვნა და ერთგულება. ქალი დაუღალავად დადიოდა პოლ...

ციაში, სასამართლოში მეზობლებთან, მამასახლისთან.. საჩივრით, მუდარით, თხოვნით ვერ აჩერებდა ვერაფერი. სიმართლეს მიაღწევდა, დახმარებას გამოითხოვდა...

შვილებზე ზრუნვას შეალია თავსაფრიანმა დედაკაცმა თავისი ახალგაზრდობა, ძალა... შეუძლებელი შეძლო. „ასწავლა ათასჯერ მეტი, ვიდრე შეეძლო... ერთი ვაჟი მოანგარიშეა კოოპერატივში. ჩამოისიძა სოფლის მასწავლებელი“. ყველაფერი ეს, რაც დედამ მოიმოქმედა, რასაკვირველია, თავსაფრიანი დედაკაცის ზნეკეთილობისა და სულის სიმაღლის დასტურია. ამგვარად როგორ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მესამე საკითხი? (დაფაზე ვწერთ: 3. თავსაფრიანი დედაკაცი – ზნესრული პიროვნება. შეიძლება ეს საკითხი დავაკონკრეტოთ და ფრჩხილებში მივუწეროთ ქვესაკითხებიც: ა) შრომისმოყვარეობა, ბ) ოჯახის დედაბოძობა, გ) ქმრის ხსოვნისა და შვილების ერთგულება, დ) ჭირთათმენა, ე) სიმართლის სიყვარული, ვ) დედური ვალის აღსრულება. თავსაფრიანი დედაკაცის ცხოვრების გზა ჩვენს აღტაცებას იწვევს და არა გაკვირვებას. იგი ხომ დედაა, ნამდვილი დედა კი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. საკვირველი და აღსაშფოთებელი შვილების მოქმედებაა, მათი უგულობა და დედის ამაგის დაუფასებლობაა.

მწერალი გვამცნობს, რომ წელში მოხრილი, დაუძლურებული თავსაფრიანი დედაკაცი ყავარჯნით ხელში გადადიოდა ერთი შვილისგან მეორესთან. არსად იყო ზედმეტი. ჩვენც ვგრძნობთ, რომ იგი არ არის ზედმეტი. შეუძლია ბავშვების მოვლა, ჭუკების წამლობა, წინდის მოქსოვა და, რაც მთავარია შვილიშვილებსაც სიკეთე ასწავლოს. „გაიხადე ბებია, ამას შენ ძამიას წაუღებ, შენ კი სხვას მოგიქსოვ“, შეუძლია ქალიშვილი დაარიგოს: „ბავშვს ნუ გაანებივრებ, შვილო“. ასე რომ მრავალჭირგადახდილ, ცხოვრების სიბრძნით დატვირთულ ქალს ოჯახის ყველაზე საპატიო წევრობა შეჰფერებოდა. მის შვილებს ხელის გულზე ერბო-კვერცხიც რომ შეეწვათ, დედის ამაგს მაინც ვერ გადაიხდიდნენ, მათ კი კეთილი სიტყვაც კი დაენანათ მისთვის.



უმადურობა და უგულობა არგუნეს ამაგდარ დედას უზომო სიყვარულის წილ. „შეგენანა განა ერთი წინდა?! გინდა მეორე შვილიც მოიმადლიერო... ნუთუ ამის საღირალ პატივს არ გცემთ?“ – უმადური ქალიშვილის ამ სიტყვებმა გული დაუკორტნა დედას. ყველა აზრი განედევნა, მხოლოდ საშინელი სიტყვები უწიოდა ყურებში – „შეგენანა“, „მოიმადლიერო“, „საღირალი პატივი“. დედის გონებაში უცბად გაჩნდა აზრი და მიიღო მოკვეთილი გადაწყვეტილება: „აღარავისთვის ვარ საჭირო, სრულიად არავისთვის. ვარ სრულიად ზედმეტი... დიდი ხანია ჩემ კაცთან უნდა წავსულიყავი“ (დაფაზე ვწერთ გეგმის მეოთხე საკითხს – 4. ***შვილების უმადურობა და დედის გადაწყვეტილება***).

თავსაფრიანმა დედაკაცმა თითქმის უმიზნოდ შემოუარა სახლს, რომელსაც შეალია მთელი ახალგაზრდობა, სიცოცხლის ქინი და ჩუმად, უთქმელად, თითქმის კონკების ამარა გამოვიდა ნაჭირნახულევი ეზო-კარიდან. შვილებისათვის ზედმეტობის მტკივნეულმა შეგრძნებამ თავსაფრიან დედაკაცს, შეიძლება ითქვას, თავი მოაკვლევინა. ოჯახიდან წასვლა, ფაქტიურად, თვითმკვლელობაა მისთვის. პირველი, რაც მან მოიმოქმედა, ქმრის საფლავთან მისვლა იყო. თითქოს შემთხვევით მოხვდა იქ, ჩაიმუხლა, ხელი გადაუსვა სამარის ლოდს და აღუთქვა: „ჰო, მოვალ, მოვალ,ჩემო ფილიპე!“

მაგრამ მოდით ამაზეც დავფიქრდეთ. ამ თვითმკვლელობის მიზეზი მარტო ზედმეტობის გრძნობაა? იქნებ აკაკის ჰაჯი-უსუბივით თავი დაისაჯა? მართლაც, რა უნდა იყოს დედისთვის იმაზე მტკივნეული განცდა, რომ უღირსი შვილები გაზარდა. ვინ არის დამნაშავე? ცხოვრება? გარემო? იქნებ თვითონ? – ასეთი კითხვები ალბათ არაერთხელ აღეძვრებოდა დედას, არაერთხელ შეუშფოთებდა სულს და შეაძრწუნებდა. (დაფაზე ვწერთ გეგმის მეხუთე საკითხს. 5. ***თავსაფრიანი დედაკაცის სახლიდან წასვლა თვითმკვლელობაა***).

უგულობაცაა და უგულობაც: „შვილებმა კარგა ხანს ვერ გაიგეს დედის გადაკარგვა. ერთს მეორესთან ეგონა“. როცა გაი-

გეს, შერცხვათ: „მოგვეჭრა თავი სოფელ-ქვეყანაში, რას იტყვიან“. დავაკვირდეთ ამ სიტყვებს. მათ საკუთარი თავი აფიქრებთ. წუხან სახელი არ გაგვიტყდესო, დედის ბედზე კი არ ფიქრობენ. „უნდოდათ საძებრად წასვლა – ეძვირათ“. როცა რაიმე გრძნობის და მითუმეტეს მშობლიური გრძნობის გვერდითი ეს საშინელი სიტყვა „ეძვირათ“ – გაიელვებს, იქ ამ გრძნობის არსებობაზე საუბარი ზედმეტია.

ვკითხულობთ ამ სტრიქონებს და თავიდან არ გვშორდება კითხვა: რატომ არიან თავსაფრიანი დედაკაცის შვილები ასეთი უგულოები? ზედმეტად ხომ არ ანებივრებდა დედა შვილებს? ალბათ არა. ის ხომ თვითონ არიგებდა ქალიშვილს, ,,ბავშვს ნუ გაანებივრებო“. იქნებ ისევ აკაკი მოვიშველიოთ: ,,მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა!“ და მაინც ვფიქრობთ, რომ ასე უკვალოდ არ უნდა ჩაევლო წვრთნას. ამიტომ ისევ ვეძებთ ამ უგულობის მიეზეზებს, შევეცადოთ, სტრიქონსა და სტრიქონს შუა ამოვიკითხოთ რაღაც. პირადად მე მგონია, თავსაფრიანმა დედაკაცმა შვილებს ყველაფერი უშურველად მისცა. მას ,,თავისად მაყურებელი თვალი“ მუდამ დაბრმავებული ჰქონდა და იმსახურებდნენ თუ არა მისი შვილები მათთვის მუდამ თავდაუზოგავი იყო. თავსაფრიანმა დედაკაცმა სიკვდილის წინაც, შვილებისაგან განწირულმა, საოცრად მარტოსულმა და მიუსაფარმა სრულიად დაუმსახურებლად ერთხელ კიდევ გადააფარა მშობლიური კალთა შვილების თავმოყვარეობას, სოფელ-ქვეყანაში თავი არ მოსჭრა და ჩამონათხოვი ფულით თავისი ნაკარნახევი სხვისი ხელით დაწერილი ბარათი გამოუგზავნა: „საყვარელო შვილებო, ნუ მიწყენთ, სალოცავად წავედი. ნუ მეძებთ... შვილიშვილები დამიკოცნეთ, ჩემზე ნუ სწუხართ, მშვიდობით სამუდამოდ“. ეს იყო თავსაფრიანი დედაკაცის ერთი იშვიათი სიცრუეთაგანი...

იქნებ თქვენ სხვანაირად ფიქრობთ?

(დაფაზე ვწერთ გეგმის მე-6 საკითხს: 6. რატომ გამოვიდნენ თავსაფრიანი დედაკაცის შვილები უგულოები?)

როდესაც ვკითხულობთ აკაკის ,,გამზრდელის“ ფინალს, ჩვენ



გვჯერა საფარის განწმენდისა. ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობა უკანასკნელი, მრავლისმთქმელი გაკვეთილი გახდებოდა გაზრდილისათვის, რომელიც ძირეულად შეცვლიდა მის პიროვნებას. ასევე გავლენა უნდა მოეხდინა დედის ბარათს შვილებზე, მაგრამ სამწუხაროდ, დედის გამოგზავნილმა ბარათმა მათ სინდისის ქენჯნა კი არ აგრძნობინა, არამედ დაამშვიდა. არც ერთს არ უფიქრია, ჩასწვდომოდა ბარათის აზრს, რომლის მიღმა დედის სულის ტკივილი იმალებოდა. მაშინვე დაწყნარდნენ, გაუხარდათ, სხვებსაც აჩვენებდნენ თავის გასამართლებლად (მათი ერთადერთი საწუხარი ხომ ის იყო, ხალხის თვალში მართალნი ყოფილიყვნენ).

როცა თავსაფრიან დედაკაცს გაკაპასებულმა ქალიშვილმა მოურჩენელი ტკივილი მიაყენა, გაოგნებულმა დედამ ერთადერთი მოქმედება შეასრულა: ,,სიტყვა არ ამოუღია თავსაფარი შეისწორა“. ეს ერთადერთი მოქმედება საოცრად გამოკვეთს მის შინაგან სიამაყეს, თავმოყვარეობას, რამაც უბიძგა სახლიდან წასვლის გადაწყვეტილებისაკენ. ასეთი ბუნების ადამიანისათვის სიკვდილის ტოლფასი იყო მოწყალების თხოვნა. ამიტომ იდგა იგი მოკრძალებით ქუჩის კუთხეში. მტკვარში ვერ გადავარდებოდა, მორწმუნე იყო და სულს ვერ წაიწყმენდდა. და მაინც თავს იკლავდა. ნელა და ტანჯვით მოდიოდა აღსასრული. გაზეთის ქრონიკა იუწყებოდა მოხუცი ქალის სიკვდილის შესახებ. ასე ეული, ყველასაგან დაუტირებელი წავიდა ეს დიდბუნებოვანი ადამიანი, რომელიც სიცოცხლეშიც დაუფასებელი დარჩა და სიკვდილის შემდეგაც. სიკეთის დაუნახაობა მიუტევებელი ცოდვაა, განსაკუთრებით იმათგან, ვინც ეს სიკეთე უხვად მიიღო, ზოგჯერ დაუმსახურებლადაც კი. (დაფაზე ვწერთ გეგმის მე-7 საკითხს: 7. სიკეთის დაუნახაობა მიუტევებელი ცოდვაა).

დედა, რომელმაც მთელი თავისი არსებობა შვილებს მიუძღვნა, როცა მოხუცდა, თითქოს მძიმე ტვირთად დააწვა მათ. უფუნქციო, ზედმეტ ადამიანად იქცა შვილების თვალში. ამ შემზარავმა იმედგაცრუებამ აქცია თავსაფრიანი დედაკაცი ტრაგიკულ პიროვნებად.

ნიკო ლორთქიფანიძე ნოველას ამგვარი სიტყვებით ამთავრებს: „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“. დიახ, უძეგლოდ გადაეგო თავსაფრიანი დედაკაცი. იგი მთელი სიცოცხლე ამაღლებული სულითა და მრწამსით ცხოვრობდა, მისი სული საოცრად უბიწო და განწმენდილია, მისი დამოკიდებულება უგვანო შვილებთან სულგრძელია და მისი სიკვდილიც სულით ძლიერი ადამიანის აღსასრულია. ადამიანი საკუთარი ნათელი ცხოვრებით იდგამს ძეგლს. ეს სიტყვები შეგვიძლია გავიმეოროთ თავსაფრიანი დედაკაცის მიმართ (დაფაზე ვწერთ გეგმის უკანასკნელ საკითხს: 8. „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“).

ერთ-ერთ თავის ჩანაწერში ნიკო ლორთქიფანიძე წერს: „მე ვიცი... არც სასუფეველი მომელის ცათა შინა და არც სახელი, დიდება და თაყვანისცემა ამქვეყნად. მაგრამ მე ძეგლი უნდა დამიდგან... არა იმიტომ, რომ მწერლობაში ვმუშაობდი, პოლიტიკაშიც ოდნავ ვიღებდი მონაწილეობას, არამედ იმიტომ, რომ ტალახისა და ჭუჭყის ღელვა-ტორტმანში ჩემი ტვირთი ისე გავატარე, რომ არც ფეხი და არც ხელი არ გამისვრია. და ისე მივიტანე, რაც კი შემეძლო, სამშობლოს სამსხვერპლოზე“.

როგორ ჰგავს ამ სიტყვების მთქმელი თავისი ნოველის გმირს. თავსაფრიან დედაკაცსაც თავისი ცხოვრების გზაზე უხვად შეხვდა ჭუჭყი და ტალახი, მაგრამ არ დასვრილა. უკიდურესი გაჭირვების ჟამსაც არ გაბოროტებულა, შურისძიების მდაბიო გრძნობას არ აჰყოლია, უმადურობის წილ სიყვარული და ზრუნვა გადმოაფრქვია, ნამუსი არ შეურცხვინა უგულო შვილებს და სირცხვილის ლაქა მოსწმინდა. აი, როგორ ადამიანებს უწოდებს მწერალი დიდებულს, აი, ვინ არის ძეგლის ღირსი.



## შესავალი მეცადინეობა

ლიტერატურული ტექსტის საფუძვლიანად შესწავლის რთული და საინტერესო პროცესი სამ ძირითად ეტაპს მოიცავს. ესენია: 1. შესავალი მეცადინეობა, 2. ტექსტის წაკითხვა, შესწავლა, გაანალიზება, 3. დასკვნითი მეცადინეობა. სამივე ერთი მთლიანი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესია.

მხატვრულ ტექსტზე მუშაობის დაწყებას წინ უსწრებს შესავალი მეცადინეობა. მისი ამოცანაა, მოამზადოს ნიადაგი ტექსტის გააზრებული და შეგნებული ათვისებისათვის, აღძრას ინტერესი, მოახდინოს მოსწავლეებზე ემოციური ზემოქმედება და განაწყოს კლასი ახალი მასალის ასათვისებლად.

შესავალ მეცადინეობაში შედის მასწავლებლის შესავალი სიტყვა, ისტორიულ-ყოფითი და ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარი, მწერლის ბიოგრაფიის გაცნობა, ლიტერატურული ექსკურსია თუ სხვადასხვა თვალსაჩინო მასალის გამოყენება. ყველა ეს გაკვეთილის აუცილებელი კომპონენტია, მაგრამ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია მასწავლებლის შესავალი სიტყვა.

მოსწავლეთა ყურადღების მობილიზების, მათი ინტერესის სწორად წარმართვის, ნაწარმოების იდეურ-შინაარსობრივი მხარის მართებულად გაგებისათვის გადამწყვეტი როლი ***მასწავლებლის შესავალ სიტყვას*** ეკისრება, რომლის უპირველესი ფუნქციაა, შეასრულოს დამაკავშირებელი ხიდის როლი ძველსა და ახალ მასალას შორის. მასწავლებელმა ისე უნდა წარმართოს საუბარი, რომ მოხდეს ბუნებრივი გადასვლა ძველიდან ახალ მასალაზე. აღძრას ინტერესი ახალი მასალის მიმართ და მოამზადოს ნიადაგი მხატვრული ტექსტის შესასწავლად. შესავალი მეცადინეობისას, მოსწავლეთა ცნობიერებაში უნდა აღვადგინოთ ყველაფერი ის, რაც მათ იციან ნაწარმოების თემასთან დაკავშირებით, გავავლოთ პარალელები, წინა პლანზე წამოვწიოთ ის საკითხები, რომლებიც უკავშირდებიან ახალ მასალას.

შესავალი საუბარი ძირითადად გამოკვეთილად ტარდება

მაშინ, როცა ერთი თემიდან მეორეზე გადავდივართ, როცა ერთი მწერლის შემოქმედების შესწავლას ვამთავრებთ და მეორისას ვიწყებთ. ან ერთი ნაწარმოების შესწავლას ვასრულებთ და ჟანრობრივად თუ თემატურად განსხვავებული ან თუნდაც მსგავსი მეორე ნაწარმოებისას ვიწყებთ.

როდესაც ისტორიულ ფაქტებთან დაკავშირებულ მასალაზე იწყებს მასწავლებელი მუშაობას, ვთქვათ ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა", ა. წერეთლის „თორნიკე ერისთავი" ან „ბაში-აჩუკი" და ა.შ. არ შეიძლება, შესატყვის ისტორიულ ფაქტებზე არ შეაჩეროს მოსწავლეთა ყურადღება. თვალწინ არ გადაუშალოს ქართველი ხალხის ისტორიის ეს მნიშვნელოვანი ეპიზოდები. შემდეგ იწყებს თვით ტექსტზე მუშაობას. მასწავლებელმა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კარგად უნდა მოიფიქროს, რომელ მასალასთან რა სახის კომენტარი იქნება საჭირო. ხოლო როცა ტექსტის მომდევნო თავია ასახსნელი, მაშინ მასწავლებლის ვრცელი სიტყვა არ არის საჭირო.

მასწავლებლის შესავალ სიტყვას უნდა ჰქონდეს სასწავლო-სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მნიშვნელობა. მან უნდა მისცეს მოსწავლეებს ემოციური, სწორი მეტყველების სანიმუშო მაგალითი. შესავალი სიტყვა უნდა ხასიათდებოდეს იდეური სიმახვილით, მეცნიერული გამართულობით, ღრმა შინაარსიანობით, ლოგიკურობით, ენობრივი დახვეწილობით და მიზანმიმართულებით.

ნიმუში მასწავლებლის შესავალი სიტყვისა, რომელიც შეიძლება წინ უძღოდეს ი. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას.

მასწავლებელი აღნიშნავს, რომ დღეს ისინი იწყებენ მონოგრაფიულ შესწავლას მწერლისას, რომელსაც გამორჩეული როლი დააკისრა განგებამ საქართველოს ისტორიაში.

ბავშვებო! თქვენ ალბათ გაგიგიათ სიტყვათშეთანხმება „უგვირგვინო მეფე", რომელსაც საქართველოში ერთადერთი კაცი ატარებდა — ეს იყო ილია ჭავჭავაძე. საყვარელი მწერლები, თავად ილიაზე ალმატებულნიც კი ჰყოლია საქართველოს, მაგრამ



მას არ ჰყოლია მეორე კაცი, ვისთვისაც „მეფის" ტიტული მიე
ჭებინოს ერთხმად. დიდ გალაკტიონს — „პოეტების მეფე" უწო
დეს მხოლოდ ქართველმა პოეტებმა, დიდ ილიას კი „უგვირგვი
ნო მეფისა" მთელმა ერმა.

მოდით ვიფიქროთ, რა დგას ჩვენთვის ასე გაშინაურებულ
არაერთხელ გაგონილი, თითქოსდა განსაკუთრებული ემოციუ
რი ელფერისაგან დაცლილი ამ სიტყვაშთეთანხმების მიღმა? თვა
ლი გადავავლოთ წარსულს. ჩვენი ქვეყანა არაერთხელ მდგარა
ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე. ასე იყო დავით აღმაშენებ
ლის დროსაც. სწორუპოვარი მხედართმთავრისა და სტრატეგის
საქართველოს აღმაშენებელი მეფის დროს ჩაეყარა საფუძველი
ჩვენი ქვეყნის განუმეორებელ ძლიერებას, რომელმაც აპოგეას
თამარის ეპოქაში მიაღწია.

შემდეგ მრავლად იყო დაცემა და იშვიათად — აღზევება
ოღონდ ეგაა, ასე თუ ისე ჩვენი წინაპრები გარეშე და შინაური
მტრების ტოტალურ გარემოცვაში მაინც ინარჩუნებდნენ სახელმ
წიფოებრიობას. ვიყავით და გვერქვა საქართველო. გვქონდა
ქვეყანა, რომელიც ზოგჯერ ხარკს უხდიდა მეზობელ დამპყრობ
ლებს, მაგრამ არ თმობდა ენას, რჯულს, სახელმწიფოებრიობას.

მაგრამ დადგა საუკუნე, რიგით მე-19. და პირველსავე წელს
დაესვა წერტილი ასწლეულების მანძილზე სისხლითა და ცრემ
ლით გამოტარებულ სახელმწიფოებრიობას. ქვეყანა გუბერნიე
ბად დაიყო. უკვე აღარ იყო საქართველო, იყო ტფილისისა და
ქუთაისის გუბერნიები.

დაიწყო მზადება 1832 წლის შეთქმულებისათვის, რომლის
სამწუხარო ფინალის ამბავიც ჩვენ უკვე ვიცით. ამ მარცხმა სა
შინელი შედეგი გამოიღო. ჩაქრა ქართველ ხალხში იმედის ნა
პერწკალი, ქვეყანა გადაგვარებისა და შეგუების გზას დაადგა
საქართველოში, რომელიც ფაქტობრივად აღარ არსებობდა რო
გორც სახელმწიფო. სწორედ ილიამ იტვირთა ხალხის ეროვნუ
ლი თვითშეგნების ამაღორძინებლის, შემკრების, გადამრჩენის, გა
თითოკაცებული ქართველების კვლავ ერთად შეერის აღორძი

...ების ურთულესი მისია. სასწაული რომ მომხდარიყო და დიდი ...ითაც გაცოცხლებულიყო, იმჟამინდელ საქართველოში ვერც ...ა მოახერხებდა მეტს. ილიამ და მისმა სკოლამ იხსნეს ერი.

სწორედ ამიტომ იქცა ილია უმეფობის ხანაში აღმაშენებ-...ელ და „უგვირგვინო მეფედ“. ამიტომ იგი უფრო მეტია ქართ-...ული კაცისათვის, ვიდრე მწერალი, უფრო მეტია, ვიდრე რომე-...ლიმე, თუნდაც ასე თუ ისე ურიგო გვირგვინოსანი.

ილია დიახაც რომ მარადიული „უგვირგვინო მეფეა“ ქარ-...თული სულისა.

ახლა თვალი გადავავლოთ წარსულს და ვეცადოთ, მივეახ-...ლოთ მწერლის წინაპრებს, მის ბავშვობას, როგორ მოხდა, რამ ...აქცია იგი მეორე მოსე წინასწარმეტყველად ქართველთათვის?

ამის შემდეგ ვესაუბრებით ჭავჭავაძეთა გვარის გენეალო-...გიაზე, ყვარელზე, ილიას მშობლებზე, ილიას ბავშვობასა და საერ-...თოდ ბიოგრაფიაზე.

მაშასადამე, მასწავლებელმა შესავალი სიტყვით მოსწავ-...ლეებს უნდა შეუქმნას განწყობა და ინტერესი ახალი მასალი-...სადმი, რაც უზრუნველყოფს ტექსტის კარგად და სწორად აღქმას, ...რადგან განწყობა არის პიროვნების შინაგანი მომართვა, მზაო-...ბა ამა თუ იმ მოქმედების შესასრულებლად.

## ისტორიულ-ყოფითი და ისტორიულ ლიტერატურული კომენტარი

ისტორიზმის პრინციპი მოითხოვს მოსწავლეთა წარმოდგენების გაფართოებას იმ დროსა და ეპოქაზე, იმ სოციალურ და საზოგადოებრივ ყოფით ურთიერთობებზე, რომლებიც გამოსახულია ნაწარმოებში. შესავალ მეცადინეობაზე ამგვარი ცნობების მიწოდებას ისტორიულ-ყოფითი კომენტარი ეწოდება. ზოგჯერ შესავალი საუბარი დაკავშირებულია უშუალოდ ნაწარმოე-



ბის შექმნის პირობებთან, მიზეზებთან, მწერლის ბიოგრაფიის რაიმე განსაკუთრებულ მონაკვეთთან, რომლებსაც გარკვეული შემეცნებითი მნიშვნელობა ენიჭება ნაწარმოების იდეური შინაარსის გარკვევისათვის. ასე გადაიზრდება დროდადრო ისტორიულ-ყოფითი კომენტარი ისტორიულ-ლიტერატურულ კომენტარში.

გთავაზობთ ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარის ერთ ნიმუშს, რომელიც შეიძლება საყოველთაოდ ცნობილი არ იყოს. ეს შეეხება ნ. ბარათაშვილის ლექსს „საფლავი მეფის ირაკლისა“.

ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში ისტორიული განვითარების ცალკეულ ეტაპზე სულ სხვადასხვა პრობლემა წამოიწევს წინა პლანზე და იქცევა უმთავრესად, მაგრამ არიან ერები, რომელთათვისაც ასეთი მუდამ ერთია – ყოფნა-არყოფნისა. ამგვარი ბედი მცირე ერების ხვედრია,ჩვეულებრივ,რისი ტიპური ნიმუშიც საქართველოს ისტორიაა. მიზეზთა მთელი კომპლექსის გამო კასპიისა და შავ ზღვებს შორის მოქცეული ეს პატარა ქვეყანა ვრცელი და ძლიერი იმპერიების მუდმივი შემოსევის ობიექტი იყო ოდითგან, არასოდეს უცხოვრია მოსვენებული ცხოვრებით, მაგრამ ასე თუ ისე მე-18 საუკუნის მიწურულამდე მოიტანა პოლიტიკური თვითმყოფადობა, თავისი მიწა-წყლის სიყვარულისა და თავისუფლების ცოცხალი გენი.

მე-18 საუკუნის დასასრულს მოვლენები სხვადასხვაგვარად განვითარდა, ქვეყანამ დამოუკიდებლობა დათმო. მანამდის კი იყო მძაფრი ტკივილები, ეჭვი, ყოყმანი, რადიკალურად განსხვავებულ თვალსაზრისთა შეჯახება. ქართველი ხალხის ამ დრამატულ ეპიზოდს აცოცხლებს მხატვრული სიტყვით რომანტიკოსი პოეტის რეალისტური ყაიდით შესრულებული პოემა „ბედი ქართლისა“, რომელიც ჩვენ შევისწავლეთ. ერთხელ კიდევ შევაფასოთ პოემაში ნაჩვენები აზრთა ჭიდილის ჭეშმარიტება.

ბავშვებო, უნდა ვივარაუდოთ, რომ ერეკლე მეფისა და სოლომონ ლიონიძის თვალსაზრისს ერთმანეთისგან მხოლოდ დროისმიერი დისტანცია ყოფს, რომ ერეკლე მეფეს საკუთარ თავთან

უკვე გადატანილი აქვს არა ნაკლებ მწვავე ბრძოლა, ვიდრე ჩვენს თვალწინ ჩაიარა ერეკლესა და მისი მსაჯულის თვალსაზრისთა დაპირისპირების სახით.

ჩვენ ვიცით, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“. მაგრამ როდესაც ერთ პიროვნებას კი არა, მთელი ერის მომავალს ეხება საქმე, შეუპოვრობასა და თავგანწირვასთან ერთად დიპლომატიურ ალღოსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ისიც კარგად ვიცით: „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“. და იმას, რომ მთელი ერი გაწყდეს უთანასწორო ბრძოლაში, იქნებ სჯობდეს ერი დროებით კომპრომისზე წავიდეს, რათა ფიზიკურად გადარჩეს.

პოეტმა შეგნებულად არ გვიჩვენა ერეკლეს გულში მიმდინარე ბრძოლა. იგი პიროვნების გარეთ გაიტანა და ერეკლესა და სოლომონის პოზიციათა დაპირისპირების სახით წარმოგვიდგინა. სოლომონის დღევანდელი გაცხარება ერეკლეს მიერ გუშინ საკუთარ თავთან გადატანილი ომია.

თავისთავად სოლომონის მიერ გაწეული წინააღმდეგობა მეფისათვის ამოდ სასმენია, ის იმედის ნაპერწკალია, რომლის ძალითაც მეფეს ქვეცნობიერად ეოცნებება, რომ მისი ქვეყანა საბოლოოდ განწირული არ არის. ხალხი, რომელსაც სოლომონის მსგავსი შვილები ჰყავს, თუ ფიზიკურად გადარჩა, ეროვნულ სახეს არ დაკარგავს, ნებისმიერი ძნელბედობის ჟამს შეინახავს, მიწისქვეშა დინებასავით აცოცხლებს გულის გულში ეროვნულ დერიტას.

ამდენად, ერეკლეს შესაძლებლად მიაჩნია კომპრომისი. თუმცა პოემაში გამოკვეთილად ჩანს ბარათაშვილის პოზიცია, იგი საქართველოს რუსეთთან შეერთების წინააღმდეგია.

ახლა კი გავეცნოთ ლექსს, რომელშიც აშკარად და არაორაზროვნად არის ნათქვამი, თუ როგორ აფასებდა პოეტი დიდი წინაპრის ნაბიჯს.

გამომეტყველებით ვკითხულობთ ლექსს „საფლავი მეფის ირაკლისა“. შემდეგ ვაკითხებ მოსწავლეს და კლასს ვთხოვ, დააკ-



ვირდნენ მის ფორმასა და შინაარსს. ვარკვევთ ვინ არის ლექ[...]
ლირიკული გმირი, როგორ აფასებს ავტორი მის ნაბიჯს, რა პო[...]
ტურ ხერხებს იყენებს. ვასკვნით, რომ პოეტი იწონებს ერეკ[...]
ნაბიჯს და ახალ ქართლს ერეკლეს პირმშო შვილს უწოდ[...]
რა მოხდა? რამ შეცვალა ბარათაშვილის მსოფლმხედვე[...]
ასე. რა გახდა იმპულსი ამ ლექსის შექმნისა? ვსვამთ ამ კითხ[...]
და ვცდილობთ გავაცნობიერებინოთ მოსწავლეებს ეს მიზეზ[...]

ლექსს ავტოგრაფში წამძღვარებული აქვს ეპიგრაფი „ვუძ[...]
ვნი მ. პ-ძეს ბარათაევს“. ვინ არის მ.პ. ბარათაევი და რატ[...]
მიუძღვნა ნ. ბარათაშვილმა ეს ლექსი? მიხეილ პეტრეს ძე ბარა[...]
თაევი (1784-1856) დაიბადა სიბირსკში. ითვლება ქართული ნუმი[...]
მატიკის ფუძემდებლად (განვმარტავთ ნუმიზმატიკასაც). ის იყ[...]
უგანათლებულესი პიროვნება. შთამომავალი იმ ბედუკუღმარ[...]
თი ქართველებისა, ვახტანგ VI დიდძალი ამალის სახით რო[...]
გაჰყვნენ 1724 წელს რუსეთში. იგი არჩეული იყო პარიზის მე[...]
ნიერებათა აკადემიის წევრად. ეკავა საპასუხისმგებლო თანა[...]
დებობები. 1839-1843 წლებში იგი მსახურობდა თბილისში – ამიე[...]
კავკასიის საბაჟოს უფროსად. მან, რასაკვირველია იცოდა, რო[...]
ქართველი ბარათაშვილი იყო, დაუახლოვდა ბარათაშვილებს [...]
მათ შორის ტატოსაც, დამეგობრდნენ კიდეც.

როდესაც მ. ბარათაევი რუსეთში ბრუნდებოდა, ნ. ბარათაშ[...]
ვილმა უძღვნა ეს ლექსი. აი, რას წერდა პოეტი თავის ბიძას გრ[...]
ორბელიანს: „აი ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც კნია[...]
ბარათაევს ალბომში ჩავუწერე, მისის თხოვნით, ის ამ ორი დღ[...]
უკან მიდის პეტერბურგში „с большим запасом сведении о[...]
исторической Грузии“. სწორედ ეს ლექსია „საფლავი მეფის ირა[...]
ლისა“.

მ.პ. ბარათაევმა საქართველოში ყოფნის დროს შეისწავ[...]
ლა ქართული ნუმიზმატიკის ისტორია. დაწერა და გამოსაცემა[...]
მოამზადა შრომა „საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური ფა[...]
ტები“, რომელიც პეტერბურგში ჩასვლისთანავე გამოაქვეყნა რუ[...]
სულ და ფრანგულ ენებზე. სწორედ ეს გახდა ბარათაშვილი[...]

აღფრთოვანების მიზეზი.

ცხადია, მ. ბარათაევთან ძალზე დაახლოებულმა პოეტმა იცოდა ამ შრომის არსებობა და ისიც, რომ გამოსაცემად შრომა მზად იყო. ნუმიზმატიკის კვლევა თავისთავად მოითხოვდა მოცემული ქვეყნის სოციალ-ნოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური მდგომარეობის ჩვენებას, და ამდენად, საქართველოსადმი მიძღვნილი ასეთი შრომა დიდ ცამსახურს გაუწევდა ქართველი ერის ღირსების პოპულარიზაციის საქმეს. ბუნებრივია, იგი ძალიან მიესადაგებოდა პოეტის ეროვნულ თავმოყვარეობას. პოეტი აღაფრთოვანა იმ გარემოებამ, რომ ქართლის სამეფოს დიდ ისტორიულ წარსულს გაეცნობოდა არა მარტო რუსი, არამედ ევროპელი მკითხველი. სწორედ ამიტომ აღნიშნავს პოეტი ლექსში:

„ქამ ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მი და მო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო,
მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული,
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული“.

აი ასეთი ცხოველი ტრფიალებით აღსავსე გული ჰქონდა სამშობლო ქვეყნის მიმართ ამ ლექსის ადრესატსაც. სწორედ ეს ფაქტი გახდა ლექსის შექმნის საბაბი და ბარათაშვილის პოზიციის შერბილების მიზეზიც.

ვაძლევთ საშინაო დავალებად ლექსის იდეურ-მხატვრულ ანალიზს, ნაწყვეტები ლექსიდან ზეპირად და თხზულების დასაწერად: „მშვიდობა შენსა წმინდა აჩრდილს, გმირო განთქმულო“.

ნიმუში ისტორიულ-ყოფითი კომენტარისა ა. წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ შესახებ.

ქართველი სამოციანელებისათვის საქართველოს ისტორიული წარსულისადმი დამოკიდებულება რომანტიკოსებისაგან განსხვავებულია. ისინი წარსულის იდეალიზაციას კი არ ემსახურებიან, არამედ უფრო დიდი და კეთილშობილური მიზანი ამოძრავებთ. აკაკი მიჰყვება თავისი თაობის სახელოვანი მეთაურის



– ილია ჭავჭავაძის მოწოდებას,

„მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა!
მოვიკლათ წარსულს დროებზედ დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“.

ამ სამომავლო გზების კვალვაში უდაოდ ზურგის ქარად უნდა ქცეულიყო საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ფურცელი. მოვუსმინოთ აკაკის და სრულიად ნათელი გახდება მთელი ახალი თაობის დამოკიდებულება ისტორიული მასალის გამოყენებასთან: „ჩვენ რომ ისტორიას მივმართავთ გარდასული გმირების გამოსაჩხრეკად, ამას განა იმიტომ ჩავდივართ, რომ ის ძველი დრო გვენატრებოდეს, მისი დაბრუნება და მომავლისათვის ქვაკუთხედად დადება გვინდოდეს. სრულიადაც არა! ჩვენ ამ გმირებს სამაგალითოდ ვაძლევთ დღევანდელ მაჩანჩალებს, რომ ამათაც იმ ძველებისაგან ისწავლონ, თუ როგორ უნდა სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება, რომ დღევანდელს დროსა და ცხოვრების მოთხოვნილებებს ისეთივე შესაფერისი პასუხი გასცენ, როგორც ჩვენი წინაპრები აძლევდნენ ძველ დროს“. ამ აზრის სრული ხორცშესხმაა აკაკის ისტორიული პოემა „თორნიკე ერისთავი“.

პოემაში ასახულია X საუკუნის II ნახევარი. იმდროინდელ საქართველოში რამდენიმე სამეფო-სამთავრო არსებობდა: კახეთ-ჰერეთის, ქართლის, აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთის. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით გაძლიერდა დავით III დროს, რომელმაც მიიღო ბიზანტიის უმაღლესი ტიტული – კურაპალატობა. დავითის სამფლობელოს საზღვრები მდინარე არაქსამდე მივიდა. მისი მეფობის დროს გაიზარდა ქართველთა როლი საერთაშორისო ასპარეზზე, განსაკუთრებით ბიზანტიის იმპერიაში. უძეო დავითმა ქართლის მეფეთ-მეფის გურგენ მაგისტროსის ვაჟი – ბაგრატი იშვილა. შეიქმნა ხელსაყრელი პირობა საქართველოს

ე.წ. დინასტიური გაერთიანებისა. დიდი მამულიშვილის კეთილშობილურ იდეას ხორცი შეესხა. 1001 წელს, ქუთაისში მეფედ ეკურთხა ბაგრატ მესამე ბაგრატიონი. იგი ისტორიაში მოიხსენიება კახთა, რანთა, ჰერთა, აფხაზთა, კლარჯთა, მესხთა და ქართველთა ხელმწიფედ (გირჩევთ წავიკითხოთ საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთის შესახებ ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა კრებულის მეორე ტომის მე-6 თავი).

სწორედ დავით კურაპალატის მეფობის ეპოქას ეხება „თორნიკე ერისთავი“.

979 წელს დავით კურაპალატი დაეხმარა ბიზანტიის საიმპერატორო კარს, რომელსაც აუჯანყდა ბარდა სკლიაროსი. დავით კურაპალატის მიერ წარგზავნილმა 12 ათასიანმა ქართულმა მხედრობამ თორნიკე ერისთავის სარდლობით დაამარცხა სკლიაროსი, რომელიც ტახტის ხელში ჩაგდებას ესწრაფვოდა. ამ გამარჯვებამ დიდი სახელი მოუპოვა საქართველოს და არა მარტო სახელი: 5000 დაღუპული ქართველის სისხლის ფასად ჩვენ დავიბრუნეთ ბიზანტიის მიერ მიტაცებული სამხრეთ-დასავლური მიწები. კერძოდ — ბასიანის ოლქები, არზრუმი და რამდენიმე სომხური ქალაქიც კი. ამას ზედ დაერთო საიმპერატორო კარის მიერ ჯილდოდ ნაბოძები საგანძური, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილით აშენდა საბერძნეთში, ათონის მთაზე სახელგანთქმული ივერონი, დიდი სამონასტრო კომპლექსი (980-83 წ.) აქ მოღვაწეობდა ბერად შემდგარი თორნიკე ერისთავი, რომლის საომარი აბჯარი დიდხანს ინახებოდა ამ სავანეში.

ორიოდე სიტყვა ჩვენი კულტურის უმნიშვნელოვანესი კერის — ათონის ივერონის შესახებ. ეგეოსის ზღვაში ჩრდილოეთ სანაპიროდან შეჭრილია ქალკიდიკის ნახევარკუნძული (სასურველია ვაჩვენოთ რუკაზე). მას სამი შვერილი აქვს. ერთ მათგანს ეწოდება აკტე. მისი სიგრძე 50 კმ-ია, სიგანე 10 კმ. სწორედ აკტეს უკიდურეს სამხრეთშია ათონის მთა. VII-VIII საუკუნეებიდან იწყება ათონზე ბერ-მონაზვნების დამკვიდრება. პირველი დიდი მონასტერი კი 963 წელს ააშენა ათანასე ათონელმა. იგი



დედით ქართველი ყოფილა. ამ სახელს ჩვენ პოემაშიც შევხვ
ბით. აკაკი მას დიდ ათანასედ მოიხსენიებს, რომლის ლავრაში
არა ერთი ქართველი მოღვაწეობდა. ათანასეს წინამძღოლ
ბის დროს დაარსდა ივერონიც. მისი პირველი მეთაური ყოფ
ლა იოანე. მან მონასტერში მიიყვანა საბერძნეთში მძევლად მყ
ფი მცირეწლოვანი ვაჟი ექვთიმე, შემდეგში სახელგანთქმულ
მწერალი. იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება შესანიშნავად აღწ
რა გიორგი მთაწმინდელმა (ათონელმა). სწორედ ეს წიგნი წა
მოადგენდა აკაკისათვის დასაყრდენ მასალას „თორნიკე ერი
თავის“ შექმნისათვის.

ბიზანტიის დაცემის ხანაში, 1430 წელს, ათონი ოსმალებ
დაიპყრეს. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იგი საბერძნეთ
შემადგენლობაში შევიდა. ათონზე დღემდე უმნიშვნელოვან
კერად რჩება ივერონი. იგი მსოფლიო ქრისტიანული რელიგი
სა და კულტურის, ამავე დროს მსოფლიო ტურიზმის ყურადღე
ბის ცენტრშია.

1983 წელს იუნესკოს გადაწყვეტილებით მსოფლიო მასშტა
ბით აღინიშნა ივერიონის 1000 წლისთავი. ამ დროისათვის შეიქ
ნა ქართველი რეჟისორის — გურამ პატარაიას დიდმნიშვნელო
ვანი დოკუმენტური ფილმი — „ივერონი“, რომელიც ახალი საფ
ხურია ქართული დოკუმენტური კინოს ისტორიაში. ივერონში
არის ქართული ხელნაწერი წიგნების უმდიდრესი საცავი. 190
წელს ამ მონასტერში 40 ქართველი ბერი მოღვაწეობდა. დღე
კი — არც ერთი...

„თორნიკე ერისთავი“ 1884 წელს დაიწერა. იგი პირველა
გაზეთ „დროების“ რედაქციაში წაუკითხავთ და ძალიან მოწო
ნებიათ. ამ აღფრთოვანებას ის ფაქტიც მოწმობს, რომ დაბეჭდი
ლი პოემა საქორწინო საჩუქრად მიურთმევია დიდ ვანო მაჩა
ბელს თავისი საცოლის — მშვენიერი ტასოსათვის. (საუბრის და
ყებამდე დაფაზე ვწერთ: მდინარე არაქსი — მტკვრის ყველაზ
დიდი შენაკადი, ამჟამად თურქეთშია. 979 წელი — თორნიკე ერის
თავის ლაშქრობა სკლიაროსის წინააღმდეგ. 1001 წ. ბაგრატ II

...ამდ კურთხევა; 980-983 წლებში — ივერონის აშენების წლები. ხალკიდიკის (იგივე ქალკედონის ნახევარკუნძული. აქტე- სადაც ...მართულია ათონის მთა).

ეს გახლდათ ისტორიულ-ყოფითი კომენტარის ნიმუში, სადაც ისტორია, გეოგრაფია, ხელოვნებათმცოდნეობა და ლიტერატურა შერწყმია და ავსებს ერთმანეთს, აფართოებს მოზარდის ცოდნას, აძლევს მას მრავალმხრივ განათლებას. როგორც დიდი პედაგოგი ი. გოგებაშვილი ამბობდა „ენციკლოპედიურ ცოდნას“.

ჩვენთვის ლიტერატურის გაკვეთილზე საქართველოს ისტორიის ფაქტების მიწოდება თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ მას გამოყენებითი დანიშნულება უნდა ჰქონდეს. ისტორიული მოვლენების აღქმა მოსწავლეს სჭირდება ქართველთა გმირული წარსულის ობიექტური გააზრებისათვის. ამიტომაც შესაფერის დროს მოხდენილად უნდა შევძლოთ მისი მიწოდება-შეხსენება, სწორედ ეს იქნება მათში ეროვნული ცნობიერების დამკვიდრების რეალური შესაძლებლობა.

## მწერლის ბიოგრაფიის სწავლება

მწერლის ბიოგრაფიის შესწავლა შესავალი მეცადინეობის ნაწილია. იგი ამზადებს ნიადაგს მწერლის შემოქმედებით, ან კონკრეტული ნაწარმოებით მოსწავლეთა დაინტერესებისათვის. ბიოგრაფიის შესწავლას დიდი შემეცნებითი და საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ დროს მოსწავლეები კიდევ უფრო ღრმად ეცნობიან ეპოქის მამოძრავებელ ტენდენციებს, იმ სოციალ-პოლიტიკურ გარემოს, საზოგადოებრივ ატმოსფეროს, რომელშიც ავტორს უხდებოდა მოღვაწეობა.

ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ მშრალად მიწოდებული ბიოგრაფია მოსწავლისათვის ნაკლებ საინტერესოა. ბიოგრაფიის სწავლებისას მასწავლებელმა ბავშვებს თვალწინ უნდა გადაუშალოს მწერლის ცხოვრების არა მხოლოდ ცალკეული მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტების ჩამონათვალი, მხოლოდ თარიღებსა და დოკუმენტებში მოქცეული პერიპეტიები მისი ყოფისა, არამედ ავტორის, როგორც ინდივიდის, მიმართება გარემომცველ სინამდვილესთან, ახლობლებთან, ნათესავ-მეგობრებთან, ნაცნობ-უცნობებთან, ოფიციალურ პირებთან და სხვ. მოკლედ, მწერლის სულის ბიოგრაფია.

ბიოგრაფიის სწავლებას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი უძვირფასეს მასალას იძლევა პიროვნების ფორმირებისათვის, პატრიოტიზმის, მაღალი პრინციპულობის, პირდაპირობის, სიმტკიცის, ხალხის სამსახურის, რწმენისათვის თავგანწირული ბრძოლის შთამბეჭდავი მაგალითებით, რაზეც ყურადღების შეჩერება ბავშვებში ასეთივე დადებითი თვისებების დანერგვას შეუწყობს ხელს.

ბიოგრაფიის სწავლება VII-VIII და IX-XI კლასებში განსხვავებულია. დაბალ კლასებში ბიოგრაფია უფრო აღწერითი ხასიათისაა, IX-XI კლასებში კი უფრო მეცნიერული.

მწერლის ბიოგრაფიის შესწავლისას სასურველია გამოვიყენოთ თვალსაჩინოება, ფოტოსურათები, კინოფილმები, ვიდეომაგნიტოფირები, პირადი წერილები, საარქივო მასალები, მწერლის სახლ-მუზეუმში ექსკურსია და სხვ.

მწერლის ბიოგრაფიის გაცნობა უნდა ვაქციოთ მოსწავლეთა იდეური აღზრდის საშუალებად, მათთვის სახალისო და მიმზიდველ მომენტად, მწერლისა და მისი შემოქმედებისადმი სიყვარულის საფუძვლად.

მწერლის ბიოგრაფიის შესწავლისას მასწავლებელმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს სახელმძღვანელოს მასალა და შეეცადოს, მოსწავლეებს ისეთ ფაქტებსა და მოვლენებზე ესაუბროს, რაც მათთვის ნაკლებ ხელმისაწვდომია. მაგალითად, უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნება, თუ სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიაზე მუშაობისას, ვესაუბრებით საბას მიერ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის — „სიტყვის კონის“

შექმნის შესახებ. იგი ხომ ფაქტიურად პირველი ლექსიკონია, რომელიც მწერალმა შექმნა თავისი მამიდაშვილის – ქართლის მეფე გიორგი XI-ის დავალებით. და როგორც თავად ამბობს, „ფრიადი ჭირი, ფრიადი შრომა“ გაუწევია.

მართლაც, ახალგაზრდობის წლები ის ასაკია, როცა ყველაზე მეტად ეძახის ცხოვრება თავისი სიტკბოებით, იმ დროს კი მეფეთა უახლოესი ნათესავი, დიდი არისტოკრატიული ოჯახის შვილი – ახალგაზრდა კაცი თავაუღებლივ მუშაობს, ეძებს ქართულ სიტყვებს, არკვევს მათ წარმომავლობას. ამ ლექსიკონის მნიშვნელობა კარგად უნდა შევაგნებინოთ ჩვენს მოსწავლეებს. ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ საბამ „სიტყვის კონაში“ თავი მოუყარა ყველა იმ მიღწევას ნებისმიერ სფეროში, რაც ქართველ ხალხს საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნია (ასეთია მაგალითად – დროის საზომი ერთეულების გადმოცემა, რაც ქართული ვარსკვლავთმრიცხველობის მაღალ დონეს წარმოაჩენს, უამრავი თეოლოგიური, ფილოსოფიური და ლიტერატურული ტერმინი). „სიტყვის კონა“ ნათლად წარმოაჩენს საბას უდიდეს აზროვნებას, ლიტერატურულ გემოვნებას.

მოსწავლეებმა კარგად უნდა გაიაზრონ, რომ ეროვნული და კულტურული თვალსაზრისით უპრეცენდენტოა სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლი. ამ საამაყო მამულიშვილმა იკისრა იმის გაკეთება (ლექსიკონის შედგენა), რაც ლუი მეთოთხმეტის საფრანგეთში მეცნიერებათა აკადემიის საზრუნავ საგანს წარმოადგენდა.

ძველ ბერძნებს კარგად ჰქონიათ შეგნებული ლექსიკონებისა და საკომენტარო ხასიათის წიგნების დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა და ლექსიკონს ერის საგანძურს უწოდებენ.

აკად. ა. შანიძის შეფასებით სულხანისეული ლექსიკონი, „იშვიათი ნიმუშია კეთილსინდისიერებით, საქმის სიყვარულით და ცოდნით შედგენილი წიგნისა... ის საუკუნეთა განმავლობაში დარჩება, როგორც ბრწყინვალე ნიჭის, კვლევა-ძიების წყურვილისა და დაუცხრომელი შრომის საუკეთესო ნაყოფი, რომელიც



ამშვენებს ქართული კულტურის, ქართული მეცნიერული აზროვნების ისტორიას“.[1]

„სულხან-საბა არამარტო ეროვნული მოღვაწეა, არამედ მსოფლიო ლექსიკოგრაფიის უდიდესი წარმომადგენელი... მისმა ლექსიკონმა მთელი ეპოქა შექმნა ჩვენს ლექსიკოგრაფიაში“.[2]

ბიოგრაფიის ამგვარი მიწოდება დიდ ზეგავლენას მოახდენს მოსწავლეებზე. აქვე კლასგარეშე საკითხავ მასალად მივცემთ მ. კეკელიძის „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელს“, რომელიც სულხან-საბას დიპლომატიურ მოღვაწეობას ეძღვნება, შევახსენებთ მ. მაჭავარიანის შესანიშნავ ლექსს „საბა“.

მოსწავლეთათვის საინტერესო იქნება თუ ვეტყვით, რომ სულხან-საბას მემკვიდრეობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კრებულს „სწავლანი და მოძღვრებანი“, რომელიც 46 ქადაგებისაგან შედგება. მთლიანობაში ესაა პატრიოტული მგზნებარებით აღსავსე თხზულება, რომლის ყოველი შეგონება წარმოადგენს მწერლის ესთეტიკური პოზიციის, ლიტერატურული მრწამსის გამოხატულებას. მასში აშკარად თუ გადატანით, პირდაპირ თუ სიმბოლურად ჩანს ავტორის მსოფლმხედველობა, კონცეფცია, პოლიტიკური და ეროვნული კრედო.

ქადაგებანის უმეტესობა ციტატებით იწყება, რაც ერთგვარ უვერტიურას წარმოადგენს. მასში ჩანს მწერლის მთავარი სათქმელი, ავტორი თავიდანვე მიგვანიშნებს რაზე გავამახვილოთ ყურადღება, ხოლო ამთავრებს მორალური დარიგებით, ვრცელი შეგონებით, მათში ბევრგან გვხვდება ბიბლიური ტექსტების ციტირება, ახსნა-განმარტება, რითაც მკითხველს ქრისტიანული მორალის განმტკიცებისაკენ მოუწოდებს. ამით ავტორი მიზნად ისახავს საზოგადოების მანკიერი მხარეების განკურნებას, პიროვნების ზნეობის რაფინირებას, სულიერ განწმენდა-ამაღლებას,

1 შანიძე ა. სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი, კრებული, ლიტ. ძიებანი. ტ. XII, 1959, გვ. 17.

2 ღლონტი ალ. ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, 1971, გვ. 230.

მორალურ გაფაქიზებას. იბრძვის უგუნურების, მრუშობის, მემთვრალეობის, გულბოროტების, ამპარტავნობა-ამბიციურობის, მექრთამეობის, მოუთმენლობის, სულწასულობის, ყოველგვარი უწესობის წინააღმდეგ.

ეს უაღრესად დიდაქტიკური, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის, ზნეობის, ჰუმანიზმის და პატრიოტიზმისკენ მომწოდებელი შეგონებანი მოსწავლეებისათვის აუცილებელი სულიერი საზრდო იქნება, ხელს შეუწყობს მათ სულიერ გაფაქიზებას. ამიტომ მასწავლებელს შეუძლია სხვადასხვა დროს „(სულხანის შემოქმედებაზე მუშაობისას) ორი-სამი შეგონებიდან „სწავლა გიორგობის დღისა და ქართველების თათრობისათვის“, „სწავლა სიმთვრალისათვის“, „გლახაკთ მოწყალებისათვის“, „სტუმართმოყვრებისათვის“, „სწავლა უთმინოებისათვის“ ნაწყვეტები მაინც წაუკითხოს კლასს.

ეს მასალა მოსწავლეთათვის სრულიად უცხოა და ამის მიწოდება ძალზე მნიშვნელოვნად გვეჩვენება.

მწერლის ბიოგრაფია ზოგადად გარკვეული სტანდარტით ისწავლება, მაგრამ მაინც ინდივიდუალური მიდგომა გვმართებს. მაგალითად, შეუძლებელია, გალაკტიონის ბიოგრაფია ტრაფარეტულად ვასწავლოთ. თავიდანვე აქცენტი იმაზე უნდა გავამახვილოთ, რომ მოსწავლეები ჩასწვდნენ პოეტის სულიერ სამყაროს, გავაცნოთ ის ადამიანები, ვინც ნათელი კვალი დატოვეს გალაკტიონის ცხოვრებაში. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, მეტი ადგილი დავუთმოთ პოეტის დღიურებს და წერილებს, ლექსებს, პოეტის თანამედროვეთა მოგონებებს. მაგალითად, განა პოეტის ეს ლექსი არ წარმოაჩენს იმას, რომ გალაკტიონის მამას – ვასილ ტაბიძეს, უაღრესად წიგნიერსა და ჭეშმარიტ ინტელიგენტ კაცს, მიუხედავად ხელმოკლეობისა, საკმაოდ გვარიანი ბიბლიოთეკა ჰქონდა

„არ მოსწრებიხარ შენ მშობელ მამას,
მაგრამ მისგანვე ნაანდერძევმა,
ხელთნაწერებმა და წიგნთსაცავმა
დედის ძუძუსთან ერთად გაწოვა
სიცოცხლისა და პოეზიის
ტკბილი ნექტარი“.



ბიოგრაფიის სწავლება მეტად შთამბეჭდავად მიმდინარეობს, როცა ვიყენებთ ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებებს. ასეთები კი საკმაოდ ბევრი გვაქვს: აკაკის „ჩემი თავგადასავალი“, გრ. ორბელიანის „მოგზაურობა ჩემი თბილისიდან პეტერბურღამდის“, ვაჟას „ჩემი წუთისოფელი“, ალ. ყაზბეგის „ნამწყემსარის მოგონებანი“, დ. კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“, კონსტანტინე გამსახურდიას „ლანდებთან ლაციცი“.

## ლიტერატურული ექსკურსია

ლიტერატურული ექსკურსია შეიძლება ჩატარდეს როგორც შესავალი მეცადინეობის, ისე დასკვნითი მეცადინეობის სახით.

შესავალი მეცადინეობის ერთ-ერთი სახეა ლიტერატურული ექსკურსია, რომელსაც ვატარებთ მწერლის ბიოგრაფიის შესწავლის წინ და მოსწავლეებს ვაცნობთ შესასწავლი მწერლის შესახებ საინტერესო, მათთვის სრულიად ახალ თვალსაჩინო მასალას. შეიძლება, გაკვეთილი გადატანილი იქნეს მუზეუმში, გავაცნოთ მწერლისეული ნივთები და გარემო.

შესაძლებელია, ლიტერატურული ექსკურსიის ამოცანა იყოს შესავალ მეცადინეობაში ისტორიული და ყოფაცხოვრებითი ხასიათის ცნობების მიწოდება შესასწავლი ნაწარმოების შესახებ. ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ შესწავლის წინ შეიძლება, მოსწავლეები წავიყვანოთ ექსკურსიაზე, ვაჩვენოთ მართლაც რა რთული იქნებოდა ციხეში დაბანაკებული მტრის დამარცხება, ციხის განთავისუფლება.

შესავალი მეცადინეობის ექსკურსია მიზნად ისახავს ინტერესის აღძვრას შესასწავლი მასალისადმი და მეტ საშუალებას იძლევა თვალსაჩინოებისათვის. მეტ შთაბეჭდილებას ახდენს მოს-

წავლეებზე, მათში იწვევს ძლიერ ემოციებს, რაც დიდხანს გაჰყვება მათ მეხსიერებას.

როდესაც ექსკურსიას დასკვნითი მეცადინეობის სახით ვატარებთ, შესასწავლ მასალაზე მუშაობა დასრულებული უნდა გვქონდეს და მოვახდინოთ კლასში დამუშავებული მასალის კონკრეტული თვალსაჩინოებით განმტკიცება. აქ მასწავლებელი ერთგვარად აჯამებს ჩატარებულ მუშაობას, ამთლიანებს, განამტკიცებს და აღრმავებს მისი შესწავლისას მიღებულ ცოდნას.

## ტექსტის შესწავლის გზები და საშუალებები

ტექსტზე პრაქტიკული მუშაობა მასწავლებელმა სწორად დაგეგმილი, მეთდიკურად გამართლებული ხერხებით უნდა წარმართოს. პროგრამით გამოყოფილი დრო საჭიროა მოფიქრებით განაწილდეს ყველა იმ ძირითადი მომენტის მიხედვით, რასაც ითვალისწინებს ტექსტზე თანმიმდევრული მუშაობა. ტექსტის შესწავლის გზები და ხერხებია: შინ კითხვა და კლასში კითხვა, გამომეტყველებითი კითხვა, კომენტირებული კითხვა, ლექსიკური კომენტარი, გეგმის შედგენა, წაკითხულის გადმოცემა, მოქმედ პირთა დახასიათება, საზეპირო ადგილების დასწავლა, წერითი სამუშაოების ჩატარება და სხვ.

მაგრამ განუსაზღვრელი რაოდენობითაც რომ გვქონდეს საათები, გაკვეთილზე ნაწარმოების ყველა დეტალზე მაინც ვერ შევძლებთ ყურადღების გამახვილებას. მხატვრული ნაწარმოების ხასიათი, იდეურ-თემატური აქტუალობა, მოსწავლეთა მომზადების დონე გვიბიძგებს მისი შესწავლის მეთოდიკურ გზაზე. უნდა მოხდეს ყველა ზემოთჩამოთვლილი ხერხის მონაცვლეობით გამოყენება, მუშაობის ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლა, ყოველ კლასში და ყოველ გაკვეთილზე ნაირგვარი მეთოდებისა და ხერხების გამოყენება.



შემოქმედებითად მომუშავე პედაგოგმა უნდა უარყოს სწა
ლების ტრაფარეტულობა, უნდა შეძლოს გაკვეთილების ნაირ
ვარად ჩატარება, ეძებდეს ახალ-ახალ გზებსა და მეთოდებს მო
წავლეთა ყურადღების უკეთ მობილიზებისა და მათი დაინტერე
სებისათვის.

ტექსტის შესწავლისას მასწავლებელმა უნდა მიმართოს სხვა
დასხვა ფორმას, დისპუტს, საუბარს, მსჯელობას, აზრის კოლექ
ტიურ დადგენას, ხმამაღლა ფიქრს, პრობლემური და მაპროვო
ცირებელი კითხვების დასმას. რათა მოსწავლე იყოს არა პასიუ
რი მსმენელი, არამედ — აქტიური მონაწილე. განვავითაროთ
მოსწავლეთა ფანტაზია, მიხვედრისა და გამომგონებლობის უნარი
ამით გაკვეთილი გახდება სახალისო, მოსწავლეც ცნობიერდება
ვითარდება, იუმჯობესებს ლოგიკური მსჯელობის უნარს და ანა
ლიტიკური აზროვნების მეტყველების კულტურას, რაც არანაკლებ
საჭიროა, ვიდრე კონკრეტული ტექსტის სწავლებასთან დაკავში
რებული ინფორმაცია.

სწორედ ტექსტზე მუშაობისას ხელი უნდა შევუწყოთ მოს
წავლეთა გემოვნების დახვეწას, მსჯელობის უნარის განვითა
რებას, მათს ესთეტიკურ და მოქალაქეობრივ აღზრდას, ლიტერა
ტურისადმი სიყვარულის განმტკიცებას, განათლებულ პიროვნე
ბად ფორმირებას. ტექსტზე მუშაობისას მთავარია ტექსტის სრუ
ლი შეცნობა. ამიტომ მოსწავლეთა ყურადღებას წარვმართავთ
მიკროდეტალებისაკენ, რათა მათ გაიგონ, რომ დიდ ლიტერატუ
რულ ნაწარმოებში საერთო ჰარმონიას ქმნის მცირე დეტალე
ბის შერწყმა. მხოლოდ ასეთ მუშაობას მოჰყვება ხელშესახებ
შედეგი ახალგაზრდობის მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის საქ
მეში.

უნდა გვახსოვდეს, რომ გაკვეთილის ტრადიციულ სტრუქტუ
რაში ცვლილებების შეტანა, მასალის გადაცემის ახლებური გზების
ძიება, მოსწავლეთა აქტივიზაციის აუცილებელი ფაქტორია.

ნებისმიერი ტექსტის შესწავლას მასწავლებელი, რასაკვირ
ველია, წინასწარ გეგმავს. რაც არ უნდა ნაცნობი იყოს მისთვის

...ტექსტი, საგანგებოდ ამზადებს. გამოყოფს საკვანძო საკით-
...ხებს, არჩევს მხატვრულად თუ იდეურად მნიშვნელოვან ეპიზო-
...დებს და ა.შ. მაგრამ ხშირად, თუ კი მასწავლებელმა შეძლო
გაკვეთილის მსვლელობაში მოსწავლეთა აქტიური ჩართვა, დასა-
...ხულ გეგმს შეიძლება აცსდეს, წინა პლანზე უფრო განსხვავებული
საკითხები წამოიწიოს, ვიდრე მას ჰქონდა გათვალისწინებული.
ხშირად ამგვარი სიტუაციებით ხდება მოსწავლეთა აზროვნე-
ბის განვითარება, ეს გაკვეთილს აქცევს ცოცხალ, შემოქმედებით
პროცესად.

## შინ კითხვა და კლასში კითხვა

მხატვრული ნაწარმოების ტექსტზე მუშაობის პირველი ეტა-
პი ტექსტის წაკითხვით იწყება, რომლის დროსაც ხდება მისი
პირველი აღქმა. მოსწავლეებს ეუფლება მრავალფეროვანი ემო-
ცია, რაც თხზულების დეტალებშია გადმოცემული, აღძრავს მათ-
ში ინტერესს შესასწავლი მასალისადმი.

მეთოდიკური აქსიომაა, რომ მცირე მოცულობის ნაწარ-
მოები კლასში უნდა იქნეს წაკითხული მთლიანად. შედარებით
დიდი კი – ნაწილ-ნაწილ, თავების მიხედვით, ხოლო დიდი მოცუ-
ლობის ნაწარმოების ნაწილი კლასში უნდა იქნეს წაკითხული,
ნაწილი კი უნდა მიეცეთ შინ წასაკითხად.

მაშასადამე, არსებობს კითხვის ორი სახე: შინ კითხვა და
კლასში კითხვა.

შინ კითხვის ფუნქციაა: დავზოგოთ ნაწარმოების შესწავლი-
სათვის პროგრამით გამოყოფილი დრო, რათა ეს საათები გამო-
ვიყენოთ აღნიშნული ნაწარმოების საფუძვლიანი ანალიზისათ-
ვის. ამავე დროს შინ კითხვა ხელს უწყობს მოსწავლეებში ტექსტ-
ზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევის გამომუშავებას.

დიდი მოცულობის ნაწარმოების მთლიანად კლასში წა-



კითხვა ვერ მოხერხდება პროგრამით გათვალისწინებული საა-
თების სიმცირის გამო. ამიტომ მასწავლებელი შესავალი საუბ-
რის შემდეგ კლასში კითხულობს შერჩეულ ადგილებს, რომლებ-
საც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ნაწარმოების იდეუ-
რი შინაარსის, მწერლის მსოფლმხედველობის გარკვევისათვის,
ასევე პერსონაჟის დასახასიათებლად, კომპოზიციურად უმნიშ-
ვნელოვანეს ადგილებს, სადაც მოცემულია ნაწარმოების კვანძი,
კულმინაცია, კვანძის გახსნა და ფინალი. დანარჩენი თავები
მოსწავლეებს ეძლევათ სახლში წასაკითხად მაორიენტირებე-
ლი მითითებით.

კლასში კითხვას ტექსტის შესწავლაში უმთავრესი როლი
აკისრია. ამიტომ კარგად ორგანიზებული და მაღალ პედაგო-
გიურ დონეზე ჩატარებული კითხვის გარეშე ტექსტზე შემდგომი
მუშაობა წარმატებით ვერ განხორციელდება.

კლასში კითხვისას ნაწარმოები პირველად უსათუოდ მას-
წავლებელმა უნდა წაიკითხოს – გამომეტყველებით, ემოციუ-
რად, შთამბეჭდავად, აღძრას ინტერესი. ხოლო ვისაც არა აქვს
გამომეტყველებითი კითხვის ჩვევა, ძალიან ბევრი უნდა იმუშაოს
თავის თავზე, რათა მიაღწიოს სასურველ შედეგს, წინააღმდეგ
შემთხვევაში, როგორი კარგი სპეციალისტიც არ უნდა იყოს, მი-
სი შრომა სათანადო ნაყოფს ვერ გამოიღებს.

მასწავლებლის მიერ ტექსტის პირველად წაკითხვა კლას-
ში განპირობებულია იმ ძირითადი სააღმზრდელო-საგანმანათ-
ლებლო ფუნქციებით, რომელიც კითხვას ეკისრება. მან უნდა
მისცეს პირველი აღქმა მხატვრული ნაწარმოებისა, ხელი უნდა
შეუწყოს მოსწავლეებში გამომეტყველებითი, ემოციური კითხ-
ვის ჩვევების დაუფლებას, განუვითაროს ესთეტიკური გემოვნება,
სათანადო ემოციური გავლენა მოახდინოს მოსწავლეთა გრძნო-
ბებზე და განაწყოს ისინი ნაწარმოების კარგად შესწავლისათ-
ვის.

მაგრამ მარტო მასწავლებლის წაკითხვა არ არის საკმა-
რისი. საერთო შთაბეჭდილების მიღების შემდეგ, ვაკითხებთ

მოსაწავლეებს. ამ დროს ხდება ტექსტის გააზრება, სალექსიკონო მუშაობა, პოეტურ ხერხებსა და გამოსახვის საშუალებებზე ყურადღების გამახვილება. შინ და კლასში წასაკითხ მასალათა დოზირებას განსაზღვრავს:

1. ნაწარმოების მოცულობა: რაც უფრო დიდტანიანია ნაწარმოები, მით მეტი ეძლევათ სახლში წასაკითხად.

2. რაც უფრო რთულია ტექსტი და ძნელი გასაგებია მოსწავლეთათვის, მით მეტი უნდა წაიკითხონ კლასში.

3. მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა ჟანრისაა ნაწარმოები და როგორია კლასის მომზადების დონე.

ნიმუში კლასში კითხვისა და შინ კითხვისა:

გაკვეთილის თემა: „თორნიკე ერისთავი" (შესავალი და I თავი)

გამომეტყველებით ვკითხულობთ პოემის შესავალ ნაწილს (ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები...)

***მასწავლებელი:*** როგორც ხედავთ, პოემა იწყება რიტორიკული შეკითხვებით: ვინ დათვალის ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები? ვინ შეამკოს ღირსეულად ქართველ გმირთა მხარ-მკლავები და ვინ მოგვითხროს მათი უთვალავი საარაკო-საგმირო საქმენი?

ქვიშასავით ურიცხვი, ქვიშასავით უთვალავი — ეს პოეტური ხერხი ბიბლიურია. „დაბადებაში" უფალი ეუბნება აბრაამს: „ქვიშასავით ურიცხვს გავხდი შენს შთამომავლობას, თუ ვინმე შეძლებს ქვიშის დათვლას, შენი შთამომავლობაც დაითვლება". ბიბლია არა მარტო მაღალიდეური, არამედ მაღალმხატვრული ქმნილებაცაა და იგი ყველა ჩვენი კლასიკოსის მასაზრდოებელია. ამ პოემის კითხვისას არაერთხელ დარწმუნდებით ამაში. რა კვალი დაუტოვებია წინაპართა გმირულ საქმეებს? მოძებნეთ შესაბამისი სტროფი!

***მოსწავლე:*** „ნაშთი ძველი დიდებისა
არ გამქრალა ჯერაც ყველა,
დღესაც მისი შარავანდით



ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა".

დაფაზე ვწერთ ფორმას შარავანდით და ვეუბნებით, რომ ეს არის შარავანდედი, აკაკი ამ ფორმას ხშირად მიმართავს დროა ამოდი ქარქაშით; მაღლით წვიმა მოდიოდა და ა.შ. მვიდფერი ცისარტყელაც ბიბლიური სიმბოლოა... (წარღვნის შემდეგ უფალი მიმართავს კიდობნიდან გამოსულ ნოეს: „როდესაც ქვეყანას ღრუბლით დავღრუბლავ და გამოჩნდება ღრუბლებში ცისარტყელა"... აღარ მოვა წარღვნა ქვეყნის დასაღუპავად. ე.ი. ცისარტყელა რისი ნიშანია?

მოსწავლე: ცისარტყელა ნიშანია იმედის, შვების.

მასწავლებელი: აკაკიმ იმედს „ცის ნიჭი" უწოდა და სამართლიანადაც. რა შეუძლია იმედს პოეტის აზრით, წაიკითხეთ რას ამბობს პოეტი?

***მოსწავლე:*** „ამ იმედით ფრთაშესხმული
ჩვენი გულიც სიამით ძგერს
და ოცნებაც ლაჟვარდფერად
წარმოგვიდგენს ქართველისა ერს".

***მასწავლებელი:*** იმედი შვებას გვაძლევს, ლაჟვარდისფერ ოცნებაში ვხედავთ ჩვენი ერის აღორძინებას. თქვენ უკვე იცით, რომ ვარდისფერი და ცისფერი რომანტიკულ ფერებადაა აღიარებული. აკაკიმ ცისფერის ნაცვლად უფრო პოეტური — ლაჟვარდისფერი გამოიყენა და წარსული დიდებით, უთვალავი გმირი მამულიშვილისა და მათი საქმეების გაცოცხლებით თანამედროვეებში იმედის ნაპერწკალი გააღვივა.

რატომ არის იმედი შვება, რას ამბობს ამის შესახებ პოეტი?

***მოსწავლე:*** ამ იმედით ფრთაშესხმულები „ვიქარვებთ აწმყო ნაღველს და ვეძლევით ალტაცებას".

***მასწავლებელი:*** მაშასადამე, ამ შესავლის მიხედვით, როგორ შეიძლება გამოვკვეთოთ გმირ წინაპართა გაცოცხლების მნიშვნელობა?

***მოსწავლე:*** გმირ წინაპართა გაცოცხლებით, მათი სახე-

...საქმეების გახსენებით გულში იმედი ჩნდება. იმედი კი ...ძალს გვაძლევს, აწმყოთი გამოწვეულ ნაღველს გვიქარვებს, ...გვინერგავს, შთაგვაგონებს, რომ „არ მომკვდარა, გაიღ... ისევ ერი“.

***მასწავლებელი***: გავეცნოთ პოემის შინაარსს. წინასწარ ... გითხრათ, რომ მასზე თქვენ ძირითადად დამოუკიდებლად ... მოგიწევთ მუშაობა. ალბათ, არ გაგიჭირდებათ, რადგან აკა... მთელი შემოქმედება გასაოცარი სისადავით ხასიათდება.

...როგორც ხედავთ, პოემა იწყება დავით კურაპალატის სა...ში გამართული ლხინის აღწერით. (მოსწავლეს ვაკითხებთ ... მონაკვეთს). ეს არის სახე ქართული ნადიმისა. მოგეწონათ ...? მაინც რითაა გამორჩეული?

***მოსწავლე***: იმით, რომ „მთვრალობა და სადღეგრძელო ...თითოო არ იცოდნენ“.

***მასწავლებელი***: როგორ ახსნით აკაკის ნათქვამს – „ჩვენი ... რომ ენახათ, სირცხვილითაც დაიწოდნენ?“ მაინც რითი ... ჰგავს ჩვენი და აკაკის დროინდელი ლხინი ჩვენს წინაპარ... ნადიმს? მოსწავლე ისე სრულყოფილად ვერ გადმოგვცემს ... მასწავლებელი შეეცდება დააკონკრეტოს. ძველად ზომიერი ...მა სცოდნიათ, მთვრალობა სირცხვილად ითვლებოდა, თუმცა ...ში ჩვენზე მეტი საქები და სასახელო იყო, მაგრამ მათ ...ადღეგრძელოს სათითაოდ არ სვამდნენ, მითუმეტეს დაუმსახუ...ებლად არავის აქებდნენ. ნადიმის დროს მრავალსიტყვაობდ...ნენ, ხუმრობდნენ, ერთმანეთს სიტყვის ხელოვნებაში ეჯიბრებოდ...ნენ, ერთობოდნენ... ყოველივე ამას ფხიზელი გონება სჭირდებო... მთვრალი ადამიანი ვერ შეძლებდა ურთიერთგაბაასების ...როს ზმას იყენებდნენო, ამბობს აკაკი და ამ სიტყვის მნიშვნე...ლობას თვითონვე განმარტავს, როგორც ორაზროვან სიტყვას (მოსწავლეებს ვაკითხებთ ორბელიძისა და ხუმარას წარმოთქ...ულ ზმებს. ვწერთ დაფაზე მასხა რაო – მასხარაო, სულ ელიო – სულელიო და ვთხოვთ მათ განმარტებას).

***მასწავლებელი***: ჩვენ ჯერ არაფერი ვიცით პოემის ერთ-



ერთი მთავარი გმირის თორნიკე ერისთავის შესახებ. ვიცით მხოლოდ ის, რომ იგი ხელს იღებს საერო სამსახურზე და ამის მოხსენებას მეფისათვის თვითონ ვერ ბედავს, არც მოციქულად უდგება ვინმე, რადგან მეფის რისხვის ეშინიათ. მაგრამ შეიძლე-
ბა თუ არა მასზე გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ?

***მოსწავლე***: მეფის წინაშე რიდი და მოკრძალება ყველას მართებდა. ჩანს, რომ ეს თვისება არც თორნიკესათვის არის უცხო. ეს მით უფრო ფასეულია, რომ დავით კურაპალატი თავის სარდალს ასე მოიხსენიებს: „რა არის, რომ დღეს ჩემს გვერდით დიდ თორნიკეს ვერ ვხედავო?

***მასწავლებელი***: ნაწარმოების შემდეგი მონაკვეთები მთე-
ლი სიცხადით წარმოაჩენს ამ დიდი მამულიშვილის ყველა თვისე-
ბას. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი პირველი გამოჩენა ნაწარმოებში. დაუკვირდით როგორი ფონი შექმნა მწერალმა პერსონაჟის შემოსაყვანად. შინ წასაკითხად გექნებათ II-III-IV თავები.

გთხოვთ, ჩაინიშნოთ, რას უნდა მიაქციოთ ყურადღება!
(მოსწავლეებს ვაძლევთ მაორიენტირებელ მითითებებს)

1. როგორ არის აღწერილი სამსჯავროდ შეყრილი დარბა-
ზის ერი.
2. მთავარი ბრალმდებლის – მეფის სიტყვა;
3. თორნიკეს გარეგნობა;
4. რას დაარქმევდით თორნიკეს მიერ დარბაზის ერის წი-
ნაშე გაცოცხლებული საქართველოს ერთ-ერთი გმირული ბრძოლის სურათს.
5. თორნიკეს რა თვისებებს დაინახავთ იმ ეპიზოდში, როცა იგი თავის ხმალს ორბელიძეს გადასცემს.
6. კიდევ რას მიუთითებს თორნიკე ერისთავის მიერ ორ-
ბელიძისათვის ხმლის გადაცემა, მეფე ერეოდა თუ არა მთავარ-
სარდლის არჩევაში.
7. პოემის ამ მონაკვეთში უხვად შეგხვდებათ შთამბეჭდა-
ვი პოეტური ხერხები, აფორიზმები, იდიომები, ამოიწერეთ ისინი.

8. საზეპირო ადგილები შერჩევით ისწავლეთ (მივუთითებთ), შეეცადეთ, რომ ტექსტის გამოყენებით შესძლოთ პერსონაჟის დახასიათებაც და ძირითადი მოვლენების აღწერაც.

უსათუოდ კლასში უნდა წავიკითხოთ ასევე მდინარე ჰალისის პირას მომხდარი ბრძოლის მონაკვეთი. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ორბელიძისა და აფრანიკეს ბრძოლაზე, გამოვკვეთოთ ორბელიძის მამაცობა, შემწყნარებლობა და დიდსულოვნება. მოსწავლეებს შთავაგონოთ, რომ ასეთი გადამწყვეტი ბრძოლის დროსაც არ დაკარგა ქართველმა ვაჟკაცმა წონასწორობა, გამოიჩინა რაინდობა და უიარაღოდ დარჩენილი მტერი დაინდო. ეს შემთხვევა მოხერხებულად უნდა გამოვიყენოთ მოსწავლეებზე ზემოქმედებისათვის, რადგან დღევანდელ ახალგაზრდებს აკლიათ მოთმინების უნარი, სულგრძელობა, უმნიშვნელო მიზეზის გამოც კი ერთმანეთის სისხლს ღვრიან. ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ და ამის უფლება არა გვაქვს.

ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას ვუთმობთ პოემის იმ ნაწილს, სადაც ბრძოლის შემდგომი ეპიზოდია გადმოცემული. ირგვლივ დაჭრილთა „სომხურ, ქართული, ბერძნულ, სპარსული“ კვნესა ისმოდა. თორნიკე ერისთავმა გასაოცარი ტოლერანტობა გამოიჩინა და ბრძანა:

... განურჩეველად
ქართველი იყოს, გინდა სპარსელი,
გინდა ბერძენი, გინდა სომეხი,
სულ ერთიანად მოჰკიდეთ ხელი!
სიკვდილი ყველას ათანასწორებს:
თვისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს.
ვეცადოთ ყველა და ნუ დავაკლებთ
დაჭრილებს მოვლას და მკვდრებს სამარეს.
ნურვინ გაჰბედავს, დატყვევებულებს
რომ მიაყენოს შეურაცხყოფა!
ვაჟკაცს რომ ბედი სხვას დაამონებს,
დასატანჯავად ისიც ეყოფა!“



ჰუმანურობა, უდიდესი სულგრძელობაა ამ მონაკვეთში. მართალია, მტერს სძლიეს, მაგრამ ქართველებს ძვირად დაუჯდათ ეს გამარჯვება. ხუთი ათასი ქართველი ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა. თორნიკე თითქოს უნდა გაბოროტებულიყო იმ მსხვერპლით, მან კი შესაშური სიმშვიდით სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ეს სიტყვები მხოლოდ იმ ერის შვილს შეეძლო ეთქვა, ვინაც ვეფხისა და მოყმის ბალადა შექმნა.

ასევე კლასში უნდა წავაკითხოთ სამშობლოში დაბრუნებული გამარჯვებული ქართველი ჯარის სიმღერის უაღრესად სიმბოლური ტექსტი. ვაანალიზებთ მას და ვაძლევთ ზეპირად დასასწავლად.

კლასში ვკითხულობთ და ვაანალიზებთ პოემის ბოლო IV კარს – „ერთხელ ათონში ატეხეს რეკა“. ვხსნით ყველა სიმბოლოს. ეს მონაკვეთი ერთხელ კიდევ გვაძლევს საშუალებას მოსწავლეებს გავახსენოთ ჩვენი გმირული წარსული, ჩვენი შარავანდედით მოსილი ბრძოლების ისტორია და ამით მათში პატრიოტული სული აღვზარდოთ.

## ლექსიკური კომენტარი

ლექსიკური კომენტარი ტექსტზე მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი ყოველდღიურად, ყოველ გაკვეთილზე გვხვდება და დამოკიდებულია მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებზე, ტექსტის სიადვილე-სირთულეზე. ლექსიკური კომენტარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია V-VIII კლასებში.

როდის, რა პირობებში და რა თანმიმდევრობით უნდა ჩავატაროთ სალექსიკონო მუშაობა.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით ლექსიკური კომენტარი უნდა ჩატარდეს შესავალ საუბარში. აიხსნას ყველა გაუგებარი

სიტყვა, ხოლო შემდეგ დაიწყოს ტექსტის კითხვა. და როცა კითხვის პროცესში ეს სიტყვები შეხვდებათ, მათთვის უკვე გასაგები იქნებაო. ეს მცდარი მეთოდია. თუმცა იმდენად მრავალფეროვანია სალექსიკონო მუშაობა ლიტერატურული კითხვის პროცესში, რომ ერთიანი სავალდებულო რეცეპტის შემუშავება ძნელია.

უპირატესობა ენიჭება და ყველაზე მისაღები ფორმაა არა კითხვის წინ ან კითხვის პროცესში სიტყვის განმარტება, არამედ განმეორებითი კითხვის დროს. თავიდან მასწავლებელი გამომეტყველებით წაიკითხავს ტექსტს, კლასი მიიღებს შთაბეჭდილებას და გაიაზრებს მას. შემდეგ იწყება ხელახალი წაკითხვა, შინაარსობლივი, სტროფობრივი თუ აბზაცობრივი გარჩევა. სწორედ ამ დროს ვაწარმოებთ სალექსიკონო მუშაობას. მასწავლებელი თვითონ არ განმარტავს, არამედ კითხულობს – რა არის [illegible] გაუგებარი, ის, რაც ერთისთვის გასაგებია, მეორისათვის შეიძლება გაუგებარი იყოს. მაშინ ის მოსწავლე, ვინც იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა, განმარტავს, მეორე შეავსებს, და ბოლოს მასწავლებელი აკეთებს შემაჯამებელ განმარტებას.

სალექსიკონო მუშაობა არ შეიძლება შემოიფარგლოს მარტოოდენ გაუგებარი სიტყვების განმარტებით. აქვე უნდა მოვახდინოთ პოეტური სახეების, მხატვრული ხერხებისა და საშუალებების აზრობრივი შინაარსის გახსნა. ე.ი. მოვახდინოთ სიტყვის მორფოლოგიური, ეტიმოლოგიური, ემოციური და ფრაზეოლოგიური ანალიზი.

ლექსიკური კომენტარისათვის ძირითადად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამი საშუალება: 1. სიტყვის ახსნა სინონიმების ჩანაცვლებით, 2. სიტყვების აღწერითი ახსნა, 3. სიტყვის ახსნა თვალსაჩინოების გამოყენებით. ყველაზე გავრცელებულია სინონიმური შენაცვლების ხერხი – გაუგებარ სიტყვას შევცვლით მისი მონაცვლე სიტყვით.

ბევრი პრაქტიკოსი მასწავლებელი სთხოვს თავის მოსწავლეებს, ჰქონდეთ საკუთარი განმარტებითი ლექსიკონი, რვეული, რომელიც მუდმივად უდევთ ლიტერატურის წიგნში და ყოველ



გაკვეთილზე ავსებენ მას ახალ-ახალი სიტყვებით. ასევე ამ სიტყვათა დამახსოვრებისათვის საუკეთესო საშუალებაა მეტყველების განვითარების გაკვეთილებზე მივცეთ დავალება – შეადგინონ წინადადებები ახლად შესწავლილი სიტყვების გამოყენებით.

ასეთმა მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს ერთიანი ლიტერატურული ენის ნორმების დამკვიდრებას, მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას.

# გამომეტყველებითი კითხვა

## *გამომეტყველებითი კითხვის მნიშვნელობა*

ცნობილია, რომ ენა ადამიანთა ურთიერთობის საშუალებაა და ის ამ ფუნქციას უკეთ შეასრულებს მაშინ, თუ ჩვენი საუბარი, მსჯელობა იქნება არა მშრალი, უღიმღამო, მონოტონური, არამედ ემოციური, შთამბეჭდავი, გამომსახველობითი. კარგად მეტყველება ნებისმიერ პიროვნებას ამშვენებს ისევე, როგორც სხვა დადებითი თვისებები და ფიზიკური სილამაზე. გავიხსენოთ თუნდაც რუსთველის ცნობილი სტროფი როსტევან მეფეს რომ ახასიათებს: მაღალი, უხვი, მდაბალი, მოსამართლე, მოწყალე, უებრო მეომარი, სვიანი მეფე ენაწყლიანი მოუბარიც ყოფილა. რუსთაველი ამ თვისებას მნიშვნელოვანი რომ არ ყოფილიყო, სხვა ზემოთჩამოთვლილი თვისებების ტოლფასად, მათ გვერდით არ დაასახელებდა.

პიროვნების კარგ მეტყველებას ადრეული ასაკიდანვე უნდა მიექცეს ყურადღება. მისთვის სწორი მიმართულების მიცემა და ჩვევად ჩამოყალიბება უნდა შეძლოს სკოლამ. კარგად მეტყველება განსაკუთრებით იმათთვის არის აუცილებელი, ვისაც ცოცხალ სიტყვასთან აქვს საქმე: მსახიობების, დიქტორებისა და

მასწავლებლებისათვის.

მოსწავლეთა შეიარაღება გამომეტყველებითი კითხვის ჩვევებით სკოლის მთელი სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის განუყოფელი ნაწილია. ამ საქმეში მთავარი პასუხისმგებლობა ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ეკისრება. მასზეა დამოკიდებული აღზარდოს მომავალი კარგად მეტყველი და კარგად მკითხველი მოქალაქე, მისცეს მას ამის ჩვევა.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გამომეტყველებითი კითხვა მჭიდრო კავშირშია შეგნებულ კითხვასთან. შეუძლებელია სათანადო მახვილების, პაუზების, ინტონაციის შერჩევა ისე, თუ ტექსტის შინაარსობრივი მხარე არ არის გააზრებული. ამიტომ გამომეტყველებითი კითხვა აიძულებს მოსწავლეს, ჩაუფიქრდეს წაკითხულს, გაიაზროს იგი. წარმოუდგენელია ბავშვმა მექანიკურად დაისწავლოს ის, რასაც გამომეტყველებით კითხულობს. უნდა გვახსოვდეს, რომ გამომეტყველებითი კითხვა სკოლიდან განდევნის მექანიკურ დაზეპირებას და ხელს უწყობს ტექსტის შეგნებულ, გააზრებულ ათვისებას.

მხატვრული, გამომეტყველებითი კითხვა მოსწავლეებს უვითარებს გემოვნებას, აყვარებს მხატვრულ ლიტერატურას. საჭიროა მოსწავლემ კარგად წაკითხვით თვით განიცადოს ესთეტიკური სიამოვნება და სხვასაც, მსმენელსაც განაცდევინოს იგი. მაშასადამე გამომეტყველებითი კითხვა ხელს უწყობს მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას.

გამომეტყველებითი კითხვა ლიტერატურის თვალსაჩინოებით სწავლების ერთ-ერთი ყველაზე კონკრეტული გამოხატულებაა. იგი იდეურ-მხატვრული გააზრების განუყოფელი ნაწილია, რადგან მასწავლებელს მახვილების, ინტონაციის პაუზების გამოყენებით ტექსტი უფრო ახლოს მიაქვს მსმენელთან, მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს მთავარზე, მნიშვნელოვანზე, აძლევს მათ ნაწარმოების სწორად გარკვევაში განსაკუთრებულ მიმართულებას.

გამომეტყველებითი კითხვა გვასწავლის ხმის დაუფლებას,



ამაღლებასა და დადაბლებას, გაძლიერებასა და შესუსტებას, გვაჩვევს სწორ სუნთქვას, ასწორებს წარმოთქმას, ენაბლუობას, თუ ამის მიზეზი ორგანული ხასიათის არ არის.

გამომეტყველებითი კითხვა აძლიერებს დამახსოვრების უნარის გამომუშავებას, აჩვევს მოსწავლეს საზოგადოებაში გამოსვლას, ამდიდრებს მის სამეტყველო მარაგს.

მიუხედავად იმისა, რომ ასე დიდია მხატვრული კითხვის მნიშვნელობა, მას ჯერ კიდევ არ ექცევა საჭირო ყურადღება. სკოლა ვერ ნერგავს მოსწავლეებში გამომეტყველებითი კითხვის კულტურას. ეს ცოდნის შეფასებაშიც უნდა პოულობდეს გამოხატულებას. მოსწავლე მაშინ მოინდომებს, ივარჯიშებს და მიაღწევს შედეგს. რწმენა იმისა, რომ თითქოს გამომეტყველებითი კითხვის უნარი თანდაყოლილია, მცდარია. რასაკვირველია, ყველას არ შეუძლია ერთნაირად კარგად დაეუფლოს ამ ხელოვნებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის მიღება ყველას არ შეეძლოს. ამისათვის ერთი მაგალითიც საკმარისია. ცნობილი ორატორი დემოსთენე თავიდან ენაბლუ ყოფილა, ჰქონია საოცრად სუსტი და წრიპინა ხმა და ლაპარაკის დროს იჩეჩავდა მხრებს, მაგრამ მან ყველა ეს ნაკლი გამოასწორა შრომით და ცნობილი ორატორი გახდა.

რასაკვირველია, ჩვენ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სკოლა მიზნად არ ისახავს მხატვრული კითხვის პროფესიული ოსტატებისა და მსახიობების აღზრდას, მაგრამ გამომეტყველებითი კითხვის ელემენტარული ჩვევები ნამდვილად უნდა ჩაუნერგოს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა. პირადი მაგალითით გაკვეთილზე თუ ლიტერატურულ წრეებში მუშაობით უნდა შეძლოს კარგად მეტყველი მოქალაქეების აღზრდა. ამას მაშინ მოახერხებს, როცა თავად დახელოვნებული იქნება გამომეტყველებით კითხვაში, ექნება ელემენტარული ჩვევები ორატორული მეტყველებისა.

## გამომეტყველებითი კითხვის ისტორიიდან.

გამომეტყველებითი კითხვის საწყისები ისევე, როგორც …ოდ ქართული პედაგოგიური და მეთოდიკური აზროვნე… ჩვენი ცხოვრების ადრეულ პერიოდშია სავარაუდებელი.

ერთ-ერთი პირველი წყარო, რომელშიც არის მინიშნება …მეტყველებით, მსმენელთათვის მისაწვდომად წაკითხვის …ხებ, გახლავთ X საუკუნის ცნობილი მოღვაწის მიქაელ …რეკილის ჰიმნების კრებული. ამ კრებულში ავტორს მოკლე …შენები დაურთავს ზოგიერთი საგალობლისათვის და აღუ…ავს, რომ ჰიმნების გალობით ან კარგად წაკითხვას ერთგ… საგანმანათლებლო მნიშვნელობა ექნებოდაო.

მისი აზრით, გამომეტყველებითი კითხვის სპეციფიკა ისაა, … მკითხველი უფრო ცნობიერად ეკიდება წასაკითხ მასალას, …ლობს მოძებნოს ისეთი ხმოვანება, ისეთი ტონალობა წაკითხ…ის, რომ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინოს მსმენელზე და …იქოს მას ესთეტიკური სიამოვნება.

მნიშვნელოვანია ასევე ეფრემ მცირის მოსაზრებანი სა…ხავი მასალის შესაფერისი „ხმის ქცევით“ წაკითხვის შესა… აქვე მითითებულია განსხვავებული შინაარსის ტექსტის …სხვავებულად წაკითხვის შესახებ. ავტორი აღნიშნავს: „მყის …ლოს მეტყველებაი“.

საყურადღებო მოსაზრებას გვაწვდის გამომეტყველებითი …ხვის შესახებ ცნობილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. იგი …ანგებოდ აღნიშნავს პაუზებზე და სხვა ტექნიკურ საშუალე…ზე ყურადღების გამახვილების საჭიროებას. მიუთითებს წასა…ხი მასალის ზომიერი ხმით წაკითხვაზე. იგი თვლის, რომ …ითხველი უნდა იყოს „ხმა კეთილი და კარგი მკითხველი“.

სულხან-საბა ორბელიანი მკითხველს „მწიგნობარს“ უწო…ს და განსაკუთრებულად ჩერდება მახვილებზე, პაუზებზე; …ს ამაღლება-დადაბლებაზე: „მუნ ხმისა ამაღლება ხამს... მუნ …ს დადაბლება... აქ სიტყუა მიკუეთით თქუან, წყნარა წაიარე

კითხუა“ და ა.შ. აღნიშნულ მითითებებს ავტორი პრაქტიკულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობას აძლევს.

საქმის ღრმა ცოდნით ეხება გამომეტყველებითი კითხვის საკითხს მამუკა ბარათაშვილი თავის „ლექსის სწავლის წიგნ-ში“. მან დაამუშავა გამომეტყველებითი კითხვის აუცილებლობა და პრაქტიკულად ჩამოკვეთა კიდეც ზოგიერთი მეთოდიკური ხერხი.

ეს ძალიან მოკლე ცნობები გამომეტყველებითი კითხვის შესახებ ჩვენი შორეული წარსულიდან.

განსაკუთრებული ინტერესი გამომეტყველებითი კითხვის ტექნიკის დაუფლებისადმი გამოუჩენიათ მე-19 საუკუნის 30-40-იანი წლების საქართველოში. წიგნის კითხვის ტექნიკის გაუმჯობესებისათვის უზრუნიათ როგორც ოფიციალურ სკოლებში, ისე საოჯახო ლიტერატურულ სალონებში.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მხატვრული კითხვის კერას ძირითადად წარმოადგენდა დიდგვაროვანთა ოჯახების ლიტერატურული სალონები. ხოლო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან გამომეტყველებით კითხვას მეტი ყურადღება მიექცა. იმართებოდა სალიტერატურო საღამოები, რომლებზედაც ბილეთები იყიდებოდა და შემოსული თანხა საქველმოქმედო საქმეებზე იხარჯებოდა. ამ საღამოებზე მკითხველებად გამოდიოდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, დავით ერისთავი, რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, მამია გურიელი, ეკა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვანი. ისინი არ იყვნენ კითხვის სპეციალისტები, მაგრამ მათ კარგად ესმოდათ ცოცხალი სიტყვის, მხატვრული კითხვის ადამიანზე ზეგავლენის მნიშვნელობა და მას, როგორც იარაღს, ისე იყენებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

ი. ჭავჭავაძე თვითონ მშვენიერი მკითხველი ყოფილა. იგი ერთ-ერთ წერილში თავის მეუღლეს წერდა: „გიგზავნი „ლირის“ თარგმანს, მაგას კაი წაკითხვა უნდა. როცა ჩამოვალ, მე თვითონ წაგიკითხავ და ნახავ, როგორი თარგმანია“. ცხადია, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ოლღა გურამიშვილი ისეთი მკითხ-

ველი იუო, რომ ვერ ჩაწვდებოდა და ვერ გაიგებდა თარგმანს, მაგრამ უკეთესად წაკითხვას ილია მიანც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

აღსანიშნავია, რომ ლიტერატურული ტექსტის კითხვის პრაქტიკულ-პედაგოგიური საკითხების მეცნიერული განხილვა-შეფასება მოცემულია ი. გოგებაშვილისა და მისი მემკვიდრეობის დამცველისა და გამგრძელებლის ლუარსაბ ბოცვაძის შრომებში.

დიმიტრი ოყრომიძე თავის სტატიაში „შეგნებული კითხვა“ (1911) დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მკითხველის ფსიქოლოგიურ მომზადებას.

ასეთია მოკლე მიმოხილვა გამომეტყველებითი კითხვის ისტორიისა საქართველოში.

## გამომეტყველებითი კითხვის დაუფლების გზები.

როგორ უნდა მოვემზადოთ გამომეტყველებითი კითხვისათვის და რა არის აუცილებელი მისი ტექნიკის დასაუფლებლად?

გამომეტყველებითი კითხვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა სწორი წარმოთქმა. სწორი კითხვა ნიშნავს მართლმეტყველების ნორმების ზუსტად დაცვას, სიტყვების ნათლად, მკაფიოდ და ხმამაღლა წარმოთქმას, სუნთქვის, ხმის, არტიკულაციის რეგულირებას, კითხვის ჰიგიენის დაცვას.

გამომეტყველებითი კითხვის ფუნქციაა — გადმოსცეს ნაწარმოებში გამოსახული აზრი და განწყობილება ისე, როგორც ავტორს ჰქონდა ჩაფიქრებული. ყოველი ჭეშმარიტი მწერლის სტილურ ინტონაციაში აშკარად იგრძნობა მისი დამოკიდებულება პერსონაჟისადმი. ინტონაციაში იგრძნობა დამოკიდებულება იმისადმი, ვისთანაც ველაპარაკობთ. მაგალითად ერთ სიტყვაში „გამარჯობათ“, როცა ჩვენ შემხვედრს ვესალმებით, ჩანს ჩვენი დამოკიდებულება ამ პიროვნებისადმი. შეიძლება მასში ჩავაქსოვოთ უდიდესი სითბო, სიყვარული, პატივისცემა, მოკრძალება და მეორე შემთხვევაში ჩვენი მისალმება შეიძლება იყოს მშრალი, ოფიციალური და იძულებითი.



რა ძირითადი საშუალებები არსებობს გამომეტყველებითი კითხვის ტექნიკის დასაუფლებლად? ეს მთავარი საშუალებებია: ტონალობა, დიქცია, პაუზა, მახვილი, რიტმი, ჟესტი, მიმიკა.

***ტონალობის*** ცვალებადობა განპირობებულია გარემომცველი სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულებით. ეს ცვალებადობა, ეს განწყობა გამოხატულებას პოულობს ინტონაციურ სამოსელში. იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება პიროვნება, რა გარეგანი ფაქტორები მოქმედებენ მასზე, მისი ხმა შეიძლება იყოს ამაღლებული, გაცხარებული, აჩქარებული, შენელებული, დადაბლებული და სხვ.

ტონალობის მიხედვით ჩვენ ვარკვევთ ადამიანის შინაგან მდგომარეობას, განწყობილებას, ხასიათს, განცდას, მის მწუხარებას, სიხარულს, განრისხებას, სიმშვიდეს და სხვ. გავიხსენოთ ჯოყოლას აღშფოთება (ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლიდან“), როდესაც ის თავის სტუმარს შებოჭილს დაინახავს:

„რას სჩადით, შემოუძახა,
ვის სტუმარს ჰბოჭავთ თოკითა?
რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა,
თავს ლაფს რად მასხავთ კოკითა“ და ა.შ.

შემდგომ, როცა გაიგებს მისი სტუმრის ვინაობას, იგი წამით დაფიქრდა, მხოლოდ წამით და ამ უმნიშვნელოვანესმა მიზეზმაც ვერ შეაცვლევინა თავისი განზრახვა. იგი მასპინძელია და ვალდებულია, დაიცვას თავისი სტუმარი, მიუხედავად იმისა, ვინ არის იგი.

„ეგ მართალია იქნება,
რა უნდა მითხრათ მაგითა?
მით ვერ მიაბამთ ჩემს გულსა

თქვენს გულისთქმასთან ძაფითა.
გთხოვ, რომ გაუშვა, მუსაო,
ნუ სტანჯავ,უდიერადა,
როცა გაცსდება ჩემს სახლ-კარს,
იქ მოეპყარით აჲადა“.

აქაც სტუმრის დაცვისა და ხელშეუხებლობის მოთხოვნაა, მაგრამ ეს სულ სხვა ტონალობაში უნდა წავიკითხოთ. ამ მავედრებელ ლაღადისში იგრძნობა სინანული თავისი დიდი შეცდომის თუ ამ შეუდარებელი ვაჟკაცის — ზვიადაურის მტრის პოზიციაში აღმოჩენის გამო, ის ხომ გულით მოეწონა და შეუყვარდა ჯოყოლას.

გამომეტყველებითი კითხვის მთავარი სიძნელე და ამავე დროს მთავარი ფუნქცია სწორედ ისაა, გავხსნათ მწერლის შინაგანი აზრის ლოგიკა და გადმოვცეთ შესაფერისი ინტონაციური ქღერადობით.

მასწავლებელი ვალდებულია, ყველა გაეკვეთილზე, ყოველი ტექსტის წაკითხვისას გამოიყენოს კითხვის გასაოცარი შემოქმედების ეს ძალა და მოსწავლეებს აგრძნობინოს მწერლის დამოკიდებულება, ტექსტი ახლოს მიიტანოს მათთან, უკეთ გააცნობიერებინოს ესა თუ ის სიტუაცია და მიანიჭოს მათ ესთეტიკური სიამოვნება.

მახვილი გამომეტყველებით კითხვაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. იგი აზრობრივი მეტყველების მომწესრიგებელი საშუალებაა. მახვილით წარმოთქმული სიტყვა იღებს არსებით მნიშვნელობას და განსაკუთრებულ ემოციურ ზეგავლენას ახდენს მსმენელზე.

მახვილი სამგვარია: ლინგვისტური, ლოგიკური და ფსიქოლოგიური.

ლინგვისტური მახვილი სიტყვაში ყოველთვის ხმოვანზე თდება. მაგ. ორმარცვლიანსა და სამმარცვლიან სიტყვებში მახვილი პირველ მარცვალზე მოდის: ღქლა, მამა, ბიჭი, წიგნი, მაგიდა, კარადა, ფანჯარა. ოთხმარცვლიანში ბოლოდან მესამეზე- გაზაფხული, ხუთმარცვლიანში ბოლოდან მეოთხეზე- მასწავლებელი.



ლოგიკური მახვილი წინადადებაში უკეთდება იმ სიტყვას, ან სიტყვათა ჯგუფს, რომელიც აზრობრივ ცენტრს წარმოადგენს და რომელზედაც ვამახვილებთ ყურადღებას. ვაჟა-ფშაველას „არწივიდან“ მოვიყვანოთ მაგალითი: „არწივი ენახე დაჭრილი ყვავ-ყორნებს ეომებოდა“. იმის მიხედვით, თუ რომელ სიტყვაზე გვინდა გავამახვილოთ მსმენელის ყურადღება, იმ სიტყვაზე ვსვამთ მახვილს. არწივი ვნახე დაჭრილი და ა.შ. აქ ხაზგასმულია, რომ არწივი იყო დაჭრილი. არწივი ვნახე ღაჭრილი, ამ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება, რომ ნახა დაჭრილი არწივი. არწივი ვნახე დაჭრილი, ამ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება, რომ არწვი დაჭრილი იყო. ყვავ-ყორნებს ეომებოდა, აქ ხაზს ვუსვამთ თუ ვის ეომებოდა არწივი, ხოლო თუ მახვილს ბოლო სიტყვაზე — ეომებოდა ვაკეთებთ, მსმენელის ყურადღებას სწორედ ამ ფაქტზე ვამახვილებთ.

მაშასადამე, ლოგიკური მახვილი აუცილებელი პირობაა აზრის ნათელსაყოფად.

ფსიქოლოგიური მახვილი ხელს უწყობს მკითხველში გარკვეული ემოციების აღძვრას. ქმნის მსმენელის ფსიქოლოგიურ მომზადებას, განწყობილებას, მაგ.

„დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
გაზაფხული, გაზაფხული,
გულს იმედი დამესახა“.

პოეტის სასიხარულო განწყობილება გადმოცემულია სიტყვით „გაზაფხული“ და ჩვენც მახვილი მასზე უნდა დავსვათ.

**პაუზა** არის მეტყველებაში ხანმოკლე ან ხანგრძლივი შეჩერება. იგი გამომეტყველებითი კითხვის აუცილებელი, ფრიად საგულისხმო ელემენტია. მას ჩვეულებრივ ჰაერის მარაგის დაგროვების მიზნით ვიყენებთ. გამომეტყველებით კითხვაში კი მას თავისი ფრიად მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება. აძლიე-

რებს ზემოქმედებას მკითხველზე. შეუსვენებლივ, პაუზის გარე-შე წაკითხული ტექსტი არაესთეტიკურია და კარგავს იდეურ-აზრობრივ გამომსახველობას.

პაუზა არის გრამატიკული, ლოგიკური, მხატვრული, აზრობ-რივი.

გრამატიკული პაუზა სასვენ ნიშნებთან გამოიყენება, ხდე-ბა მცირე შეჩერება.

ლოგიკური პაუზა მაშინაა, როცა შეჩერება სასვენი ნიშნით არ არის გამოწვეული, არამედ აზრის ლოგიკით. ზოგჯერ მთელ სტროფში არ არის სასვენი ნიშანი, მაგრამ აზრის შინაგანი ლო-გიკა გვაიძულებს შევჩერდეთ გარკვეულ ადგილებზე სათანადო ინტონაციის დაცვით. აქ რიტმის ფაქტორიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

არავითარი სასვენი ნიშანი არ არის ი. ჭავჭავაძის ლექსის სტროფში „ელეგია“, მაგრამ ვჩერდებით იქ, სადაც ეს აუცილებე-ლია.

„მკრთალი ნათელი (პ)სავსე მთვარისა (პ)
მშობელ ქვეყანას (პ) ზედ მოჰფენოდა (პ)
და თეთრი ზოლი (პ) შორის მთებისა (პ)
ლაჟვარდ სივრცეში (პ) დაინთქმებოდა“

სხვაგვარად, პაუზებისა და მახვილების გარეშე ეს ლექსი კარგავს თავის ღირებულებას, ხიბლს. ეს მასწავლებელმა უსა-თუოდ უნდა გაითვალისწინოს, თვითონაც გამომეტყველებით, ყვე-ლა წესის დაცვით უნდა წაიკითხოს მასალა და მოსწავლეებსაც ასევე მოსთხოვოს.

მხატვრული პაუზა მაშინაა საჭირო, როცა კითხვისას რო-მელიმე სიტყვას, რომელიმე გამოთქმას ვაძლევთ განსაკუთრე-ბულ მნიშვნელობას, როცა გვინდა, გამოვყოთ და მასზე შევაჩე-როთ მსმენელთა ყურადღება. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ხანგრძლი-ვად ვჩერდებით და მსმენელს ვუქმნით მოლოდინის განწყობი-ლებას.

„ქართულ სიტყვას შეედრება რამე ნეტავ?



ნარნარ რითმებს, რომ აელერებს ჩანგის ლარებს,
ერთი სიტყვა მიყვარს მათში უფრო მეტად,
გულის სიღრმით ანასხლეტი (დიდი პ.) გენაცვალე“.

აზრობრივი პაუზა დაახლოებით ლოგიკურ პაუზას გავს, როცა არაა სასვენი ნიშანი და შეჩერება მაინც აუცილებელია. აზრობრივი პაუზის გამოუყენებლობის შემთხვევაში, უაზრობა იქმნება:

„ქალი (ხანგრძლ. პ.) მიყვარს, მიყვარს ქალი,
ღვინოც, (პ) ოღონდ არა ქარხნის,
პურიც (პ), ოღონდ არა ფურნის,
პური თორნის, ღვინო ჭურის,
ქალი მსგავსი გაზაფხულის

პირველ სტრიქონში აზრობრივმა, ხანგრძლივმა პაუზამ მსმენელზე უნდა მოახდინოს დიდი გავლენა. დააფიქსიროს, წარმოადგინოს ქალი, როგორც ასეთი და დაუტოვოს გარკვეუ-ლი მოლოდინის განცდა, რადგან ქალის განყენებული ხატება რაღაც დაკონკრეტებას ითხოვს ამ მინიატურული ლექსის ტონა-ლობით. ლექსში მართლაც მშვენიერი ეფექტია მიღწეული იმით, რომ პოეტს ფონის შესაქმნელად შეურჩევია პურისა და ღვინის – ადამიანის ყოფისათვის თითქმის მოუცილებელი ამ ფაქტორე-ბის წმინდა და შეურყვნელი „ფორმები“ და ამ კონტექსტში ორგა-ნულად თავსდება ტაეპი „ქალი მსგავსი გაზაფხულის“, პირველქმ-ნილ უბიწოებასთან, სილამაზესა და სიწმინდესთან რომ ასო-ცირდება. პაუზის გარეშე წაკითხული „ქალი მიყვარს, მიყვარს ქალი“ კი ქვენა, მდაბალ, ხორციელ გრძნობებს იწვევს მხოლოდ, რაც ლექსის ფასსა და ღირებულებას კარგავს.

***რიტმი*** თანაზომიერი ერთეულების კანონზომიერი გამეო-რებაა. რიტმულია საათის მექანიზმი, გულის ცემა. საოცრად შთამბეჭდავია რიტმული პოეტური მეტყველება. ის პოეზიაში არის თანაზომიერი სამეტყველო ერთეულების კანონზომიერი, პერიოდული გამეორება და მკითხველზე ემოციურ ზემოქმედე-ბას ახდენს. ჩვენი დიდი პოეტების ნაწარმოებებში განსაკუთრე-

ბით იგრძნობა რიტმული გამეორებით გამოწვეული სიწყობრე და მუსიკალობა. მაგ. „ტანო ტატანო“, „ქარი ქრის“, „ნიკორწმინდა“ და უამრავი სხვა.

***მიმიკა*** არის გრძნობების, განცდების გამოხატვის ხელოვნება სახის კუნთების სათანადო მოძრაობით. გამომეტყველებითი კითხვის დროს მკითხველის სახის კუნთები სხვადასხვაგვარად კრთის, ხან წარბის აწევით, ხან ტუჩების წინ წამოწევით, თავის მაღლა აწევით ან გადაქნევით და სხვა გამოვხატავთ ჩვენს აზრებს და თითქოს ვეხმარებით მსმენელს წაკითხულის უკეთ გაგებაში.

***ჟესტი*** შთაბეჭდილების გასალძიერებლად სხეულის ნაწილების, განსაკუთრებით ხელების მოძრაობის გამოყენებაა მეტყველებაში. რაც ერთგვარად მეტ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. მაგრამ აქ საჭიროა ზომიერების დაცვა.

გამომეტყველებითი კითხვის სახეებია: ***ინდივიდუალური, კითხვა როლებში და გუნდური*** ანუ კოლექტიური კითხვა.

როლებში კითხვის დროს ტექსტი ნაწილდება და სხვადასხვა კითხულობს. როლებში კითხვა გამართლებულია დაბალ კლასებში და ძალიან კარგ შედეგს იძლევა ტექსტის შესწავლისას. როდესაც ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღს“ ვასწავლით, ტექსტზე მუშაობისას გავანაწილებთ როლებს, ორი-სამი ბავშვი იქნება კაკო, ორი-სამი ზაქრო, ორი-სამი ბატონი, ორი-სამი ზაქროს მამა და მეურმე, ორი-სამი ავტორი. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეები უფიქრდებიან გმირის ხასიათს, სულისკვეთებას, ზეპირად სწავლობენ არა მარტო თავიანთ სათქმელ ტექსტს, არამედ პარტნიორისასაც. ამგვარი მუშაობით ტექსტს ზედმიწევნით კარგად სწავლობენ, გმირთა ხასიათი გახსნილი და გათავისებული აქვთ და ნაწარმოების იდეურ შინაარსსაც უკეთ იგებენ.

გუნდური კითხვა ძირითადად დაწყებით კლასში გამოიყენება, როცა ყველა ერთად რომელიმე სტროფს, ან პატარა ლექსს ხმამაღლა ამბობს.

ასეთია მოკლედ გამომეტყველებითი კითხვის მნიშვნელობა,



სახეები და დაუფლების გზები.

მასწავლებელმა მოხერხებულად უნდა გამოიყენოს ისინი, რადგან სწორედ გამომეტყველებითი კითხვაა ლიტერატურის თვალსაჩინოებით სწავლების ერთ-ერთი მძლავრი საშუალება.

## შინაარსის თხრობის სახეები

ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა, თხრობა, ტექსტზე მუშაობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეა, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს ლიტერატურული მასალის გააზრებულად ათვისებაში, აჩვევს მათ ლოგიკურ აზროვნებას, მსჯელობას, უმდიდრებს სამეტყველო ლექსიკურ მარაგს. თუ კითხვის პროცესში მოსწავლეები ეცნობიან მწერლის მდიდარ ლექსიკას, ახალ სიტყვებს, ფრაზებს, გამოთქმებს, ანდაზებს, თხრობის დროს ისინი პრაქტიკულად იყენებენ ამ ფრაზებსა და გამოთქმებს, ითავისებენ მას და შემდგომ მეტყველებაში იყენებენ. ასე ხდება მათი ლიტერატურულად მეტყველ, მდიდარი სამეტყველო მარაგის მქონე პიროვნებად ჩამოყალიბება. შინაარსის გადმოცემა თითქმის ყოველ გაკვეთილზე ხდება. იგი არ შეიძლება იყოს მექანიკური ხასიათის, არ უნდა მივცეთ მექანიკური დაზეპირების საშუალება. მოსწავლემ კარგად უნდა გაიაზროს წაკითხული მასალა, შეძლოს ძირითადის, მთავარის არჩევა, დაალაგოს თავის გონებაში და გადმოგვცეს. სასკოლო პრაქტიკაში არსებობს თხრობის რამდენიმე სახე:

1. შინაარსის ტექსტთან მიახლოებით, დაწვრილებით გადმოცემა;
2. შინაარსის მოკლედ გადმოცემა;
3. შინაარსის მხატვრული გადმოცემა;
4. შინაარსის შემოქმედებითი გადმოცემა.

1. ***ტექსტთან დაახლოებული,*** დაწვრილებითი თხრობა,

როგორც სახელწოდება მიგვანიშნებს, ითვალისწინებს ნაწარმოების ვრცლად, ტექსტთან დაახლოებულ გადმოცემას. თხრობაში შენარჩუნებული უნდა იქნეს მნიშვნელოვანი დეტალი, ავტორისეული სტილი და ლექსიკა. ტექსტთან მიახლოებული თხრობა შეიძლება დავავალოთ მოსწავლეს მცირე მოცულობის ნაწარმოების შესწავლისას, ან ტექსტში მნიშვნელოვანი ადგილების დასამახსოვრებლად. მაგ. ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან“ მონაკვეთები „ოთხი წელიწადი იყო“, „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას“, დღისა და ღამის შედარება, მყინვარისა და თერგის შედარება, ლელთ ღუნიას სიტყვები და ა.შ.

ტექსტთან დაახლოებით თხრობას დიდი მნიშვნელობა აქვს თხრობის სხვა სახეებთან შედარებით. იგი ყველაზე კარგი საშუალებაა მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად, მეტყველების კულტურის ასამაღლებლად.

2. ***შინაარსის მოკლედ***, შემჭიდროვებულად გადმოცემა. შინაარსის მოკლედ გადმოცემისას არ არის სავალდებულო დავიცვათ ტექსტის ყველა დეტალი, უნდა შეირჩეს მხოლოდ მნიშვნელოვანი ადგილები, ის, რომეიც ძირითად თემასთანაა პირდაპირ დაკავშირებული.

ნაწარმოების შინაარსის მოკლედ გადმოცემა მნიშვნელოვანი ჩვევაა, რაც სწორედ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა უნდა განუმტკიცოს მოსწავლეებს. იმდენად უნდა დავახელოვნოთ ისინი, რომ მოკლედ, სხარტად და აზრიანად გადმოგვცენ სათქმელი. ეს კი მასწავლებლის სწორი მეთოდური მუშაობით მიიღწევა. სისტემატურად უნდა ვავარჯიშოთ ამ მიმართულებით. ეს შესაძლებელია პირადი მაგალითით, სწორი, პრობლემური კითხვების დასმით, საჭირო კომენტარებით.

მოკლე თხრობის დროს მოსწავლე მიჰყვება ნაწარმოების სიუჟეტის განვითარების ძირითად ხაზს და გადმოგვცემს მხოლოდ იმ მთავარს, რაც თემისა და იდეის სწორად გარკვევაში დაეხმარება. ამ ხერხს მეტწილად მივმართავთ დიდი მოცულობის ნაწარმოებთა მთლიანი თუ ცალკეული თავების ცოდნის



შესამოწმებლად. მოკლე თხრობის დროს განსაკუთრებ
კარგად ჩანს მოსწავლის შესაძლებლობები, გაარჩიოს ნაწარ
მოებში მთავარი, ძირითადი და მეორეხარისხოვანი.

3. ***შინაარსის მხატვრული გადმოცემა.***

მხატვრული თხრობა შინაარსის გადმოცემის მნიშვნელო
ვანი სახეა. ამგვარი თხრობის დროს უნდა შეირჩეს მნიშვნ
ლოვანი ადგილები ტექსტიდან, უნდა იცოდეს საზეპირო ადგ
ლები და მოხერხებულად იყენებდეს თხრობის დროს. ასეთ
თხრობა ძალზე ემოციურია, ამავე დროს ამდიდრებს მოსწა
ლის სამეტყველო ლექსიკას მწერლისეული მხატვრული მეტყვე
ლების ნიმუშებით, პოეტური ფრთიანი ფრაზებით.

4. ***შინაარსის შემოქმედებითი გადმოცემა.***

სასკოლო პრაქტიკაში გავრცელებულია შემოქმედები
თხრობა. მას ახასიათებს სპეციფიკური თავისებურება. ამ შემთ
ვევაში საქმე გვაქვს მოსწავლის თავისუფალი, შემოქმედები
უნარის გამოვლენასთან. უნდა იგრძნობოდეს მოსწავლის მეტყვ
ლების დამოუკიდებლობა, შინაარსის თავისი სიტყვებით გადმ
ცემის შესაძლებლობა, ოღონდ არ უნდა შეცვალოს ნაწარმო
ბის სიუჟეტური და იდეური ხაზი. ასეთ თხრობას არ უნდ
ჰქონდეს სისტემატური ხასიათი, რადგან მოსწავლის თავისუფ
ლი მსჯელობა კი ჩანს, მაგრამ იკარგება ნაწარმოების პოეტ
რი სახეები, ხიბლი, მცირდება აღმზრდელობითი მნიშვნელობ
მოსწავლის ლექსიკა უფრო ღარიბია.

## წერითი მეტყველების სახეები

ზეპირი და წერითი მეტყველება აზროვნებისა და შემოქ
მედებითი მუშაობის აუცილებელი პირობაა, ერთმანეთთან
მტკიცედ დაკავშირებული ერთიანი პროცესია.

წერითი მეტყველება აზრის გამოხატვის უაღრესად თავ

სტური, რთული ფორმაა. ზეპირ მეტყველებაში ახალგაზრდა შეიძლება დამოუკიდებლად გაიწაფოს, მაგრამ წერის ჩვევების გამომუშავებისათვის მოსწავლეს პედაგოგის მზრუნველი ხელი და ყოველდღიური ხელმძღვანელობა სჭირდება.

მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყვევლების კულტურის ამაღლებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამ ფაქტორს: 1. მასწავლებლის სანიმუშო მეტყველება, 2. გრამატიკული ნორმების ცოდნა, სტილისტური ვარჯიშობა და 3. ლექსიკური მარაგი.

სტილისტიკის სათანადო წესების დაუფლება, გრამატიკული ნორმებისა და კატეგორიების ცოდნა აუცილებელი პირობაა აზრის წერილობით თუ ზეპირ ფორმაში სწორად გამოსახატავად. ასევეა ლექსიკური მარაგი. მისი მნიშვნელობა განუზომელია, როგორც ზეპირი, ისე წერითი მეტყველების კულტურის განვითარებისათვის. ცნობილი ფაქტია, რომ წერითი მეტყველება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ზეპირი, ის ხარვეზი, რაც ზოგჯერ ძნელად შესამჩნევია ზეპირ მეტყველებაში, თავს იჩენს ნაწერში.

ეს სირთულე და თავისებურება მასწავლებლისაგან მოითხოვს დიფერენცირებულ, სერიოზულ მიდგომას წერითი კულტურის აღზრდის საკითხებისადმი. დიფერენცირებულს იმდენად, რამდენადაც გასათვალისწინებელია მოსწავლეთა ასაკი და მომზადების დონის განსხვავებულობა.

წერითი მეტყველების განვითარებაში სამი ძირითადი ელემენტია აღსანიშნავი: პირველი- კალიგრაფია, მეორე – ორთოგრაფია, მართლწერა და მესამე – სტილისტური მხარე.

არსებობს წერის სამი სახე: საშინაო, საკლასო და საკონტროლო წერა. საშინაო დავალება წერითი მუშაობის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ფორმაა. მოსწავლეები მასწავლებლის მითითების მიხედვით სახლში ასრულებენ საშინაო დავალებას. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ საშინაო დავალება შეუმოწმებელი არ უნდა დატოვოს, უნდა აგრძნობინოს კლასს, რომ ისიც ისევე სავალდებულო და აუცილებელია, როგორც საკ-



ლასო წერა. საშინაო დავალების შესრულებისას მოსწავლე იყენებს სხვადასხვა ლიტერატურას, იმდიდრებს ცოდნის დონეს, მოცულობითაც თხზულებას უფრო დიდს წერს, რადგან დროის ფაქტორი არ უშლის ხელს.

საკლასო წერის დროს მოსწავლე დროში შეზღუდული და უფრო დაძაბულია. უნდა გვახსოვდეს, რომ წერითი სამუშაოებით ისინი არ უნდა გადავტვირთოთ, საკლასო წერა არ უნდა გავაუბრალოოთ. საშინაო და საკლასო წერა ერთმანეთს უნდა ენაცვლებოდეს. გადასვლა უნდა ხდებოდეს მარტივიდან რთულზე, ადვილიდან ძნელზე, კონკრეტულიდან ზოგადზე.

საკონტროლო წერითი მუშაობა წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის სისტემაში მოყვანისა და ამ ცოდნის შემოწმების საშუალებას. ამიტომ მასწავლებელმა საკონტროლო წერისათვის უნდა შეარჩიოს ისეთი თემა, რომელიც კლასის საერთო მომზადების დონეს შეეფერება. წინასწარ კი უნდა ჩატარდეს გარკვეული მოსამზადებელი მუშაობა. საკონტროლო წერა VII-VIII კლასებში ტარდება ყოველი მწერლის შემოქმედების შესწავლის შემდეგ, დაახლოებით ორ კვირაში ერთხელ, მაღალ კლასებში კი – თვეში ერთხელ.

წერითი მუშაობის სისტემაში გავრცელებულია შემდეგი სახეები: შინაარსი, დახასიათება, თხზულება, შედარებითი დახასიათება.

VI-VII კლასებში ყველაზე გავრცელებულია შინაარსის გადმოცემა. ეს შეიძლება შესწავლილი ნაწარმოების შინაარსი იყოს, შეიძლება – რომელიმე თავის შინაარსი ან უცხო ტექსტის წაკითხულის შინაარსი.

შინაარსის წერილობით გადმოცემის მიზანია, გამოარკვიოს როგორ აითვისა კლასმა მოცემული ტექსტი, როგორ გაიგეს ნაწარმოების თემა, იდეა, როგორ დაიმახსოვრეს მხატვრულობით გამორჩეული დეტალები, მწერლის ლექსიკა.

VI-VII კლასებში შინაარსის გადმოცემისას მოსწავლეებმა უნდა შეძლონ მთავარისაგან, ძირითადისაგან მეორეხარის-

ხოვანის გამოყოფა, VIII-IX კლასებში კი მეტი უნდა იყოს მსჯელობა, ბავშვის საკუთარ შეხედულებების წარმოჩენის ელემენტები. ამ ეტაპზე მოსწავლეს აქვს შინაარსისადმი მიდრეკილება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელმა ტექსტის მხატვრულობა დაივიწყოს. სწორედ დაბალ კლასებში, როცა მათი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება იწყება, სწორად უნდა წარვმართოთ ტექსტის იდეურ-მხატვრული გააზრება მხატვრული ნაწარმოების შესწავლისას ხდება მოსწავლის გონებრივი შესაძლებლობის, მისი აზროვნების, მეტყველების, აღქმის, მსჯელობის უნარის ფორმირება. ამიტომ მასწავლებელმა საკონტროლო წერისათვის კლასი ისე უნდა მოამზადოს, რომ მათ ნაწერში ყოველივე ეს აისახებოდეს.

უცნობი ტექსტის წაკითხულის შინაარსს როცა ვაწერინებთ, უნდა ჩავატაროთ სერიოზული მუშაობა. ლექსიკური და შინაარსობრივი კომენტირების შემდეგ კიდევ ერთხელ ვკითხულობთ ტექსტს და მხოლოდ შემდეგ ვაძლევთ დასაწერად.

*დახასიათება.* მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის დახასიათებას ძირითადად VI-VII კლასებში ვაწერინებთ. ამისათვის კლასი ტექსტზე მუშაობის პირველივე დღიდან უნდა ვამზადოთ. ტექსტიდან უნდა მივუთითოთ ადგილები, რომლეიც ამ გმირს რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს: პერსონაჟის გარეგნობა, სულიერი თვისებები, დამოკიდებულება სხვა ადამიანებისადმი და ა.შ. ტექსტის შესწავლის შემდეგ კლასის აქტიური მონაწილეობით ვადგენთ გეგმას. გეგმა სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, ძირითადი საკითხები და დასკვნა.

გმირთა დახასიათების დაწერა მოსწავლეებისაგან, მასალის ცოდნასთან ერთად, გარკვეული შემოქმედებითი მუშაობისა და ლოგიკური მსჯელობის უნარს მოითხოვს. ამისათვის მოსწავლეებს ტექსტის შესწავლისას მასალა უკვე მომზადებული აქვთ. გმირის პორტრეტი, მისი აზრები და საქმიანობა, მისი ავტორისეული დახასიათება, ნაწარმოების სხვა პერსონაჟის შეხედულებები მასზე და სხვ. დახასიათებისათვის ყოველთვის ისეთი



პირები უნდა შეირჩეს, რომელთა შესახებაც ნაწარმოები მდიდარ მასალას იძლევა. ასეთი პერსონაჟები არიან: ლუარსაბ თათქარიძე, ხევისბერი გოჩა, ონისე, თორნიკე ერისთავი, ბათუ, საფარბეგი და სხვ.

მაღალ კლასებში კი მოსწავლეებს უფრო სრულყოფილ დახასიათებაზე ვამუშავებთ, რადგან ამ ასაკში მათი გონებრივი განვითარება და მომზადების დონე იძლევა საშუალებას პერსონაჟი დაახასიათონ ეპოქის სულთან, თანადროულობის ესთეტიკურ იდეალებთან კავშირში.

მოსწავლეთა შეხედულებები, აზრები ერთიდაიგივე პიროვნების მიმართ ზოგჯერ აბსოლუტურად განსხვავებულია. ვთქვათ, ონისეს სახე. იყო თუ არა იგი დამნაშავე, არის თუ არა სუსტი ნებისყოფის, შეიძლება თუ არა ერთ სიბრტყეზე წარმოვიდგინოთ ონისესა და საფარ-ბეგის დანაშაული. იყო თუ არა ხევისბერი მართალი შვილის მკვლელობაში? ხშირად ამგვარ პრობლემატურ საკითხებზე გაკვეთილზე აზრთა სხვადასხვაობა წარმოიქმნება ხოლმე. ჩვენ არ უნდა მოვახვიოთ თავს მოსწავლეს ჩვენი ან გაბატონებულოი აზრი ამა თუ იმ საკითხზე. დაე, თვითონ იფიქრონ, იაზროვნონ, გააკეთონ დასკვნები. ასე უკეთ ხერხდება მოსწავლეთა აქტივიზაცია, ტექსტისადმი დიფერენცირებული მიდგომა, დეტალებზე ყურადღების გამახვილება, მხატვრული ტექსტის წვდომის უნარის განვითარება და თხზულების ოპტიმალურად სწავლება.

*თხზულება.* მოსწავლეთა ცოდნის ჰორიზონტის გასაფართოებლად, მათი სამეტყველო მარაგის გასამდიდრებლად, ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარის განვითარებისათვის საჭიროა მოსწავლეები ვამუშაოთ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის თემებსა და განხილვებზე. ამისათვის მათ დასჭირდებათ გარკვეული კრიტიკული ლიტერატურის, წყაროების გაცნობა, რაც მათ ცოდნის მარაგს ამდიდრებს. თხზულება ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლის აზროვნების განვითარებისა.

თემატური თვალსაზრისით IX-XI კლასებში თხზულებათა სამი ტიპი გამოიყოფა: 1. თხზულებანი ლიტერატურულ თემებზე: მიჯნურობა „ვეფხისტყაოსანში“, ეროვნულ-პატრიოტული მოტივი ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში და ა.შ. 2. თხზულებანი ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ან განყენებულ თემებზე: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. „ჩემი ხატია სამშობლო“ და სხვ. 3. ლიტერატურულ-შემოქმედებითი ანუ თავისუფალი თემები: რად მიყვარს ჩემი სამშობლო, ჩემი საყვარელი გმირი და სხვ.

## ტესტზე მუშაობა

დღეს, როდესაც გამოცდის ერთადერთი საშუალება ტესტირებაა, მასწავლებელი დიდი სირთულის წინაშე დგას. მან მოსწავლეებს უნდა მისცეს ტესტზე მუშაობის ჩვევა. ეს არც თუ იოლი საქმეა. როგორ შეძლოს მასწავლებელმა ტესტირების ჩატარება კლასში, სადაც 15 მოსწავლეზე ნაკლები არ არის.

ჩვენი აზრით, საკონტროლო წერის ტესტირებით ჩატარების წინ მასწავლებელს დიდი მუშაობა მოუხდება: მან უნდა შეადგინოს ტესტის რამდენიმე ვარიანტი, გაამრავლოს და წერის დაწყების წინ დაურიგოს კლასს, რაც საკმაოდ შრომატევადია და არც ტესტების გამრავლებაა ადვილი.

არაფრით არ შეიძლება ყველა საკონტროლო წერა ამ წესით ჩატარდეს. თუ ისეთ ტესტირებაზე ვატარებთ წერას, სადაც პასუხი მხოლოდ შემოსახაზია, ან პასუხია მისაწერი, ასეთ შემთხვევაში ჩანს ტექსტის ფაქტობრივი ცოდნა, მაგრამ არ ჩანს მოსწავლის ანალიტიკური აზროვნება, მისი ლოგიკური მსჯელობა, არ ჩანს წერის სტილი, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები, რომლის გამოსწორებაზეც მასწავლებელი სისტემატურად მუშაობს. ასეთი ტესტირებისას ვერ მოხერხდება თხზულების ანალიზი, როგორ გაიგო მოსწავლემ მწერლის პოეტური ენა, მხატვრული სახეებით აზროვნება, ვერ გახსნის გმირის ფსიქოლოგიას, ვერ შეძლებს პერსონაჟის დახასიათებას. ასეთ შემთხვევაში ლიტერატურა კარგავს თავის მრავალფუნქციურობას, იკარგება მისი, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი დარგის, როგორც აღმზრდელობითი ფუნქციის მქონე საგნის ღირებულება.



ამიტომ აუცილებელია, მასწავლებელმა ტრადიციულად დადგენილი წერის სახეებით უფრო ხშირად ჩაატაროს საკლასო თუ საკონტროლო სამუშაოები. სემესტრში ერთხელ კი ამგვარი ტესტირება. ლიტერატურის სწავლებისას, ჩვენი აზრით, ეფექტური იქნება ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების თანაარსებობა. უფრო ხშირად უნდა აწერინოს მოკლე, სააზროვნო თემები, სადაც მათი ლოგიკური მსჯელობის, სტილის, სახეებით აზროვნების უნარი გამოვლინდება და ეროვნული გამოცდების ტესტებსაც მიესადაგება. ასე მაგალითად:

როგორ გესმით? 1. რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია,

2. ქმნა მართლისა სამართლისა ხეს შეიქმს ხმელსა ნედლად,

3. სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა,

4. გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმიდეს,

5. ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია,

6. ფული რა არის?!.. ხელის ჭუჭყია...

7. მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა.

8. რა იყო ლელთ ღუნიას სატკივარი? 9. რატომ არ შეირთავდა კესო გიორგის? 10. რატომ დამარცხდა განდეგილი? 11. რატომ იკლავს თავს ჰაჯი-უსუბი? 12. მოხდა თუ არა საფარბეგის ფერისცვალება? 13. იყო თუ არა მართალი ხევისბერი, როდესაც ონისე მოკლა? 14. რატომ აღიარა ონისემ თავის უნებლიე დანაშაული. 15. შეადარეთ საფარ-ბეგი და ონისე.

ამგვარ პრობლემურ კითხვებზე პასუხის გასაცემად მივცეთ გარკვეული დრო – 20-25 წუთი. შემდეგ წავაკითხოთ ხმამაღლა, განვიხილოთ, იმსჯელონ, იკამათონ, დაასაბუთონ თავიანთი აზ-

რის სისწორე. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი თითქოს უკანა პლანზე გადადის და აქტიურდებიან მოსწავლეები, ხდება მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობა. ამგვარი მუშაობა იწვევს მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის განვითარებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია.

## გეგმის შედგენა და გეგმის სახეები

მხატვრული ნაწარმოების ტექსტზე მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი სახეა გეგმის შედგენა, რომელიც ხელს უწყობს შინაარსის შეგნებულ ათვისებას და დედააზრის სწორად გაგებას. გეგმა ამავე დროს მოსწავლეს ეხმარება ნაწარმოების კომპოზიციის კარგად დამახსოვრებაში და მათი ლოგიკური აზროვნების, წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის ამაღლების მეტად ქმედითი საშუალებაა. ამიტომ გეგმის შედგენაზე მუშაობა უნდა ვაქციოთ მოსწავლეთათვის სახალისო და საინტერესო საქმიანობად, ჩაბმული უნდა იყოს მთელი კლასი, ყველა ვარიანტი უნდა მოვისმინოთ და შევარჩიოთ უკეთესი. გეგმის შედგენა უნდა ხდებოდეს მოსწავლეთა აქტივობით, მსჯელობით, კამათით, ძიებით.

გეგმა რომ შეადგინო, კარგად უნდა ფლობდე ტექსტის იმ მონაკვეთს, რომლის გეგმასაც ადგენ, უნდა იყენებდე ავტორის სიტყვებს, შეიძლება სათაურად გამოიტანო მწერლის ფრაზა. გეგმა უსათუოდ უნდა გამოდიოდეს ტექსტიდან.

გეგმის შედგენაზე მუშაობა მოსწავლეთათვის რთული პროცესია. იგი მოითხოვს ენობრივ-ლექსიკური მარაგის სიმდიდრეს, მთავარისა და მეორეხარისხოვანის გარჩევის, მრავალი დეტალისაგან არსებითის გამოყოფის უნარს. ამიტომ მასწავლებელმა კითხვა-პასუხის ხერხის გამოყენებით კლასს უნდა



შეადგენინოს სრულყოფილი გეგმა.

უნდა გვახსოვდეს, რომ წარმოუდგენელია ტექსტის პირვე
ლი წაკითხვისთანავე გეგმის შედგენაზე მუშაობის დაწყება. ე
უნდა მოხდეს განმეორებით წაკითხვის შემდეგ, როდესაც გა
მოვცემთ ტექსტი სშინაარსს, გავაკეთებთ ლექსიკურ კომენტარ
დავსვამთ კითხვებს წაკითხულის გარშემო და მოვთხოვთ მა
მოიფიქრონ გეგმისათვის სათაურები. გეგმაზე მუშაობა უნდ
იყოს მოსწავლეთათვის სახალისო საქმიანობა.

გეგმის სახეები. სასკოლო პრაქტიკაში გამოიყენება მარტ
ვი და რთული თემატური გეგმები, VII-VIII კლასებში მარტივ
გეგმა, როცა ნაწარმოები იყოფა მთავარ ნაწილებად და მათ ვურ
ჩევთ სათაურს, ხოლო IX-XI კლასებში კი რთული გეგმა. რთულ
გეგმაში მთავარი საკითხი იშლება ქვესაკითხებად. სქემატურა
ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ

1.

ა.

ბ.

2.

ა.

ბ.

გ.

მეთოდიკურად გაუმართლებელია დიდტანიანი ნაწარმო
ბის აგეგმვა. უნდა მოხდეს ტექსტის დოზირება. VII კლასში დაა
ლოებით 2-3 გვერდიანი ტექსტი, მერვე კლასში 4-5 გვერდ
მოსწავლეები უნდა მივაჩვიოთ მარტივ გეგმაზე მუშაობას, რო
შემდეგ გაუადვილდეთ რთულზე მუშაობა.

როდის, როგორი სახის გეგმაზე უნდა ვამუშაოთ კლასი,
მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს.

არსებობს ლოგიკურ-შინაარსობრივი და იდეურ-კომპ
ზიციური გეგმა. მარტივ და რთულ გეგმას ფორმის მიხედვ
შეიძლება ლოგიკურ-შინაარსობრივი ვუწოდოთ. ხოლო იდეუ
კომპოზიციური გეგმის შედგენისას მოსწავლეებმა უნდა იცო

ჩვენ რომელი ეპიზოდი წარმოადგენს კვანძს, მოქმედების განვითარებას, კულმინაციას, კვანძის გახსნასა და ფინალს.

პოემა „სტუმარ-მასპინძელის“ გეგმა ასეთი იქნება:

1. კვანძი. ჯოყოლას მიერ ზვიადაურის შინ სტუმრად წაყვანა;

2. მოქმედების განვითარება: ა) „დღეს ერთი ცნობა, ხვალ ძმობა“;

ბ. „ქისტებო, ჩვენი მოსისხლე შემოგვეპარა ღამითა“;

გ. მოყურიადეზ გაგზავნა;

დ. ქისტების მიერ ზვიადაურის შეპყრობა

ე. ჯოყოლას მიერ სტუმრის დაცვის ცდა.

3. კულმინაცია-თემის მიერ თავისი რჩეული წევრის უფლების შელახვა და ჯოყოლას მხრივ თავისი ღირსების დაცვა;

4. კვანძის გახსნა – ზვიადაურის გმირული სიკვდილი და მისი გაელენა ქისტებზე.

5. ფინალი- ჯოყოლას დაღუპვა ხევსურებთან ბრძოლაში, ლეგენდა.

## ტექსტის ანალიზზე მუშაობა

მხატვრული ნაწარმოების შესწავლის შემდეგ გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი ეტაპია – ტექსტის ანალიზი.

ყოველი ნაწარმოების ანალიზს განსხვავებული ხერხით უნდა მივუდგეთ. მაგრამ ერთი, რაც საერთოა ყველასათვის, ესაა თემისა და იდეური შინაარსის სწორად განსაზღვრა. მოსწავლეთა ყურადღებას თავიდანვე წარვმართავთ იმ ძირითადი პრობლემებისაკენ და იმ ძირითად მოტივებზე, რაც ნაწარმოებში დააყენა მწერალმა.

გაკვეთილს, რომელზედაც ხდება ნაწარმოების იდეური შინაარსის გახსნა, თან უნდა ახლდეს მასწავლებლის განმაზოგადებელი, შემაჯამებელი დასკვნები, რაც მაორიენტირებელი იქნება მოსწავლეთათვის. ყურადღება უნდა გამახვილდეს ნაწარმოების ჟანრობრივ ხასიათზე, კომპოზიციაზე, მის აგებულებაზე.

ტექსტის ანალიზის დროს ერთ-ერთი მთავარია მოქმედი პირის დახასიათება, რადგან პერსონაჟი ყველაზე სრულად გამოხატავს ნაწარმოების ძირითად აზრს, ავტორის შეხედულებას, პოზიციას, განწყობას.

პერსონაჟის დახასიათება უნდა ემყარებოდეს ტექსტს, ციტატებს, ფაქტობრივ მასალას; ამით წინა პლანზე წამოვწევთ და გამოვკვეთავთ მწერლის პოზიციას.

ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზზე მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ მწერლის ენას – თხზულების პოეტურ ქსოვილს, გამოსახვის საშუალებებს, მის მხატვრულობას, სიღრმეს, ემოციურობას. მოსწავლეებს უნდა გავაცნობიერებინოთ, რომ ნაწარმოებში ერთია მწერლის ენა და მეორე – მოქმედი პირის ენა. ბუნებრივია, პერსონაჟის ენა ეს იგივე მწერლის ენაა, მაგრამ მათი სამეტყველო ლექსიკა სხვადასხვაა. მწერლის ოსტატობა, სიდიადე სწორედ ამითაც ვლინდება, რომ პერსონაჟის მეტყველების კოლორიტულობით შექმნას იმ გმირის სახე ისეთი, მის სოციალურ წრეს, მის განათლებას, მის ხასიათს შეეფერებოდეს.

სულ სხვაა მწერლის ენა. იგი წმინდად ლიტერატურული, მდიდარი, ეროვნულ ნიადაგზე მდგომი პოეტური სიტყვაა. ასევე ცალკე უნდა მოხდეს ნაწარმოების პოეტური ენის ანალიზი. რა ხერხებს იყენებს მწერალი თავისი სათქმელის გამოსახატავად, სრულად გადმოსაცემად. აქვე მოსწავლეთა ყურადღებას წარვმართავთ ლიტერატურის თეორიაში შესწავლილი სხვადასხვა საკითხებისადმი, ასევე უნდა გაკეთდეს პეიზაჟისა და სხვა სახის აღწერათა ანალიზი. ნაწარმოების გააზრებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს არა იმაზე, რაც ზედაპირულად ჩანს და თვალშისაცემია პირველივე წაკითხვისას, არამედ ქვეტექსტებზე, რომელიც კრიტიკული აზროვნებით, ანალიტიკური მსჯელობით, პრობ-

ლემური კამათით მიიღწევა.

წარმოვადგენთ ტექსტის ანალიზის ერთ ნიმუშს. ვაჟა-ფშაველა, „ალუდა ქეთელაური“.

მასწავლებლის შესავალი სიტყვა:

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების უდიდესი მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ მან წინ წამოსწია საზოგადოებრივი ცხოვრების მარადიული პრობლემები და ყოველი მათგანი საკაცობრიო მნიშვნელობის დონეზე გადაწყვიტა. მართალია, მწერალი ფონად ირჩევს საქართველოს მთიანეთისა ან მისი მეზობელი კუთხეების ყოფას, მაგრამ ქრისტიანული თუ მაჰმადიანური თემის მიღმა ადვილად ალვიქვამთ ნებისმიერ საზოგადოებას, რომელსაც აქვს თავისი ცხოვრების კანონები და ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მორჩილებაში იყოლიოს საზოგადოების ყოველი წევრი.

პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების აქტუალური თემაა. ვაჟამ კარგად იცის, რომ მხოლოდ საზოგადოების საუკეთესო, რჩეულ წევრებს ძალუძთ, ხმა აღიმაღლონ დრომოჭმული, პიროვნების დამთრგუნავი, თავისუფლების შემზღუდავი ადათ-წესების წინააღმდეგ. საზოგადოება დაუნდობელია ასეთი პიროვნებების მიმართ. იგი ცდილობს, ჯერ მორალურად გაანადგუროს მოჯანყე პიროვნება, დასაწყისშივე ჩაახშოს მისი მართალი ხმა და თუ ამით ვერას გახდა, მაშინ ფიზიკურად უსწორდება მეამბოხეს. მაგრამ სიკეთისა და სიმართლისათვის მებრძოლი რაინდები ამ უთანასწორო ბრძოლაში უკან არ იხევენ და თავიანთი კეთილშობილური იდეალების ერთგულნი რჩებიან. ეს კი მათი მორალური გამარჯვებაა. ამ გამარჯვებამ უნდა გაამხნევოს მკითხველი, რწმენით აღავსოს იგი და შთააგონოს, რომ პიროვნული თავისუფლება ყველაზე მაღალი ფასეულობაა და აქედან გამომდინარე, იგი ყოველი კაცის იდეალია. სწორედ ამ მარადიულ პრობლემას ეძღვნება ვაჟა-ფშაველას ეპოსის ერთ-ერთი შედევრი „ალუდა ქეთელაური“. ჩვენ უკვე შევისწავლეთ პოემის ტექსტი, რაც საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ მწერლის მთავარი სათქმელი, ეი... გავარკვიოთ ნაწარმოების დედააზრი, დავახასიათოთ მთავარი პერსონაჟი, როგორც პროგრესისათვის დაუცხრომელი მებრძო...ლის განზოგადებული სახე და ხევსურეთის ერთ-ერთი ქრის...ტიანული თემის მიღმა დავინახოთ ნებისმიერი საზოგადოება, რომელიც თავის დოგმებს ამოფარებული, სასტიკი და ულმობე...ლია რჩეული, სამომავლო გზების მკვალავი პიროვნების მიმართ.



კითხვა: სად ხდება მოქმედება?

***მოსწავლე:*** მოქმედება ხდება ხევსურეთის ერთ-ერთ... ცნობილ სოფელში, შატილში. პოემის პირველივე სტრიქონები გვაცნობს, რომ შატილში მაცნე მოსულა და ამბავი მოუტანია, ქისტები თავს დასხმიან მწყემსებს და წაუსხამთ ხევსურთა ცხ...ნები.

***მასწავლებელი:*** საიდან ჩანს, რომ პოემის მთავარი გმი...რი — ალუდა ქეთელაური თემის რჩეული წევრია?

***მოსწავლე:*** ალუდა ქეთელაურს საფიხვნოს თავში უთმო...ბენ ადგილს, იგი ნამდვილი ვაჟკაცია, კაი ყმაა, სწორ ფიქრს აძ...ლევს თემს — სოფელს, „სიტყვა მაუდის გზიანი“.

***მასწავლებელი:*** ეს რჩეულობა ალუდას მარტო სიტყვით კი არა, უპირველესად საქმით დაუმკვიდრებია. იგი მტერს ღირ...სეულ პასუხს აძლევდა მუდამ. „ბევრ ქისტს მოაჭრა მარჯვენა, სცადა ფრანგული ფხიანი“. ალუდა, როგორც ნამდვილი კაი ყმა, თოფ-იარაღს გამართულს ინახავდა. იგი თავს ვალდებულად თვლის შატილიონთა შორის პირველი დაედევნოს მოძალადეებს, ავტორი მხატვრულ სამკაულებს არ იშურებს მთავარი პერსო...ნაჟის ვაჟკაცობის დამადასტურებლად. მაინც რომელს გამოყოფ...დით?

***I მოსწავლე:*** „ცისკრის ხანია, მტერს მისდევს,
კლდის შავარდენი ჩქარიო“.

***II მოსწავლე:*** „ხმა ალუდაის თოფისა,
ჯეხასა ჰგვანდა ცისასა“.

***მასწავლებელი:*** კაი ყმა, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრი...

ეს გმირია, მის ზნეობრიობას საძირკვლად ედება რელიგიური რწმენა. უფლის სიყვარული, უფლის შიში ადამიანს სრულყოფილ პიროვნებად აქცევს. საიდან ჩანს, რომ ალუდა თავისი სალოცავის ერთგულია?

***მოსწავლე***: ქისტ მუცალთან ორთაბრძოლის ჟამს ალუდას სწამს თავისი გამარჯვება, უვნებლობისა და მოწინააღმდეგის იმახიანად უკიჟინებს:

„არა სჭირს, არა, რჯულ-ძაღლო,
ყმასა გუდანის ჯვრისასა.
გამმარჯვეედ ჯვარი დაჰყვების,
ძალს შაახვეწებს ღვთისასა“.

***მასწავლებელი***: მაშასადამე, ალუდა ნამდვილი ვაჟკაცია, ძალით, ზნეობით, სიტყვაგზიანობით. ასეთმა კაცმა ყველაზე უკეთ იცის და ყველაზე მეტად შეუძლია სხვისი ვაჟკაცობის დაფასება, თუნდაც ეს სხვა მტერი იყოს. ასე დაემართა ალუდასაც. მუცალის სახით მან ღირსეული მოწინააღმდეგე დაინახა. გულში დაჭრილ ქისტს ნიავისაგან თმის ღერის შერხევაც კი ტკივილს მოჰგვრიდა. ამ დროს ერთადერთი სასურველი მდგომარეობა (თუ კი შეიძლება მას სასურველი ვუწოდოთ) გაუნძრევლად ყოფნაა. მან კი რა მოიმოქმედა?

***მოსწავლე***: იმდენად განუზომელია ქისტში მოწინააღმდეგის დამარცხების სურვილი, რომ ჯოჯოხეთური ტკივილის მიუხედავად, მოგლიჯა ბალახი და ჭრილობაში ჩაიტენა. ამით წუთიერად გაიხანგრძლივა სიცოცხლე და „ერთიც ესროლა ალუდას, ხანს არა ჰკარგავს ცდისასა“.

***მასწავლებელი***: ალუდამ ქისტი მუცალის სახით ნამდვილი ვაჟკაცი დაინახა. იგი, როგორც კაი ყმის წესია, კვდება, მაგრამ ისე, რომ „ტკივილს არ გამოიტყოდეს“. ალუდა იმანაც შეძრა, რომ მუცალმა თავად გადაუყარა იარაღი ალუდას და მიაძახა: ახლა შენ იყოს რჯულძაღლო, ხელს არ ჩავარდეს სხვისასა“. და ამით განაცხადა რაინდისათვის დამახასიათებელი ჭეშმარიტება — რახან სიკვდილი მიწერია, სჯობს შენნაირი ვაჟკაცის ხელით



მოვკვდე, ხოლო ჩემი იარაღი ატაროს ჩემმა მკვლელმა, მაგრამ ღირსეულმა ვაჟკაცმა, იარაღის ღირსეულმა მატარებელმა.

ალუდა შეძრა მუცალის სიკვდილმა და არა მარტო შეძრა, თვალი აუხილა, დაინახა, რომ მტერთა შორისაც ყოფილან რჩეულნი, ღირსეულნი, ვინც თაყვანისცემას იმსახურებენ. გადმოეცით ქისტის ვაჟკაცური აღსასრულით სულშეძრული ალუდას მოქმედება.

***მოსწავლე***: „ალუდას თოფი არ უნდა,
ატირდა, როგორც ქალიო,
არ აჰყრის იარაღებსა,
არ ეხარბება თვალიო“.

მან მუცალს თავით სპილოს ძვლით შეჭედილი ხმალი დაუდვა, გულზე- თოფი, მკლავზე კი — ფრანგული ხმალი. სიგრძივ ნაბადი გ ადააფარა და ზედ გადაადვა ფარი, თან გულმხურვალეედ დაიტირა:

„ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო,
მკლავზედაც გებას მარჯვენა,
შენზედ ალალი არიო,
შენ ხელს შენს გულზედ დამიწდეს,
ნუმც ხარობს ქავის კარიო,
კარგი გყოლია გამდელი,
ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო“.

მასწავლებელი: ეს სიტყვები ნათლად მოწმობს, რომ ალუდამ მამაპაპური ადათი — მოკლული მტრისათვის მარჯვენის მოჭრისა, დაარღვია ვაჟკაცობის სახელით. სწორედ ვაჟკაცობა, გმირობაა ის უზენაესი თვისება, რომელიც საძირკვლად ედება ჰუმანიზმს, დამარცხებული მტრის სიბრალულს. ალუდა „მარჯვენას არ სჭრის მუცალსა, იტყოდა: „ცოდვა არიო“. ამავე დროს მისი ძმა არ დანანებია მარჯვენის მოსაჭრელად. მაშასადამე გამოდის, რომ ალუდა თავდაპირველად წინააღმდეგია არა საერთოდ მოკლული მტრისათვის მარჯვენის მოჭრისა, არამედ

მხოლოდ ვაჟკაცურად დაღუპული მტერი ენანება მარჯვენის მოსაკვეთად. ალუდას არსებაში თანდათან იმატა გმირულად დაღუპული ქისტი მუცალის ხიბლმა. მუცალი გარდა იმისა, რომ არაჩვეულებრივად ძლიერი ვაჟკაცი იყო და შთამბეჭდავად იბრძოდა, მას კარგად შეეძლო კაი ყმის დაფასება. იგი კვდება და მომაკვდავი მისი ძმისა და მის მკვლელს უტოვებს თავის იარაღს, რომ ღირსეულმა ვაჟკაცმა, იარაღის ღირსეულად მატარებელმა- ალუდამ ატაროს იგი და ვინმე ლაჩარს არ ჩაუვარდეს ხელთ. სწორედ ამ ფაქტმა შეძრა, ამან მოახდინა წარუშლელი შთაბეჭდილება ალუდაზე. ქეთელაურს არ შეიძლება, წინასწარ არ სცოდნოდა, როგორ შეხვდებოდნენ შატილიონნი მის მიერ მუცალის ამგვარ დახასიათებას – ,,იმ ცხონებულსა მუცალსა, რკინა სდებიყო გულადა“, მაგრამ მას პასუხი მზად ჰქონდა: ,,მით ვაქებ ვაჟკაცობასა, არ იყიდება ფულადა“. ეს იმგვარი ჭეშმარიტებაა, რომელიც ყველა ტომისა და ყველა სარწმუნოების კაცზე ვრცელდება. ქეთელაური ამ ჭეშმარიტების ზოგადი განცხადებით არ კმაყოფილდება და დაწვრილებით აღწერს მუცალის ვაჟკაცურ სიკვდილს.

ალუდასათვის, როგორც მორწმუნე ადამიანისათვის, შეურაცხმყოფელი და აღმაშფოთებელია რჯულის გინება, მაგრამ მომაკვდავი მუცალის ამ უკანასკნელ სიტყვებშიც მისი შეუდრეკელობა დაინახა და ამიტომ განუცხადა მოძმეთ: ,,სულს არ აცლიდა ამოსვლას, კიდევ მიხსენა რჯულია“.

მთის წვერიდან საზვაოდ აგორებულ გუნდას ემსგავსება ალუდას გულში დაძრული სიბრალული მუცალის მიმართ. მის არსებაში უცნაური სინათლე ისადგურებს. იგი პირველად უყურებს მტერს იმგვარი თვალით, რომ მასშიც შეიცნოს ღირსეული ადამიანი. აქედან გამომდინარე, ქეთელაურს ეჭვი შეაქვს ზოგიერთ სათემო დოგმაში. აბა, გადმოეცით პოემის ეს მონაკვეთი:

***მოსწავლე***: ,,ჩვენ **ვიტყვით, ვაცნი** ჩვენა ვართ,
მარტოთ **ჩვენ გვზდ**იან ღღანი;
ჩვენა ვსცხონდე**ბით**, ურჯულოთ,



კუპრში მოელის ქშენა**ნი.**
ამის თქმით ვწარამარაობთ,
ღვთისშვილთ უკეთეს იციან.
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჰფიციან?!“

***მასწავლებელი***: მინდა საგანგებოდ შევჩერდე სიტყვაზ ვწარა-მარაობთ. იგი გულისხმობს, რომ კაცი არამართალს ლა პარაკობს და თან როშავს. ვაჟას ენა ეყრდნობა ფშაურ და ხევსუ რულ კილოებს, მაგრამ ამავე დროს სტილიზებულია მწერლი მიერ ამ სიტყვის აბსოლუტური შესატყვისი სალიტერატურო ენაშ არ არის.

კარგად დავუფიქრდეთ ალუდას ამ ნათქვამს! როგორ ფიქ რობთ, რომელი უფრო მეტად შეაშფოთებს თემს, რომელში უფ რო მეტად დაინახავენ ქეთელაურის წინააღმდეგობას – მუცალი სათვის მარჯვენის არ მოჭრასა თუ კითხვის დასმაში? – ,,ყვე ლანი მართალს ამბობენ, განა ვინაცა ჰფიციან?!“ იმით, რომ ალუ დამ ეჭვი შეიტანა ზოგიერთ სათემო დოგმაში, აშკარად გამოი ვეთა მისი წინააღმდეგობა. თემი ახლა ნაცად გზას მიმართავს დასაწყისშივე უნდა ალკვეთოს თავისი წევრის წინააღმდეგობა ამიტომ იგი ნამდვილ სახელს არ არქმევს ალუდას საქციელს და თავის რჩეულ წევრს ლაჩრობას სწამებს:

“გამოჰქცევიხარ ქისტიშვილს,
გაღუქცევიხარ ქალადა,
მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ,
უკვენ მისდევდი მა, რადა?!“

ეს იმგვარი ბრალდებაა, რომელმაც გონს უნდა მოიყვანო ქეთელაური. ის ადამიანები, ვინც გუშინ ალუდას თაყვან სცემდნენ, დღეს ზურგს აქცევენ. მათი მისამართით მწერალი ასეთ ეპითეტებს იყენებს: ,,პირითა ჯავრიანითა... გულითა ნარიანი თა“. მაგრამ ალუდა იმგვარ სინათლეს, იმგვარ ჭეშმარიტებას ეზიარა მუცალის გმირული სიკვდილით, რომ ამიერიდან მას ძვე ლებური აზროვნება აღარ შეუძლია. პირიქით, იგი ახალ ჭეშმა

ტებას აღმოაჩენს, როდესაც ალუდას მეგობარმა მინდიამ ქეთელაურის ვაჟკაცობის დასტურად მუცალის მოკვეთილი მკლავი მიტანა, ალუდამ უსაყვედურა მინდიას და ამ საყვედურში გამოიკვეთა, რომ იგი ღრმად უფიქრდება მარჯვენის მოკვეთის ბარბაროსულ ადათს, მის საფუძველს და რწმუნდება ამ წესის აღსრულების აუცილებლობაში. აბა გავიხსენოთ პოემის ეს მონაკვეთი:

***მოსწავლე***: „თუ ხელის მოჭრა მდომიყო,
გან ვერ მოესჭრიდი თავადა?
ვერ გიქნავ კარგად, მინდიავ,
საქმე მოგირთავ ავადა;
რაად მინდარის, ვერ მიხმლობს,
არ გამოდგება ფარადა,
მთაში წავიდო, არ მითიმს,
არ მარგებს თივის კავადა.
წაიღე, თუ გწამ უფალი,
ნულარ მაჩვენებ თვალითა,
კაი ყმის მარჯვენა არი,
გული მეწვება ბრალითა.
რადა სწყრებიან ხევსურნი,
რადა სტყვრებიან ჯავრითა?!
მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოესჭრი
მარჯვენას მაგათ ჯაბრითა!“

***მასწავლებელი***: თუ ქეთელაური თავდაპირველად წინააღმდეგი იყო მხოლოდ ვაჟკაცურად დალუპული მტრისათვის მარჯვენის მოკვეთისა, ახლა მისთვის ნათელი გახდა ამ წესის „ცოდვა-ბრალიანობა“, საეროთოდ უკუაგდო იგი და მტკიცედ განაცხადა:

„წესი არ არის მტრის მოკვლა,
თუ ხელ არ მასჭერ დანითა“.
ვაი ეგეთას სამართალს,
მონათლულს ცოდვა-ბრალითა!..“



ალუდას ამგვარი ფერიცვალება გასაოცარი დამაჯერებლობით აქვს მწერალს გადმოცემული. ქეთელაურის განწმენდის გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია მისი სიზმარი. თქენ არაერთ ნაწარმოებში შეგხვედრიათ სიზმარი, რომელსაც ძირითადად სიმბოლური დანიშნულება აქვს. დამეთანხმებით, რომ ალუდას სიზმარი თავისი სიმძაფრით, თავისი დრამატიზმით, ყველაზე უფრო სულისშემძვრელია (გავიხსენოთ კირილე მღვდლის სიზმარი, კვირიას სიზმარი...) გადმოეცით მისი შინაარსი!

***მოსწავლე***: ალუდას ესიზმრა, რომ მიცვალებულის სატირლად, როგორც ვაჟა ამბობს, „რიგში“ იყვნენ ხევსურნი. მამაკაცები სალაშქროდ გამოწყობილიყვნენ. მათ შორის ალუდაც იყო. როცა წასვლის დრო დადგა, ვიღაცამ ხელი მოჰკიდა და მარჯვენაში ხანჯლის ტარი ჩაუდვა. ეს ქისტი მუცალი იყო. ჯაჭვის პერანგიან ვაჟკაცს ნატყვიარი აჩნდა მკერდზე. შიგ ჩაფენილი მწვანე ბალახი ახლა ლეგა ფერის გამხდარიყო.

„კლდედ იდგა, გაუტეხლადა,
ცრემლ არ ჩამოსდის თვალისა.
“მინდა სიკვდილი, არ ვკვდები,
მომკალო, მითხრა ხვეწნითა.
თქვენ დაგრჩეს წუთისოფელი,
მე კი წავიდე ქვეყნითა,
დაძღით, ხევსურთ შვილებო,
ლაშქრობით, ხმლების ქნევითა“.

შეშფოთებული ალუდა დაჯდა. ვიღაცამ წინ კაცის ხორცის წვნიანი დაუდგა. მართალია, ზარავდა, მაგრამ მაინც ჭამდა, ვიღაც უხილავის ხმა აძალებდა, ჭამეო, ბრძანებას სცემდა, „კიდევ მიმირთვით ალუდას წვენ-ხორცი გაცხელებულიო“ და უმატებდნენ ალუდას კაცის ულვაშით სავსე წვნიანს.

***მასწავლებელი***: ეს საზარელი სიზმარი დასტურია იმისა, თუ როგორ სულშეძრულია ალუდა მუცალის სიკვდილით. იგი ერთგვარად მიგვანიშნებს, რომ ქეთელაური უკან არ დაიხევს.

ის კითხვის ქვეშ აყენებს არამარტო მუცალის მოკვლის, თუ მისთვის მარჯვენის მოჭრის საჭიროებას, არამედ ხევსურთა გაუთავებელ მტრობას ქისტების მიმართ. სხვანაირად სიზმარში არ გაჩნდებოდა მუცალის საყვედური:“ დაძელით, ხევსურთ შვილებო, ლაშქრობით ხმლების ქნევითა!“ აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, ალუდამ უნდა იზრუნოს და ჯერ საკუთარი სინდისი უნდა დაიმშვიდოს და ამ სინანულით თანამედროვენიც დააფიქროს. ამიტომ მიჰყავს ალუდას ხატობაზე შავი კურატი მუცალის სულის სამხვეწროდ და მუდარით მიმართავს ხევისბერ ბერდიას:

“კარგადაც დამიმწყალობნე,
გამიმეტებავ მისთვინა,
როგორც უნდობლად მოკლულის
თავის ლამაზის ძმისთვინა!...“

ალუდას არც მაშინ შეუცვლია თავისი მოთხოვნის კილო, როცა ბერდიამ მკაცრად შეაგონა მისი საქციელის გაუმართლებლობა და ისიც კი შეახსენა, „ეშმაკს მისდევო“. და როცა კვლავ რისხვით სავსე უარი მიიღო, ალუდამ ერთხელ კიდევ დაარღვია სათემო წესი. გადმოეცით პოემის ეს ეპიზოდი!

***მოსწავლე***: იმით, რომ ალუდამ თვითონ გააგდებინა კურატს თავი, მან დაარღვია ხატისათვის მსხვერპლშეწირვის სათემო წესი. ის, რაც ხევისბერის მოვალეობა იყო, ქეთელაურმა თვითონ აღასრულა. პოემის ეს მონაკვეთი მნიშვნელოვანია არა მარტო იმით, რომ აქ ქეთელაურსა და თემს შორის წინააღმდეგობა თავის კულმინაციას აღწევს, არამედ მხატვრული თვალსაზრისითაც. იგი გასაოცარი ძალით აცოცხლებს მოჯანყე, ბობოქარ ქეთელაურს და ამავე დროს ქისტი მუცალის სულის მაეედრებელ რაინდს.

„გაჯავრდა ქეთელაური,
ფერი დაიდვა მგლისაო,
ხელი გაიკრა ფრანგულსა,
შუქი ამოხდა მზისაო.



უქნივა მოზვერს ქედზედა,
თავი მიგორავს ძირსაო.
თან შაეხვეწა ბატონსა,
ნუ შამიცოდებ შვილსაო,
ალლადა ჰქონდეს მუცალსა,
მაგ მოუნათლავ გმირსაო“.

***მასწავლებელი***: ამ მოვლენამ თემს დაანახვა, რომ ალუდას მოდრეკა ვერც ცილისწამებით (“გამაქცევიხართ ქისტის შვილს“), ვერც შეგონებით (გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ, ურჯულოვდები მაგითა“), ვერ მოხერხდება. მას ერთი გზა რჩება – ფიზიკურად გაუსწორდეს მოჯანყე პიროვნებას, გაწიროს იგი, დაივიწყოს მისი დამსხაურება თემის წინაშე. „ჯაგარაშლილი“ ბერდია ალუდას მოკვეთს თემობიდან. განრისხებულმა ხევსურებმა კაპასად ააქღარუნეს იარაღი. ერთადერთი მინდია იყო, რომელსაც „მაუწყლიანდა თვალები“ და გულხელდაკრეფილმა ვერაფერი უშველა მეგობარს.

პოემის ფინალი ალუდას მორალურ გამარჯვებაზე მეტყველებს. იგი უდიდესი გულისტკივილით ეთხოვება მშობლიურ სალოცავს, სოფელს, საჯიხვეებს, საკუთარ სახლ-კარს, მაგრამ არ ნანობს თავის საქციელს. თავის ხვედრს ღვთისაგან მოვლენილად თვლის და უწყრება ოჯახის წევრებს: „ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწევთ, ნუ გადიქცევით ცეტადა!“ და მიუხედავად ამისა, იგი მაინც ტრაგიკული პიროვნებაა, რატომ?

***მოსწავლე***: ერთი შეხედვით ალუდა ტრაგიკული პიროვნებაა იმიტომ, რომ იგი სამუდამოდ გამოეთხოვა თავის მშობლიურ მიდამოს, ნაშრომ-ნაამაგარს, მაგრამ სინამდვილეში ალუდას ტრაგიზმის სათავე არის ის, რომ მისი სიმართლის გაგება არ სურს იმ ხალხს, რომელიც უყვარს, რომლის სიკეთისთვისაც იბრძვის. მაგრამ რადგან იმ ხალხში ერთი მაინც ურევია მინდიას სახით, ვინც თანაუგრძნობს ქეთელაურს, ის ერთი შეიძლება იმედის სხივად აღვიქვათ.

***მასწავლებელი:*** როგორც გაკვეთილის დასაწყისში

ენიშნეთ, პოემის მოქმედების ადგილი- ხევსურეთის ერთ-ერ-
სოფლის- შატილის თემი- მხოლოდ ფონია მწერლისათვის ღრესად ტიპიური მოვლენების საჩვენებლად და ამ კონკრე-ლი თემის – კერძოდ, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერ-ობის გასაშუქებლად. ამაში ჩვენ არაერთგზის დავრწმუნდით, ოდესაც მთავარ პერსონაჟს ვახასიათებდით. მინდა თქვენი ხმარებით კიდევ ერთი ეპიზოდი გავაანალიზო, რომ კიდევ უფ-ნათელი გახდეს ამ კერძო შემთხვევის ზოგადი ხასიათი. ხოვთ გაიხსენოთ, რა ბედი ეწია მუცალის მარჯვენას?

***მოსწავლე:*** როდესაც ალუდამ უარი თქვა მუცალის მოჭ-ილი მარჯვენის მიღებაზე და მინდია მიხვდა, რომ ამით მეგო-რის გული ატკინა, მან მარჯვენა ხევში გადაისროლა. იქედან ორანს ამოეთრია და ბრჭყალებით მიჰქონდა. ერთ-ერთმა აწვილმა ისარი სტყორცნა ყორანს და გამოხრული მარჯვენა აგდებინა ძირს. ბალღებმა აიტაცეს და ხატობაზე თავშეყრილ ვსურებს მიართვეს. ბერდიამ ბრძანა, რომ იქედან მოეშორე-ინათ „ტოტი ურჯულო ძაღლისა“. ხევსურებმა ძაღლს მიუგდეს ჭმელად, მაგრამ „პირი არ ახლო ქოფაკმა, მორთო ღმუილი რალისა“. ხევისბერმა კი ნიშნისგებით თქვა:

„ხევსურნო, ნახეთ თვალითა,
ძაღლი ძაღლის ძვალს არ სტეხსო,
თქმულია იმავ თავითა“.

***მასწავლებელი***: ალუდას მიერ მუცალი დახატულია, რო-ორც უებრო ვაჟკაცი, ნამდვილი რაინდი. მას ყველა ღირსება ქვს, რაც უნდა ჰქონდეს ვაჟკაცს. მხოლოდ ეს არის, რომ მოუ-ათლავია. ამიტომ მისი სულის დაურვებას იმით ცდილობს, რომ ურატი მიჰყავს შესაწირავად, ალუდას საპირისპიროდ კი თემი უცალს ახასიათებს, როგორც ძაღლს, და ბუნებრივია, საამისოდ აკმაოდ უსუსური საბუთი ექნება, რადგან სიმართლე ქეთელაუ-ის მხარეზეა. აი, სწორედ ამგვარი საბუთია; ძაღლი ძაღლის ვალს არ ტეხსო“. ხატობის ჟამს, როდესაც უამრავი საკლავი აიკლა და ძაღლებიც ფრიად დამსუყებულნი იქნებოდნენ მო-



ხარშული და გემრიელი ხორცით, რას გამორჩბეოდნენ მუცა-ლის ყორნებისაგან გამოხრულ კაი ხნის წინ გადაგდებულ მარ-ჯვენას. მაგრამ ხევსურთ საბუთი სჭირდებათ, რომ დაამტკიცონ ქისტის ძაღლობა და ამ საბუთის უსუსურობას არად დაგიდევენ.

ყოველივე ზემოთქმული, იმას მოწმობს, რომ ვაჟა-ფშავე-ლა, ერთი შეხედვით, უაღრესად ეროვნული ხასიათის მქონე მწე-რალი, ჭეშმარიტად საკაცობრიო მნიშვნელობის შემოქმედია. ვა-ჟას წადილი ერთია – პიროვნება თავისუფალი უნდა იყოს. ამის გარეშე შეუძლებელია ბრძოლა კეთილშობილური იდეალები-სათვის.

ვაჟას პოეტური შემოქმედების სწავლების შესახებ სამეც-ნიერო ლიტერატურაში მდიდარი მასალა მოიპოვება, მაგრამ ჩვენ შევეცადეთ საგანმანათლებლო სისტემაში დამკვიდრებუ-ლი ტრადიციული სწავლების ფორმების გვერდით წინა პლანზე წამოგვეწია ისეთი საკითხი, როგორიცაა კონტრასტების გამო-ყენება **„ბახტრიონის“** სწავლებისას.

ვაჟას ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული ანალიზისას მასწავლებელს შესაძლებლობა ეძლევა, წინა პლანზე წამოსწიოს მრავალი ისეთი საკითხი, რომელიც თითქოს დეტალია, მაგრამ თხზულების ანალიზისათვის, მხატვრული ქსოვილის ემოციური განსაზღვრისათვის დიდ როლს თამაშობს.

გაკვეთილზე ვიყენებთ დიალოგის, თხრობის მეთოდს, ვიყე-ნებთ დისკუსიას, ძიება-აღმოჩენის გზას, ვსვამთ მაპროვოცირე-ბელ კითხვებს.

კონტრასტულ მოვლენებს ვაჟა იყენებს სათქმელის უფრო მკვეთრად, მკაფიოდ წარმოჩენისათვის. ერთმანეთთან დაპირის-პირებული ორი ძალა, მოვლენა, ხასიათი, მოქმედება ყოველთვის განსაკუთრებული რელიეფურობით ფიქსირდება ადამიანის ცნო-ბიერებაში.

იმ მიზნით, რომ თავიდანვე მტკიცე კალაპოტში მოექცეს მოსწავლეთა ყურადღება და ინტერესი, წარიმართოს იგი მიზან-დასახული მიმართულებით, გაუადვილდეთ ნაწარმოებში გამო-

ხატული მოვლენების, კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის სწორად წარმოდგენა, გაუძლიერდეთ სიყვარული მწერლისადმი, დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის შესავალ სიტყვას. ამ დროს უნდა მოხდეს მოსწავლეთა განწყობა-დაინტერესება ახალი თემის სწორად აღქმისათვის.

შესავალ საუბარში მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს წინათ შესწავლილ გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ იმ სტროფებზე, სადაც კახეთის მხსნელი გმირები არიან მოხსენიებული. ახსენებს ა. წერეთლის „ბაში-აჩუკის“ ისტორიულ ფონს. მე-17 საუკუნის საქართველოს მდგომარეობას, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, 1659 წლის კახეთის აჯანყებას და ბუნებრივ კავშირს ამყარებს ახლად შესასწავლ ნაწარმოებთან.

ამ შემთხვევაში ისტორიულ-ყოფითი კომენტარი ეკაჭვება ისტორიულ ლიტერატურულს და მასწავლებელი ვრცლად ლაპარაკობს, რომ ისტორიულ-პატრიოტული თემა უმთავრესი იყო მე-19 საუკუნის 60-იანელთა შემოქმედებაში. ეუბნება იმასაც, რომ ვაჟამ პუბლიცისტური წერილებიც მიუძღვნა პატრიოტიზმის თემას. ახსენებს წერილს „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, რათა უფრო საჩინო გახდეს ვაჟას ეროვნული მრწამსი. ის, რასაც პოეტი თეორიულად ასაბუთებდა პუბლიცისტურ წერილში, მხატვრული სახეებით გვიჩვენა „ბახტრიონში“.

ანალიზის ტრადიციული ფორმების გვერდით წინა პლანზე წამოვწევთ „ბახტრიონში“ არსებულ კონტრასტებს. მასზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება ერთი პატარა ასპექტია სწავლებისას, მაგრამ ამ საინტერესო პოეტური ხერხის გამოკვეთა აუცილებელია.

მივყვეთ პოემის სიუჟეტურ თანმიმდევრობას. ვაჟა არსებული მდგომარეობის რელიეფურად წარმოჩენისათვის ფშაველთა სალოცავს აღწერს. გადმოგვცემს მათს ტრადიციას, რომ ხატობის დღეს აქ უნდა იყვნენ მამაკაცები, ქალს კი ეკრძალება ამ დღეს ამ წმინდა ადგილზე მოსვლა.



უფრო ნათლად რომ გადმოგვცეს ქართველთა თავს დატეხილი უბედურების სიმძაფრე, ავტორი კონტრასტი სხერხს იყენებს. ხდება საპირისპირო ფაქტი, რაც უნდა ყოფილიყო მოვლენათა ბუნებრივი წესით განვითარების შემთხვევაში. სალოცავში არ ჩანს არც ერთი მამაკაცი და, მიუხედავად ადათ-წესით აკრძალვისა,სწორედ ქალი მოსულა ვალის მოსახდელად:

„საჯარეს დიაცს რა უნდა,
არ თუ ეშინის დავისა?“

მრავალმნიშვნელოვნად სვამს კითხვას ვაჟა. მოსწავლეთა ყურადღებას ვამხავილებთ ამ ფაქტზე, რომ მათ უკეთ შესძლონ აღწერილი სცენის მთელი სიმძაფრით წარმოდგენა და შექმნილი სიტუაციის სრულფასოვანი აღქმა. ქალი არა მარტო მოსულა სალოცავში, არამედ მამაკაცის შესასრულებელი საქმეც გაუკეთებია:

„მარტოს აუნთავ სანთლები
და ხატის უდიდებია.
მარტოს დაუკლავ საკლავი,
თვითონვე უტყავებია,
მარტოდ-მარტოკას დიაცსა
ხატ-ღმერთი უხსენებია“.

რისთვის დასჭირდა ვაჟას დიაცის სალოცავში მოყვანა? ამგვარი კონტრასტი შექმნა სწორედ იმიტომ, რომ უფრო ნათლად წარმოაჩინოს ფშაველთა მდგომარეობა, რაც სანათას გოდებიდან ჩანს:

„სრულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში,
კვნესა რად ისმის ჩვენითა?
როდემდის უნდა ვსტიროდეთ,
მიწა ვასველოთ ცრემლითა?
ან მიწა რად არა ძღება
დამდნარის გულის წვენითა?!
როდემდის უნდა ვიბანოთ
სისხლით პირი და ხელები?

შვილთა მაგივრად დედებსა
ძუძუს გვიწოვლნენ გველები!“

მოსწავლეთა ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ აქ ორმხრივ კონტრასტული სიტუაცია მოგვცა ავტორმა: ერთის მხრივ – ხატობაზე უნდა ყოფილიყვნენ მამაკაცები და არ ჩანან, მეორეს მხრივ ქალს ეკრძალება აქ მოსვლა და სწორედ ქალი მოსულა, რომელიც თავს იმართლებს ამგვარი საქციელის გამო:

„ვინ ემსახუროს მაშ ხატსა,
მაშ ვინ აუნთოს სანთელი
მაშ ვინ დაუკლას საკლავი,
ვინ მოაკმიოს საკმელი,
უკაცურთ კაცობა გვმართებს,
სანამ სული გვრჩავ პირშია,
ხატიც შაგვინდობს ცოდვასა,
რო გვნახავს გასაჭირშია“.

პოემაში ავტორს შემოჰყავს ახალი პერსონაჟი – კვირია, რომელსაც პოეტი ასე ახასიათებს:

„ჩამოგლეჯ-ჩამოწეწილი,
ერთი ყარიბი, უშნო რამ,
მხარზე თოფ-გადაგდებული,
გაბუდებულის წვერითა,
დანჯღრეულ ქარქაშიანი
ხმალი წელს ერტყა წნეწითა“.

მოსწავლეებს ვეუბნებით, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით დღეობასა და ხატობაში ვაჟკაცი უსათუოდ წესიერად ჩაცმული უნდა მივიდეს. ვაჟა აქაც მოულოდნელი ეფექტისათვის ქმნის საგანგებო კონტრასტს პიროვნების ფორმასა და შინაარსს შორის. ასეთი გარეგნობის კაცი, მკითხველის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, დიდი კეთილშობილებით აღსავსე აღმოჩნდა. ვაჟა მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს კვირიას პიროვნებისათვის დამახასიათებელ შინაგან ჰარმონიას, გვარწმუნებს, რომ გარეგნობა



ხშირად მაცდურია. არც ჩამოგლეჯილ ტანსაცმელს, არც წნელით შემორტყმულ დანჯღრეულ ხმალს, არც იმას, რომ იგი არ იყო განებივრებული კარგი ცხოვრებით სამშობლოში, ხელი არ შეუშლია მისთვის შეგნებულად და უდრტვინველად მიეტანა თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე. ამით ვაჟა ხაზს უსვამს იმ ჭეშმარიტებას, რომ მტერთან ბრძოლაში წარმატება დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რა გაცვია, ან რა იარაღით იბრძვი, არამედ იმაზე, თუ როგორი გული გიცემს მკერდში.

შემდეგ მოსწავლეთა ყურადღებას ვამახვილებთ კვირიას სიზმარზე, რომელიც სიმბოლურად წინასწარ გვიჩვენებს მოსალოდნელ მოვლენებს. ვაჟა სიზმარსა და რეალურ ცხოვრებას ერთმანეთს დაუკავშირებს და მკითხველის ფსიქოლოგიაზე ამგვარი კონტრასტით მოქმედებს. კვირია ზნემაღალი პიროვნებაა და, რა სამწუხაროც არ უნდა ყოფილიყო მისთვის წინასწარი ცოდნა სიკვდილის გარდაუვალობისა, მაინც მიდის მის შესახვედრად. სიზმარი გამოყენებულია კვანძის გახსნის საშუალებად.

პოემაში ვაჟამ ქართველი ქალის კიდევ ერთი სრულყოფილი სახე წარმოგვიდგინა. ეს არის ბაჩლელი შანშეს ასული – ლელა. იგი ლაშქრისაგან ბრძოლაში მონაწილეობის უფლებას ითხოვს. აქაც კონტრასტია. ქართველ მთიელთა წესით ქალის ბრძოლა მიუღებელია. თავმოყვარე ფშავ-ხევსურებისათვის ეს შეურაცხმყოფელიც კია. ლელას ამგვარი საქციელით გაკვირვებული ხოშარეული თავისთვის ჩაილაპარაკებს:

„დიაცს უყურეთ, სულელსა
უნდა გაგვრეკოს ფონშია...
კაცჩი დადაკაცს რა უნდა?
რად არა ფიქრობს გონშია?“

მაგრამ ვაჟა ლაშქარს სწორედ ლელას მეშვეობით უხსნის გზას. აქაც კონტრასტია. ქალი, რომელსაც ბრძოლაში მონაწილეობა ეკრძალება, გამარჯვებას უიოლებს მებრძოლებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვამხავილებთ იმ მონაკვეთზე, რომელშიც ვაჟა იყენებს ზღაპრულ-ლეგენდარულ მასალას. მხა-

მელ დაჭრილ ლუხუმს ტყეში მკურნალობას უწევს ადამიანის მოდგმის მტერი – გველი. აქაც კონტრასტია. სამშობლოსათვის თავგანწირულ ვაჟკაცს თვით ადამის მოდგმის მტერიც კი მკურნალად მოევლინება.

ასეთი მასალის შემოტანით ვაჟას უნდოდა ეთქვა, რომ ბოროტებაც ქედს იხრის სიკეთის წინაშე, რაც პოეტმა ასე გამოხატა:

„მთელს ერთს თვეს ასე უვლიდა
ადამის ტომის მტერია,
ბოროტების გზა გაუშვავ,
კეთილი დაუჭერია“.

ამ კონტრასტით ყურადღებას ვამახვილებთ ისეთ მნიშვნელოვან თვისებებზე, როგორიცაა სიკეთე, გმირობა, ვაჟკაცობა, სამშობლოს სიყვარული. ეს თვისებები აკეთილშობილებს პიროვნებას და იგი თვით შეუძლებლის ადვილად დამძლევი ხდება.

ვაჟას ვირტუოზობის დამადასტურებელია ისიც, რომ „ბახტრიონში“ აღწერილ დაუჯერებელ ამბავსაც კი ერთგვარი დამაჯერებლობა ენიჭება და ამგვარად იხსნება გზა დასარწმუნებლად. ასეთ თხრობაში ზღაპრული შინაარსი რეალურად გვეჩვენება.

ვაჟა დიდი სიყვარულით გვიხატავს სამშობლოსათვის თავდადებულ გმირ ვაჟკაცებს, მაგრამ მათ გვერდით ჰკიცხავს სამშობლოს მოღალატეს, ლაჩარს, „სირცხვილიან“ კაცს – წიწოლას. ამით ერთგვარად ხაზს უსვამს გმირის უკვდავების იდეას. ლაჩარი წიწოლა უპირისპირდება კიდეც დანარჩენ პერსონაჟებს. მას ვაჟკაცობით ქალმაც კი აჯობა. ამიტომაც მოიკვეთა იგი თემმა:

„ვინლა გაივლის ახლოსა,
ჩააქვავებენ დედანიო“ – ამბობს ვაჟა.

პოეტმა წიწოლას არ აპატია ლაჩრობა. მან შეიგნო დანაშაული და თავის თავს განაჩენიც გამოუტანა. ამით თითქოს გააკეთილშობილა პოეტმა იგი და ნაწილობრივ გამოასყიდვინა დანაშაული. მაგრამ ჩვენი წესის მიხედვით თვითმკვლელობაც



დანაშაულია.

თავისებურ კონტრასტს წარმოადგენს პოემის ის ნაწილი, რომელშიც წარმოსახვის რეალური ძალა მკაფიოდ ჩანს ქადაგის წინასწარმეტყველებასა და ამხედრებული ლაშქრის ხილვაში.

„ვერა ჰნახეთა ბატონი
წინ მიგვიძღვება ცხენითა“ –

შესძახებს ლუხუმი და მხედრებიც ნაირგვარ ჩვენებას ხედავენ. არც ერთ მათგანს არ აკლია ცხოველმყოფელობა და არც ერთი არ აღიქმება არარეალურად. ეს ხილვები განსხვავებულია, მაგრამ თითოეულს დამაჯერებელი ფაქტის ძალა აქვს მინიჭებული. მათში არარეალური დგას რეალურის დონეზე და მასთან არის გათანაბრებული. აღქმით ვაჟამ ცხადყო ქრისტიანული განცდის ცხოველმყოფელობა მისი პერსონაჟების ცნობიერებაში.

ერთგვარი კონსტრასტია მოხუც სანათასა და წიწოლას დედის წარმოჩენის დროს. თუ ქმრისა და შვიდი შვილის დამკარგავი სანათა დიდი მწუხარებით, მაგრამ დიდი სიამაყითაც ყვება ამ ამბავს, ბედშავი წიწოლას შერცხვენილი დედა სინანულით ამბობს:

„ნეტავ არც შვილი მყოლიყო,
არც გავჩენიყავ დედასა“.

ის მართლდმარტო დასტირის შვილს, რადგან „წიწოლას დანაშაული აწეულია ცამდინა“, ეს მაშინ, როცა მამულისათვის ვაჟკაცურად დაცემულ გმირებს მთელი ხალხი გლოვობს.

დასკვნით ნაწილში მოსწავლეთა ყურადღებას ერთხელ კიდევ ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ პოემაში ვაჟამ სხვა მრავალ ხერხთან ერთად, სათქმელის უკეთ გამოკვეთისათვის, გამოიყენა კონტრასტებიც: იგი სახეთა სისტემას, მოვლენათა განვითარებას კონტრასტებზე დაყრდნობით აგებს. ვაჟასთან კონტრასტი იდეურ-კომპოზიციური ფუნქციის მატარებელია და მათი საშუალებითაც ხსნის ავტორი პოემის ძირითად იდეას.

ამგვარ პოეტურ ხერხებზე მოსწავლეთა ყურადღების გა-

მახვილება აუცილებელია, რომ მათ განუვითაროთ ესთეტიკური გემოვნება, ნაწარმოების ემოციური აღქმა, კვლევა-ძიებისა და კრიტიკული აზროვნების უნარი.

ტექსტის ანალიზზე მუშაობისას აუცილებელია მასწავლებელმა ყველა მიკრო საკითხზე გაამახვილოს მოსწავლეთა ყურადღება. ზემოთ მიმოვიხილეთ ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურისა“ და „ბახტრიონის“ სწავლების საკითხები. ახლა გვინდა **„სტუმარ-მასპინძლის“** ტექსტზე დავაკვირდეთ.

ვაჟა იმ რანგის მწერალია, რომ მასთან ყველა ფრაზას, ყველა სიტყვას გარკვეულად დიდი დატვირთვა აქვს, დიდი გამომსახველობითი ფუნქცია აკისრია. იგი ჯადოსნურ, პლასტიკურ ფერებში გვიჩვენებს თავის გმირთა სულისკვეთებას. და ეს შთამბეჭდავი სურათები თავისთავად დიდ ზემოქმედებას ახდენს მოსწავლეებზე.

ფშაველთა ცხოვრების საუკეთესო მცოდნე პოეტმა მკითხველს თვალწინ გადაუშალა თავისებური ქვეყანა – მთა, თავისი ადათ-წესებით, ზნე-ჩვეულებებითა და ტრადიციებით. აუცილებელია სწორედ მათი სრულყოფილად მიტანა მოსწავლეებამდე.

დომინირებს აზრი, რომ პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“, მთიელთა ორი ტრადიციაა გადმოცემული – სისხლის აღების და სტუმართმასპინძლობისა. ამასთან დაკავშირებით შესავალ საუბარში მასწავლებელმა უნდა ახსენოს ვაჟას „ეთნოგრაფიული წერილები“, რომელშიც საგულისხმო ცნობებს გვაწვდის სტუმარ-მასპინძლობის საღვთო კანონის – სტუმრის ხელშეუხებლობის შესახებ.

მოსწავლეთა ყურადღებას ვამახვილებთ ტექსტში მოცემულ სხვა ადათ-წესებზე. ვაძლევთ დავალებად თვითონ მოძებნონ ამგვარი ადგილები, რაც ასე ჭარბადაა პოემაში:

**ა.** ხელმოცარული მონადირისათვის ნანადირევის შუაზე გაყოფა.

**ბ.** სტუმარი მთიელის ოჯახში ღვთის წყალობად ითვლებოდა.



**გ.** სტუმარი ვალდებული იყო ოჯახში შესვლისთანავე იარაღი აეყარა და დიასახლისისათვის ჩაებარებინა.

**დ.** სტუმრად მოსული უცნობი სტუმარს პატივს სცემს სხვისასა, ფეხზე ადგომა წესია, წესს ვერ დაარღვევს მთისასა“.

**ე.** დროულმა ქისტმა იცნო ზვიადაური:

„ხანჯრისვე ხელი მიუდის, ჩუმად სისხლის ღანასა,
მაგრამ სტუმარი სხვის სახლში ვერ გაშლის ხათაბალასა“.

**ვ.** სტუმარი, ვინც არ უნდა იყოს, მასპინძლის სახლში ხელშეუხებელია:

„რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა,
თავს ლაფს რად მასწამთ კოკითა“.

**ზ.** „უნდა მტრის საფლავზე დაკლან, როგორაც წესი არია“.

**თ.** დალუპულთათვის სასაფლაოზე მსხვერპლის შეწირვის წესი.

ასეთ დეტალებზე ყურადღების გამახვილების შემდეგ ვაყენებთ პრობლემურ საკითხებს, ვაძლევთ მაპროვოცირებელ კითხვებს, ვაძლევთ საშუალებას გამოავლინონ თავიანთი პოტენციური შესაძლებლობები, იაზროვნონ კრიტიკულად, ეძიონ, იკამათონ. პოემაზე ამგვარი მუშაობით ცხადია, მოსწავლეები ტექსტს უღრმავდებიან, კარგად ეცნობიან, ეჩვევიან კვლევა-ძიებას, ანალიტიკურ აზროვნებას. ჩვენი მიზანიც ხომ სწორედ ეს არის.

## მოქმედ პირთა დახასიათება

ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზისათვის ერთ-ერთი მთავარია მოქმედი პირის დახასიათება. ნაწარმოების მთავარი იდეის გააზრება შეუძლებელია მოქმედ პირთა სწორად გაგების გარეშე, რადგან სახე პერსონაჟი ყველაზე სრულად გამოხატავს ნაწარმოების ძირითად აზრს, ავტორის შეხედულებებსა და პოზიციას.

მოქმედ პირთა დახასიათებისას მოსწავლეებს უნდა შთაავაგონოთ, რომ პერსონაჟი შემთხვევით აღებული სახე არ არის, იგი ტიპური სახეა და მასში განზოგადებულია მწერლის დაკვირვება და შეხედულება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

პერსონაჟის დახასიათებას აქვს აღმზრდელობითი ფუნქცია, რადგან ნაწარმოებში მიმზიდველად დახატული დადებითი პერსონაჟები ზემოქმედებას ახდენენ მოსწავლეებზე, მისაბაძი მაგალითი ხდებიან მათთვის.

აღმზრდელობითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია უარყოფითი პერსონაჟებიც. მათი მოქმედება მოსწავლეებში ზიზღს, სიძულვილს იწვევს ამგვარი პიროვნებებისადმი და ცდილობენ თვითონ მსგავსი არ გაიმეორონ.

მნიშვნელოვანია არასწორხაზოვანი ხასიათის მქონე პერსონაჟების (ონისე) დახასიათება, რომლებიც ძირითადად დადებითი პიროვნებები არიან, მაგრამ უნებლიედ რაღაცაში მაინც შეცდნენ, ან პირიქით, რომელთა არსებაში უარყოფითი დომინანტობს, მაგრამ სასიკეთო საქმეთა გაკეთებასაც ახერხებენ (დათიკო). ასეთ რთულ სახეთა დახასიათება მოსწავლეებს განუვითარებს დაკვირვების, ძიების უნარს, კრიტიკულ მიდგომას, ლოგიკურ აზროვნებას.

მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, მოსწავლეებს ნათლად, სწორად გააგებინოს სახე პერსონაჟის შემეცნებითი და აღმზრდელობითი ძალა, გახსნას გმირის ხასიათის ყოველი მხარე. ეს რომ სწორად შეძლოს, უნდა იცოდეს, რა ხერხებით, რა საშუალებებით გამოხატავს მწერალი გმირის ხასიათს.

რას უნდა მიექცეს ამ მხრივ ყურადღება? ცხადია, ძირითადი ნიშნები გმირის ხასიათისა ვლინდება მის მოქმედებაში, მის შეხედულებებში, მეტყველებაში, სხვადასხვა ადამიანებთან დამოკიდებულებაში.

მწერალი თავისი გმირის დასახასიათებლად მრავალ ხერხს იყენებს: ასეთია ავტორისეული დახასიათება, როცა ავტორი უშუალოდ ახასიათებს თავის პერსონაჟს. მაგალითად ილია



ჭავჭავაძე „კაცია ადამიანში?!“ ლუარსაბზე ამბობს: „სწავლა ღვთის მადლით არაფრისა არა ჰქონდა: ჩვენი ლუარსაბი, მგონი, თვითონაც ბევრს არ იცემდა თავში, – რატომ სწავლა არა მაქვსო... მისი აზრით კაცი ძირგამოვარდნილი ქვევრი იყო, რომელსაც დღე ყოველ უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ კიდევ მაინც ვერ აავსო“. ამ სიტყვებში ავტორი უშუალოდ ახასიათებს ლუარსაბის პიროვნებას.

არსებობს პირდაპირი დახასიათების სხვა სახე, როდესაც პერსონაჟი თავის თავს თვითონ ახასიათებს: ისევ „კაცია-ადამიანიდან“ – „მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი არა ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა, – ეგ ხომ ქალის საქმეა“ – ამბობს ლუარსაბი. ან კიდევ: ოთარაანთ ქვრივს ავტორი ასე ალაპარაკებს: „მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილ-უბრალოდ არავის დავეჩაგვრინები, თუ გაჭირდა, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდე ვივლი“.

მწერალი ზოგჯერ ერთ პერსონაჟს მეორე გმირის პირით ახასიათებს: ოთარაანთ ქვრივის შესახებ მეზობლები ამბობდნენ: „მე და ჩემმა ღმერთმა, ბარაქალა დედაკაცია, არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვასა. ახლა შინა ნახე, რა ამბავი აქვს: მთელი დღე ციბრუტივით ტრიალებს ოჯახში, იმის ხელი და ფეხი დილიდამ საღამომდე არ დადგებაო“.

მწერალი პერსონაჟის ხასიათის გამოვლენისას მრავალ ხერხს იყენებს, მაგრამ ყველაზე გამოკვეთილი, რომელსაც მოსწავლეები ადვილად ამჩნევენ, არის პერსონაჟის ***პორტრეტი***, მისი ***მეტყველება*** და ***სახე-ნივთი*** ანუ პერსონაჟის კუთვნილი საგნები.

უმეტეს შემთხვევაში პერსონაჟის ხასიათი მის გარეგნობაში, პორტრეტში მჟღავნდება. გარეგნობის, ჩაცმულობის აღწერით ავტორი გვაცნობს გმირის შინაგან ბუნებას, მის ფსიქიკას, ხასიათს, გემოვნებას, მისწრაფებას. საკმარისია გავიხსენოთ ლუარსაბის პორტრეტი, რომ ნათელი გახდეს, რა მჭიდრო კავშირ-

მია პერსონაჟის გარეგნობა მის ხასიათთან. ასევე ითქმის ხევისბერი გოჩას, თორნიკე ერისთავის, ბაში-აჩუკის თუ სხვათა პორტრეტულ დახასიათებებზე და მათი პიროვნების იდენტურობაზე პორტრეტთან.

ზოგჯერ ავტორი კონტრასტის ხერხს იყენებს პიროვნების ფორმისა, და შინაარსის უკეთ, უფრო შთამბეჭდავად გადმოსაცემად. გავიხსენოთ ვაჟას კვირია „ბახტრიონიდან“:

„კაცი გამოჩნდა უცხო რამ,
ჩამოგლეჯ-ჩამოწეწილი,
ერთი ყარიბი,უშნო რამ.
მხარზე თოფგადაკიდებული,
გაბუდებულის წვერითა,
დანჯღრეულ-ქარქაშიანი
ხმალი წელს ერტყა წნელითა“.

ამ შესახედაობის თმაწვერგაბურძგნილი კაცი, წელზე წნელით რომ ჰქონდა შემორტყმული დანჯღრეული ქარქაშიანი ხმალი, გასაოცრად ზნემაღალი, უკეთილშობილესი პიროვნება აღმოჩნდა, რომელმაც უყოყმანოდ მიიტანა თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე.

ასევე საინტერესოდ გვიხატავს ილია ჭავჭავაძე თავისი ერთ-ერთი შთამბეჭდავი გმირის ლელთ ღუნიას სახეს: „ჩემს მოხევეს ჩამოეფხატა ბანჯგვლიანი ქუდი თვალებზედ და ისე გარინდებული იდვა განიერ უნაგირზედ გადაბოტებული, ისე ურხეინად და გულაუმღვრეველად აყოლებდა თავის ახოვანს ტანს ცხენის ძუნძულს, ისეთის დამშვიდებით და განცხრომით აბოლებდა თავის ჩიბუხსა, რომ გეგონებოდათ – ამისთანა ქეიფში სხვა კაცი ძნელად თუ იქნება დედამიწის ზურგზედაო“. მაგრამ მისი ილიასთან საუბრიდან ვგებულობთ, რომ თითქოსდა ეს „უდარდელი“, „ურხეინი“ კაცი თურმე რა დიდ ტკივილს ატარებდა, რა საწუხარი აწუხებდა, რა საზრუნავი უმღვრევდა ფიქრსა და გონებას და უკარგავდა მოსვენებას; ეს მამულზე ფიქრი იყო, ნადრიდა ავად თუ კარგად ჩვენი თავი ჩვენადვე რომ გვეყუდ-



ნოდა. დღეს კი ჭამად-სმად სასყიდლად, ტყე სასყიდლად, გზაი სასყიდლად, ლოცვა კურთხევაი სასყიდლად და სამართალ სასყიდლად“ რომ გახდომია ქართველობას.

**მეტყველება.** ნაწარმოების მოქმედი პირის დახასიათებლად მნიშვნელოვან მასალას იძლევა მისი მეტყველება.

პერსონაჟის მეტყველების თავისებურებანი, ლექსიკა, მიმართვის ფორმები, მისი მსჯელობა და სხვ. ხშირად მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ხასიათთან. მეტყველებაში მჟღავნდება პერსონაჟის ინტერესთა წრე, განათლების დონე, მისი შეხედულებები და მისწრაფებები. გავიხსენოთ ისევ ლელთ ღუნიას საუბარი ილიასთან, მისი შეხედულებები და მსჯელობა; ლუარსაბ თათქარიძისა და დარეჯანის დიალოგი ბუზების თვლისას, ხევისბერი გოჩას მიმართვა ხალხისადმი „დამწყალობების“ დროს და სახიფათო დავალების შესასრულებლად მამაცალ შვილთან; მიკირტუმ გასპარიჩის „ქართული“ და სხვ. ასე რომ, პერსონაჟის მეტყველება მისი სულიერი სამყაროს ანარეკლია.

ამიტომ ხასიათის გამოვლენის მიზნით პერსონაჟის მეტყველებაზე, მის ლექსიკაზე, სასაუბრო თემაზე დაკვირვებას მოსწავლეები ადრეული ასაკიდან უნდა მიეჩვიონ.

*სახე ნივთი*. პერსონაჟის დასახასიათებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის პირად ნივთებს, ჩაცმულობას, სახლ-კარს. „კაცია-ადამიანის?!“ შესწავლისას მოსწავლეთა ყურადღებას I თავიდანვე ვამახვილებთ ლუარსაბის სახლ-კარის აღწერაზე. სწორად დასმული კითხვების საშუალებით ვათქმევინებთ, როგორი ადამიანი შეიძლება ცხოვრობდეს ასეთ სახლში. მეორე თავში კი ვეცნობით ლუარსაბ თათქარიძეს. მისი გარეგნობა, პორტრეტი კიდევ ერთი დამადასტურებელია მისი პიროვნებისა. ხოლო მეტყველება და მსჯელობა უფრო ცხადად გამოჰკვეთს ცხოველურ ინსტიქტებამდე დასული ამ ადამიანის სახეს. მაშასადამე, პორტრეტი, სახე ნივთი და მეტყველება საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ მიგვეღო ლუარსაბის სრული ფიზიკური და სულიერი დახასიათება.

ასევე გავიხსენოთ „ოთარაანთ ქვრივი“. ნაწარმოების პირველივე სტრიქონები საკმარისია იმისათვის, რომ ვიგრძნოთ ამ ეზო კარ-მიდამოს პატრონის ხასიათი: „ოთარაანთ ქვრივის კარმიდამოში მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლა ქვრივის უნებურად“ და შემდეგ გრძელდება მისი დაგვილ-დასუფთავებული და მოვლილი სახლ-კარის აღწერა. გვესმის მისი სიტყვები, ვეცნობით მის შეხედულებებს და მოთხრობის პირველივე თავში სახე ნივთით და მეტყველებით იკვეთება ამ გაუტეხელი, სამართლიანი, პირში მთქმელი, მშრომელი ქალის რელიეფური სახე. დახასიათება შეიძლება იყოს: *ინდივიდუალური, შედარებითი და ჯგუფური.*

ინდივიდუალური დახასიათების დროს ერთი პიროვნება ხასიათდება. მასწავლებელმა ნაწარმოების შესწავლისას იცის ვის დახასიათებაზე უნდა ამუშაოს კლასი. ამიტომ თავიდანვე, ტექსტის შესწავლისას, გზადაგზა, მათ ყურადღებას მიაპყრობს ამ პიროვნებისათვის ნიშნეულ თვისებებზე. როდესაც დამთავრდება ტექსტზე მუშაობა, უნდა შეაჯამოს ეს მასალები, გააანალიზოს და მოსწავლეებს შეადგენინოს მიახლოებითი გეგმა პერსონაჟის დასახასიათებლად. ეს გეგმა, ცხადია, განსხვავდება ნაწარმოების ლოგიკურ-შინაარსობრივი თუ კომპოზიციური გეგმისაგან.

ინდივიდუალური დახასიათებისას შეიძლება საჭირო გახდეს ერთი პერსონაჟის შედარება მეორესთანდა ვღებულობთ შედარებით დახასიათებას. ამ შემთხვევაში ორივე პიროვნების სახე ერთნაირი სისრულით უნდა გაიხსნას. შედარებისათვის უნდა ავიღოთ ისეთი პერსონაჟები, რომლებიც რაიმე ნიშნის მიხედვით გვანან ერთმანეთს და ამავე დროს განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად ნესტანი და თინათინი, ტარიელი და ავთანდილი, არსაკიძე და ფარსმან სპარსი, ონისე და საფარ-ბეგი, ოთარაანთ ქვრივი და თავსაფრიანი დედაკაცი, განდეგილი და გრიგოლ ხანძთელი.

გავრცელებული სახეა ჯგუფური დახასიათებაც. როცა ერთი სოციალური წრე, ან ერთი მისწრაფების მქონე ადამიანებს ვახასიათებთ კოლექტიურად, ჯგუფურად. მაგ. ქალთა ან მეფეთა სახეები, ვაჭართა წრე „ვეფხისტყაოსანში“, მეამბოხე თავადები „დიდოსტატის მარჯვენაში“ აზნაურთა ტიპები დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში და ა.შ.

დახასიათებისათვის (რომელი სახისაც არ უნდა იყოს) აუცილებელია ტექსტის ზედმიწევნით ცოდნა. საზეპირო ადგილების გამოყენება, იმ ადგილების დამახსოვრება, რომელიც ამა თუ იმ პიროვნების დასახასიათებლად გვჭირდება. მხოლოდ მაშინ გამოგვივა სრულყოფილი დახასიათება.

გმირის დახასიათება ტექსტზე მუშაობის ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი ფორმაა, იგი ხელს უწყობს ნაწარმოების იდეური შინაარსის გახსნას, მოსწავლეთა აზროვნებისა და მსჯელობის განვითარებას.

წარმოვადგენთ მოქმედი პირის დახასიათების ერთ ნიმუშს.

გიორგი პირველის დახასიათებაზე მუშაობა (კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „დიდოსტატის მარჯვენა“ მიხედვით).

***მასწავლებელი:*** „დიდოსტატის მარჯვენა“ ისტორიული რომანია. ამდენად მასში გარკვეული ადგილი ეთმობა ისტორიულ პირთა ჩვენებას; რომელთა შორის გიორგი პირველის სახე მეტად სრულყოფილი და შთამბეჭდავია. მინდა, გაგაცნოთ მწერლის დამოკიდებულება საქართველოს გაერთიანებისათვის დაუცხრომლად მებრძოლი ამ მეფის მიმართ. რომანის ბოლოსიტყვაობაში ვკითხულობთ: „ბალღობიდანვე მიყვარდა და მაოცებდა აფხაზთა მეფე გიორგი პირველი. სიჭაბუკეში მომეძალა პატივისცემა მისდამი, როცა გავიგე, თუ რამოდენა ვნებას შეეწირა ეს შესანიშნავი რაინდი.

მიყვარდა იგი, ორ კურაპალატს შორის გამოსირესილი მეფე (აქ იგულისხმება მამა გიორგისა, ბაგრატ III კურაპალატი და ძე გიორგისა ბაგრატ IV კურაპალატი).

ვინც დაახლოებით მაინც წარმოიდგენს, თუ რა დიდი მნი-

ყობასილე II, ბულგართმმუსვრელი,... მისთვის გასაგები იქ-
ება, თუ რა კოლოსალური ძალის მატარებელი ყოფილა იმჟა-
ნდელი საქართველოს მეფე გიორგი პირველი, რომელმაც
ოთხულ მაგრამ მაინც დაამარცხა კეისარი ბიზანტიისა და ამ
ადლეთ ვაჟკაცს, რომელსაც მატიანე უწოდებს „უშიშარს, ვი-
რტყ უხორცოს“, ქართულ ქრონიკაში მხოლოდ ორიოდე
ტრდი აქვს მიძღვნილი.

„მე შემძრა ამ უსამართლობამ და ამ მიჩქმალული გმირის
ტოლოგიას ვუძღვენი მღელვარება ჩემი სულისა“.

ეს სიტყვები ნათლად მოწმობს, რომ გიორგი პირველი მიჩქ-
ალული გმირია. რომანის პროლოგში კი თქვენ გაეცანით მწერ-
ის ამგვარ აზრს: „...მწერლობა გმირობის გამოსარჩლებაა
ხოლოდ; მიჩქმალული გმირობის ქომაგია მწერალი, სხვა არა-
ერი“. აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელია, მწერლის სიმ-
ატია და სიყვარული ახალგაზრდა გვირგვინოსნის მიმართ,
რომელიც გამეფდა 12 წლისა, იმეფა 13 წელი და აღესრულა 25
წლისა. გადმოეცით გიორგი პირველის მეფობის წლები!

***მოსწავლე:*** გიორგი პირველი მეფობდა 1114-1127 წლებ-
ში.

***მასწავლებელი:*** მწერალი არ ღალატობს ისტორიულ
სინამდვილეს და გიორგი პირველის შესახებ წერს, რომ 12 წლის
ყრმას სათამაშოების ნაცვლად სამეფო სკიპტრა შეაჩეჩეს ხელ-
ში. უმძიმესი იყო გვირგვინი ერთიანი საქართველოსი, მაგრამ
უძლიერესი აღმოჩნდა ქედი ჭაბუკი მეფისა, რომელმაც ღირსეუ-
ლად ზიდა თავისი მეფური ტვირთი. რომანში გიორგი, უპირვე-
ლეს ყოვლისა, წარმოდგენილია საქართველოს ერთიანობისა და
დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი. „ადრე დააწვა გიორგის
ჭაბუკურ მხრებს ომებსა და აჯანყებებში დანთხეული სისხლის
კოშმარი“ – აცხადებს ავტორი. რომელ ომებს გულისხმობს მწე-
რალი და როგორ ახასიათებს ამ ომებში მონაწილეობა გიორ-
გი პირველს?

***მოსწავლე:*** გიორგი მთელი სიცოცხლე იბრძოდა სამხრეთ-



დასავლური მიწების დასაბრუნებლად, ტაო და ბასიანი ბიზან-
ტიას ჰქონდა მიტაცებული. ყოველი გოჯი მშობელი მიწისათვის
მეფეს დაჩეხილი ჰქონდა სრულიად ახალგაზრდა სხეული. მეფე
ბიზანტიის კეისარში, კათალიკოსის მსგავსად, საქრისტიანოს მა-
მას კი არ ხედავდა, არამედ დამპყრობელს, რომელსაც სურდა
საქართველოც სომხების დარად გადაესანსლა. „სანამდის პირ-
ში სული მიდგას, ვერ მოესწრება ამას ძაღლთა პირი ბასილი
კეისარი!“ – აცხადებს იგი მტკიცედ და ხმალჩაუგებლად იბრძვის
საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ქართველი მეფის
ხმალთა კვეთებამ შეაფიქრიანა ბასილი კეისარი და ჭაბუკ მე-
ფეს ზავი შესთავაზა.

***მასწავლებელი:*** როგორც გახსოვთ, უმძიმესი იყო ზავის
პირობები. კეისარი მძევლად ითხოვდა უფლისწულ ბაგრატს. მე-
ფე იყო გიორგი და გრძნობების აყოლას არ აპატიებდა ხალხი.
ამიტომ გულში ჩაიბრუნა ელდა და შიში შვილის სიცოცხლის
საფრთხის გამო და დასთანხმდა ზავის პირობებს. ამ ზავმა
საქართველოს თავისი მიწები დ... ... რა მხრივ ახასიათებს
რომანის ეს ეპიზოდი გიორგის?

***მოსწავლე:*** მეფე პირადულზე ... ... ინტერე-
სებს აყენებდა.: მის არსებაში მოვალეობა გრძნობაზე მაღლა
იდგა.

***მასწავლებელი:*** გიორგისაგან ამ მსხვერპლის გაღების
მნიშვნელობა კიდევ უფრო ნათელი ხდება, როდესაც ვიცით მე-
ფის დამოკიდებულება ბიზანტიის მიმართ. მას არასოდეს მოუ-
სურვებია ბიზანტიური ხარისხები. კეისრის მიერ ნაჩუქარ მწვა-
ნე ეტლში ავაზებს სხამდა. გაიხსენეთ, რას ამბობდა მეფე ბიზან-
ტიელთა შესახებ?

***მოსწავლე:*** ქურდებია ბიზანტიელები! შჯული ებრაელებს
მოპარეს, ენა – ძველ ბერძნებს, ბულგარელებს ცეტინიუმი, სომ-
ხებს ანისი, ბასიანს გადაღმა ქვეყნები – ქართველებს, ხოლო სინ-
დისი ვერავის წაგლიჯეს, რადგან ასეთი რამ არა სჭირიათ ჯე-
რაც“.

**მასწავლებელი:** ასეთივე შეუპოვრობით იბრძვის გიორგი ქვეყნის ერთიანობისათვის. გათიშვის მომხრე ფეოდალები ზედიზედ აწყობდნენ ამბოხს მეფის წინააღმდეგ, ძირს უთხრიდნენ საქართველოს ერთიანობას და თუმცა მეფეს შინაური ომები „ჭამის დღესავით სძაგდა“, მაინც იძულებული იყო, სასტიკად გასწორებოდა მოღალატეებს, საუკეთესო მებრძოლები შეეწყვიტა ქორსატეველასა თუ ოჩანის ციხის აღებისათვის. გიორგი უაღრესად წინდახედული პიროვნება იყო: არა სჩვეოდა „საქმეთა ხელაღებით გადაწყვეტა“. თავად ამოწმებდა მსტოვრების მოტანილ ცნობებს. მაგრამ როცა დარწმუნდებოდა ღალატში, დანდობა არ იცოდა. გულმხეცს უწოდებდნენ მას მოჯანყე ერისთავები. გადმოეცით მეფის სისასტიკის მაგალითები.

***I მოსწავლე:*** მეფემ შინ იწვია ერისთავები და თავები დააყრევინა, კვეტარის ერისთავს თალაგვა კოლონკელიძისათვის თვალები დაათხრევინა, მოაწამვლინა ჭიაბერ ერისთავი. მამამზე ერისთავის ჭაღარა თავი ქორსატეველას ქონგურზე გადმოაკიდევინა.

***II მოსწავლე:*** ჭიაბერის ძუძუმტე-ტოხაის ძე ასე ახასიათებს გიორგის სისასტიკეს განდგომილ ფეოდალთა მიმართ: „განა არ გახსოვს, ერისთავთ ერისთავო, ხურსი აბულელი სარკინოზებთან რომ გაექცა მეფეს, ციხე წარუღო, ხურსის ვაჟების ძვლები ამოთხარა აბულელთა საძვალედან, ღორსა და ძაღლს ათრევინა“.

**მასწავლებელი:** მაგრამ რომანში ისიც კარგად ჩანს, თუ რად უჯდებოდა მეფეს ეს სისასტიკე. აკი მომაკვდავიც ამბობს: „დამანელა აზნაურების კინკლაობამო“. გაიხსენეთ, როგორ უმძიმდა მეფეს, დაეჯერებინა მამამზე ერისთავის ღალატი, იგი ხომ მისი მამის სიყრმის მეგობარი იყო, როგორ მამასავით პატრონობდა ეს ვეება დევკაცი. ომში არაერთგზის იხსნა სიკვდილისაგან. ახლა კი „ქვეგამხედვარი“ გამხდარიყო მისი ტახტისა. ამიტომ მეფის გულში „რიალებდნენ სიტყვები, ხან გოლეულივით ტკბილი, ხან ასპიტის გესლივით მწარე“. თქვენ დარწმუნდით, ალ-



ბათ, რომ მეფე ტრაგიკული პიროვნებაა და მისი ტრაგიზმი სათავეს სწორედ შინაომებიდან იღებს. მეფის ყველაზე დიდი ხიბლი უებრო მამულიშვილობაა და პატრიოტი ადამიანისათვის ყველაზე დიდი ტრაგედია, სწორედ შინაური ომია. კიდევ რა მაგალითს მოიყვანდით მეფის მამულიშვილობის დასტურად?

**მოსწავლე:** მეფე გიორგი დადიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აშენებდა ციხე-ქალაქებს, აგარებსა და ტაძრებს. მეფის დიდი სურვილი იყო, მცხეთაში, არაგვისა და მტკვრის შესართავთან, უკვარცხლბეკო ვაკეზე აღემართა სვეტიცხოველი-საქართველოს ერთიანობის სიმბოლო და გვირგვინად. გიორგის პატრიოტობა იმაშიც გამოიხატა, რომ მან ხელაღებით უარყო ტაძრის ბიზანტიელ ოსტატთა გეგმები, რადგან იცოდა, ამ გეგმებისაკენ მიბრუნება მოასწავებდა იმ გავლენისაკენ მიბრუნებას, რომელიც ორი საუკუნის წინ დაეძლია ქართულ ხუროთმოძღვრებას.

**მასწავლებელი:** აქ იგულისხმება VIII-IX საუკუნეებში გაშლილი ის დიდი საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა, რომელსაც ტაო-კლარჯეთში ჩაეყარა საფუძველი გრიგოლ ხანძთელის მეშვეობით და შემდგომ საუკუნეებშიც დიდი წარმატებით გაგრძელდა. მაშინ ქართულმა ეკლესიამ თავი დააღწია ბერძნულ გავლენას, ხომ გახსოვთ, ავტორი რომ გვამცნობს, ბერძნული ენის წირვა-ლოცვიდან ამოღებას და ამის შესაბამისად, ბუნებრივია, ხუროთმოძღვრება, ფრესკული ხელოვნება თუ ხატწერაც მიემართება ეროვნული კულტურის ტრადიციის შესაბამისად.

სწორედ გიორგიმ მიაგნო ნიჭიერ ქართველ ხუროთმოძღვარს – არსაკიძეს, რომლის ხელოვნების საფუძველი ეროვნული კულტურა იყო. გიორგის ნანახი ჰქონდა არსაკიძის მიერ აშენებული ითვალისი და ცხრაკარი, რომლებშიც მძლავრად ხმიანობდა ქართული სული. სწორედ ამ ეროვნულობას გრძნობს გიორგი პირველი სვეტიცხოველში უპირველესად, ერთიანი საქართველოს ძალა დაინახა გვირგვინოსანმა ხელოვნების ამ იგავმიუწვდომელ ქმნილებაში, რადგან მეფეა თავად ერის წინამძღოლი

მისი იდეალიც ეს არის.

ნაწარმოებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მეფის, რო-რც ჩვეულებრივი ადამიანის, ჩვენებას. რას გაიხსენებდით ამ რიგ. დავახასიათოთ გიორგი, როგორც პიროვნება!

*I მოსწავლე:* „გიორგი მდუმარე იყო ბუნებითგანვე, კაცი მეტყველი, მაგრამ ფრიად დაკვირვებული. მშვიდი იყო გიორგი ნებით, ენამზეობას მოკლებული, მაგრამ საამოდ მოუბარი და ხით სათნო“.

*II მოსწავლე:* მეფე მარტოსული იყო, როგორც პიროვნე-ა. სასახლის მუდმივი ჭორებითა და კარისკაცთა ლიქნით თავმო-ბრებულს ენატრებოდა უჩინო კაცის ბედი. იგი ხშირად გადაიც-მდა მდაბიურად, გლახუნა ავშანისძეს დაირქმევდა, აიყოლიებ-ა სიყრმის მეგობრებს – მდაბიოებს – პიპასა და კოხრისჭაი-ს და გადაიკარგებოდა სასახლიდან. იგი დადიოდა უბრალო ალხში, ისმენდა რას ფიქრობდნენ მასზე, ლაღად უჯდა გლეხურ უფრას, არ ეშინოდა მოწამლული ღვინის, ღალატის, მუხანათო-ის.

*III მოსწავლე:* მეფეს არც ბავშვობა გამოეცადა და არც იჭაბუკე, მას უკვე კარგა ხანია ეწვია შუაკაცობის მძიმე ტვირ-ი. ამიტომ მუდამ განიცდიდა გაცდენილ წელთა მელანქოლიას. თელი სიცოცხლე ესმოდა მზრდელის, მელქისედეკ კათალიკო-ის, მარიამ დედოფლის შეგონებანი: „მეფე ხარ და ხამს... მეფე არ და გმართებს, მეფე ხარ და გევალება“...

ამიტომ ხშირად მეფედ არყოფნას ნატრობდა გიორგი. რთხელ თავის დეიდაშვილს, ყველისციხის პატრონს – გირშელს უთხრა: „შენ გეტყვი, გირშელ! ხვალ რომ ტახტიდან ჩამომაგ-ლოთ ერისთავებმა, მეჯინიბედ დავდგები უთუოდ, ცხენებს მო-ვუვლი და ეს მომგვრიდა უდიდეს ბედნიერებას!“

***მასწავლებელი:*** თქვენ მიერ ნათქვამი მოწმობს, მარად ქვეყნისთვის მზრუნველი მეფე, ყოველთვის მარტო იყო, როგორც ადამიანი.

გიორგის მგრძნობიარე გული ჰქონდა. მას ნაზად უყვარ-



და დედა. როცა დედის სულს დააფიცებდნენ, როგორი გახელე-ბულიც უნდა ყოფილიყო, უკან დაიხევდა. ხომ მან მოაკვლევინა ჭიაბერი, მაგრამ ისე შეძრა ჭიაბერის უსინათლო მამამძუძეს ქვითინმა, რომ მამამზეს მკერდზე აქვითინდა.

რომანში დიდი ადგილი ეთმობა მეფის სამიჯნურო თავგა-დასავალს. გიორგის მარტოსულობის მიზეზი, რასაკვირველია, უიღბლო სიყვარულიცაა. რატომ უწოდებს მწერალი მეფეს ჭა-ბუკობაში უსიყვარულოდ დარჩენილს.

***მოსწავლე:*** 14 წლის გიორგის სამეფო კარის ინტერესე-ბისათვის ცოლად შერთეს მასზე ბევრად უფროსი სომეხთა ასუ-ლი მარიამი. „როგორც მდაბიოს მიუგდებენ ხოლმე მეზობლიანთ თხუპნიას“. გიორგის გული ნამდვილი, მიუწვდომელი სიყვარუ-ლისაკენ მიუწევდა და ამიტომაც თავდავიწყებით შეუყვარდა თალაგვა კოლონკელიძის პირმშვენიერი ასული – შორენა.

***მასწავლებელი:*** ერთი შეხედვით, მეფე დაუნდობლად იკვლევდა გზას შორენას სიყვარულისაკენ. მან მოაწამვლინა შორენას დანიშნული ჭიაბერ ერისთავი, გაწირა შორენას ახა-ლი საქმრო – გირშელი და ბოლოს დაინახა თავისი ნამდვილი მოქიშპე – დიდოსტატი არსაკიძე. გიორგიმ იცოდა, რომ არსაკი-ძე არამარტო ხუროთმოძღვრების დიდოსტატი იყო, არამედ დი-დი ვაჟკაციც და ამიტომ ირწმუნა მისი მეტოქეობა. სიყვარუ-ლით გახელებულმა არსაკიძეც ჩამოიშორა და შორენას მონაზვ-ნად აღკვეცაც ბრძანა. და მაინც შეიძლება ვთქვათ თუ არა, რომ შეყვარებულმა მეფემ წინ მაინც არ დააყენა თავისი პირადული გრძნობა?

***მოსწავლე:*** შორენამ მეფის სიყვარული უპირველესად იმი-ტომ უარყო, რომ გიორგიმ თვალები დასთხარა თალაგვას. აკი აცხადებს კიდეც შორენა, რომ უმალ სიკვდილის ცოლი გახდე-ბოდა, ვიდრე მამის თვალების დამწველისა. კვეტარში, შორენა მუხლზე დაეცა მეფის წინაშე და შეეხვეწა, მე მაპატიეო მამა! მეფემ კი მტკიცედ უპასუხა; ომში სპასალარიაო მბრძანებელი. შორენას ერთი ალერსიანი შემოხედვა ქვეყანას ერჩივნა გიორ-

გის, მაგრამ ცივი გონებით გადაწყვიტა ეს, რადგან მეფე იყო და პირადულზე მაღლა მუდამ აყენებდა საქვეყნო ინტერესს.

***მასწავლებელი:*** საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ, გიორგის სარწმუნოებრივ დამოკიდებულებაზე. რომანში მეფე წარმოდგენილია, როგორც რწმენაშერყეული კაცი. ამის საფუძველს იძლევა ქართული ლაშქრის მიერ ოლთისის ეკლესიის დაწვა, რომლის შესახებ ნაწარმოების ისტორიული ექსკურსის დროს ვისაუბრეთ. ჭეშმარიტი ქრისტიანი, ბუნებრივია, ვერ ხელყოფდა ძელიცხოვლის ხატს. მეფე ყურადღებით ისმენდა ფარსმანის საუბარს სულთა გარდავლენის შესახებ, მაგრამ ღვთის შიში ხშირა[illegible] ძლიერად მოერეოდა ხოლმე მას. რას გაიხსენებდით ამის სა[illegible]ლუსტრაციოდ?

***მოსწავლე:*** ნადირობისას მეფეს მოეჩვენა, რომ გორაზე ეკლესია იწვოდა. როდესაც მისი საწოლიდან ხატი „გაიპარა“, მეფემ ეს ამბავიც დაიჯერა. საერთოდ, ვფიქრობ, რომ მეფე უფრო მორწმუნეავიდრე ურწმუნო. სიკვდილის წინ მან პიპას სთხოვა, უბრალო დიაკვანი ეპოვა სადმე, რადგან ვერ იტანდა პამპულა ეპისკოპოსებს. „უბრალო დიაკვნის პუტუნი მენატრებაო“. ნაწარმოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ უღირსი სამღვდელოება ჩანს გიორგის ირგვლივ. მარტო ამბროსი ეზოსმოძღვარი რად ღირს! მეფისა და კათალიკოსის უთანხმოების უპირველესი მიზეზი კი კათალიკოსის ბრმა თაყვანება იყო ბიზანტიის მიმართ.

***მასწავლებელი:*** ნუ დაგავიწყდება, რომ მეფის ხმალზე ეწერა: „მესიის მახვილი“. ქვეყნის გონიერმა მმართველმა იცოდა, რომ ქრისტეს რჯული უმძლავრესი იარაღი იყო საქართველოს ერთიანობისათვის. ამიტომ ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდა მას არამარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაშიო – ვკითხულობთ რომანში.

კიდევ რა თვისებას გაიხსენებთ მეფისას, რა დავამატოთ მის დახასიათებას?

***მოსწავლე:*** ნაწარმოები სავსეა მეფის მამაცობის მაგა-



ლითებით: „ავაზასთან უხმლოდ მისვლა, გოლერძი ქალუნდაურ[illegible]
თან ბრძოლა, ჟამიანობის დროს მდაბიოთა სადგომებში სიარუ[illegible]
ლი. ყოველივე ეს მის გულუშიშრობას მოწმობს, თუმცა მას[illegible]
ახასიათებს ადამიანური სისუსტე. ეშინოდა გველებისა და ცოფი[illegible]
ნი ძაღლების. არც თაკილობდა ამის თქმას, თავადვე იცოდა, „ამ
ქვეყანაზე არც რაინდია ისეთი, რომელსაც რაიმეს წინაშე შიში
არ ეგრძნოს ოდესმე, არც თუ ბრძენია სადმე, ერთხელ მაინც
სისულელე არ ეთქვას...“

***მასწავლებელი:*** ვფიქრობ, გიორგის, როგორც მეფეს და
როგორც კაცს, ყველაზე უკეთ ახასიათებს თავისი სიტყვა, სიკვდი[illegible]
ლის წინ რომ ეუბნება პიპას. გადმოეცით იგი ტექსტთან მიახ[illegible]
ლოებით.

***მოსწავლე:*** მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, რო[illegible]
გორც მეფეს, ისე როგორც კაცს, თითქმის ყველა ღირსება და
ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია. ვაჟკაციც ვიყავი და მშიშა[illegible]
რაც, კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ხვიარის ფესვებისა, გულმ[illegible]
დიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღ[illegible]
ლატნია, პიპა.

ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა: ჩვენში მოღალატე[illegible]
სჭარბობენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავი[illegible]
ხალხის მოღალატენი. თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოი[illegible]
ღომა, მაკედონელიც ვერ უშველის, პიპა, რადგან ჯერ არსა[illegible]
გაუმარჯვნიათ მშიშარებსა და მსტოვრებს. სიყრმე და სიჭაბ[illegible]
საქართველოს შევალიე, მაგრამ ქართლელები „აფხაზს“ მეძახ[illegible]
ნენ, ხოლო აფხაზები- „ქართლელების ძსტოვარს“ მიწოდებდ[illegible]
ბაგრატოვანს, ლაზს. დამანელა აზნაურ[illegible] [illegible]
კინკლაობამ.

ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენ[illegible]
სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყა[illegible]
მუდამ, მაგრამ დიდიკაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნი[illegible]
როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.

***მასწავლებელი:*** ვცადოთ და შევადგინოთ გეგმა ჩვენ[illegible]

ლევანდელი საუბრის მიხედვით, ხოლო ამ გეგმით შინ დაწერეთ გიორგის დახასიათება. დაფაზე ვწერთ გეგმას, რომელიც დაახლოებით ასე შეიძლება გამოიყურებოდეს:

1. გიორგი პირველი- საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მეფე:

ა. გიორგის დამოკიდებულება და ომი ბიზანტიასთან.

ბ. გიორგის დაუნდობლობა განდგომილი ფეოდალების მიმართ.

2. გიორგი, როგორც პიორვნება:

ა. მეფის მარტოსულობა და ამის მიზეზები.

ბ. ოცნება უჩინო კაცის ხვედრზე

გ. მეფის უიღბლო სიყვარული

დ. რწმენისადმი დამოკიდებულება

ე. მეფის გულუშიშრობა

ვ. მეფის აღსარება — მისი წრფელი სინანულის, მისი პიროვნული ხასიათის დასტური.

*მასწავლებელი:* ყოველივე წმინდა შესაწირს მოითხოვს სამშობლო. მეფე გიორგიმაც ყველაფერი წმინდა მიიტანა მის სამსხვერპლოზე, რამეთუ უმსხვერპლოდ ქვეყნის სიყვარული კი არა, „სიტყვაც ისევე ამაოა, როგორც უსურნელო ყვავილი, უნათლო შუქი, თუნდაც სიტფოსმოკლებული მზე“ (გამსახურდია).

მეფის სახეში საოცრადაა გაცხადებული ქართული ხასიათი. მის ძნელ, წინააღმდეგობებით სავსე სიცოცხლეს მამულისადმი განუზომელი სიყვარული ამშვენებს. ამის გამოა, რომ მწერალიცა და მკითხველიც ყველა ცოდვას შეუნდობს მას.

## ლიტერატურის თეორიის სწავლება

ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა ძირითადად ემყარება ლიტერატურათმცოდნეობის სამ დარგს: ლიტერატურის



თეორიას, ლიტერატურის ისტორიასა და ლიტერატურის კრიტიკას. ამდენად ლიტერატურის თეორიის ცოდნა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისათვის ძალზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

VII-VIII კლასებში ტექსტის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნაწარმოების პოეტურ ქსოვილს, გამოსახვის საშუალებებს. V კლასიდან სახელმძღვანელოში შეტანილია ლიტერატურის თეორიის ტერმინები, მათი განმარტებები, მაგრამ აქ მთავარი ის კი არ არის, მოსწავლეებმა ზეპირად იცოდნენ, რა არის მეტაფორა, ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა, გაპიროვნება, ალეგორია თუ სხვ., არამედ ახერხებდნენ კონკრეტული მაგალითების კვალიფიკაციას, ტექსტში შეეძლოთ თითოეულის პოვნა და მათი ემოციური მუხტის განცდა.

გარკვეული ცნებების პოეტურ ჩარჩოში ჩასმა ამშვენებს, აძლიერებს, მეტ გამომსახველობასა და ელფერს ჰმატებს მხატვრულ ნაწარმოებს, ემოციურად სთავაზობს მკითხველს. ამიტომაა მწერლობა სიტყვაკაზმული. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მოვალეობაა, ეს პოეტური მეტყველება, ეს სიტყვაკაზმულობა აგრძნობინოს მოსწავლეს, მიაჩვიოს მის აღქმას, გააზრებასა და სამეტყველო ლექსიკაში დამკვიდრებას.

სკოლაში ლიტერატურის თეორია დამოუკიდებლად არ ისწავლება, არამედ ლიტერატურის სწავლების მთელ მანძილზე, ლიტერატურული კითხვისას ვარკვევთ როგორ, რა გზითაა გადმოცემული აზრი. ასე ეცნობიან მოსწავლეები ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის, თემისა და იდეის, პორტრეტის, ეპიზოდის, შედარების, მეტაფორის, მოთხრობის, პოემის და ა.შ. ცნებებს. მაგრამ მთავარი ცნების განსაზღვრა და მისი ზეპირად ცოდნა კი არ არის, არამედ მხატვრული ფაქტის აღქმა-გააზრებაა.

ვაჟა-ფშაველას მოთხრობების შესწავლისას მასწავლებელს საშუალება აქვს გენიოსი მწერლის ხატოვანი, ფრთიანი სახეების მაგალითზე აზიაროს ლიტერატურის თეორიის მრავალ ტერმინს. ხოლო მეცხრე კლასში „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლი-

სას მოსწავლეებმა უნდა იგრძნონ რუსთაველის ვირტუოზული ძალა მხატვრულ მეტყველებაში, თუ რაოდენ მდიდარია ქართული ენის ლექსიკური ფონდი, რა დაუშრეტელი და ამოუწურავია რუსთაველის პოეტური სიტყვის მარაგი, განსაცვიფრებელი — მისი გემოვნება, ლამაზად აკინძული ფრაზები, სიტყვათა განსაკუთრებული წყობა, მუსიკალობა, რითმულობა, რიტმულობა, სიტყვის სიღრმე და სინატიფე.

ამოუწურავია პოემაში მხატვრული ხერხები, ბრძნული, მრავლისმთქმელი აფორიზმები. ყოველივე ეს მოხერხებულად უნდა გამოიყენოს ლიტერატურის თეორიის შესწავლისათვის, თუ უკვე შესწავლილის განმეორება-განმტკიცებისათვის მასწავლებელმა.

ლიტერატურის სწავლების პირველ ეტაპზე ხდება ძველიდან, ნაცნობიდან, მარტივიდან ახალზე, რთულზე, უცნობზე გადასვლა ე.ი. მიმართება კერძოდან ზოგადისაკენ, ეს არის დიდაქტიკური პრინციპი, ხოლო შემდეგ მაღალ კლასებში კი პირიქით, ზოგადიდან კერძოსაკენ. ასე მაგალითად, როდესაც ვიწყებთ რომანტიკოსების შესწავლას, ხდება ჯერ ეპოქის მიმოხილვა, რომანტიზმის ცნების განსაზღვრა, ევროპულ და რუსულ რომანტიზმზე საუბარი და ასე მოვდივართ ქართული რომანტიზმის წარმოშობის მიზეზებამდე, შემდეგ კი ვიწყებთ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ზოგადიდან კერძოსაკენ სვლასთან.

ლიტერატურის თეორიის საკითხების სწავლებისას VII-VIII და IX-XI კლასებში განსხვავებული მიდგომაა საჭირო. დაბალ კლასებში ტექსტზე მუშაობისას ვაწვდით ცნების განსაზღვრებას და მაგალითებს ტექსტიდან, მაღალ კლასებში კი ნაწარმოების ანალიზის დროს უნდა გავარკვიოთ მოსწავლეები მხატვრული ხერხის ფუნქციაში. ამავე დროს დიდი ადგილი დავუთმოთ ლიტერატურულ მიმდინარეობებზე საუბარს, რომელიც წინ უსწრებს მწერლის შემოქმედების ანალიზს.

უნდა გვახსოვდეს, რომ მხატვრული ნაწარმოები მხოლოდ



მაშინ იქცევა აღზრდის უპირველეს საშუალებად, როცა მისი ათვისება მოხდება იდეური შინაარსისა და მხატვრულ მხარეზე დაკვირვების შედეგად. მხატვრული ნაწარმოების ხასიათი, მისი ემოციური ქღერადობა, მრავალგვარი ნიუანსი, მკითხველზე ზემოქმედების ძალა განპირობებულია მწერლის ტალანტით, მისი მაღალი ოსტატობით, შემოქმედებითი ინდივიდუალობით. ნაწარმოების იდეური და მხატვრული სტრუქტურის შესწავლა უნდა ხდებოდეს განუყოფელ მთლიანობაში და არა ცალკე, იზოლირებულად, ყურადღება უნდა გამახვილდეს გამოყენებული მხატვრული ფორმის სპეციფიკურ მხარეზე. ნაწარმოების იდეის, დედააზრის გახსნას, მწერლის მიზანდასახულობის მკითხველში შთანერგვას, ემსახურება ნაწარმოების ყველა კომპონენტი: დაწყებული სათაურიდან, დამთავრებული ეპილოგით, მათ შორის ცხადია, ეპიგრაფიც. ამიტომ მისი სწორად სწავლება, ჩვენი აზრით ძალზე მნიშვნელოვანია. ქართულ მეთოდიკურ ლიტერატურაში ეს თემა სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა, მასწავლებელი გარკვეული სირთულის წინაშე დგება, სწორედ ამან განაპირობა ჩვენი არჩევანი ცოტა მეტი ვთქვათ ეპიგრაფიანი ნაწარმოებების სწავლების შესახებ.

ჩვენი აზრით, მასწავლებელმა ისევე უნდა ახსნას ეპიგრაფის მნიშვნელობა, როგორც სათაურისა, რადგან ორივე მათგანი ის კარია, რომლიდანაც შევდივართ ნაწარმოების სამყაროში. ეპიგრაფით ავტორი დასაწყისშივე მკითხველის დაინტერესებას იწვევს, აძლევს მას გარკვეულ მიმართულებას, რომ მწორად ჩასწვდეს მის დედააზრს; ზოგჯერ ეპიგრაფში მთელი სიხარულით მოისაზრება ავტორის მთავარი სათქმელი.

მოსწავლეებს განვუმარტავთ, რომ არსებობს სამი სახის: ***საკუთრივი, ადრესატული*** და ***რემარკული*** ეპიგრაფი. საკუთრივს შეუძლია ნაწარმოებისაგან დამოუკიდებლად არსებობა, არ არის მიჯაჭვული რომელიმე ერთეულ მოვლენაზე. იგი ეპიგრაფის ძირითადი სახეა. ადრესატული გვიჩვენებს ვისადმია მიძღვნილი ნაწარმოები, რემარკული კი იძლევა სხვადასხვაგვარ ცნო-

ბებს, შენიშვნებს ან განმარტებებს მხატვრული ნაწარმოების პოეტური გენეზისის შესახებ. ე.ი. მიგვითითებს იმ კონკრეტულ მოვლენებზე, რამაც განაპირობა ამ მხატვრული ნაწარმოების შექმნა.

ჩვენ სამივე სახის ეპიგრაფის გაკვეთილის მოდელს შემოგთავაზებთ.

დიდი ილიას გენიალური ქმნილებების განხილვისას არ შეიძლება მკითხველს თვალში არ მოხვდეს მისი განსაკუთრებული მისწრაფება ეპიგრაფებისადმი.დიდი ნაწილი ჩვენი სახელოვანი მწერლის ნაწარომებებისა ეპიგრაფიანია. რადგან ილია ეპიგრაფის მეშვეობით ახდენს ტექსტის არა მხოლოდ აზრობრივ დატვირთვას, არამედ მკითხველს აძლევს ამ აზრობრივი ფონის გასაღებსაც. მოთხრობას „კაცია-ადამიანი?!“ ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ხალხური ანდაზა: „მოყვარეს პირში უთხარი, მტერს პირს უკანაო“. ამით ავტორი დასაწყისშივე აფრთხილებს მკითხველს, რომ დააკვირდეს, ჩასწვდეს დედააზრს, რადგან ეს ანდაზა, ისე, როგორც სხვა მრავალი, ხალხის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების და ყოველდღიური დაკვირვების შედეგია, ცხოვრების სიბრძნეა, ერის კოლექტიური ცნობიერების გამოხატულებაა.

ეპიგრაფი ზუსტად ამჟღავნებს არა მარტო „კაცია-ადამიანი?!“ იდეასა და მიზანდასახულობას, არამედ ავტორის მთელი შემოქმედებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის ძირითად არსსაც. „გონიერი ანდაზა“ (როგორც ილია უწოდებს), ამ შემთხვევაში ეპიგრაფი, იყო ილიას ერთ-ერთი საპროგრამო დევიზი.

ეპიგრაფის ასახსნელად ვიყენებთ საუბრის მეთოდს. მოსწავლეებს შევახსენებთ ლექსს „ჩემო კალამო“, სადაც ილია ამბობს:

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია?
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს.
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“

სწორედ ამ დიდი სიყვარულის გამო ძრახავდა ილია თანამოძმეთ, მოუწოდებდა მათ მანკიერებათა გამოსწორებისაკენ.

ტექსტზე მუშაობის დაწყებისას მოსწავლეებს ვავალებთ, ეძებონ მოთხრობაში ის ადგილები, რომლებიც პირში ძრახვას, აუგის თქმას გამოხატავენ. მივყვებით ტექსტს და გზადაგზა მოსწავლეებს ამის უამრავი მაგალითი უგროვდებათ. ნაწარმოების ზედმიწევნით კარგად შესწავლის შემდეგ, მოსწავლეთა ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ილიას, როგორც პირუთვნელ მწერალს, ამ მოთხრობით სააშკარაოზე გამოაქვს საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერებანი, ხოლო საამისო განწყობილებას ამზადებს ეპიგრაფი, რომელიც მკითხველის გულისყურს გარკვეულ მიმართულებას აძლევს.

მოსწავლეებს ვაძლევთ დავალებას, გაიხსენონ, რას ამბობს ილია ანდაზებისა და მისი შემქმნელი ხალხის შესახებ. მოსწავლეები ასახელებენ ტექსტიდან: „სადა ხარ ახლა ამ გონიერის სიტყვის მთქმელო? ვიცი სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. შენ ხალხის გენიას გეძახიან. შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ, რომელიც გულს უკეთებს იმას, ვისაც „სხვისთვის“ გული სტკივა, მაშინაც კი უკეთებს, როცა ის „სხვანივე“ თავიანთ გულშემატკივარს ცოლეაღ უთვლიან გულისტკივილსა. რა ვუყოთ? ზოგი გულისტკივილს იმით იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს და ზოგი კი იმითი, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარ ხალხში, რომელს უფრო მეტი ჭეშმარიტი გულისტკივილი და სიყვარული აქვს — ეს თვითონ მკითხველმა გამოიცნოს“.

***მასწავლებელი:*** ბავშვებო, ვის მიმართავს ამ სიტყვებით ილია?

***მოსწავლე:*** ილია ამ სიტყვებით მიმართავს მკითხველს.

***მასწავლებელი:*** სწორია. თქვენც მკითხველები ხართ. აბა, დაფიქრდით და მითხარით, რა აზრობრივ კავშირს ხედავთ მოთხრობის ეპიგრაფსა და ილიას თქვენ მიერ დასახელებულ სიტყვებს შორის სიმართლის თქმის შესახებ. რამდენად ამართლებს ეპიგრაფის აზრს მოთხრობაში აღწერილი ლუარსაბის ცხოვრების ეპიზოდები?

მოსწავლეთა ასეთი დამოუკიდებელი მუშაობით გასაგები გახდება, რომ ავტორის მიზანდასახულობა ნათელია, მაგრამ იგი, მაინც ცდილობს სათქმელი ამომწურავად, ნათლად დაიყვანოს მკითხველამდე: ისევ კლასს ვუბრუნდებით და ვავალებთ, მოიგონონ ბოლოსიტყვაობიდან ადგილი, რომლითაც კიდევ ერთხელ დასტურდება ეპიგრაფში გადმოცემული ხალხური სიბრძნე: „მე გავათავე და შენ, რაც გინდა ჰქმენ, მკითხველო! გინდა იცინე, გინდა იტირე, როცა ამ ამბავს წაიკითხავ. ამისთანა სასაცილო ამბავი უფრო ხშირად უნდა გატირებდეს შენა... თუ არა და იცინე, რამდენიც გენებოს იცინე და თანაც გაჯავრდი ამ მოთხრობის დამწერზედ“.

ევრისტიკული მეთოდის გამოყენებით, მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობლივი მუშაობით კეთდება დასკვნა: ილიას სურს მკითხველს მისცეს მოთხრობის დასაწყისში მოცემული ეპიგრაფის სათანადო გახსნა, რასაც ნაწარმოები ადასტურებს და მწერალი აგრძელებს თავის აზრს: „ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს — რამდენადაც შეძლება აქვს — შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო. მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე — თუ გინდა მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნებ გენიშნოს რამე. ეს იცოდე: შენი მტერი დაგიმალავს, შენ სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე. მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი, სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?! რა ვუყოთ თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგება და შიგადაშიგ ლაქებიანიცა? რაც მქონდა ის მოგართვი, როგორც შემეძლო, ისე დაგეხმარე. თუ მაინცა და მაინც წყრომას არ იშლი, შენი ნებაა?“

...ასეთი ბოლოსიტყვაობით ილია მკითხველს უადვილებს სათანადო პასუხი გასცეს დასმულ კითხვას, სრულად ჩაწვდეს „კაცია-ადამიანის?!“ იდეასა და მიზანდასახულობას, შეიგნოს და



გაიაზროს „გონიერი ანდაზა“: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“.

საბოლოოდ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასკვნის: შესწავლილი მასალის საეპიგრაფო მასალად გამოყენებული ხალხური ანდაზა სრულ ჰარმონიასა და მიზნობრივ კავშირშია მწერლის მსოფლმხედველობასა და მხატვრულ პოზიციასთან. ამგვარად ჩატარებული გაკვეთილი, ეპიგრაფზე დაყრდნობით წარმართული მუშაობა ბევრად უფრო ეფექტურია. რადგან მოსწავლეების მსჯელობა ლოგიკურია, პასუხები გააზრებული, დასაბუთებული და რაც მთავარია, ტექსტი იციან ზედმიწევნით კარგად. ხოლო ნაწარმოების მხატვრული თუ იდეური ღირებულების სწორად გაგებაში დაგვეხმარა ეპიგრაფი.

ი. ჭავჭავაძის „აჩრდილის“ სწავლებას პროგრამის მიხედვით დათმობილი აქვს სამი საათი. ეს ამ ნაწარმოების შესწავლისათვის ძალზე მცირეა, ამიტომ მასწავლებელს (და მოსწავლეებსაც) ძალზე ინტენსიური მუშაობის ჩატარება მართებს.

გაკვეთილზე ვიყენებთ სასკოლო-სალექციო მეთოდს და სათაურის გააზრების შემდეგ მოსწავლეთა ყურადღებას ვამახვილებთ ეპიგრაფზე.

კლასს ვაცნობთ პოემის შექმნისა და სახეცვლილების ისტორიას, რომ არსებობს „აჩრდილის“ ოთხი ვარიანტი. პირველს ეწერა „ძღვნა“ და შემდეგ მოლიოდა ორსტროფიანი ავტოეპიგრაფი (ავტორისეული სიტყვები):

„მიიღეთ, ჩემო მეგობრებო, პირმშო ძე ჩემი,
ახლად შობილი ნუგეშის და იმედთ მომცემი!
იგი მოგითხრობსთ ჩემსა ტანჯვას და ჩემსა ფიქრსა,
რა მამის ფიქრი ზედ ატყვია ლოყებზედ შვილსა.
მიიღეთ ძღვნათა თქვენ მეგობრის ლალი ტირილი,
თამამად მოთქმა მის, რომელიც აშინებს სხვასა;
მიითვისეთ და შეიყვარეთ ჩემი „აჩრდილი“
ეგ მოგაგონებსთ, მეგობრებო, ჩემს გულის წვასა“

ილია ჭავჭავაძე

შემდეგ მოდის ეპიგრაფი — წმინდა დავითის ფსალმუნ-
ლან ამოღებული სიტყვები: „აღზდეგ, უფალო ღმერთო ჩემო, და
ალმართე ხელი შენი, და ნუ დაივიწყებ გლახაკთა შენთა სრუ-
ლიად!“

ეს ეპიგრაფი თვალწინ წარმოგვიდგენს მოხუცის აჩრდილს,
რომელიც უფალს თავის ხალს ავედრებს.

პოემის მეორე ვარიანტს, რომელიც 1860 წლით თარიღდე-
ბა, უკვე ჰყავს ადრესატი. სათაურის ქვეშ სწერია: — ივანე პოლტო-
რაცკისა და ილია წინამძღვრიშვილს ძღვნა“. შემდეგ მეორდება
პირველი ვარიანტის ორტაეპიანი ლექსი და წმინდა დავითის
ფსალმუნიდან ამოღებული სიტყვები:

ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო ი.
ჭავჭავაძე, როდესაც მან დაიწყო ამ პოემის წერა. ავტორს უცდია
ამ ნაწარმოების პირველი ვარიანტის დაბეჭდვა ივანე კერესელი-
ძის ჟურნალ „ცისკარში“ და ხელნაწერი სწორედ ილია წინამ-
ძღვრიშვილისათვის გამოუგზავნია. პოემის ერთი თავი 1859 წელს
დაბეჭდა „ცისკარმა“. ილიამ შემდგომ გააგრძელა პოემაზე მუშაო-
ბა და მხოლოდ 1872 წელს დაასრულა, ხოლო სრულად პოემა
გამოქვეყნდა 1881 წელს „ივერიაში“.

განსაკუთრებით საგულისხმოა იცოდნენ მოსწავლეებმა, თუ
ვინ იყო ივანე პოლტორაცკი. ჯერ ერთი, თუნდაც იმიტომ, რომ
„აჩრდილი“ ეროვნული თავისუფლების მოტივზე დაწერილი პოე-
მაა, ქართველი ხალხის სულისკვეთებას გამოხატავს. ხოლო
პოლტორაცკი კი არაქართველი იყო. მაგრამ ილია ყველა პროგ-
რესულად მოაზროვნე მოღვაწეს, რომელი ერის შვილიც არ უნ-
და ყოფილიყო იგი, პატივს სცემდა. სწორედ ასეთი პიროვნება
იყო ივანე პოლტორაცკი. ილიას წინადადებით პოლტორაცკის
ქალიშვილი ცოლად გაჰყვა ექვთიმე თაყაიშვილს, დიდ მეცნიერ-
სა და მოღვაწეს. იგი 1931 წელს პარიზში გარდაიცვალა და იქვე
დაასაფლავეს, ხოლო 1987 წელს გადმოასვენეს და დიდუბის პან-
თეონში დაკრძალეს მეუღლის გვერდით.

„აჩრდილის“ საბოლოო ვარიანტში ავტორმა მოხსნა ორსტ-



როფიანი ეპიგრაფი, ფსალმუნიდან ამოღებული სიტყვებიც და
ეპიგრაფად გამოიყენა უკვდავი შოთას სიტყვები:

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭკნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

რა მიმართებაშია რუსთაველის სტრიქონები „აჩრდილის“
შინაარსთან. მოსწავლეები მოგვყავს დასკვნამდე, რომ ეპიგრაფში
ფიქსირებულია ცხოვრების გარდაქმნის, მისი შეცვლის და განახ-
ლების აუცილებლობის იდეა, რაც თავისი ცხოვრებისა და შემოქ-
მედების უპირველესი მიზნის უკეთ გამომხატველად ჩაუთვლია
პოეტს.

მოსწავლეებს ვეკითხებით — როდის ამბობს რუსთაველი
ამ სიტყვებს? მათ ახსოვთ, რომ ამას ამბობს როსტევანი თინა-
თინის გამეფების დროს. იგი სიცოცხლის მონაცვლეობას, თაო-
ბათა მემკვიდრეობითობას გამოხატავს. ამავე აზრს შეიცავდა
„ქართველის დედის“ ლაიბნიცის აფორიზმი. ილია ჭავჭავაძემ
ეროვნული და სოციალური პათოსის გამოსახატავად ისევ მა-
რადიული განახლების იდეას მიმართა, რუსთველისაკენ მიგვა-
ხედა, ძველი დროების გმირები გაგვაცნო, უგმირო ხანაც დაგვი-
ხატა და კვლავ მომავალს მიაპყრო იმედიანი მზერა, რომელმაც
უნდა წარმოშვას განმათავისუფლებელი, ეროვნული გმირი.

მოსწავლეებს უნდა ვუთხრათ, რომ ილიას მთელ შემოქმე-
დებას გასდევს პათოსი გმირის დეფიციტისა, გმირის ძიებისა:
„მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომ-
ლისთვისც ვტირი?“ რომლის სიმბოლურ სამ წყოფელად მან ბო-
ლოს ბაზალეთის ტბა მიიჩნია, მისი ოქროს აკვანი იქ მოათავსა.
ამით ძიების ესტაფეტა მომავალს გადასცა და მიიჩნია, რომ მის-
მა თაობამ მიუხედავად დიდი გარჯისა და ღვაწლისა, სანუკვა-
რი იდეალები მაინც ვერ განახორციელა, თუმცა საამისო სა-
ფუძველი კი მოამზადა.

ტექსტის შესწავლისა და კარგად გაანალიზების შემდეგ
ვუბრუნდებით მეორე ეპიგრაფს, რომელიც პოემის დედააზრსა
და ავტორსი მიზანდასახულობას გამოხატავს და მკითხველს

უქმნის სათანადო განწყობილებას პოემის შეგნებულად ათვისებისათვის.

საქართველოს ბრწყინვალე და დიდებული წარსული ილიას დროისათვის „დამჭკნარი“, „გამხმარი“, დაფერფლილი იყო. მაგრამ ეს იყო აწმყო, რომელიც ბრწყინვალე წარსულის ნერგზე იყო აღმოცენებული და რომელსაც ბედნიერი მომავალი უნდა მოეტანა, რადგან ავტორმა კარგად იცის, რომ ტურფა ბაღნარში ერთი წავა და სხვა მოვა. მოსწავლეებს პოემაში თვითონ უნდა მოვაძებნინოთ შინაარსობრივად ეპიგრაფის ექვივალენტური სტროფი და მივიყვანოთ იმ დასკვნამდე, რომ ასეთი სტროფია:

„და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების
და ახალ ნერგზედ ახლ ად შობილი
ასე ქვეყანა კვლავ აღყვავდების“.

პოემის ავტორს ურყევად სწამს თავისი ქვეყნის მომავალი თავისუფლება და წარსული დიდების აღდგენა.

პოემის ორივე ეპიგრაფი უკავშირდება „აჩრდილის“ იდეურ პრობლემატიკას, წარმოგვიდგენს წარმომშობ ატმოსფეროს, კონკრეტულ გარემოს, პოემის იდეასა და მიზანს.

აკაკი წერეთლის ნაწარმოებებიდან, რომლებიც X კლასში ისწავლება, ეპიგრაფის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „**განთიადი**“, რომელიც 1840 წელს დაიწერა. იგი პატრიოტული თხზულებაა. მოსწავლეებს ევალებათ მისი ზეპირად დასწავლა და იდეურ-მხატვრული ანალიზი. ჩვენ უნდა მივუთითოთ კონკრეტული მოტივები, რომლებმაც შთააგონეს პოეტს შეექმნა ეს ლექსი. ვაჩვენოთ მათ გარდასახვის ხარისხი და ფერისცვალება პოეტის ფსიქიკაში. „განთიადი“ ავტორმა მიუძღვნა დიმიტრი ყიფიანს. დავსვით შეკითხვა, ვინ იყო დიმიტრი ყიფიანი. თითქმის ყველამ ერთგვაროვნად გვიპასუხა. მე-19 საუკუნის საზოგადო მოღვაწე. არც ერთმა მოსწავლემ სხვა რამ დიმიტრი ყიფიანის შესახებ არ იცოდა.

მოსწავლეთა ლიტერატურული განათლების დონის ამაღ-



ლებისა და აქტიურობის მისაღწევად არ არის საკმარისი მხოლოდ ნაწარმოების ტექსტი ვისწავლოთ კარგად. საჭიროა სხვადასხვა გზის გამონახვა, კონკრეტულად ისეთი მათთვის ახალი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც თავისთავად შეიძლება საკმაოდ ცნობილი და გახმაურებული ამბავი იყოს, მაგრამ მოსწავლეებმა არ იცოდნენ. ესა თუ ის ცნობილი ფაქტი მოსწავლეებს ისეთი კუთხით, იმგვარად, იმ სიტუაციაში უნდა მივაწოდოთ, რომ აღვუძრათ ინტერესი, გავუღვივოთ პატრიოტული გრძნობა, ავუმაღლოთ ეროვნული თვითშეგნება და, რაც მთავარია, ნაწარმოები სხვა თვალით დაინახონ და უკეთესად შეისწავლონ. ასე ვიქცევით ამ შემთხვევაშიც.

ფაქტებითა და მოვლენებით ერთობ მდიდარი მე-19 საუკუნის პირველი სამი მეოთხედის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ვითარების მიმოხილვისას მასწავლებლებს ნაკლებად ეძლევათ საშუალება, დაწვრილებით ისაუბრონ ცალკეული პიროვნებების კონკრეტულ ღვაწლზე (ცხადია, არ ვლაპარაკობთ მონოგრაფიულად შესასწავლ მწერლებზე). ამ მხრივ, არც დიმიტრი ყიფიანია გამონაკლისი, მაგრამ ეს ფაქტი „განთიადის“ სწავლების მიზნებისათვის, შესაძლოა, მომგებიანიც იყოს. რადგან მოსწავლეებს, ლექსის ეპიგრაფიდან გამომდინარე, წინ ელით საქართველოს ერთ-ერთ უღირსეულეს შვილთან ემოციური შეხვედრის სიხარული. ასეთ შემთხვევაში ბევრი რამ არის დამოკიდებული მასწავლებლის შთამბეჭდავ სიტყვაზე. სასურველია ლექსის წაკითხვას წინ უძღოდეს კითხვა ნაწყვეტებისა და ა.წერეთლის დიმიტრი ყიფიანისადმი მიძღვნილი სიტყვიდან: „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ფიქრობდა, თავზე გადაგანთხიეს და იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დაგაკრეფინეს! აი, სწორედ ამისთანა დევგმირზე, როგორიც იყო განსვენებული დიმ. ყიფიანი, ითქმის, რომ „მოვიდა ქვეყნად და ქვეყანასაც რამ არგოო“. ამის შემდეგ მოსწავლეებისათვის რელიეფური და გასაგები გახდება ლექსის შინაარსი: იგი ფაქტიურად ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი

ურტიურადაც შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ოთხ სტროფს
იცავს, იგი გვიხატავს მთაწმინდის ღამეს. „მტრის ურჩი რაინ-
ი“, „საშვილიშვილო სამარე“ – ეს ეპითეტები ეძლვნება დიმიტ-
ი ყიფიანს (1814-1887), რომელიც მთაწმინდაზეა დასაფლავებუ-
ი. ახლა უკვე კლასს ვაცნობთ დიმიტრი ყიფიანს, უზომოდ
ატრიოტსა და დიდ მოღვაწეს. 1832 წლის შეთქმულების მონა-
ილე, ერთ დროს თბილისის თავადაზნაურთა წინამძღოლი,
ფისნაცვლის საბჭოს წევრი, ქართველთა შორის წერა-კითხვის
ამავრცელებელი საზოგადოების პირველი თავმჯდომარე. ცხა-
ია, ასეთი მოღვაწენი სხვებიც იყვნენ მე-19, საუკუნეში, მაგრამ
ათ აკაკისათვის ასეთი ძალის ლექსი არ შთაუგონებიათ. აქ
ასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს დიმ. ყიფიანის ბიოგ-
აფიის ტრაგიკულ ფინალს. როგორც ცნობილია, 1886 წელს
ბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი ა. ჩუდეცკი მოკ-
ლა იოსებ ლალიაშვილმა, რის გამოც ეგზარხოსმა პავლე ლებე-
ევმა დასწყევლა ქართველი ერი. ამ აქციის წინააღმდეგ ხმა
ღიმაღლა, ქართველობა დაიცვა და ეგზარხოსის საქართველო-
დან გაწვევა მოითხოვა დიმ. ყიფიანმა. მან პირადად ეგზარხოს-
აც მისწერა წერილი. მოსწავლეებს ვაცნობთ ამ წერილს:
„...ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც თქვენ
მოწოდებული ხართ სამწყოსდ და რომელიც ამის გამო მოე-
ლოდა თქვენგან მარტოოდენ სიყვარულსა და სათნოებას... თუ
ყოველივე ეს მართალია, თქვენი ღირსების გადარჩენა შეიძლე-
ბა მხოლოდ იმით, რომ შემჩვენებელი დაუყოვნებლივ განიდევ-
ნოს შეჩვენებული ქვეყნიდან“ (ფონდი № 192), ყოველივე ამის
გამო დიმ. ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც მალე
მოკლეს კიდეც. სწორედ ეს ტრაგიკული აღსასრული გახდა ლექ-
სის შექმნის მიზეზი.

ლექსის მეორე ნაწილი მგოსნის მონოლოგია, რომელშიც
გადმოცემულია სამშობლოში დაბრუნებული ადამიანის განც-
დები, სევდა, სიხარული. მაგრამ „მგოსანი“ მღერის „ურჩი რაინ-
დის“ „გულის პასუხს“. ე.ი. მეტყველებს დიმ. ყიფიანის პირით.



ბიოგრაფიული დეტალებიც გასათვალისწინებელია – უცხოობა-
ში ყოფნა, დასნეულება, სამშობლოში დაბრუნება და მთაწმინდის
კალთაზე დავანება. აკაკი წერეთელი დიდ პატივს სცემდა დიმ.
ყიფიანს. ხოლო მისმა დრამატულმა ბიოგრაფიამ, ტრაგიკულმა
აღსასრულმა შეძრა იგი და ამდენად ლირიკულ ლექსში თავისი
თავი გააიგივა „ურჩ რაინდთან“; ანალიზის დროს მოსწავლეებს
ვეუბნებით შედევრის წარმომქმნელ რეალიებსა და დეტალებზე,
მაგრამ, ცხადია, თავად შედევრისათვის ამას ნაკლები მნიშვნე-
ლობა აქვს.

როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, ამგვარად ჩატარებუ-
ლი გაკვეთილი სულ სხვა ემოციას იწვევს მოსწავლეებში, სულ
სხვაგვარი ამაღლებული განწყობილებით და მონდომებით ამზა-
დებენ შემდეგისათვის მასალას, არ კმაყოფილდებიან მხოლოდ
ლექსისა და მისი გარჩევის ცოდნით და თვითონ ინტერესდებიან
იმ მასალების გაღრმავებით, რაც ჩვენ გაკვეთილზე მივაწოდეთ.

აქ, როგორც დავინახეთ, ადრესატულ ეპიგრაფზე ყურად-
ღების გამახვილებით, მასთან დაკავშირებული მონათხრობით
ხორციელდება საქართველოს ისტორიის ცალკეული მონაკვე-
თების აღქმა, საგანთა შორის კავშირი. კიდევ უფრო იზრდება
ლექსის ემოციური ხიბლი, როცა მოსწავლეები ხედავენ, რაოდენ
დიდებული ადრესატი უპოვია აკაკის პატრიოტულ გულისთქ-
მას. ცხადია, ლექსის სტრიქონებზე დაკვირვებით ისიც აშკარა
ხდება, როგორ იშლება ზღვარი ლირიკულ გმირს, მიძღვნის
ობიექტს, ავტორსა და მკითხველს შორის და ლოცვასავით თქმუ-
ლი სტრიქონები სამშობლოს მიწასთან, მის ცასა და ხმელეთთან
ადამიანის სულით და ხორცით გაუთიშველი კავშირის აპოთეო-
ზად გაისმის.

ჯ. ჩარკვიანის ლექსს „ირინოლა“ უძღვის რემარკული ეპიგ-
რაფი: „ფაშიზმთან ომის დროს პოლონეთში დაღუპულ თხუთმე-
ტი წლის ირინე სხირტლაძეს“. ეს სიტყვები უკვე შეიცავენ იმ
ინფორმაციას, რომელიც ლექსის საწყისად იქცა. მართალია, ეს
ნაწარმოები არ არის გათვალისწინებული ძირითადი პროგრა-

მით, მაგრამ V-VIII კლასებში ძუნწად არის წარმოდგენილი თანამედროვე ქართული მწერლობა და ამ თვალსაზრისით პედაგოგმა შეიძლება ჯ. ჩარკვიანის ეს ლექსი გამოიყენოს. როგორც ეპიგრაფიდან ჩანს, ირინე სხირტლაძე 15 წლის გოგონა ყოფილა, როდესაც პოლონეთში დაღუპულა. მოსწავლეებში გმირული სულის გასაღვივებლად ამის გააზრება აუცილებელია. ლექსი სამამულო ომის თემისადმია მიძღვნილი, კერძოდ ქალებისადმი, რომლებიც მამაკაცებთან ერთად ებრძოდნენ ფაშისტურ ურჩხულს. ლექსში სახელი ირინე შეცვლილია ირინოლათი, რაც აღებულია სვანური მითოლოგიიდან. როგორც ვხედავთ, პოეტს გოგონას გმირობა ზღაპრებთან და ლეგენდებთან აქვს დაკავშირებული. ლექსი შეიცავს გამორჩეულ ხატოვან ფრაზას, რომელიც ხალხში ფართოდ გავრცელდა, როგორც ქართველი ხალხის სიმცირის, მაგრამ ამასთან ერთად მისი მამაცური სულის გამოხატულება: „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“.

ჩვენ განვიხილეთ ეპიგრაფის სამივე ნიმუში (საკუთრივ, ადრესატული და რემარკული). მასწავლებელმა, როცა ნაწარმოები ამის საშუალებას იძლევა, უსათუოდ უნდა გაამახვილოს ყურადღება მასზე, რადგან ეპიგრაფი ტექსტის ფუნქციური, აზრობრივი დეტალია.

დ. გურამიშვილის შემოქმედების სწავლება მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. ა. თოფურიას სახელმძღვანელოში „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა“ ვრცლადაა საუბარი ამ საკითხზე, მაგრამ ჩვენ გვინდა, შევჩერდეთ პოეტიკის – კონკრეტულად მაჯამური სტროფების სწავლებაზე, რადგან „ქართლის ჭირზე“ მუშაობისას მასწავლებელი განსაკუთრებული სირთულის წინაშე საკმაოდ ბუნდოვანი, რებუსული მაჯამური სტროფების სიუხვის გამოც დგება. პოემის იმ მონაკვეთში, რომელიც სასკოლო სახელმძღვანელოშია შეტანილი, გვხვდება 8 სრული, 4 კოჭლი და 2 შეთავსებულრითმიანი მაჯამური სტროფი.

მოსწავლეებს ერთხელ კიდევ შევახსენებთ რითმის რაობას, რომ რითმა ქართული კლასიკური ლექსის უაღრესად მნიშვნელოვანი ელემენტია, რომლის იდეალური სახე არის მაჯამა. განვმარტავთ მაჯამის სახეებს: სრული, კოჭლი, შეთავსებულრითმიანი, მოგვყავს მაგალითები. მოსწავლეებს უნდა გავაცნობიერებინოთ, რომ მაჯამური სტროფის შექმნა მწერლის დიდ ოსტატობაზე, მაღალ გემოვნებაზეა დამოკიდებული, მთელი სირთულე ომონიმური სიტყვების შერჩევაში მდგომარეობს, რომ სწორედ ამ სიტყვათა მისადაგებით განისაზღვრება მაჯამის ხარისხი და ღირსება. მაჯამას აქვს მხატვრული და შემეცნებითი ფუნქცია. ხელს უწყობს მშობლიური ენის უკეთ დაუფლებას, დიალექტიზმების, ბარბარიზმებისა და ნეოლოგიზმების გაცნობას.

მაჯამის ნათლად გაგებისათვის მოსწავლეები იძულებულნი არიან გამოიყენონ სხვადასხვა ლექსიკონი, საფუძვლიანად გაიაზრონ ომონიმური სიტყვები, რითაც ისინი იფართოებენ ლექსიკურ მარაგს.

ომონიმური სიტყვების მნიშვნელობა ძირითადად მოცემული და ახსნილია სათანადო ლიტერატურაში. ჩვენ შევეცადეთ განვვემარტა აუხსნელი სიტყვა „საგალი“.

„შემქნა უშრტო, უნაყოფო, ვით ხმელის ხისა გალია,
გულს დამასვა სამჭედურად, ლახვრად სევდის საგალია,
ზღიან ცრემლნი თვალთა ჩემთა, სწვავს, ვით თევზთა საგალია,
ასე მიჩანს სრა სამყოფად, ვითა ფრინველსა გალია“.

მოტანილ სტროფში I და IV ტაეპის „საგალიას“ მნიშვნელობა გასაგებია, III სტრიქონის „საგალი“ საბას განმარტების მიხედვით თევზთა საწამლავ მცენარეს, სამსალას ნიშნავს. აუხსნელი რჩება მეორე ტაეპის „საგალი“, რომელიც არსად არ არის განმარტებული. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი ინტერესი ამ ლექსიკური ერთეულისადმი.

ჩვენი აზრით, ამ ტაეპში ნახმარი „საგალი“ უნდა იყოს იგივე „საგალავი“. „საგალავი“ გახლავთ ურმის ხელნის საბრუნში ღერძის დასაჭერად ჩარჭობილი ხის რიკი. საგალავს დაახლოებით პალოს ფორმა აქვს და ურმის ღერძს და ბორბლის ხელნას

ურთიერთისაგან დაშორების საშუალებას არ აძლევს.

პოეტს სიტყვა „საგალავი“ შეეძლო შემოკლებულად ეხმარა „საგალის“ ფორმით ისე, როგორც მოსაკითხავი-მოსაკითხი, წასაკითხავი-წასაკითხი, დასახატავი-დასახატი, მოსაწამლავი-მოსაწამლი და სხვ.

აზრობრივადაც ამ სიტყვის მნიშვნელობა სავსებით მორგებულია. პოეტი ამბობს: საწუთრომ სევდის ლახვარი გულს ისე დამასვა, როგორც ურმის საბრუნში ჩარჭობილი საგალავიო. ამრიგად სიტყვა „საგალი“ იგივე „საგალავი“ უნდა იყოს.

მოსწავლეებს უნდა ვაგრძნობინოთ დ. გურამიშვილის შემოქმედების სიდიადე, მიმზიდველობა, მისი პოეტური ენის უაღრესად მუსიკალურობა, ლექსის ფორმის მრავალფეროვნება, რომ მისი შემოქმედების სიდიადე სწორედ მის უნიკალურ მხატვრულ ფორმაშია, რაც ესთეტიკური ზემოქმედების უდიდეს ძალას იძენს.

## ლირიკული ნაწარმოების სწავლება

ტექსტზე მუშაობისას ცალკე უნდა გამოვყოთ ლირიკული ჟანრის ნაწარმოების სწავლება. აღსანიშნავია, რომ სასკოლო პროგრამაში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ლირიკული ნაწარმოებები. ხოლო მათზე მუშაობა ზოგჯერ ძალზე გამარტივებულია. ხშირად მასწავლებელი მხოლოდ გაუგებარი სიტყვების ახსნითა და ტექსტის ზეპირად დასასწავლად მიცემით იფარგლება, რაც არასწორია. „არსად სიტყვა არ იტევს იმდენ აზრს, რამდენსაც ლირიკულ ლექსში, რომლის სტრიქონებს შორის დარჩენილ არეებში ფეთქავს ყოველი ჭეშმარიტი პოეტის გული, ბუდობს აზრის უხილავი ნაპერწკალი, მგზნებარე ალად რომ ინთება არეებიდან სტრიქონებში, სტრიქონიდან სტროფში, სტროფიდან მთელ ლექსში... აქედან აუცილებელია ლირიკულ ნაწარმოებზე მუშაობის დროს პირველ რიგში გამოვუმუშაოთ



მოსწავლეებს ლირიკული ლექსის თითოეული სიტყვისადმი, დეტალებისადმი ყურადღებით, გულდასმით დამოკიდებულების, სიტყვის დაფასების, შეგრძნებისა და მიზნობრივად გამოყენების პრაქტიკული სასარგებლო ჩვევები“.[1]

ლირიკულ ნაწარმოებში მწერალი დაწურულად, კონდენსირებულად გადმოგვცემს აზრს. ზოგჯერ საოცრად დიდი და პრობლემური სათქმელი ერთი სტრიქონით გაიაზრება. მწერლის ეს აზრი, განცდა მაშინ იქნება მოსწავლეთათვის მისაწვდომი და გასაგები, თუ ნაწილობრივ მაინც იციან ლექსში გადმოცემული სინამდვილე, ის აზრი, რისი თქმაც უნდოდა პოეტს. ტესტზე მუშაობისას უსათუოდ უნდა შევქმნათ პრობლემური სააზროვნო სიტუაცია, ჩავუღრმავდეთ მას. გავიგოთ მწერლის ჩანაფიქრი, მისი განწყობილება.

სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს მასწავლებლის ხელოვნება. შესავალ საუბარში მან უნდა მოამზადოს ნიადაგი ლექსის იდეური გააზრებისა და სწორად აღქმისათვის.

ლირიკულ ჟანრზე მუშაობისას განსაკუთრებულად უნდა გამახვილდეს ყურადღება ლექსიკურ მუშაობაზე, პოეტურ ხერხებზე, რადგან ლექსში ზოგჯერ ერთ სიტყვას ისეთი დატვირთვა აქვს, რომ მისი სწორად გააზრების გარეშე ნაწარმოების სწორად აღქმაც ვერ მოხერხდება.

ლირიკულ ნაწარმოებზე მუშაობისას ერთ-ერთი მთავარი ყურადღება ლექსთწყობის საკითხებზე უნდა გადავიტანოთ, დოზირებულად, მარტივად უნდა მივაწოდოთ ცნობები ლიტერატურის თეორიის საკითხებიდან: ლექსი, სტროფი, ტაეპი, რითმა, რიტმი, ლექსის ზომა და სხვა.

შემდეგ კლასებში კი თანდათან უნდა გავაცნოთ ლექსთწყობის საკითხები: რითმები მარცვალთა რაოდენობის მიხედვით- ვაჟური, ქალური, დაქტილური; რითმები მდებარეობის მიხედვით — თავრითმები, შიგაგანი რითმები, ბოლორითმები; გარითმ-

1. თოფურია ა. „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა“ VI გამ. 1991. გვ. 193.

ვის ხერხების მიხედვით — მოსაზღვრე, ჯვარედინი, რკალისებური, ზუსტი, არაზუსტი რითმები, მაჯამა და სხვ.

ლირიკული ლექსის სწავლების დროს მასწავლებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ თავიდან აიცილოს მოსწავლეთა მიერ ლექსის მექანიკური დაზეპირება, მათ უნდა შეძლოთ გააზრებული, გონივრული, შეგნებული აღქმა, ჭეშმარიტი შეფასება მხატვრული ნაწარმოებისა. ჰქონდეთ მხატვრულ სახეებში წვდომისა და გაანალიზების უნარი.

წარმოვიდგენთ რამდენიმე ნიმუშს ლირიკული ლექსის სწავლებისა: 1) ნ. ბარათაშვილის „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას“, ვაჟა-ფშაველას „კაი ყმა“ და „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“.

დღეს შევისწავლით ნიკოლოზ ბარათაშვილის ბოლო ლექსს, რომელიც ჩვენი სასწავლო პროგრამით არის გათვალისწინებული „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას“. შეიძლება ითქვას, რომ ეს ლექსი ერთგვარად აჯამებს არა მარტო პოეტის სატრფიალო ლირიკას, არამედ მის ფილოსოფიურ და ესთეტიკურ ნააზრევსაც. ვერ ვიტყვით, რომ ლექსში სრულიად ახალი თემა იყოს გაშუქებული, ხორციელი და სულიერი მშვენიერების ურთიერთსაპირისპირო ბუნების გაგება არაერთი ქართველი მწერლის შემოქმედებაში ასახულა. ამ მხრივ ყველაზე გამორჩეული დავით გურამიშვილია. სწორედ მას ეკუთვნის ეს უკვდავი სტრიქონები:

„ხორცია მიწა, ტალახი,
საწუთრო — ფეხით ნალახი.
სული — უსხეულ მყოფელი,
აქვს საუკუნო სოფელი.
ხორცი — მკვდარ-ხმელი ბალახი,
აყოებულად ნანახი.
სული — ცხოვრების მპყრობელი,
ვით ბაზმა გაუქრობელი“.

ნ. ბარათაშვილის დღეს შესასწავლი ლექსიც მშვენიერი



სულის, ზეცით მოსული ნათელის დიდებაა; არ მინდა იგი პოეტის შემოქმედების დასკვნით აკორდად მიიღოთ. უკეთესი იქნება, თუ ის თქვენთვის გასაღებად იქცევა იმ მშვენიერი სამყაროსათვის, რომელსაც ნ. ბარათაშვილის პოეზია ჰქვია.

მოვუსმინოთ ლექსს, კითხულობს მხატვრული კითხვის თვალსაჩინო ოსტატი გურამ საღარაძე, გთხოვთ, ყურადღება გაამახვილოთ ლექსის ტონალობაზე. განსაკუთრებით დაუკვირდით ბოლო სტროფის წაკითხვას. მშვიდი, ნარნარა ტონები როგორ გადადის ექსტაზურში და როცა მიაღწევს კულმინაციას, ჩნდება პაუზა, სიჩუმე და ამ სიჩუმეში ნიავის ჩურჩულივით გაისმის ის, რაც ლექსის მთავარი სათქმელია. ვრთავთ მაგნიტოფონს (თუ ამის საშუალება არის), მოსწავლეები პარალელურად თვალს ადევნებენ სახელმძღვანელოში ლექსს, ასე უკეთესად ხდება მისი აღქმა.

როგორც ხედავთ, ლექსში სულისა და ხორცის დაპირისპირება გაღრმავებულია და თავისებური ესთეტიკური პრინციპების ხარისხშია აყვანილი. ამაში თავად დარწმუნდებით, თუ ლექსის თითოეული სტროფის აზრს რიგიანად ჩავწვდებით. „ჩვენი დანიშნულების მიზნის მიუწვდომლობა, ადამიანთა სურვილთა უსაზღვროება და მთელი ცისქვეშეთის ამაოება. ჩემს სულს საშინელი სიცარიელით ავსებს“, — სწერდა ბარათაშვილი თავის ბიძას — ზაქარია ორბელიანს. მაშ, თუ მთელი ცისქვეშეთი ამაოებაა, რაღაა უკვდავი და მარადიული? გამოსავალი ნაპოვნია პოეტის მიერ — მარადიული სულია, მშვენიერი სული. ვნახოთ, როგორ არის ეს იდეა გადმოცემული ლექსში?

ერთ-ერთ მოსწავლეს ვაკითხებთ ლექსის პირველ სტროფს და ვთხოვთ გადმოსცეს მისი შინაარსი. დაახლოებით ასეთ პასუხს ვღებულობთ: პოეტი მიმართავს ბანოვანთ, რომ მამაკაცის პირუმტკიცობის მიზეზი ხშირად ის არის, რომ მის რჩეულს მშვენიერი სული არ აღმოაჩნდა. შემდეგ ისევ ვაგრძელებთ: თუ რა დიდია იმედგაცრუება გულისსწორის უსულობის გამო, ეს პოეტის ერთ-ერთ პირად წერილშიც გამოჩნდა. აბა, გავიხსენოთ შე-

საბამისი მონაკვეთი მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი ბარათიდან: „ვინც მაღალის გრძნობის მქონი მეგონა, იგი ვნახე უგულო. ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია. ვისი გონებაც მიწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არც თუ განსჯა ჰქონია. ვისიცა ცრემლნიც მეგონებოდნენ, ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერი სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელი საწამლავისა!“ სრულიად ბუნებრივია, ამგვარი იმედგაცრუება პოეტს მიიყვანდა იმ დასკვნამდე, რომ ეღიარებინა სულის მშვენიერების უპირატესობა ხოციელ სილამაზესთან შედარებით. აქვე ვხსნით სიტყვებს ბანოვანი, გემსჭვალვის. შეიძლება ითქვას, რომ ზმნა გემსჭვალვის მეტაფორულია და მტკიცე, დაურღვეველი გრძნობა იგულისხმება.

ვკითხულობთ მეორე სტროფს (მოსწავლე) პოეტი გარეგნულ სილამაზეს უწოდებს „ხორციელების ნიჭს“. თუ ადამიანებს ერთმანეთთან მხოლოდ გარეგნული ხიბლი აკავშირებთ, მაშინ მათი გრძნობა „ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები“ იმიტომ, რომ ეს სილამაზე ადრე თუ გვიან ყვავილივით დაჭკნება. ასეთი სიყვარულის ეპითეტებად პოეტმა შემოგვთავაზა „ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები“, ე.ი. ეპითეტები ზედიზედ, მიჯრით გამოიყენა. მაგრამ ამ პოეტური ფერის შთამბეჭდაობა იმითაც იზრდება, რომ სამივე სიტყვა სინონიმურია. ხომ არ გაიხსენებდით მსგავს შემთხვევას ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებიდან?

ვფიქრობთ მოსწავლე გვეტყვის: „გოგჩაში“ შეგვხვდა ასეთი პოეტური ფრაზა: „ჭმუნვათა თვისთა მნახველთაცა აზიარებენ უღაბურება, მჩუმარება, არარაობა“...,

მასწავლებელი თავად კითხულობს მესამე სტროფს, რადგან იგი ყველაზე რთულია და თავადვე განმარტავს.

„მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული,
რომლით ნათლდება ყოველი გრძნობა, გული და სული
და კაცთა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,
რად გრწამს არ იყოს, საუკუნო მადლი ტრფობისა?“



ე.ი. ყოველი ადამიანისათვის მისაწვდომ „ხორციელ სილამაზეს“ პოეტი უპირისპირებს რჩეულ სულთათვის განკუთვნილ ზეცით მოსულ მშვენიერებას. გამოდის, რომ ადამიანის სულიერი სამყარო ბარათაშვილისათვის განუზომლად მაღლა დგას ობიექტურ სინამდვილეზე და ზებუნებრივია, „ღვთაებრიობის კერძო“ გამოხატულებაა კაცთა შორის. ამდენად, მის იდუმალ შინაგან მოძრაობებსაც არაფერი აქვთ საერთო ჩვეულებრივ ყოფით მოვლენებთან

წაიკითხეთ მეოთხე სტროფი:

„თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეზს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.
მხოლოდ კავშირი ესრეთთ სულთა შობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა“.

მშვენიერ სულთა კავშირი მარადიული კავშირია. ასეთი სიყვარული ზეციური მადლით არის ნაკურთხი. ხოლო ის, რაც ღვთით კურთხეულია, ნეტარია. პოეტიც იმას გვიმტკიცებს, რომ მშვენიერ სულთა სიყვარულის ნაყოფი ისეთი ტკბილია, რომ სასუფეველის ნეტარებას ჰგავს. იქნებ მკრეხელურადაც მოგვეჩვენოს ლექსის დასკვნით სტროფში გამოთქმული აზრი –

„მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა ესთ სანუკველი!
რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი!“

მაგრამ, აბა უსმინეთ, რა მოჰყვება მას:

„მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება
და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება!“

ჭეშმარიტება კი სხვა არაფერია, თუ არა ღმერთი ე.ი. ღმერთი აგვირგვინებს და ციური სხივით აცისკროვნებს მშვენიერ სულთა კავშირს. ახლა სხვაგვარად შევხედოთ ლექსს. ხომ შეიძლება ხორციელების ნიჭი განვაზოგადოთ და იგი აღვიქვათ არა მხოლოდ ადამიანის გარეგნულ მშვენიერებად, არამედ ობიექტურ სინამდვილედ, რომელიც სავსეა ათასნაირი მაცდუნებლებით, ფუფუნების საგნებით, სასახლეებით, აგარაკებით და სხვ. ე.ი. ყოველი ცოცხალი არსებისათვის მისაწვდომ ამ „ხორციელების

ნიჭს“ პოეტი უპირისპირებს რჩეულ სულთათვის განკუთვნილ „ზეცით მოსულ მშვენიერებას“, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ადამიანი ცხოვრობს ხორციელებით და სულიერებით. და ამ ორი ცხოვრებიდან ბარათაშვილი უპირატესობას ანიჭებს და ზეციურ მაღლად თვლის სულიერ ცხოვრებას და მას უწოდებს ნათელს — ზეცით მოსულს. ლექსის ამგვარი განხილვა გვაძლევს უფლებას, რომ დავასკვნათ ბარათაშვილის „რად ჰყვედრი კაცსა“ აჯამებს პოეტის სატრფიალო ლირიკას და ამავე დროს ნათელყოფს პოეტის ესთეტიკურ პრინციპებსაც.

აქვე მოსწავლეთა ყურადღებას ვამახვილებთ პოეტის ენაზე, მის სინატიფესა და მუსიკალობაზე, არქაიზმებზე — ერთგვარ ვარაყად, ჩუქურთმად რომ ხმარობს პოეტი. აბა ფრაზა „მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული“ წარმოვიდგინოთ თანამედროვე ქართული ენით: მშვენიერება ზეციდან მოსული ნათელია. ფრაზამ დაკარგა პოეტური ხიბლი.

აბა, ერთხელ კიდევ ჩავიხედოთ წიგნებში, დამეთანხმებით, რომ ლექსში შეგონებასავით გაისმის პოეტის საკაცობრიო მნიშვნელობის სიტყვები. მაინც რომელს გამოყოფდით?

ჩვენი აზრით დაგვისახელებენ:

„სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების
და ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჭკნების“.
კიდევ? „მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული,
რომლით ნათლდება ყოველი გრძნობა, გული და სული“.
კიდევ? „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს“

მასწავლებლის დასკვნითი სიტყვა დაახლოებით ასე წარმოგვიდგენია: მაინც საიდან იღებს სათავეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ასეთი მაღალი წარმოდგენა ადამიანის სულიერი ცხოვრების შესახებ? უპირველეს ყოვლისა, მისი ორიგინალური ბიოგრაფიული თვისებებიდან. იგი იყო არამარტო დიდი შემოქმედი, არამედ განსაკუთრებული ინტელექტუალური და ემოციური თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება. მარტოობა, სულიერი



ობლობა მისთვის ლიტერატურული პოზა არ გახლდათ. იგი ვაცილებით მაღლა იდგა თავის თანამედროვეებზე და მთელი არსებით გრძნობდა, რომ ის არ იყო იმ დროისათვის დაბადებული, ეძებდა ასპარეზს და რომ ვერ პოულობდა, ისეთ ულხინობას განიცდიდა, რომელიც დიდმა ილია ჭავჭავაძემ კაცობრიობის ულხინობას გაუტოლა.

არადა თანამედროვენიც და ბიოგრაფებიც მას მხიარულ, გონებამახვილ, იუმორით დაჯილდოებულ, არშიყ, საუკეთესო მოცეკვავედ და მომღხენ პიროვნებად გვიხატავენ. შეიძლება ითქვას, რომ არც ეს სიმხიარულე, და დარდიმანდობაც არ იყო ბარათაშვილისათვის პოზა, ესეც მისი თვისება გახლდათ და საერთოდ, პოეტისათვის უცხო იყო პოზიორობა. მით უფრო ფასეული ხდება ამგვარი პოეტისაგან მშვენიერი სულის მარადიულად აღიარება და სხვა დანარჩენისათვის წარმავალის წოდება. „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს“ — თავისთავად დიდებულია ეს სიტყვები, მაგრამ სხვაგვარი ფასი ეძლევა მას, როცა წარმოვიდგენთ, ეს იმ კაცისაგან არის ნათქვამი, ვინც „ბაგის დატკბარუნებას“ მშვენიერი ბანოვანის საყურის ქვეშ უკვდავებას ადარებდა, ვისაც შურდა ნიავის, სატრფოს დალალებში რომ დანავარდობდა, ვინც აცხადებდა:

„ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა,
ყოველნი კეთილნი მან შეიერთა...
სულსა მოჰბერა ცის ნიჭი ქვეყნად
და თავის მკობად ქმნა იგი მგოსნად“.

საშინაო დავალებად ვაძლევთ ლექსს „რად ჰყვედრი კაცსა“ — ზეპირად და იდეურ-მხატვრული ანალიზით.

## *2. ვაჟა-ფშაველას „კაი ყმა“-ს სწავლებისათვის.*

ვაჟა-ფშაველა უდიდესი ტრადიციების მქონე ქართული მწერლობის გამორჩეული წარმომადგენელია. მისი უპირველესი საზრუნავი სამშობლოა. მამულის ბედს კი უმეტეს შემთხვევაში მისი შვილების მოქმედება განსაზღვრავს. ამიტომ ეოცნებება პოეტს თავის თანამედროვეთა შორის ღირსეული მამულიშვი-

...ების, სამშობლოს ბედის მოსარჩლეთა ხილვა, გრძნობს მათ ...ულიცხს და აყენებს „კაი ყმის" პრობლემას:

დღეს, როდესაც ასე გართულდა კარგისა და ცუდის გარჩე-...ა, როცა სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა უზენაესობამდე მი-...ლა, ამ ლექსს განსაკუთრებული ღირებულება ენიჭება. მისი ...შემოქმედების უდიდესი ძალა, კარგი ვაჟკაცის დაფასება, „კაი ...ყმობის", „კაცური კაცობის" სწორი შეფასება და მიტანა მოსწავ-...ლეებამდე, ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით მოსწავ-...ლეებზე ზემოქმედება, ლექსის პოეტური ქსოვილით ტკბობა, აი, ...ა უნდა იყოს ამ ლექსის შესწავლისას მასწავლებლის მთავა-...ი მიზანი.

მოსწავლეებს უნდა შთავაგონოთ, რომ ყოფიერების უპირ-...ესი ნიშანი კარგისა და ცუდის, კეთილისა და ბოროტის ...ურთიერთმიმართება, მათი ჭიდილია. სწორედ ეს ორი საწყისი ...ბს ცხოვრებაში არსებულ ვნებათაღელვას.

„კარგი ქენი, ქვას დადევი"... გვმოძღვრავს უჩინარი წინაპარი. მაინც რა არის „კარგი?"

ბუნებრივია, იგი ყველასათვის ერთნაირი ვერ იქნება. ამი-...მ ცდილობს ვაჟა კარგისა და ცუდის გარჩევას ლექსში „კაი ყმა"

„კარგ ყმად ვინა ვსთქვათ, ვაჟებო...
ნათქვამი არ გვრცხვენოდეს?"

სვამს პოეტი კითხვას.

კაი ყმისათვის დამახასიათებელი თვისებები თითქოს ...რთის დაკანონებული კოდექსია. იცის ეს პოეტმა, მაგრამ შთა-...ბეჭდილების გასაძლიერებლად იქვე მეორედ შემოგვიბრუნებს ...კითხვას

„ვინა, ვინ არი კაი ყმა,
ვის ტანზე ხმალი ჰშვენოდეს?!"

აქ უნდა დავაფიქროთ მოსწავლეები. ვჭყა ხომ არ ქმნის ...ნააღმდეგობას პიროვნების ფორმასა და შინაარსს შორის? არის ... არა საკმარისი „კაი ყმობისათვის" ხმლით სამოსის დამშვე-...ბა, თუ მისი გამოყენების უნარი და მისი ქნევის სწორად

განსაზღვრაა მთავარი.

ვაჟა ახლა თითქოს ხელს გვკიდებს და იქ მივყევართ, სადაც უტყუარი პასუხი უნდა ვიპოვოთ, სადაც ყველა უნიღბოა და ჭეშმარიტი ბუნებით ჩნდება. ეს არის სიკვდილ-სიცოცხლის საასპარეზო ადგილი- ბრძოლის ველი. ისეთ ჯოჯოხეთში, სადაც სისხლის ტბა მუხლამდე დგას, ცოცხლები მკვდრებს სთელავენ, სიკვდილი „დაგელაობს" და სუდარებს ჰკერავს, სადაც ყველა საკუთარი სულის გადარჩენაზე ფიქრობს.

ამ ამაზრზენი სურათის ფონზე ყოველგვარი დიდაქტიზმის გარეშე ავტორი გვამცნობს კაი ყმას:

„ვინც მიეგებოს მტერს წინა
წინ-წინ ვინც რისხვას ეტყოდეს,
სახე სისხლგადამდინარი
ტკივილს არ გამოიტყოდეს,
თავზარსა სცემდეს სიკვდილსა,
ზედ ქორებულად ფრინავდეს,
სიცხეში სიოდ დაჰბეროს,
დაათბოს როცა ჰყინავდეს".

აი, როგორი უნდა იყოს ვაჟას კაი ყმა: სიკვდილს თავზარს სცემდეს, მოძმეთ სიცხეში სიოდ მოესალბუნოს, ყინვაში გულის სითბოთი დაათბოს, იყოს გულგაუტეხელი, დარაჯად ედგეს თავის ლაშქარს, სწორ ფიქრს, სწორ რჩევას აძლევდეს თემ-სოფელს, არაფერმა აცდუნოს, იცავდეს სიმართლეს, კვდებოდეს, არა გმინავდეს.

მოსწავლეთა ყურადღებას ვამახვილებთ ყველა ამ დადებით თვისებაზე. აღვძრავთ მათში ვაჟკაცურ სულს და ამ პათოსით დატვირთულებს ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღვავსებთ.

ვაჟამ კარგად იცის ცხოვრების ფილოსოფია. ხშირად ძალა აღმართს ხნავდა და ხვნავს. აქ უნდა იჩინოს კარგმა ყმამ თავი, არ დაუშვას ასეთი გადახრები, გაარჩიოს მტყუან-მართალი.

„იქ იდგეს ხმალამოწვდილი,

საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს,
დაბეჩავებულს სიმართლეს
უსამართლობა სძალავდეს“.

შემდეგ მოდის შესანიშნავი სტროფები, სადაც ხალხურ პოეზიასთან კავშირი, მომაკვდავი გმირის დატირების ინტონაცია იგრძნობა:

„წყლული სცნას დედის კოცნადა,
თავის ლოგინად — სამარი,
საკაცე თავის ლურჯადა,
ქვა-ლოდი- ნაბდად საფარი,
ქალისა, რძლისა ქვითინი
ეგონოს სიცილ-ხარხარი
დენა ცრემლისა — ხორხოშა,
ღრუბელთა გადმონაყარი“.

ასეთი ვაჟკაცი ამქვეყნად დაფასებული იქნება, ხოლო იმქვეყნად წასულს წინ გაუძღვება არწივი და სულეთში შესულს:

„ერეკლემ ხელი მაჰხვიოს,
დაისვას თავის გვერდითა,
გამაეგებოს თამარი
მცინარი, თავის ფეხითა,
გახარებული უფალი
კარგ ყმას ჯვარ სწერდეს ზეცითა
ანგელოზები ხარობდენ,
ალ-ქაჯნი იყვნენ წყენითა“.

აქაც მოსწავლეთა ყურადღებას ვამახვილებთ კაი ყმის იმქვეყნიურ სასუფეველში ცხოვრებაზე, სადაც ანგელოზები ზეიმით ღებულობენ ასეთ ვაჟკაცს.

ამგვარად წარმოუდგება პოეტის ოცნებას კაი ყმის საიქიო ყოფა და ეს პათოსი მოსწავლეებსაც უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ღირს ასეთი პერსპექტივისათვის „სიკვდილი სახელოვანი“.

მოსწავლეებს ვეუბნებით, რომ ლექსში ორმაგი კონტრასტის პრინციპი ცნაურდება. ერთი ცალკეულ სტრიქონსა და სტრიქონს შორის, მეორე ლექსის დასკვნით ნაწილში, სადაც კაი ყმის იდეალური სახის შემდეგ ანტიგმირის სამყაროს გვიხატავს პოეტი და თავისთავად უპირისპირებს კაი ყმის სახეს ვაჟასთან კონტრასტი ზოგჯერ იდეურ-კომპოზიციური ფუნქციის მატარებელია.

ღრმად ფილოსოფიური, დამაფიქრებელი და მრავალმნიშვნელოვანია კითხვა:

„არ იცით, დასჩნდით რისადა,
ან რისათვისა ჰკვდებითა!“

ვარჩევთ ამ სტრიქონების ღირებულებას: რომ სიცოცხლეს ფასი მაშინ ეძლევა, როცა შენს ხალხს, შენს ქვეყანას, შენს თვისტომს არგიხარ, სიკეთეს თესავ. აქ შეიძლება პარალელები გავავლოთ რომანტიკოსთა, ილიას, აკაკის შეხედულებებთან ადამიანის როლისა და მოვალეობის შესახებ და არა ისე, ვაჟა რომ ისევ კონტრასტის გამოყენებით ამბობს:

„უქმად ჩამაჰლევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა,
დაჰკარგავთ სააქაოსა,
ვერც საიქიოს სწვდებითა“.

მოსწავლეთა ყურადღებას ვამახვილებთ ლექსის პოეტურ ხიბლზე. აქ განსაკუთრებით შთამბეჭდავია სამმარცვლიანი ზმნების სწორხაზოვანი მონაცვლეობა, რაც არნახულ რითმულ ჰარმონიას ქმნის და პოეტურ გრადაციად ქცეულა.

ვაჟა ცდილობს კაი ყმა წარმოაჩინოს ისეთი, ნებისმიერი გემოვნების, მსოფლმხედველობის, ბუნების, წოდების და ტემპერამენტის ადამიანისათვის მისაღები რომ იქნება.

„კაი ყმა“ უდიდესი პატრიოტიზმით, ამაღლებული მორალითა და დიდაქტიკური პათოსით გამთბარი ნაწარმოებია. ამიტომ ძალზე დიდი იყო, არის და იქნება მისი ღირებულება. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია მისი სწორად სწავლება სკოლაში.

ვაჟა-ფშაველას ლექსში „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“ მისთვის ნიშნეული ექსპრესიით გამოხატავს თავისი შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის არსობრივ საკითხებს: სიკეთესთან

და მშვენიერებასთან იდენტიფიცირებულ სამშობლოს სიყვარულს, ბოროტებასთან შეურიგებლობას, მომავლის ღრმა რწმენას.

შესავალი საუბრის შემდეგ მასწავლებელი გამომეტყველებით კითხულობს ლექსს. ხდება მისი აღქმა-გააზრება, შემდეგ კითხულობს მოსწავლე და ვიწყებთ ლექსის თანმიმდევრულ განმარტებას.

მოსწავლეთა ყურადღებას ვამახვილებთ პირველსავე სტროფზე. ვეუბნებით, რომ ეს ამღერებული სტრიქონები ღრმა ფილოსოფიური ხასიათისაა, მასში დიალექტიკის განვითარების ზოგადი კანონია გაცხადებული. „სიკვდილის სიცოცხლედ მქცევარს" – ეს მხოლოდ ვაჟას შეეძლო ასე უშუალოდ ეთქვა და მარადიული სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ მონაცვლეობაზე დაეფიქრებინა, რომ გაზაფხულში სამშობლოს თავისუფლება და, როგორც მისი შედეგი, ქვეყნად დამკვიდრებული სამართლიანობა იგულისხმება.

აქვე ვხსნით იის სიმბოლოს.

მოსწავლეთა ყურადღებას ვამახვილებთ პოეტის მიერ დახატულ დრამატულ სურათზე:

„გუშინწინ ვნახე, გუშინაც,
გველი სწამლავდა იასა,
ამღიდა შხამსა და გესლსა,
ვერ კი აძლევდა ზიანსა“.

მიუხედავად ასეთი სიტუაციისა, საბედნიეროდ, ია გადარჩენილია, ხოლო პოეტი სიკეთის გამარჯვებით- უზომოდ კმაყოფილი. გველი კი „დაბობღავს მუცლითა“, აღრჩობს ბოღმა და ბრაზი". აქვე ვხსნით გველის სიმბოლოს, როგორც ერთობ გამჭვირვალე ალეგორიულ სახეს ბოროტებისა.

მონაკვეთი – „კიდევაც ვნახავ უხვადა
ვარდნი, იანი ჰყვაოდენ
ნაცარ-მტვრად იყვნენ ქცეულნი,
ვინაც გუშინა ზვაობდენ“. –
კონტრასტის პრინციპითაა შესრულებული.

ლექსის ბოლო სტროფები ავლენს პოეტურ გრადაციას, დახატულია ჰეროიკული სურათიკეთილშობილ ძალთა გამარჯვებისა, აღზევებისა და საყოველთაო სიხარულისა:

„დაჰბეროს სიცოცხლის სიომ
მომაკვდავს არე-მარესა,
გაუათასდეს სინათლე
ცაზე მზესა და მთვარესა,
უხვადა სძლვნიდნენ წყალობას
ამ ჩვენს დაჩაგრულ მხარესა,
ჩვენც მსხვერპლნი ძალმომრეობის,
ცრემლს აღარ ვღვრიდეთ მწარესა“.

ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ვაჟას ეოცნებებოდა თავის მამულში მაცოცხლებელი სიოს დაბერვა. ოღონდ სიცოცხლე მისთვის მარტო ბიოლოგიური არსებობა კი არ არის, ან თავკერძოობით აღბეჭდილი ყოფა კაცისა, არამედ გაცნბიერებულად მაღალზნეობრივი მიმართება სხვებთან. აქვე მოსწავლეებს უნდა შთავაგონოთ, რომ შეგვეძლოს ადამიანის ადამიანად მქცეველ ღირებულებათა აზრებისა და იდეების გარჩევა დანარჩენი ფასეულობებისაგან.

მოსწავლეთა ყურადღებას ვამხავილებთ ფაქტზე, რომ ვაჟა მრავლობით რიცხვში სუბიექტური პირის ენ ფორმას ხმარობს (ჰყვაოდენ, ზვაობდენ), რაც მე-19 საუკუნის სტილისთვის ნიშანდობლივი მოვლენაა. ამ ფაქტზე ყურადღების გამახვილებით ერთგვარად რეალიზებული იქნება საგანთშორის კავშირი. ვეუბნებით იმასაც, რომ ამ ლექსის ნამდვილი სათაურია „სიმღერა“. ვაჟას ასეთი სათაურით ოცდაათზე მეტი ლექსი აქვს. ჩვეულებრივ, ამ ლექსების პირველ სტრიქონებს ვიყენებთ სათაურად.

მოსწავლეთა ყურადღებას მივაპყრობთ ლექსის პოეტურ ქსოვილზე. უაღრესად რიტმული და მუსიკალური რეფრენით თქმული „კიდევაც ვნახავ...“ რწმენა გაზაფხულის ხილვისა, რაც მკითხველზე დაუსაოცარ ესთეტიკურსა და შემეცნებით ზეგავლენას ახდენს.

ბოლოს, დასკვნის სახით, მოსწავლეთა ყურადღებას ვამახვილებთ ფაქტზე, რომ მე-19 საუკუნის 60-იანელთა შემოქმედებაში უმთავრესი იყო ისტორიულ-პატრიოტული თემა და ეს ლექსიც სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით არის შთაგონებული.

## ძველი ქართული ლიტერატურის სწავლება

ქართული ლიტერატურის სწავლებისას განსაკუთრებული სიძნელეები გვხვდება მეცხრე კლასში, როდესაც ძველი ქართული მწერლობის ნიმუშებს ვასწავლით. მოსწავლეთათვის ძნელად გასაგებია ძეგლების ენა, მაგრამ მათ მაღალ დონეზე სწავლებას უაღრესად დიდი შემეცნებითი, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ამ ძეგლების გაცნობა-შესწავლა ფართო შესაძლებლობას სახავს მოსწავლეთა ლიტერატურული თვალსაწიერის, გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებისათვის, რამდენადაც სწორედ ამ ნაწარმოებებით იწყება ქართული მწერლობის ისტორია, ხოლო წარსული მემკვიდრეობის გარეშე ახლის სრულფასოვანი გაშუქება შეუძლებელია. ჰაგიოგრაფიული ძეგლები ნიადაგს ამზადებს საერო მწერლობის შეგნებულად ათვისებისათვის.

ძველი მწერლობის ნიმუშები მოსწავლეთა პატრიოტული აღზრდის ფართო შესაძლებლობას ქმნის. შუშანიკისა და აბოს თავგანწირვის მაგალითზე იმსჭვალებიან სამშობლოსა და სარწმუნოების სიყვარულის გრძნობით. გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობა მათ შთააგონებთ ერისა და ხალხის სამსახურს, ქვეყნის ძლიერებაზე ზრუნვას და უნერგავს მაღალზნეობრივ იდეალებს. სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის შემოქმედების, მათი ბიოგრაფიების გაცნობით მათთვის ნათელი ხდება იმდროინდელი საქართველოს ურთულესი ცხოვრება, ქართლის „ჭირი“ და განსაცდელი.



ძველი ქართული მწერლობის I პერიოდის მიმოხილვა ლექციური მეთოდით უნდა მოხდეს. მოსწავლეებს ვაწოდებთ სათანადო ინფორმაციას ქართული მწერლობის დასაწყისზე, ვსაუბრობთ ქართული ანბანის სიძველის შესახებ. აღვნიშნავთ, რომ მსოფლიოში 3000-მდე ენა და 14 დამწერლობაა და მათ შორის ერთ-ერთი ქართული ანბანია. უნდა გამოვიყენოთ თვალსაჩინოება, ვაჩვენოთ უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლების ნიმუშები, ქართული ანბანის სახეების ტაბულა და სხვ.

როდესაც ჰაგიოგრაფიის რაობაზე ვსაუბრობთ, ხაზი უნდა გავუსვათ ეპოქის, ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას, ავხსნათ წინაპართა მიმართება რელიგიასთან, შევახსენებთ, რომ ყოველი ქართველის შეგნებაში რჯული და მამული ისე იყო გადაჯაჭვული, ქრისტიანობის დაცვა სამშობლოს დაცვასთან აღიქმებოდა. ამიტომ რაცხდნენ ქრისტიანობისათვის თავდადებულ პირებს ეროვნულ გმირებად.

ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სწავლებისას უნდა გამოვიყენოთ საგანთშორისო კავშირი, ვისაუბროთ ხუროთმოძღვრებაზე. ბოლნისის, სიონის, ჯვრის, ბეთლემის მონასტრებზე, მათ წარწერებზე, კედლის მხატვრობასა და ფრესკებზე. აუცილებელია თვალსაჩინოების გამოყენება, სასურველია მათი ექსკურსიაზე წაყვანა და შესავალი საუბრის სწორედ იქ ჩატარება.

ძველი ქართული მწერლობის შესწავლისას მნიშვნელოვანია, ჩავუნერგოთ მოსწავლეებს სიძველისადმი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობა, რაც პატრიოტული აღზრდის მნიშვნელოვანი პირობაა, აღვუძრათ ანალიტიკური აზროვნების, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ინტერესი, მივცეთ ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ფონდის გაგება-ათვისების ჩვევა.

ლიტერატურის სწავლებაში ტექსტის შეგნებულად ათვისებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ძველი მწერლობის ნიმუშების შეგნებულად და გააზრებულად ათვისებისათვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა კომენტირებული კითხვა, რის აუცი-

ლებლობასაც ნაწარმოების სპეციფიკა, მისი სწავლების სიძნელეები განაპირობებს.

ძველი მწერლობის ძეგლები ნაწილ-ნაწილ, თავიდან ბოლომდე კლასში გამომეტყველებითი კითხვათა და მასწავლებლის კომენტირებით უნდა ხდებოდეს. მან უნდა გამოიყენოს კომენტარის სხვადასხვა სახე: ლექსიკური, ენობრივი, ისტორიული, ლიტერატურული. მხოლოდ მცირე მონაკვეთების კომენტირებით ხდება შესაძლებელი ტექსტის გააზრებული და შეგნებული ათვისება, რითაც მომზადდება ნიადაგი ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზისათვის.

განსაკუთრებული მუშაობაა საჭირო პერსონაჟების დახასიათებისას. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის სწორად გააზრებას, ნიუანსებში წვდომას.

განვიხილოთ ძველი ქართული ლიტერატურის სწავლება „ვეფხისტყაოსნის" ორი თავის მაგალითზე.

გაკვეთილის თემა: „რჩევა ნესტან-დარეჯანის გათხოვებისა" და „ტარიელისა და ნესტანის თათბირი და გამორჩევა".

***მასწავლებელი:*** „რჩევა ნესტან-დარეჯანის გათხოვებისა" ასე ეწოდება პოემის საკმაოდ მნიშვნელოვან თავს, რომელშიც გადაწყდა ტარიელისათვის ფრიად საბედისწერო ამბავი, რაც დასაწყისი გახდა მიჯნურთა ტანჯვით სავსე გზისა.

„დილასა ადრე სრას მიხმეს, დღე რა ქმნა მწუხრმან ჟამითა;
ავდექ, ვცნა მათი ამბავი, წასლა ვქმენ მითვე წამითა;
ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს ხასითა ოდენ სამითა,
რა მივე, მითხრეს დაჯდომა, წინაშე დავჯე სკამითა".

როგორც ვხედავთ, ტარიელი დილაადრიან სასახლეში იხმეს და ისიც მაშინვე გაეშურა, „მითვე წამითა", სასახლეში ორივე – მეფე და დედოფალი დაუხვდა. აქვე იყო სამი დიდებული ხასი. ამ სტროფში თითქოს ჩვეულებრივი ამბავია გადმოცემული, თითქოს არც განსაკუთრებული მხატვრული ფერია, მაგრამ თქვენ უკვე კარგა ხანია პოემაზე მუშაობთ და ალბათ, დარწმუნდით, რომ მხატვრული სამკაულის გარეშე არ ჩაიმარცვლება არც



ერთი სტროფი. ასეა ამჯერადაც. აბა დავუკვირდეთ პირველივე სტრიქონს. ავტორმა ჯერ გამოიყენა შესიტყვება „დილასა ადრე" და შემდეგ იგივე მოვლენა ამგვარად გამოხატა: „დღე რა ქმნა მწუხრმან ჟამითა".

დავუბრუნდეთ კვლავ ამ თავის შინაარსს:

„გვიბრძანეს, თუ ღმერთმან ასრე დაგვაბერნა, და-ცა-გვლია;
ჟამი გვახლავს სიბერისა, სიყმაწვილე გარდგვივლია;
ყმა არ მოვგცა, ქალი გვიეს, ვისგან შუქი არ გვაკლია,
ყმისა არ სმა არად გვგავა, ამათ ზედა წაგვითელია".

როგორც ხედავთ, მეფე და დედოფალი უჩივიან სიბერეს, მათი სიყმაწვილე წასულა და ღმერთს მათთვის ყმა არ მიუცია შვილად, ე.ი. ვაჟი არა ჰყავთ. ყმა-შვილი „ვეფხისტყაოსანში" ვაჟიშვილს ნიშნავს მხოლოდ. ხოლო ძე – ზოგჯერ საერთოდ შვილს, ვაჟი იქნება იგი თუ ქალი. გავიხსენოთ როსტევან მეფის ამბავი: „სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტოდ ასული", ან „ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ". ორივე შემთხვევაში ძე – აღნიშნავს შვილს ძის მნიშვნელობა შვილის სახით დღესაც შემორჩენილია სიტყვაში ძეობა, რომელიც აღნიშნავს ლხინს, ნადიმს შვილის დაბადებასთან დაკავშირებით რომ იხდიან.

ამ სტროფიდან ისიც ირკვევა, რომ მეფე-დედოფალი უვაჟიშვილობას არ განიცდიან, რადგან, მართალია, ყმა „არ უვისთ", მაგრამ სამაგიეროდ ქალი ჰყავთ, მშვენებით სავსე, „ვისგან შუქი არ აკლიათ".

ეს სტროფი ძველი ქართული ენის ზოგიერთი გრამატიკული თავისებურების გასათვალისწინებლადაც საინტერესოა. აქ ეხვდებით განკვეთის მაგალითს, ე.ი. როცა ზმნა გაყოფილია შუაში და ჩასმულია ნაწილაკი. და-ცა-გვლია, რაც ნიშნავს დაგვლია კიდეც. (შესაძლებელია ეს მაგალითი დაფაზე დავწეროთ). ამგვარ მაგალითებს თქვენ შეხვდით „შუშანიკის წამებაში", „და-რე-სცხრა გულისწყრომისაგან". „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც" „მირა-იწიეს იშხანს").

შემდეგი სტროფი გვაცნობს დიდებულთა შეკრების ნამდ-

ვილ მიზეზს. მეფე ასე მიმართავს სათათბიროდ მოწვეულთ:

„აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,
რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახელ ჩვენად გამოვსახოთ,
სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევინახოთ,
არ მოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ".

როგორც ხედავთ, მეფე-დედოფალს გადაუწყვეტია ნესტანისათვის საქმროს მოძებნა, ფაქტიურად ინდოეთის მომავალი მეფე-პატრონისა, რომელსაც უნდა მისცენ ტახტი, თავიანთ ნაცვლად დაიგულონ, სამეფოს პატრონად გამოაცხადონ, სახელმწიფო ჩააბარონ.

ბუნებრივია, როცა ამ სტრიქონებს ვკითხულობთ, გვაოცებს მათი განზრახვა, რატომ ეძებენ ისინი ინდოეთის ტახტის მემკვიდრეს ქვეყნის გარეთ, როცა მომავალ მეფედ და პატრონად ისინი ტარიელს მიიჩნევდნენ. გავიხსენოთ პოემის წინა ეპიზოდები. მას შემდეგ, რაც ტარიელისას. მამა-სარიდანმა, ინდოეთის ერთი სამეფოს მფლობელმა, საკუთარი სურვილით თავისი სამკვიდრო ფარსადანის სამეფოს შეუერთა, გაერთიანებული ინდოეთის მეფემ ტარიელს შვილად დაუწყო ზრდა. „მეფემან თქვა: „შვილად გავზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა". ე.ი. ტარიელიც სამეფო გვარის შთამომავალია, მეფის წულია. მაგრამ ფარსადანი მარტო შვილად როდი ზრდიდა ტარიელს. მას ქვეყნის მომავალ პატრონად სახავდნენ, ასწავლიდნენ ხელმწიფოს შესაფერ ქცევასა და წესებს:

„მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად,
საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,
ბრძენთა მიმცეს სასწავლებლად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად;
მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად".

გვიამბობს ტარიელი. ახლა კი მეფე-დედოფალს სრულიად დავიწყებიათ ტარიელის მემკვიდრეობა და საგონებელს მისცემიან თითქოს, სად მიძებნონ ტახტის მემკვიდრე. თქვენ გრძნობთ,



რა დიდი ელდა იქნებოდა ეს ტარიელისათვის, მაგრამ მეტად თავშეკავებულად, თითქოს და აუღელვებლად ჰკადრა მეფე-დედოფალს:

„ვთქვით: „თქვენი ძისა არა-სმა გულსა ვით მიეფარების,
მაგრა კმა ჩვენად იმედად, ვინ მზესა დაედარების;
ვისცა სთხოვთ შვილსა სასიძოდ, მას დიდად გაეხარების,
სხვამც რა გკადრეთ? თვით იცით, მაგას რა მოეგვარების".

ის, რომ მეფეს ვაჟი არა ჰყავს, დიდებულებსაც აწუხებთ, „ძისა არა-სმა" მათთვისაც საფიქრალია, მაგრამ წუხილს უქარწყლებთ და ეიმედებათ ის, „ვინ მზესა დაედარების", იგულისხმება ნესტანი. ამ შემთხვევაში ძე-შეგვხედა ვაჟის მნიშვნელობით – „ძისა არა-სმა". დიდებულებმა იციან, რომ სასიძოდ ინდოეთში ყველა დიდი სიხარულით მოვა, ოღონდ ვინ, ეს მეფემ და დედოფალმა უნდა გადაწყვიტოს, ამიტომ უც-ხადებენ: „თვით იცით, მაგას რა მოეგვარებისო".

„დავიწყეთ რჩევა საქმისა, გული მიეც, თუცა მელია;
ვთქვი: „ჩემგან დაშლა ამისა არ ითქმის, არ-საქმნელია!"
მეფემან ბრძანა: „ხვარაზმშა, ხელმწიფე ხვარაზმელია,
თუ მოგვცემს შვილსა სასიძოდ, მისებრი არ-რომელია".

ტარიელისთვის უკვე ნათელი გახდა, რომ იგი კარგავდა არა მარტო სატრფოს, არამედ სამეფოსაც, ამიტომ კარგად გვესმის მისი სულიერი მდგომარეობა, მას გული უცს, თუმცა გულსა, ე.ი. ამ თავზარდამცემი ამბისაგან თუმცა ძალა წაერთვა, მაგრამ მაინც თავს დაეუფლა, გაიფიქრა, რომ მისგან დაშლა არ ივარგებდა და მეფემაც არ დააყოვნა თავისი სათქმელი, რომ სასიძოდ ყველას ხვარაზმის შაჰის ძე აჯობებდა. ხვარაზმშაში იგულისხმება შუა აზიის სახელმწიფოს ხვარაზმის მეფე, მთელ ირანში გაბატონებული და შაჰის ტახტზე მჯდომი. ასეთი მდგომარეობა ხვარაზმის მეფეებს XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე შეექმნათ.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ მეფე-დედოფალს ეს გადაწყვეტილება წინასწარ მიეღოთ:

„რომე პირველვე დაესკვნა, მათ ესე შეეტყვებოდა;

ერთმანეთისაცა უჭვრეტდეს, სიტყვაცა აგრე სწბებოდა,
ჩემგან დაშლისა კადრება მართ ამბად არ ეგებოდა,
ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა".

ტარიელი უმალ მიხვდა, რომ მისგან დაშლას აზრი არ ჰქონდა, თუმცა ადვილად ხვდებით, რა სულიერ მღელვარებად დაუჯდა იგი გამიჯნურებულ ჭაბუკს. სინონიმური ზმნები — დავმიწდი, დავნაცრდი, ოსტატურად, ემოციურად გამოხატავს ტარიელის მდგომარეობას. დედოფლის სიტყვებმა კიდევ უფრო გაუღრმავა ტარიელს სულის ჭრილობა:

„დედოფალმან თქვა: „ხვარაზმშა მეფეა მორჭმით მჯდომელი,
მათსამცა შვილსა სასიძოდ, ჩვენთვის სხვა სჯობდა რომელი!"
შეცილებამცა ვინ ჰკადრა, რადგან თვით იყო მნდომელი!
მოწმობა დავჰრთე, დაესკვნა დღე ჩემი სულთა მხდომელი".

როგორც ვხედავთ, დედოფალი აღფრთოვანებულია ხვარაზმშას სიძლიერით და დარწმუნებულია, რომ მის შვილს სასიძოდ სხვა არავინ სჯობია. დიდებულთათვის აშკარაა მათი სურვილი, ამიტომაც შეცილება არავის უკადრებია და ტარიელმაც სხვებთან ერთად „მოწმობა დართო", ე.ი. დასტური მისცა, თუმცა ამით თავისი საკუთარი სულის ამომხდელი დღე „დაასკვნა".

„გაგზავნეს კაცი ხვარაზმშას წინა შვილისა მთხოველი;
შესთვალეს: „გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩვენი ყოველი;
არს ერთი ქალი საძეო, არ კიდე გასათხოველი,
თუ მოგვცემ შვილსა სამისოდ, სხვასა ნუღარას მოელი".

როგორც ვხედავთ, ხვარაზმის შაჰისათვის გაგზავნილ კაცსაც იმას აბარებენ, რომ მათი სამეფო „უმკვიდროდ გახდა". ე.ი. უმემკვიდრეოდ დარჩა და იძულებული არიან ქალი საძეოდ, ვაჟის სანაცვლოდ დატოვონ და არა სხვაგან გაათხოვონ, ასე რომ ცხადზე უცხადესია, ტარიელს, როგორც მემკვიდრეს, სავსებით უარყოფენ.

რას შეიძლება მივაწეროთ მეფის ეს გადაწყვეტილება — მის პოლიტიკურ წინდაუხედაობას თუ აშკარა შეთქმულებას ტარიელის, როგორც ტახტის კანონიერი მემკვიდრის წინააღმდეგ.



ხვარაზმელებმა სიხარულით მიიღეს ინდოეთის მეფის წინადადება, მოციქული ძღვენითა და საბოძვარით აავსეს და შემოუთვალეს, რომ რასაც ნატრობდნენ, აუსრულდათ, იმაზე უკეთესი რა იქნებოდა, რომ მათი შვილი ინდოეთის ტახტს დაეპატრონებოდა:

„კაცი მოვიდა, აევსო ჯუბაჩითა და რიდითა,
გაჰხარებოდა ხვარაზმშას სიხარულითა დიდითა;
ებრძანა: „მოგვხვდა ღმრთისაგან, ჩვენ რომე ვინატრიდითა!
თვით მაგისებრსა შვილსამცა ჩვენ ხელსა რასა ვჰხდიდითა!"

პოემის შინაარსზე დაკვირვებამ თქვენ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე მიგანიშნათ: „მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების გეოგრაფიული არე საქართველოსათვის შორეულ ქვეყნებში ინაცვლებს — არაბეთში, ინდოეთში თუ სხვაგან პოემა ძირითადად მაინც რეალისტურ ხაზებში ვითარდება და უტყუარად ასახავს თამარის ეპოქისდროინდელი საქართველოს ყოფის მრავალ სფეროს. ასე მაგალითად თინათინის გამეფებამ ჩვენს თვალწინ გააცოცხლა მეფე გიორგის მიერ სიცოცხლეშივე თამარის გამეფება. ინდოეთი შვიდი ნაწილისაგან შედგება, ისე, როგორც მაშინდელი საქართველო. აერთიანებდა შვიდ სამთავროს. ამ მონაკვეთში კი იგრძნობა სპარსული ორიენტაცია, სპარსელთა დამპყრობლური პოლიტიკა. თუ ტარიელის ტახტის მემკვიდრეობის ფაქტის უარყოფაში ჩვენ მის წინააღმდეგ შეთქმულებას დავინახავთ, ბუნებრივია აქ შეთქმულებაში აშკარად მონაწილეობს ირანის სამეფო კარი, რომელიც სარგებლობს მეფე ფარსადანის პოლიტიკური წინდაუხედაობით და ცდილობს ინდოეთის ტახტის დაპატრონებას. ამ ეპიზოდში ირეკლება სპარსელთა დამპყრობლური პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის მიმართ.

ამგვარად, ჩვენ ვისაუბრეთ პოემის ერთ-ერთი თავის ირგვლივ. დაწვრილებით გავარჩიეთ თითოეული სტროფი, გავაანალიზეთ მისი შინაარსი, ყურადღება გავამახვილეთ ზოგიერთ

გრამატიკულ ფორმაზე, მხატვრულ საშუალებაზე, დავუკავშირეთ ადრე შესწავლილ მასალას, გავაკეთეთ ერთგვარი ისტორიული ექსკურსი, აღვნიშნეთ ზოგიერთი სიტყვის პოლისემიურობა.

ვაგრძელებთ ტექსტზე მუშაობას. „ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა“ – ასე ეწოდება პოემის მომდევნო თავს.

მოულოდნელი უბედურებითა და მწუხარებით გათანგული მარტოდ დარჩენილი ტარიელი ზოგჯერ „გულსა დაცემად დანისად“ ლამობდა. მის სადგომს ასმათის მონა მოადგა, რომელმაც ასმათის წიგნი მოართვა და რომლითაც ტარიელს ნესტანი კოშკში უხმობდა საწსრაფოდ, „დაუყონებლივ ხანისად“.

ტარიელი მაშინვე გაემართა, ბაღჩა გაიარა და მას მტირალი ასმათი შემოეგება.

„იგი ვნახე დაღრეჯილი, ესე მეტად დამიმძიმდა,
ვითა წინას შემომცინის, არღა ეგრე გამიღიმდა.
ყოლა სიტყვა არ მომიგო, ოდენ ცრემლთა გადმოსწვიმდა,
ამით უფრო დამაწყლულა, არა წყლულთა მიაქიმდა“.

ეს სტრიქონები კიდევ უფრო წარმოაჩენს ასმათის დიდ ბუნებას. ეს ადამიანი ამქვეყნად თითქოს იმისთვის მოვლენილა, რომ სხვისი სიხარულით იხაროს, სხვისი საწუხარით დაიტანჯოს. როცა ტარიელი ნესტანის სამყოფში მოდიოდა, ბედნიერი, გახარებული, ასმათი ტკბილად შემოსცინებდა, ღიმილით და მხიარულად შეხვდებოდა. ახლა კი დამწუხრებულმა სიტყვაც ვერ უთხრა, „ოდენ ცრემლი გადმოსწვიმდა“. ყურადღება მივაქციოთ ამ სიტყვას „გადმოსწვიმდა“, ცრემლი კი არ გადმოსცვივდა, არამედ წვიმასავით წამოუვიდა. ამ ერთი სიტყვითაც კარგად ჩანს მოკლედ, ლაკონურად და შთამბეჭდავად, ასმათის უსაზღვრო მწუხარება.

კიდევ უფრო დამწუხრებული დაუხვდა ტარიელს ნესტანი. მას მოშლით ებურა ის რიდე, რომელიც ტარიელმა გაუგზავნა ძღვნად, ნიშნად სამუდამო ერთგულებისა. მისი სახე „ელვათა მკრთომელი“, „ცრემლის ღვარს მოეცვა“. და მიუხედავად ასეთი



დიდი მწუხარებისა, ტარიელის დანახვისთანავე, უზომო პირ-გამეხებამ მოიცვა. აი, როორ წარმოუდგა ტარიელს გამძვინვარებული ნესტანი.

„ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეხი პირ-გამეხებული,
არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული;
ჟამთმან დამსვა შორს – გვარად გულსა მე
ლახვარ-ხებული;
მერე წამოჯდა წარბ-შერჭმით, გამწყრალი, გარისხებული“.

როგორც ვხედავთ, უაღრესად სახიერად არის წარმოდგენილი გაბრაზებული ნესტანი. ამ სურათის დასახატად პოეტი იყენებს ეპითეტებს – პირგამეხებული, გამწყრალი, გარისხებული; შედარებას – ვითა კლდის ნაპრალზე მჯდომარე ვეფხი. ეს სურათი, ეს ჩვენება სატრფოსი სამუდამოდ ჩაიბეჭდა ტარიელის მეხსიერებაში; სწორედ ეს სურათი გახდა საფუძველი მისთვის სამოსად ვეფხის ტყავის არჩევისა, რასაც ნაწარმოების შემდეგ თავებში გაეცნობით. ეს სურათი მკითხველისათვის უაღრესად დასამახსოვრებელია და ალბათ ამით ცდილა ეს ეპიზოდი წარმოედგინა თავის ნამუშევარზე „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ საინტერესო ილუსტრატორს მიხაი ზიჩის. აი, თქვენ ხედავთ ზიჩის ილუსტრაციას ამ ეპიზოდისას. აქვე, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ორიოდე სიტყვა გითხრათ მხატვრის შესახებ.

მიხაი ზიჩი უნგრელი გახლდათ. 1845 წელს იგი რუსეთში ჩამოვიდა. ამ პერიოდში მხატვარი დაუახლოვდა რუსული ლიტერატურის ისეთ დიდ კორიფეებს, როგორებიც იყვნენ ა.ს. პუშკინი, მ.ი. ლერმონტოვი.: სწორედ ამ უკანასკნელმა აღუძრა სურვილი კავკასიის, კერძოდ საქართველოს ნახვისა და აი, ზიჩი 1881 წელს საქართველოში ჩამოდის, გაზეთი „დროება“ იუწყებოდა. „ამჟამად ჩვენს ქალაქში იმყოფება გამოჩენილი მხატვარი ზიჩი. ის მოსულა ჩვენს ქვეყანაში იმ განზრახვით, რომ შეისწავლოს ჩვენი ტიპები და დახატოს რუსი პოეტის „დემონის“ სურათებისათვის“. როცა საქართველოში ჩამოსული უნგრელი მხატვარი გაეცნო ქართულ კულტურას, მწერლობას, იგი „ვეფხისტყაოსნის“

დიდი თაყვანისმცემელიგახდა. ზიჩი მჭიდროდ დაუკავშირდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მომუშავე კომისიის წევრებს, მათი დახმარებით ცდილობდა, საფუძვლიანად გასცნობოდა პოემის შინაარსს, ამზადებდა ესკიზებს, ეძებდა შესაფერ ტიპებს და პეტერბურგში გამგზავრებისას თან წაიღო უამრავი ჩანახატი.

1885 წლის 10 იანვარს „დროება“ სიხარულით ამცნობდა ქართველ საზოგადოებას, რომ გამოჩენილმა მხატვარმა ზიჩიმ უსასყიდლოდ იკისრა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების ხატვა“. პოემის ქართველიშვილისეული გამოცემისათვის ზიჩის ქართველმა საზოგადოებამ სთხოვა 12 სურათი, მან კი 34 ესკიზი გამოუგზავნა. გაზეთმა „ივერიამ“ მაღალი შეფასება მისცა ქართველი ერის ცხოვრებაში მომხდარ ამ მნიშვნელოვან ამბავს. უცხოელი მხატვრის ასეთი კეთილშობილური დამოკიდებულება, რასაკვირველია, დიდად დასაფასებელია და მომავალმა თაობებმაც მას შესაფერისი პატივი უნდა მიაგონ. ზიჩის ამ ინტერესის საფუძველი პოემის მიმზიდველი შინაარსია, რომელიც ასე ხიბლავს ყველა ერის მკითხველს.

დავუბრუნდეთ კვლავ პოემის შინაარსს.

ნესტანი არა მარტო გარეგნულად გამოიყურება განრისხებულად, არამედ მისი სიტყვებიც რისხვითაა აღსავსე. მან პირის შემშლელი, გამწირავი, მუხთალი, ფიცის გამტეხი უწოდა ტარიელს.

„შენ არ იცი ხვარაზმშასი საქმროდ ჩემად მოყვანება?!
შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება,
შენ გატეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება,
ღმერთმან ქმნა და დაგირჩინა ცუდად შენი ხელოვნება!“

ნესტანსაც კარგად აქვს შეგნებული თავისი უფლებები ინდოეთის ტახტზე, რომ „ვინცა გინდა ეპატრონოს ინდოეთსა“ მაინც მას ექნება მეფური უფლებები. ამიტომ ემუქრება ტარიელს:

„ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო ხანი ვერა დაჰყო,
თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო!
სხვა ჩემებრი ვერა ჰპოვო, ცათამდისცა ხელი აჰყო!“



როგორც ვხედავთ, ნესტანი ძლიერ ემოციური ქალია. მან ტარიელს ერთი სიტყვაც არ ათქმევინა, ისე დასწამა სიმუხთლე და ღალატი, ფიცის გატეხა. აქ ურიგო არ იქნება თუ გავიხსენებთ ნესტანისა და ტარიელის პირისპირ შეხვედრას. ნესტანმა ასმათის მეშვეობით იხმო სატრფო, მაგრამ მოზღვავებულმა გრძნობამ დაამუნჯა იგი, სიტყვა ვერ თქვა, მხოლოდ გრძნობით უყურებდა ტარიელს და ბოლოს ასმათს ანიშნა, რომ არაფრის თქმა არ შეეძლო. აბა გავიხსენოთ:

„დიდხანს ვდეგ და არა მითხრა სიტყვა მისსა მონასურსა
ოდენ ტკბილად შემომხედნის ვითამცა რა შინაურსა;
ასმათს უხმო, მოიუბნეს, ქალი მოდგა, მითხრა ყურსა:
„აწ წადიო, ვერას გითხრობს“, მე კვლა მიმცა ალმან
მურსა“

ბუნებრივია, ასეთი გრძნობის ქალისათვის ჩვეულებრივი იქნება სწრაფი აფეთქება, განრისხება და ასევე სწრაფი დამშვიდებაც. ტარიელმა თვალი მოჰკრა ნესტანის სასთუმალთან მდებარე გადაშლილ მუსაფს, ე.ი. ყურანს, წმინდა წიგნს, რომელზედაც იფიცებდნენ. ქრისტიანთათვის ამ მოვალეობას სახარება ასრულებდა. ტარიელმა აიღო მუსაფი და დაიფიცა, რომ „ავი არა მიქნია“. და როცა ტარიელმა აუხსნა საქმის ნამდვილი ვითარება და გაოცებით უთხრა, „ვისმცა მივეც თავი შენი, შენვე რადმე არ წამგვარო?! ნესტანი უმალ დატკბა, მოლმობიერდა, ღრუბელივით გაქრა მისი მწუხარება და მძვინვარება, სწრაფად მომავალზე დაიწყო ფიქრი და სატრფოს განუცხადა:

„არ დავიჯერებ მე შენსა ღალატსა ორგულობასა,
უარის ქმნასა ღმრთისასა, ამისთვის არ მართლობასა;
იაჯდი თავსა ჩემსა და მორჭმით ინდოეთს ფლობასა!
მე და შენ დავჯდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოვლსა
სიძე-სძლობასა.
მოლმობიერდა, მომიტკბა გამწყრალი, გამქისებული,
ანუ მზე იყო ქვეყანად, ან მთვარე პირ-გავსებული,
ახლოს დამისვა, მაღირსა აქამდის არ-ღირსეული;

მეუბნებოდა, დამივსო ცეცხლი ამითა გზებული“.

როგორი დაუვიწყარი სურათიც შექმნა ავტორმა განრისხებული ნესტანისა, ასევე სახიერად, შთამბეჭდავად წარმოვგიდგინა იგი დამშვიდებული და დამტკბარი: მოლმობიერდა, მომიტკბა სინონიმური ზმნები გამოყენებულია ასევე სინონიმური მიმღეობის გვერდით: გამწყრალი, გამქისებული. გახარებული ნესტანი შედარებულია პირ-გავსებულ მთვარესა და ქვეყნის მანათობელ მზეს.

დამშვიდებული ნესტანი ბრძნულადდა გონივრულად ჭვრეტს მომავალს, იცის, რომ აჩქარება გონიერ კაცს არ შეჰფერის, ტარიელის წინააღმდეგობა, სასიძოს არ მოშვება, მეფისა და ტარიელის კონფლიქტს წარმოშობს და შეიძლება ინდოეთი გარდაქარდეს, ე.ი. დაიღუპოს. ინდოეთის გარდაქარება კი უმთავრესი საწუხარია პატრიოტი ქალისათვის:

„შიბრძანა, თუ „გონიერი ხამს აროდეს არ აჩქარდეს,
რაცა სჯობდეს, მოაგვაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს,
თუ სასიძო არ მოუშვა, ვა თუ მეფე გაგიმწარდეს,
შენ და ისი წაეკიდნეთ, ინდოეთი გარდაქარდეს“.

„გონიერი ხამს აროდეს არ აჩქარდეს“ – აფორიზმია. როგორც ვნახეთ, „ვეფხისტყაოსანი“ სავსეა აფორიზმებით, რომელიც ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ეხება, ადამიანის ბუნებას ახასიათებს და შესანიშნავად გამოხატავს რუსთაველისა და მისი ეპოქის მსოფლმხედველობას. „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“, „უხვი ახსნილსა დაბამს, იგი თვით ების, ვინ ების“, „კაცმან საქმე მოაგვაროს, ჯერ ჭმუნვასა ესე სჯობდეს“, „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ და უამრავი სხვა, რომელსაც ჩვენ ტექსტის შესწავლისას გზადაგზა ვიწერდით რვეულში, ხოლო ნაწარმოებზე მუშაობის დამთავრების შემდეგ უნდა დავაწყოთ ისინი თემატურად: სიყვარული, მეგობრობა, სიუხვე, მამაცობა, სამართლიანობა და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოემა გამსჭვალულია ანტისპარსული ტენდენციით. „ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდნენ“, ე.ი. გაგვიბატონდნენო, – აცხადებს ნესტანი და ტარიელს ამგვარ გეგმას სთავაზობს- დიდ სისხლს მოერიდოს, მხოლოდ სასიძო მოკლას მისი თანმხლებლების ამოუწყვეტლად. ნესტანი ამ მოქმედებას მიიჩნევს სამართლიან საქმედ და ამბობს: „ქმნა მართლისა, სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. ესეც აფორიზმი გახლავთ, რომელიც სიმართლის ძლევამოსილებას ქადაგებს. რატომ თვლის ნესტანი სასიძოს მოკვლას მართალ საქმედ? უპირველესად იმიტომ, რომ სპარსელები უსამართლოდ, დაუმსახურებლად იგდებენ ხელთ ინდოეთის სამეფო ტახტს. შესაძლებელია, სავარაუდოა ისინი მონაწილეობდნენ კიდევაც ტარიელის საწინააღმდეგო შეთქმულებაში, რათა ამ გზით ტახტის კანონიერი მემკვიდრე გზიდან ჩამოეცილებინათ.

„ასრე ჰქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გმირთაო,
მი პარვით მოჰკალ სასიძო,ლაშქართა ნუ მოირთაო,
მისთა სპათაცა ნუ დაჰხოც, ზროხათა, ვითა ვირთაო
დიადი სისხლი უბრალო კაცმანმცა ვით იტვირთაო?“

შეყვარებულთა გეგმით მხოლოდ სასიძო უნდა მოეშორებინათ,ამიტომ ბუნებრივია,საჭირო იყო მისი მი პარვით მოკვლა, რომ სხვათა სისხლი არ დაღვრილიყო, უდანაშაულოთა ცოდვა არ ეტვირთა ტარიელს. დავუკვირდეთ, როგორ მიმართავს ნესტანი ამ სახიფათო დავალების წინ სატრფოს:

„ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გმირთაო“

სასიძოს მოკვლის შემდეგ ტარიელმა უნდა შეუთვალოს მეფეს, რომ

...„სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა,
ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა“.

ე.ი. არავის ერთ დრამასაც არ მივცემო. დრამა ფულის უმცირესი ერთეულია, ეს გამოთქმა იდიომად უნდა აღვიქვათ, არავის დავუთმობ ჩემს ქვეყანასო. და ის კი არა, მეფეს უნდა დაემუქროს კიდეც: „არ დამეხსნები გაგიხდი ქალაქსა, ვითა ტრამასა!“

ნესტანი საგანგებოდ არიგებს ტარიელს, რომ მის სიყვარულსა და ნდომას ნურც ახსენებს, ამით შენს სამართალს უფრო მეტი ძალა ექნებაო. რასაკვირველია, ტარიელის მიერ სასიძოს მოკვლას, ...ულეს ყოვლისა მაშინ ექნება გამართლება, თუ იგი ინდოე-...ის „სპარსთა ჭამისაგან" დახსნიდან მომდინარეობს. ნესტანის ღრმა რწმენით, მეფე შეიგნებდა თავის შეცდომას, ყელ-მოტეხით ...ხვეწებოდა, რომ თავისი ასული ტარიელს შეერთო.

ნესტანის თათბირი და გამორჩევა ტარიელს მოეწონა, გახარებული წამოდგა წასასვლელად, ეწადა გულში ჩაეკრა სატრფო, მაგრამ ვერ ჰკადრა და კოშკი დატოვა. იგი კვლავ ასმათმა გამოაცილა, ეტყობოდა, რომ წასვლა არ უნდოდა და არ ფიცხლად, ნელა მიდიოდა.

ასეთია მოკლედ ამ ორი თავის შინაარსი, რომელსაც დღეს გაეცანით. სახლში იმუშავებთ მასზე და მოამზადებთ თხრობით.

„ვეფხისტყაოსნის" სწავლებაზე საუბარი ამით არ ამოიწურება. ეს იყო ნიმუში იმისა, თუ როგორ ვმუშაობთ ტექსტზე.

ახლა გვსურს ვისაუბროთ „ვეფხზისტყაოსნის „ ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის გაგებაზე, კონკრეტულად როგორიცაა ქაჯი, დევი პერსონაჟები და სიტყვა „გრძნეული". ეს შრომა განკუთვნილია ქართული ენისა და ლიტერატურის მომავალი მასწავლებლებისათვის, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ წარმოგვედგინა მკვლევართა აზრი ამ საკითხის შესახებ.

ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ახსნით „ქაჯი ავი, მავნე ანუ მაცდურია, მსგავსად ალისა და ჭიმკასი.[1] დავით კარიჭაშვილი ქაჯ სიტყვაში სამგვარ მნიშვნელობას ხედავდა: 1. ზღაპრული, უხორცო, მავნე არსება, 2. გრძნეული და ჭკვიანი ადამიანი, 3. ადამიანი ქაჯეთში მცხოვრები.[2] ნიკო მარს პოემის ქაჯი მითო-

[1] ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი, სანკტ-პეტერბურგი, 1840.

[2] ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი, ალ.ღლონტის რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1961.

[3] რუსთაველი შ. „ვეფხისტყაოსანი" დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნა და ლექსიკონით, თბ. 1903.



ლოგიურ არსებად მიაჩნია[1]. მოსე ჯანაშვილის შეხედულებით პოემის ქაჯი ზღაპრული ავი სულია, მაცდური. ამ სახელწოდებით პერსონაჟებში პოეტი გულისხმობს მულიდებს, რომელნიც არიან მათებრ გრძნეულნი, მიმპარველნი. მულიდები წარმოადგენენ სარწმუნოებრივ-სამხედრო ძმობას, შეფარებულნი იყვნენ მიუვალ მთა-კლდეებში. ეს განდეგილთა ძმობა 1090 წელს დაარსდა და გამაგრდა ჩრდილოეთ სპარსეთში ყაზვინის ახლოს. ისინი მტრებს გრძნეულ ქაჯურად მიეპარებოდნენ და უწყალოდ ქლეტდნენ. მათ „ქართლის ცხოვრებაც" თვლის მიპარვით მკვლელებად, რომელთაც მულიდად უხმობდნენ, ისინი მოთას ქაჯებივით გაუჩინარდებიან მკვლელობის შემდეგო"[2] – აღნიშნავს მ. ჯანაშვილი.

იუსტინე აბულაძის აზრით: „მათ ქაჯებს იმიტომ ეძახიან, საკვირველნი არიან მათი მოხერხებით და გამჭრიახობით, გრძნეულებითა და ომის ცეცხლის ცოდნით, ქაჯი არის ქაჯეთის მკვიდრნი, საზღვაპრო ჯადოსნური საქმეებით და საომარი ხერხებით განთქმული ხალხი.[3]

პ. მირიანაშვილის აზრით: „ვეფხისტყაოსანში შეტანილია ქართული ზღაპრის ელემენტები მდევებისა და ქაჯების სახით".[4] ქაჯს გრძნეულ არსებად თვლის სარგის კაკაბაძეც.[5] კ. კეკელიძე აღნიშნავს: „ქაჯი ვეფხისტყაოსანში არის არა მარტო მითოლოგიური, ზღაპრული, არამედ რეალური, ნამდვილი არსება, ადამიანი, მათი ყოფა და ხასიათი ზედმიწევნით გვაგონებს იმას, რაც

1. Марр Н. Вступительные и заключительные строфы Витяза а барсевой коже Шоты из рустава (Тексты и разыскания по армано-грузинской филологий, кн. XII С.Петербург, 1910.

2. ჯანაშვილი მ. ლექსიკონი „ვეფხისტყაოსნისა", გვ. 63-74. ხელნაწერი დაცულია შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

3. აბულაძე ი. რუსთველოლოგიური ნაშრომები, კრებული შეადგინა ი. მეგრელიძემ, თბ. 1967, გვ. 122-144.

4. მირიანაშვილი პ. ქართული სიტყვიერების განარჩევი დასაწყისიდან ჩვენს დრომდე, ტფ. 1929, გვ. 31.

5. რუსთაველი შ. „ვეფხისტყაოსანი", სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, გამოკვლ. ტექსტი, ლექსიკ. თბ. 1927.

მოვლენების შესახებ ვიცით“.[1] ქაჯი და დევი ივ. ლოლაშვილისა და შ. ღლონტის თანახმად „მხატვრული ფუნქციით გამოყენებული არარეალური საგნების აღმნიშვნელი სახელებია[2]. ზ. ავალიშვილის შეხედულებით ქაჯი პერსონაჟები „ამოღებულია ქართული ზღაპრებიდან და ჩვეულებრივ მეომრებადაც ვერ ჩაითვლებიან. შესაძლოა „სპარსულ ამბავში“ რომელიმე ნორმალური ხორციელი ტომი იხსენიებოდა, მაგალითად სამხრეთ ავღანისტანის თურქული მოდგმის ქალჯები, რომელიც პოეტს შეეძლო ქაჯებად გადაესხვაფერებინა.“[3] გ. წერეთელი დაბეჯითებით აცხადებდა: „მკითხველს ქაჯების განმარტება არ სჭირდება. ამაზე ორი აზრი არ არსებობს: ქაჯები ბოროტები არიან და არასდროს ადამიანის მეგობრები არ არიან.“[4] დ. ქუმსიშვილის აზრით: „რუსთაველის ქაჯების არსებობა რეალურად, როგორც რომელიმე ადამიანთა მოდგმის ტომისა, გამორიცხულია, ისინი მხატვრულ გამონაგონს, რუსთაველის პოეტური ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს.“[5] ი. მეგრელიძეს მიაჩნია, რომ ქაჯი ეს არის მითოლოგიური, ადამიანის მსგავსი ბოროტი არსება, ჯადოქარი“.[6]

მაშასადამე, მკვლევართა უმეტესი ნაწილის მოსაზრებით ქაჯები არიან მითიური, ბოროტი არსებანი, რომელთაც აქვთ ადამიანის სახე, მაგრამ ფლობენ ჯადოქრის უდიდეს ძალას. ნაწილი კი არარეალურს, ფანტასტიკურს უწოდებს.

ზემოთმოტანილ შეხედულებათაგან რომელია მართებული, რაში მდგომარეობს „ქაჯი ლექსიკური ერთეულის პოემისეული მნიშვნელობანი, აი საკითხები, რომელიც პასუხს მოითხოვს, წერს შ. ჩიჯავაძე 60-იან წლებში და პრესაში ჩნდება მისი შრომები: „მცდარად ან არაზუსტად ახსნილი ლექსიკური ერთეულები“, „პოემის ქაჯი პერსონაჟების შესახებ“, „ერთი საკითხი ქაჯ პერსონაჟთა დახასიათებისათვის“, „ვეფხისტყაოსანში“ ხინამძღვილის ასახვის საკითხისათვის“, „ვეფხისტყაოსნის ერთი ტაეპის გაგებისათვის“ და მრავალი სხვა.

ქაჯი და დევი პერსონაჟების რეალურობის შესახებ იგი აღნიშნავდა: „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯი პერსონაჟები რეალური, ისტორიულად არსებული ტომის ადამიანები არიან და არა ზღაპრულ-ფანტასტიკური არსებანი, რომ ამ სახელწოდების ტომი ახზლაც ცხოვრობს ნიგერიაში. რომ ქაჯეთი და ქაჯეთის ციხე არ არის პოეტის გამონაგონი, რომ ალ. გრენი „ქაჯ“ სიტყვას წმინდა ქართული მნიშვნელობისად მიიჩნევდა. მისი აზრით, ქაჯი თავდაპირველად მამაკაცს, ვაჟკაცს ეწოდებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ბოროტი სულის აღმნიშვნელად იქცა. რუსთაველი ქაჯ პერსონაჟებს ისეთივე არსებებად თვლის, როგორც ფირდოუსი მიზანდარანის დევებს.[1] უძველესი სომხური რწმენით „ქაჯი კეთილი სულია“.[2] სომეხი მეფეების არშაკუნიანების ზეწოდება „ქაჯი“ გულისმხობდა ჩვეულებრივ ადამიანზე ამაღლებულ არსებას.[3] ნ. მარის განმარტებით სომხურ ენაზე ქაჯი აღნიშნავს მძლეთა-მძლეს, აღმატებულს, მშვენიერს.

შ. ჩიჯავაძე პოემის ტექსტზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ქაჯები არიან „ადამიანთა ერთი ტომი, რომელსაც ირგვლივ მცხოვრებნი („გარშემომწყვლანი“) ქაჯებს უწოდებენ, ისინი სალ კლდეებში დასახლებულან („მინდობიან კლდესა სალსა“). ამ ადამიანების სახელწოდებას („ქაჯნი“) შ. რუსთაველი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება და მკითხველთა გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მას მრავალჯერ განმარტავს. პოემის ქა-

1. კეკელიძე კ. ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა, მნათობი № 7-8. გვ. 163-164.
2. ივ ლოლაშვილი, შ. ღლონტი, ფანტასტიკა და სინამდვილე „ვ.ტ.“ გაზ. „თბილისი“, 1963, 8/IV.
3. ავალიშვილი ზ. „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები, პარიზი, 1931, გვ. 99-103.
4. წერეთელი გ. ნესტან-დარეჯანი შუა აზიის ფოლკლორში, საიუბილეო კრებ. III, 1938, გვ. 23. ენიმკის მოამბე.
5. ქუმსიშვილი დ. რუსთაველის პოეტური ხელოვნების შესახებ, თბ. 1968, გვ. 186-187
6. Мегрелидзе И. “Руставели и фольклор, Тб. 1954. стр. 177.

1. Брен А. Деви и Каджи, сбор. Этнографическое обозрение М. 1890,стр, 260.
2. Эмин Н. Исследования и статьи по армянской мифологии, археологии, истории и литературе (за 1856-1884 г.) М. 1896, стр. 41
3. იქვე.

ჯები არა ზღაპრებით ცნობილი ქაჯები, არამედ კაცნი („არ ქაჯნია, კაცნიაო") ჩვენნაირი აღნაგობის ადამიანები („ჩვენებრძვე ხორციელნი") არიანო. პოემის ავტორი მათ სხვაგანაც კაცებს უწოდებს და იმასაც გვიხსნის, თუ რატომ შეარქვეს ასეთი სახელი:

„ქაჯნი სახელად მათ ჰქვიან, არიან ერთადკრებულნი,
კაცნი, გრძნებისა მცოდნენი, ზედა დახელოვნებულნი".
ხოლო შემდეგ კიდევ უფრო აზუსტებს:
„ამისთვის ქაჯად უხმობენ გარშემონი ყველანი
თვარა იგიცა კაცნია, ჩვენებრვე ხორციელანი".

მკვლევარი იხილავს პოემის იმ სტროფს, რომელიც ქაჯების არარეალურობის, ფანტასტიურობის დამადასტურებელ არგუმენტად მოჰყავთ, სადაც ქაჯების გრძნეულობაზეა ლაპარაკი:

„იქმენ რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრმობენ,
ქართა აღძრვენ საშინელსა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ,
ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა წმიდად დააშრობენ
და სწადდეს, დღესა ბნელად იქმენ, სწადდეს ბნელსა
ანათობენ".

კითხულობ ამ ტაეპებს და იბადება კითხვა როგორ შევუთანხმოთ ესენი პოეტისავე ზემოაღნიშნულ განმარტებებს? ხომ არა გვაქვს წინააღმდეგობა შოთა რუსთაველის მოცემულ განმარტებებსა და ქაჯთა ტომის ადამიანთა წარმოდგენილ დახასიათებას შორის? ბოლოს და ბოლოს არის თუ არა ეს სტროფი ზღაპრული ამბების გამომხატველი? შეეძლოთ თუ არა შუა საუკუნეების ზოგიერთი ტომის „გახელოვნებულთ" გაეკეთებინათ ყველა ზემოჩამოთვლილი საქმე? ამ სტროფში იქნებ მართლაც შემონახულია მეტად საინტერესო ცნობები სამხედრო ხელოვნების და სხვა სამეცნიერო დისციპლინათა ისტორიისათვის? მტრის დაბრმავება, საშინელი ქარის აღძვრა, მტრის ნავის დამხობა, წყალზე ისე გარბენა, როგორც ხმელეთზე,- სიბნელის წარმოქმნა და დღის დაბნელება იყო თუ არა რეალურად შესაძლებელი. მკვლევარი მრავალ წყაროზე დაყრდნობით ასაბუთებს,



რომ ეს შესაძლებელი იყო. მოხმობილია ინდურ ეპოსში მოცემული ომის დროს ხელოვნური დაბნელების ფაქტი, სადაც ვკითხულობთ: „მაშინ გატყორცნეს ცეცხლივით მოელვარე უკვამლო ჭურვი. შავმა ნისლმა ერთბაშად დაფარა მხედრობა. ქვეყნის ყოველ მხარე ბნელში დაინთქა.[1]

დღის ხელოვნური დაბნელების ტექნიკურ-ქიმიური საშუალებები ჰქონიათ ძველ ჩინელებსაც. ჩინურ მატიანეში „ტუნც ზიან განმუ" ნათქვამია ერთ-ერთი ბრძოლის დროს ჩი-იუს ჯარებმა მიწა დაფარეს სქელი ღრუბლებით და მტერს სძლიესო.[2]

სამხედრო ხელოვნების ისტორიკოსები განმარტავენ, რომ სწავლული მეომრები უძველესი დროიდანვე ქმნიდნენ დიდი რაოდენობის კვამლს ხელოვნური ნისლის თუ ბურუსის წარმოშობისათვის სპეციალური საწვავის გამოყენების საშუალებით. მაშასადამე, ქაჯ მეომრებს ჰქონდათ კვამლწარმომშობი ნივთიერება, რომელიც „დღის ბნელად ქმნას" ახერხებდა. რუსთაველსაც ალბათ მყარი საფუძველი ჰქონდა ეთქვა ეს ადამიანები „დღეს აბნელებენო". აქვე პოეტი აღნიშნავს: „სწადდეს ბნელსა ანათობენ". თუ დაბნელება შეეძლოთ, ადვილი მისახვედრია, რომ ბნელის განათებას უფრო ადვილად შეძლებდნენ აალების ან სხვა საშუალებით.

ასევე შესაძლებელი იყო „მტერსა თვალთა დაუბრმობენ". პოეტი საკვირველ საქმედ ვერ მიიჩნევდა მტრისთვის თვალის დათხრას, ან სხვა გზით თვალის დაბრმავებას. ასეთი შემთხვევები ყველასთვის ცნობილი იყო და გაოცების საფუძველს არ იძლეოდა. აქ ნაგულისხმევია მტრის დროებით მწყობრიდან გამოყვანა-დაბრმავება. დახელოვნებულ ქაჯ მეომრებს ეს შეეძლოთ ფეთქებადი ნივთიერების გამოყენებით. ასეთი ნივთიერება ჩინელებს ძვ.წ. აღ. მესამე საუკუნეში ჰქონიათ.[3] საქართველოშიც

1. ა. გარბოვსკი, წარსულის საკვირველი სიგნალები, თარგმ. რ. თვარაძისა, ცისკარი, 1966, № 5, გვ. 132.
2. И. Караев, Военное исскуство древнего Китая, М, 1959 г. стр. 146.
3. А. Ризин. История военного исскуства. т. I. М. 1955 г. стр. 108.

რუსთაველამდე და შემდეგაც შეეძლოთ შხამიანი სითხის სათანადო მილიდან სწრაფი და მოულოდნელი მიშხეფებით, შესხურებით მოწინააღმდეგისათვის მხედველობის წართმევა. ამაშიც ზღაპრულ-ფანტასტიკური და შეუძლებელი არაფერია.[1]

„ქარსა აღძვრენ საშინელსა“ ე.ი. ხელოვნურ ქარს წარმოშობდნენ.

ამჟამად ეს არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს და ხშირად იყენებენ კინოსურათის გადაღების დროს. ქართველი ფიზიკოსი ტ. კაკუშაძე, ინჟინერ-მშენებელი ილ. ქურდიანი ასკვნიან, რომ ხელოვნური ქარის წარმოშობა მაშინაც შესაძლებელი იყო. „ვითა ხმელსა გაირბენენ“. ასეთი ცნობა მხოლოდ „ვ.ტ.“ არ გვხვდება. სახარებაზე დაყრდნობით „ევსტათი მცხეთელის წამების“ ავტორი ამბობს: „ხოლო ქრისტე და მოწაფენი მისნი განვიდოდეს ზღუასა. მას, ვითარცა ხმელსა და ფერხნი მათი არა დაივლტნეს.“[2]

ტიმოთე გაბაშვილს იერუსალიმის ღვთისმშობლის სახელობის ქართველთა მონასტერში უამბეს: მონაზონი გაბრიელ ქართველი „ზღვათა ზედა ფერხითა ვიდოდა პასექისა სამშაბათსაო“. რუსთაველი წყალზე რბენაში ალბათ სწრაფმავალი ნავით გადაადგილებას გულისხმობდა. სწავლულ ან საგანგებოდ დახელოვნებულ ქაჯთა ჩქარა სვლა ანუ რბოლა მდინარეზე ან ზღვაზე არ შეიძლება შეუძლებელ ამბად მივიჩნიოთ.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ზემოთმოხმობილი სტროფი არ შეიძლება ზღაპრულ-ფანტასტიკურად ანუ არარეალურად ჩავთვალოთ.

პოეტის სიტყვები „იქმან რასმე საკვირველსა“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ეს პერსონაჟები არ არიან ზღაპრულ-ფანტასტიკური არსებანი, ფანტასტი-

1. ჩიჯავაძე შ. ვეფხისტყაოსნის ერთი ტაეპის გაგებისათვის, საქ. სსრ მეცნიერება აკადემიის მოამბე XXXIII, 2, 1964.
2. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია I. შემდეგ ს. ყუბანეიშვილი თბ. 1946, გვ. 51.



კურ პერსონაჟთა შესახებ რუსთაველი ამას არ იტყოდა, რადგან მათთვის ყველაფრის ქმნა დასაშვებია და არავითარ საკვირველებას არ წარმოადგენს.

არის მეორე გარემოებაც, გრძნეულ ქაჯ პერსონაჟებს, გრძნეულ ქაჯთა წინაპრებს შეარქვეს ზღაპრულ-ფანტასტიკურ არსებათა სახელები „ქაჯნი“ – „ამისთვის ქაჯად უხმობენ გარე შემონი ყველანი

თვარა იგიცა კაცნია, ჩვენებრვე ხორციელანი“.

მაშასადამე, თუ ქაჯი პერსონაჟები ზღაპრულ-ფანტასტიკურია, მათთვის რაღატომ უნდა შეერქმიათ ისევ ზღაპრულ-ფანტასტიკურ არსებათა სახელი. აქედან გამოდის, რომ ოდესღაც ამ გრძნეულ, სხვადასხვა ცოდნით აღჭურვილ ადამიანებს შეარქვეს ზღაპრული პერსონაჟის სახელი – ქაჯი.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქაჯად წოდებული პერსონაჟები არ არიან ავი სულები, დემონური არსებანი, ისინი არიან მაღალი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი გრძნეულნი, მრავალი საბრძოლო მეთოდის მცოდნენი, საკმაოდ ხელოვანნი, რითაც სხვებში იწვევენ გაოცებას, ამავე დროს არიან თავიანთი პატრონების უზომოდ ერთგულები.

ნაშრომში ასევე დასაბუთებულია დევ პერსონაჟთა რეალურობაც.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დევებს არ გააჩნიათ არავითარი ზღაპრული, არაადამიანური თვისებები. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ შ. რუსთაველისათვის ცნობილი იყო ინდური წარმოშობის ტომი – დევთა სახელწოდებით. ის აზრი, რომ ტარიელის მიერ დევების დახოცვა არ არის სინამდვილესთან შეუთავსებელი, ფანტასტიკური ამბავი, როგორც ეს აქამდე მიგვაჩნდა, საბუთდება შემდეგი გარემოებით:[1]

1. ისტორიკოსი ლეონტი მროველი (X ს.) დევებს ადამიანთა ტომად („ნათესავად“) თვლის. მისი სიტყვით მეფე იარვანდმა

1. ჩიჯავაძე შ., „ვეფხისტყაოსნის სინამდვილის ასახვის საკითხისათვის“ გაზ. „თბილისი“, 1963 წ. 7/1.

წაართვა ფარსმან არმაზელს ქალაქი წუნდა და არტაანი და „დასხნა წუნდასა შინა კაცნი მხეცნი. ნათესავნი დევთანი“.[1]

2. უცნობი ავტორის ქართული დემოგრაფიული ხასიათის წყარო, რომელშიც კ. კეკელიძის შეხედულებით, არის ადამიანთა ტომების სია, არაუგვიანეს XIII საუკუნისა, ჩამოთვლის რამდენიმე ათეულ ისტორიულად ცნობილ ტომს, რომელთა შორის ასახელებს დევებსაც.[2]

3. არაბი ისტორიკოსი აბუ ხანიფა დინავარი (IX ს.) გვაუწყებს: როცა არაბმა მოლაშქრეებმა გადალახეს ტიგროსი და მიაღწიეს ქალაქ მედაინს, გაქცეული და შეშინებული მოსახლეობა ყვიროდა: „დევები მოვიდნენ, დევები მოვიდნენო.“[3] აქ უნდა ვივარაუდოთ, რომ არაბ მეომრებში იყვნენ დევთა ტომის ადამიანებიც ან მედაინელები იცნობდნენ დევებს, როგორც განსაკუთრებული სისასტიკით სახელგანთქმულ ადამიანებს.

4. ცნობილია, რომ მრავალი ქვეყნის ტერიტორიის სახელწოდება შექმნილია მასზე მობინადრე ტომებისა და ერების სახელებისაგან. საკმარისია დავასახელოთ ტოპონიმიკური სიტყვები: გურჯისტანი, ფრანგისტანი, თურქისტანი, ავღანისტანი, ურიასტანი და სხვ. დევისტანი მოხსენებულია „შაჰნამეს“ გაგრძელებათა ციკლის ქართულ ვერსიებში: „მეფე ყელსა მოეხვია, გარდაკოცნა პილოტანი, უთხრა: გმირო, ამოვწყვიტე თურქისა და დევისტანი“.[4]

გვხვდება სხვა ადგილზეც:

„ბალხეთი და არაბეთი, ბალახშანი ნიმრიზითა,
ალანი და დევისტანი მიითვალე ყაფის მთითა“[5].

1. მროველი ლ. ქართლის ცხოვრება, I, 1955 წ.
2. კეკელიძე კ. „ეტიუდები“, I, 1956 გვ. 179.
3. ბერთელსი ე. სპარსულ-ტაჯიკური ლიტ-რის ისტორია, რუსულ ენაზე, 1960, გვ. 223.
4. შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1916, სტროფი 4517.
5. შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ი. აბულაძემ, თბ. 1916, სტროფი 1075.



5. „ამირან-დარეჯანიანის“ ავტორი და „რუსუდანიანის“ რამდენიმე ეპიზოდი დევებს კაცებად, ადამიანებად თვლის.[1]

6. როგორც ცნობილია, მრავალი გვარი (რუსიშვილი, რუსაძე, რაჭველიშვილი, გერმანიშვილი, მეგრელიშვილი და მისთ.) წარმოშობილია ადამიანთა ტომების სახელებიდან. ჩვენამდე შემორჩენილია ისეთი გვარებიც, რომელთა წარმომშობი ტომები გადაშენებულან ან სახელი შეცვლიათ. ხაზარაძე-ხაზარელნი, ფერაძე-ფერელნი, ალანია, ალანნი, ხომერიკი-ხომერნი და სხვ. დევთა ტომის სახელთან დაკავშირებულია, დევიძე, დევაძე, დევდარიანი.

7. დევთა ტომის არსებობის ფაქტს დამაჯერებელს ხდის ისიც, რომ აფრიკაში ახლაც ცხოვრობენ ნდევის ტომების ადამიანები.[2]

8. ტარიელი ავთანდილს უამბობს „ესე ქვაბნი“, „დევთა შეექცაფნეს“ კლდეშიო და მოკლედ აუწერს დევებთან ბრძოლის სურათს – „დავხოცე დევთა დასები“. ნესტანის ადგილსამყოფელის გაგების შემდეგ დაბრუნებულ ავთანდილს ტარიელი უჩვენებს დევთა სამყოფელის (40 ოთახისგან შედგებოდა) განძს და საჭურველს, რომელიც დევთა დახოცვის შემდეგ დარჩა. ახლა საკითხავია: ტარიელის ადამიანური ბუნება გვაძლევს თუ არა იმის საფუძველს, რომ მისი ნაამბობი დაუჯერებლად, ხოლო დევების ყოფილი საცხოვრისი სხვა ტომის ადამიანთა ყოფილ საკუთრებად მივიჩნიოთ. წარმოუდგენელია ტარიელს, ასეთი მაღალი ზნეობისა და რაინდული ბუნების გმირს, თავისთვის მიეწერა ზღაპრული პერსონაჟების, ბუნებაში არარსებული ადამიანების დახოცვის ამბავი და ასმათის თანდასწრებით ეცრუა. არაბეთში დაბრუნებული ავთანდილი როსტევან მეფესა და თინათინს უამბობს: ტარიელს „ქვაბნი ომითა წაუხმან, სახლად აქვს დევთა სახლები“.

1. ჩვენი საუნჯე, II 1960, გვ. 308, რუსუდანიანი, 1957, ი. აბულაძის და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, გვ. 293, 377, 378.
2. მანტერი ჯონ, მონადირე, 1962, გვ. 200.

ისიც აღსანიშნავია, თუ „ვეფხისტყაოსნის" დევები ზღაპრული პერსონაჟებია, მაშინ არაბუნებრივი ჩანს პოემის მიხედვით დევთა და ქაჯთა დაპირისპირება. დევთა კიდობანს ეწერა: „თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, დღე იყოს იგი ძნელიო". გაგვიჭირდება, ვიპოვოთ ზღაპარი, რომ ეს ორი ძალა ერთმანეთზე დაპირისპირებული იყოს, პირიქით, ისინი ყველგან მოკავშირეები არიან, როგორც ბოროტი ძალის გამომხატველნი. გარდა ამისა, არაბუნებრივია, რომ რუსთაველს, რომლის ეთიკური მრწამსით „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად". თავის ეპიკურ ძეგლში ზღაპრული ამბავი მომხდარ ფაქტად გამოეხატა.[1]

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ლექსიკური ერთეული „დევი", „დივი" ანტიკური ისტორიოგრაფიის დიდი წარმომადგენლის ამიანე მარცელინეს (IV ს.) ნაშრომშიც ტომს, ხალხს აღნიშნავს: „აქეთ ტიგრისიქითელები და არმენიელები იხვეწებოდნენ ზავს, იქით ინდოელი ერები — თვით დივები და სერენდივებიც კი ერთმანეთს ასწრებდნენ საჩუქრებითურთ წარჩინებულ პირთა გზავნას".[2]

„დევი" ეთნონიმის აღმნიშვნელია მე-17 საუკუ. ძეგლ. „ომაინიანშიც". აქ გმირ ომაინს სამი ცხენოსანი ხვდება. ომაინმა ორი მაშინვე მოკლა, ხოლო მესამე სარი დევმა მას მოახსენა: „მე დევი არა ვარ, დედაჩემი კაცთა ნათესავი არის და მამა დევი მყავს, მაგრამ დევის რჯულზედ არა ვარ... ამ ღვთის უშიშარ დევისაგან მრავალი ქვეყანა წამხდარა... სარი დევმა ომაინს მონობა შეჰფიცა და კიდეც უერთგულა".[3]

ამრიგად, დევი არ არის ზღაპრულ-ფანტასტიკური პერსონაჟი. ის რეალურად არსებული ტომი იყო.

ახლა გვინდა განვიხილოთ ლექსიკური ერთეული გრძნეუ-

1. ჩიჯავაძე შ. „ვეფხისტყაოსნის" სინამდვილის ასახვის საკითხისათვის, გაზ. „თბილისი", 1963, 7/1.
2. გეორგიკა I, ტექსტი ქართული თარგმანებით გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ. 1961, გვ. 102.
3. ქაიხოსრო, ომაინიანი, გ. ჯაობიას რედაქციით, თბ. 1937, გვ. 94-95.



ლი. მასში იგულისხმებოდა ეშმაკი, კუდიანი, მისანი ანუ წინასწარმეტყველი ადამიანები. პოემაში გრძნეულებად მოიხსენიება ფატმანის ორი მონა-მალემსრბოლი, ბანიბან გადაფრენა რომ შეეძლოთ, დავარის ორი მონა ქაჯი, რომელთაც ნესტანის ზღვაში გადაგდება უბრძანა, ქაჯ მეომართა ნაწილი და დავარი, „ვინ გრძნებითა ცაცა იცის"

ვნახოთ არიან თუ არა ისინი გრძნეულები- მისნები. დავარი ბრძენი ქალია: „მას სიბრძნითა სასწავლებლად თვით მეფემან მისცა შვილი". ბრძენი ქალია, მაგრამ მისანი- გრძნეული არ არის. ის რომ მისანი ე.ი. წინასწარმეტყველი ყოფილიყო, შეიტყობდა ნესტანისა და ტარიელის ფარულ სიყვარულს და მათ გადაწყვეტილებას უდანაშაულო ხვარაზმშას — ძის მოკვლის შესახებ. არც ქაჯი მეომრები არიან მისნები. ისინი დროულად დაბრუნდებოდნენ ქაჯეთში და ქაჯეთის ციხის დაცემას არ დაუშვებდნენ.

„ვეფხისტყაოსანში" გრძნეული არ არის დანაშაულის ჩამდენის, ეშმაკის, მისნის გამომხატველი ან საეროთდ საძრახისი სიტყვა, ბოროტი ძალა. პირიქით, ფატმანი ერთგვარი სიამაყითა და თავმოწონებით ეუბნება ავთანდილს, რომ მას ჰყავს ორი მონა „გრძნებით სავსენი", რომელთაც შეუძლიათ სხვათათვის შეუმჩნევლად მიმოსვლა. „მე ორნი შავნი მონანი მყავანან სავსენი გრძნებითა,

უჩინოდ წავლენ-წამოვლენ მათითა ხელოვნებითა"

ეს ორი გრძნეული მკითხველის ერთგვარ სიმპათიასაც კი იმსახურებს, რადგან მათ მშვენივრად შეასრულეს ფატმანის დავალება და შესაძლებელი გახადეს ნესტანის განთავისუფლება.

„ვეფხისტყაოსანი"-ს გრძნეული განსაზღვრულ რეალურ ცოდნას დაუფლებულ ადამიანს აღნიშნავს და არა მისანს, ეშმაკს ან ზღაპრულ-ფანტასტიკურ არსებას.

# ფოლკლორის სწავლება

ხალხური სიტყვიერება ლიტერატურის მძლავრი შენაკადია, რომელიც მოსწავლეთა ესთეტიკური და პატრიოტული აღზრდის, ლიტერატურული განათლებისათვის მდიდარ მასალას იძლევა.

ჟანრობრივად თუ თემატურად მრავალფეროვანი ქართული ხალხური შემოქმედება გამოხატავს ხალხის სიბრძნესა და სულიერ სიმდიდრეს. ამიტომაც ხალხში გაბნეული მარგალიტების, პოეტურად სრულყოფილი ნიმუშების სწავლებას დიდი სიფაქიზით უნდა მოეკიდოს მასწავლებელი. შესასწავლი ხალხური ნიმუშების ტექსტის წაკითხვამდე, შესავალ საუბარში, მოკლედ უნდა მიმოიხილოს მნიშვნელოვანი ცნობები ხალხური სიტყვიერების შესახებ. რომ ის უძველესი დროიდან მომდინარეობს და ხალხმა მაშინ შექმნა, როცა წერა-კითხვა არ იცოდა, ამ ნიმუშებს ზეპირად გადასცემდნენ თაობიდან თაობას, როცა ადამიანზე ბუნების ძალები მოქმედებდნენ და ამ ძალებს იგი აღმერთებდა. ასე იქმნებოდა საკულტო პოეზია. ქართველი ხალხი მტერთა ურიცხვ თავდასხმებს განიცდიდა, გამუდმებით იბრძოდა და თავს იცავდა, ამიტომაც გვაქვს ასე მდიდარი საგმირო პოეზია.

ხალხური შემოქმედების ნიმუშები ლიტერატურულთან შედარებით ადვილად გასაგებია მოსწავლეთათვის. ისინი ოჯახში სასკოლო ასაკამდე ისმენდნენ ხალხურ ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს, ხალხურ სიმღერებს. მასწავლებლის პირველი საუბრები სწორედ ამ ცოდნას უნდა ემყარებოდეს.

ფოლკლორის შესწავლისას, გარდა პროგრამით გათვალისწინებული მასალისა და დროისა, მუშაობა უნდა წარიმართოს კლასგარეშე სამუშაოების სახით. ეს იქნება საწრეო თუ ფაკულტატური მუშაობა, ხალხური პოეზიის საღამოების მოწყობა, მოსწავლეთა კონფერენციის ჩატარება.

მოსწავლეთა ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ქართველ მწერალთა შემოქმედებაში ფართოდ აისახა ხალ-



ხური სიტყვიერების ნიმუშები: ლეგენდები, თქმულებები, ანდაზები, გამოცანები და როდესაც ამ მწერალთა ნაწარმოებებს ვასწავლით, უნდა ვისარგებლოთ შემთხვევით და ავუხსნათ, რა აიღო მწერალმა ხალხური წყაროდან, რა ფაქტია გამოყენებული. უნდა ვუთხრათ, რომ სწორედ ხალხური ლექსები იქცა არაერთი ქართველი ხელოვანისათვის შთაგონების წყაროდ. მაგ. მ. ბერძენიშვილის „კიდევაც დაიზრდებიან“, ელგუჯა ამაშუკელის „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“ თუ სხვ.

ხალხური შემოქმედების ნიმუშების შესწავლა ისე უნდა წარიმართოს, რომ გამოიკვეთოს მისი სწავლების საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ხოლო საზაფხულო არდადეგების დროს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში დასასვენებლად წასულ მოსწავლეებს უნდა დავავალოთ ხალხური ნიმუშების შეგროვება. ავუხსნათ ჩაწერის სპეციფიკა დიალექტის გათვალისწინებით, აღვუძრათ ინტერესი. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მათ რაიმე უცნობი მასალა ჩაიწერონ, მაგრამ იფიქრებენ ამ საკითხზე, ეცდებიან თავი გამოიჩინონ, მეტი ჩაიწერონ და ესეც მნიშვნელოვანია.

ხალხური პოეზია უნდა დავამკვიდროთ მოსწავლეთა ცნობიერებაში, რომ გააღრმაოს მათი სულიერება, ჩაუნერგოს ეროვნული გრძნობა, სიძველისადმი სიყვარული, გმირობისა და ვაჟკაცობისაკენ სწრაფვა, კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი, დააფიქროს სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე.

ხალხური შემოქმედების ნიმუშების შესწავლა იმის საფუძველია, რომ ახალგაზრდობამ მეტად დააფასოს ჩვენი წარსული, საუკუნეთა მანძილზე შექმნილი, დახვეწილი, მდიდარი და მაღალიდეური საუნჯე ერისა, გაიცნობიეროს, რომ ხალხური შემოქმედება ერის დიდი კულტურის, პოეტურობისა და გემოვნების მაჩვენებელია. სწორედ ეს უნდა აგრძნობინოს მასწავლებელმა ჩვენს მოაზრდებს ხალხური შემოქმედების ნიმუშების სწავლებისას.

ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ნიმუში ხალხური შე-

მოქმედებისა გახლავთ „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“, რომელიც თამამად შეიძლება მსოფლიოში ცნობილ ფოლკლორულ ნიმუშებს დავუყენოთ გვერდით.

შესავალ საუბარში მოსწავლეებს ვეუბნებით, რომ „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ პირველად 1887 წელს გამოაქვეყნა დავით ხიზანიშვილმა, შემდეგ გამოიცა თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ტექსტი; სრული ტექსტი ბალადისა 1927 წელს დაბეჭდა ვახტანგ კოტეტიშვილმა, ხოლო 1931 წელს აკაკი შანიძემ „ქართული ხალხური პოეზიის“ I ტომში შეიტანა არხოტელი ხევსურის ჯაბუშანურისაგან ჩაწერილი „ვეფხვი და მოყმე“. აკაკი შანიძის ჩაწერილ ვარიანტში ლექსის მეორე ნაწილი სრულიად უცნობი და ახალი იყო.

ლექსი „ვეფხისა და მოყმისა“ ქართული საგმირო პოეზიის, საგმირო ბალადის უბადლო ნიმუშია. თავისი ფესვებით, თავისი შინაგანი სამყაროთი და მხატვრული სახეებით იგი დაკავშირებულია ქართული ფოლკლორის უძველეს ფენასთან, ქართულ სამონადირეო ეპოსთან. იგი ჩვენ თვალწინ აცოცხლებს არა მარტო საგმირო-სავაჟკაცო თავგადასავალს,არამედ გამოკვეთს ლედაშვილური გრძნობის მძლეთამძლეობას. და ყოველივე ეს გადმოცემულია იმგვარი მხატვრული ფორმით, რომ ლექსი წარმოადგენს პოეტური ხელოვნების სამაგალითო ნიმუშს.

ვიდრე ტექსტზე მუშაობას დავიწყებდეთ, მოსწავლეებს უნდა განვუმარტოთ, რას ნიშნავს ბალადა. სასურველია, მათ იცოდნენ ბალადის პირვანდელი მნიშვნელობა. ძველი ხალხური-ლათინურიგაგებით, ბალადა ცეკვას, როკვას ნიშნავდა, რომელიც სიმღერით ან სიტყვააყოლებით სრულდებოდა. შემდეგში კი ბალადა ეწოდა იმგვარ პოეტურ თხზულებას, რომელიც რაიმე თავგადასავალს, მნიშვნელოვან შემთხვევას აღწერს ლექსის საშუალებით. ბალადას აუცილებლად გააჩნია სიუჟეტი. ამდენად, აქ ნაკლებად იგრძნობა მთქმელის პიროვნული განცდა და წინა პლანზეა წამოწეული გმირის თავგადასავალი, ან რომელიმე შემთხვევა.

ლექსის ერთხელ გამომეტყველებით წაკითხვის შემდეგვე



მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ, გაარკვიონ საქართველოს რომელ კუთხეში შეიქმნებოდა ბალადა. დაფაზე ამოვწერთ რამდენიმე ფრაზას, რომლებშიც აშკარად ჩანს მთის კილოებისათვის დამახასიათებელი ენობრივი ფორმები: „ჭალას ჯახნ იქნენ რქიანი“; „დრონ იყვნეს წაქცევისანი“; „შენც იმის საფერ ყოფილხარ“; „ერთი შვილ მაინც გაგზარდე“... ამ ფრაზებზე დაკვირვებით მოსწავლეები ადვილად დაასკვნიან, რომ ბალადა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შეიქმნებოდა, კერძოდ, ფშავში ან ხევსურეთში.

ბალადის შინაარსის სრულყოფილი აღქმისათვის საჭიროა ინტენსიური ლექსიკური მუშაობა. განმარტებას საჭიროებს არამარტო ლექსიკური ერთეულები, არამედ ზოგიერთი ფრაზა:

პირშიშველა – პირტიტველა, ყმაწვილი, ახალგაზრდა;

შიბნ – კლდის წვერები;

ჭიუხნი – წვეტიანი, ძნელად სავალი კლდეები;

ხორო – ჯოგი, ჯგუფი ცხოველებისა;

ბერხენი – ბებერი, აქ ჯოგის წინამძღოლი;

გაზი – კლანჭი;

ვადა – ხმლის ტარი;

ფრანგული– ხმლის სახეობა;

ჯაბანი – ლაჩარი, მხდალი;

დავლახენ ბილიკნი ჭიუხისანი – მოვიარე, გადავლახე ძნელად სასიარულო კლდეების ბილიკები;

მაშინ დაიძრნეს მიწანი- მიწა იძრა, ძლიერი ხმაურის ან მნიშვნელოვანი მოვლენის მოხდენის მნიშვნელობით;

ხელში იყარნა ვადანი თავის ხმლისანი – ხელთ იგდო ხმლის ვადა;

შენ იმის საფერ ყოფილხარ – შენც მისი სწორი, მისი შესაფერი, მისი ღირსეული მოწინააღმდეგე ყოფილხარ;

ტანზჭით აპყრის რკინასა – ტანზე რკინას შემოაგლეჯს, შემოაცლის.

(იგულისხმება ჯაჭვის პერანგი).

ტექსტზე ამგვარი მუშაობის შემდეგ მოსწავლეები ადვილად გადმოსცემენ ბალადაში აწერილ ორ მნიშვნელოვან ამბავს: 1. მოყმისა და ვეფხვის ორთაბრძოლას; 2. მოყმის დედის განცდებსა და მის გადაწყვეტილებას.

ამ ორი ძირითადი ეპიზოდის გადმოცემის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ, დაახასიათონ მოყმე ბალადისეული ფრაზების გამოყენებით. მათ თვალწინ ცოცხლდება გულუშიშარი, პირტიტველა მთიელი ჭაბუკი, რომელსაც ეადვილება ფეხმოუკიდებელ კლდეებზე სიარული, გამოწყობილია ჯაჭვის პერანგში, ამშვენებს ფრანგული ხმალი, ემარჯვება ფარისა და ხმლის ხმარება, მისი ნასროლი მიზანს არ სცდება, ვერ აშინებს ვეფხვთან შერკინება,მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხვი ჩქარია კლდისანი", მოყმემ გმირული ბრძოლით შეძლო ვეფხვის მოკვლა, მაგრამ თვითონაც დაიღუპა.

მოყმის დახასიათებას მოსწავლეები შეავსებენ დედის ტირილიდანაც: ჭაბუკს „ხმალი ქნევაში გაუცვდა"; „ლაშქარში, მეგობარშია არ იყო საწუნარია". მისი სიმამაცის ყველაზე მეტად დამადასტურებელია, რომ ის არის „ვეფხვებთან მეომარია".

ბალადის შესწავლას სამი საათი აქვს დათმობილი. ერთ გაკვეთილზე ვატარებთ ამგვარ მუშაობას.

მეორე გაკვეთილზე ამ ამაღლებული საგმირო თავგადასავლის სრულყოფილი გააზრების შემდეგ აქცენტი გადაგვაქვს ნაწარმოების მეორე მთავარ ეპიზოდზე.

დედა ამაოდ ელოდება სანადიროდ წასული შვილის დაბრუნებას. ღამით სიზმარში ეჩვენება ის, რაც ქადაგ-მკითხავებმა ვერ გაუბედეს, რომ ეთქვათ. რა შეიძლება იყოს შვილმკვდარი დედის მანუგეშებელი? რატომ არ არის მისი შვილი სატირალი? მოსწავლეები ადვილად აკეთებენ დასკვნას: „ერთი შვილ მაინც გაგზარდე, ვეფხვებთან მეომარია".

მოსწავლეთა ყურადღება განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ბალადის მთავარ სათქმელზე: შვილის სიკვდილმა არ გააბოროტა დედა. მკვლელი ვეფხვის მიმართ შურისგებით არ



განიმსჭვალა. ცხადშიც და სიზმარშიც ამას მოთქვამდა: „ჩემს შვილს-ხმლით იმას ტოტითა

ღლე დაუღამდათ მზიანი...
მათ დაუხოცავთ ერთურთი,
არ დარჩნენ სირცხვილიანი".

სულისშემძვრელია შვილმკვდარი დედის გადაწყვეტილება, მიუხედავად უზომო მწუხარებისა, მასში თანაგრძნობის სურვილი გაჩნდა ვეფხვის დედის მიმართ და იფიქრა:

„იქნება ვეფხვის დედაი
ჩემზე მწარედა სტირისა?
წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ ვუთხრა ჭირისა,
იმასაც ბრალი ექნების
უწყალოდ ხმლით დაჭრილისა".

გასაოცარია ქალის ჰუმანიზმი, მისი თანაგრძნობა და სიბრალული ვეფხვის დედის მიმართ. ეს ლექსის იდეალია. აქ ჩანს ქართული სული, შემწყნარებლობა, კეთილშობილება, დამარცხებულისადმი პატივისცემა, კაცთმოყვარეობა. სწორედ ეს გრძნობები უნდა წამოვწიოთ წინა პლანზე. ამით მოვახდინოთ მოსწავლეებზე ზემოქმედება.

საგანგებოდ გამოვყოფთ ბალადის მხატვრულ სამკაულებს, მართლაც რომ, უზადო პოეტური ხელოვნების ნიმუშებს. მაგალითად:

„ჯიხვსა თოფ დავკარ ბერხენსა,
ჭალას ჯახნ იქნენ რქისანი".
„შეიბნეს ვეფხვი, მოყმეი,
მაშინ დაიძრნეს მიწანი".
„ქვიშას მიჰლებავს წითლადა,
სისხლი ზედ ჩამომდინარი";
„შენც იმის საფერ ყოფილხარ,
ხმალი ქნევაში გაგიცვდა!"

ამ ჰიპერბოლური გამონათქვამების ექსპრესიულობა მთ-

ლი ძალით უნდა აგრძნობინოს მასწავლებელმა; დრამატულ და ტრაგიკულ ეპიზოდებში მოსწავლეებმა უნდა შეიგრძნონ ამაღლებული, ე.ი. მშვენიერი.

ბოლოს მოსწავლეებს უნდა განვუმარტოთ, რომ ეს ბალადა საწყისს მითოსიდან იღებს. ბერხენი ჯიხვი ნიშნავს ჯოგის თვალს, რომელიც ღვთის ცხოველად არის მიჩნეული. ამდენად, მისი მოკვლა არ შეიძლება. მოყმე ჯიხვებზე სანადიროდ იყო წასული, იგი ვეფხვს მოულოდნელად გადაეყარა და ამიტომ შეება. ქართული მითოსის თანახმად, ვეფხვიც საკულტო ცხოველად არის მიჩნეული („თვალნი მარისხნა ღვთისანი“). ვეფხვის დატირება ხევსურეთსა და სვანეთში წესად ჰქონიათ. სვანეთში თუ ვინმე ვეფხვს მოკლავდა, იმდენჯერ დაიტირებდნენ მას, რამდენი გოლიც ჰქონდა ვეფხვს. დატირება ღვთისადმი მობოდიშებას ნიშნავდა, რომ ღვთის წყრომა აეცდინათ.

შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხვისა და მოყმის“ ბალადაშიც მძლავრად ხმიანობს ქართული მითოსი. დედა აქებს, უბოდიშებს მოკლულ ვეფხვს, შვილთან ერთად მასაც დასტირის და ვეფხვის დედასთან სამძიმარზე წასვლას ფიქრობს. ამგვარი სათნოება შეიძლება თავისთავად ღვთის მიმართ მობოდიშებად ჩაითვალოს.

მოსწავლეებს შეიძლება დავავალოთ შემდეგი სახის საშინაო დავალების შესრულება:

1. დაყონ ბალადა ეპიზოდებად და დაასათაურონ;
2. დაახასიათონ ბალადის მიხედვით მოყმე და დედა;
3. აღწერონ მხატვრულად ვეფხვისა და მოყმის ბრძოლა.

ცნობილია, რომ ყველა ქვეყნის ლიტერატურას იმ ზოგად პრინციპებთან ერთად, რაც საერთოდ დამახასიათებელია მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურისათვის, ერთი რომელიმე გამორჩეული თვისება ახასიათებს მომეტებულად. ქართული მწერლობისათვის ასეთ თვისებად აღიარებულია თანაგრძნობა, თანადგომა. „ვეფხვისა და მოყმის“ ბალადა ამის შესანიშნავი დასტურია. ამდენად, მისი სრულყოფილი სწავლება სიტყვიერების მასწავლებლის პროფესიული და კეთილშობილური ვალია.



# პეიზაჟი და მისი ფუნქცია

პეიზაჟი არის ბუნების სურათის დახატვა ხელოვნებაში, მხატვრობასა და ლიტერატურაში. იგი ნაწარმოებს უჩვეულოდ ემოციურ ელფერს აძლევს, ეხმარება აზრობრივი არსის გახსნაში. ამ სილამაზის სწორ შეგრძნებასა და აღქმას უნდა მივაჩვიოთ მოსწავლეები, გავარკვიოთ მის ფუნქციაში. სამწუხაროდ, ისინი პეიზაჟს ყურადღებას არ აქცევენ. კიდევ მეტიც, თუ ცოტა ვრცელია პეიზაჟური სურათი, ზოგჯერ ისე გადაფურცლავენ იმ გვერდს, რომ არც კითხულობენ. ეს იმიტომ, რომ მოზარდებს აინტერესებთ სიუჟეტი, დიდია სწრაფვა შინაარსის გაცნობისაკენ და პეიზაჟი, მხატვრული ტექსტის ულამაზესი სამკაული, მეორეხარისხოვნად მიაჩნიათ. სწორედ აქ არის საჭირო მასწავლებლის ოსტატობა. მან უნდა მიაჩვიოს მოსწავლეები მშვენიერების აღქმას, დაარწმუნოს, რომ პეიზაჟს ნაწარმოებში საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს. იგი თხზულებაში ისეთივე როლს ასრულებს, როგორც მუსიკა კინოფილმსა და სპექტაკლში. მათ უნდა იცოდნენ, რომ მხატვრული ნაწარმოები შედგება ერთმანეთთან მტკიცედ დაკავშირებული სხვადასხვა შემდაგენელი ნაწილებისაგან, მიკროდეტალებისაგან. მათი შერწყმით იქმნება ლიტერატურულ ნაწარმოებში საერთო ჰარმონია. ასეთი მიკროდეტალებია თხრობა, აღწერა, დიალოგი, მონოლოგი, პეიზაჟი, მწერალი პეიზაჟს მრავალგვარ დანიშნულებას აძლევს:

1. როგორც გმირთა მოქმედების გარემოს, ფონს. მაგ. ი. ჭავჭავაძის „განდეგილის“ შესავალი, ა. წერეთლის „გამზრდელის“ შესავალი, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ შესავალი.

2. იყენებს მოქმედი პირის ან მწერლის სულიერი განწყობილების ან ცხოვრებისადმი მისი დამოკიდებულების გადმოცემის საშუალებად: ნ. ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზე“. ასეთ შემთხვევაში ან უპირისპირებს მწერალი ბუნების სურათსა და ადამიანის განცდას, მოვლენას ან აკავშირებს, ამსგავსებს თუ უთანხმებს ბუნების მოვლე-

ლი ძალით უნდა აგრძნობინოს მასწავლებელმა; დრამატულ და ტრაგიკულ ეპიზოდებში მოსწავლეებმა უნდა შეიგრძნონ ამაღლებული, ე.ი. მშვენიერი.

ბოლოს მოსწავლეებს უნდა განვუმარტოთ, რომ ეს ბალადა საწყისს მითოსიდან იღებს. ბერხენი ჯიხვი ნიშნავს ჯოგის თვალს, რომელიც ღვთის ცხოველად არის მიჩნეული. ამდენად, მისი მოკვლა არ შეიძლება. მოყმე ჯიხვებზე სანადიროდ იყო წასული, იგი ვეფხვს მოულოდნელად გადაეყარა და ამიტომ შეება. ქართული მითოსის თანახმად, ვეფხვიც საკულტო ცხოველად არის მიჩნეული („თვალნი მარისხნა ღვთისანი“). ვეფხვის დატირება ხევსურეთსა და სვანეთში წესად ჰქონიათ. სვანეთში თუ ვინმე ვეფხვს მოკლავდა, იმდენჯერ დაიტირებდნენ მას, რამდენი ზოლიც ჰქონდა ვეფხვს. დატირება ღვთისადმი მობოდიშებას ნიშნავდა, რომ ღვთის წყრომა აეცდინათ.

შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხვისა და მოყმის“ ბალადაშიც მძლავრად ხმიანობს ქართული მითოსი. დედა აქებს, უბოდიშებს მოკლულ ვეფხვს, შვილთან ერთად მასაც დასტირის და ვეფხვის დედასთან სამძიმარზე წასვლას ფიქრობს. ამგვარი სათნოება შეიძლება თავისთავად ღვთის მიმართ მობოდიშებად ჩაითვალოს.

მოსწავლეებს შეიძლება დავავალოთ შემდეგი სახის საშინაო დავალების შესრულება:

1. დაყონ ბალადა ეპიზოდებად და დაასათაურონ;
2. დაახასიათონ ბალადის მიხედვით მოყმე და დედა;
3. აღწერონ მხატვრულად ვეფხვისა და მოყმის ბრძოლა.

ცნობილია, რომ ყველა ქვეყნის ლიტერატურას იმ ზოგად პრინციპებთან ერთად, რაც საერთოდ დამახასიათებელია მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურისათვის, ერთი რომელიმე გამორჩეული თვისება ახასიათებს მომეტებულად. ქართული მწერლობისათვის ასეთ თვისებად აღიარებულია თანაგრძნობა, თანადგომა. „ვეფხვისა და მოყმის“ ბალადა ამის შესანიშნავი დასტურია. ამდენად, მისი სრულყოფილი სწავლება სიტყვიერების მასწავლებლის პროფესიული და კეთილშობილური ვალია.



# პეიზაჟი და მისი ფუნქცია

პეიზაჟი არის ბუნების სურათის დახატვა ხელოვნებაში, მხატვრობასა და ლიტერატურაში. იგი ნაწარმოებს უჩვეულოდ ემოციურ ელფერს აძლევს, ეხმარება აზრობრივი არსის გახსნაში. ამ სილამაზის სწორ შეგრძნებასა და აღქმას უნდა მივაჩვიოთ მოსწავლეები, გავარკვიოთ მის ფუნქციაში. სამწუხაროდ, ისინი პეიზაჟს ყურადღებას არ აქცევენ. კიდევ მეტიც, თუ ცოტა ვრცელია პეიზაჟური სურათი, ზოგჯერ ისე გადაფურცლავენ იმ გვერდს, რომ არც კითხულობენ. ეს იმიტომ, რომ მოზარდებს აინტერესებთ სიუჟეტი, დიდია სწრაფვა შინაარსის გაცნობისაკენ და პეიზაჟი, მხატვრული ტექსტის ულამაზესი სამკაული, მეორეხარისხოვნად მიაჩნიათ. სწორედ აქ არის საჭირო მასწავლებლის ოსტატობა. მან უნდა მიაჩვიოს მოსწავლეები მშვენიერების აღქმას, დაარწმუნოს, რომ პეიზაჟს ნაწარმოებში საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს. იგი თხზულებაში ისეთივე როლს ასრულებს, როგორც მუსიკა კინოფილმსა და სპექტაკლში. მათ უნდა იცოდნენ, რომ მხატვრული ნაწარმოები შედგება ერთმანეთთან მტკიცედ დაკავშირებული სხვადასხვა შემდგენელი ნაწილებისაგან, მიკროდეტალებისაგან. მათი შერწყმით იქმნება ლიტერატურულ ნაწარმოებში საერთო ჰარმონია. ასეთი მიკროდეტალებია თხრობა, აღწერა, დიალოგი, მონოლოგი, პეიზაჟი, მწერალი პეიზაჟს მრავალგვარ დანიშნულებას აძლევს:

1. როგორც გმირთა მოქმედების გარემოს, ფონს. მაგ. ი. ჭავჭავაძის „განდეგილის“ შესავალი, ა. წერეთლის „გამზრდელის“ შესავალი, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ შესავალი.

2. იყენებს მოქმედი პირის ან მწერლის სულიერი განწყობილების ან ცხოვრებისადმი მისი დამოკიდებულების გადმოცემის საშუალებად: ნ. ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზე“. ასეთ შემთხვევაში ან უპირისპირებს მწერალი ბუნების სურათსა და ადამიანის განცდას, მოვლენას ან აკავშირებს, ამსგავსებს თუ უთანხმებს ბუნების მოვლე-

ნებს გმირის განწყობილებას და ამით აძლიერებს წარმტაცავს მომენტს. მაგალითად გრიგოლ ორბელიანი „სადღეგრძელოს" ფინალში უმშვენიერესი, ვარდისფერი განთიადის სურათია აღწერილი. სწორედ ამ ლამაზი დილის ფონზე გავარდება თოფი, რბის უპატრონო ცხენი და იწყება სისხლისღვრა. ასევეა აკაკის „თორნიკე ერისთავში" გათენების უმშვენიერესი სურათი.

3. პეიზაჟი, როგორც სიუჟეტის ჩანართი ეპიზოდი, მოვლენათა განვითარების ერთ-ერთი რგოლი, მაგალითად ა. წერეთლის „ბაში-აჩუკის" მე-15 თავის დასაწყისი.

4. პეიზაჟი, როგორც ნაწარმოების იდეის გამომხატველი. ა. წერეთლის „გაზაფხული", ი. ჭავჭავაძის „ელეგია", „მგზავრის წერილებში" მყინვარისა და თერგის შედარება, დღისა და ღამის შედარება.

5. პეიზაჟის საშუალებით გადმოცემულია სოციალური ვითარება. მაგალითად, ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღის" შესავალი.

6. პეიზაჟი, როგორც სიმბოლო: როცა მწერლის მიერ აღწერილი პეიზაჟური სურათი სიმბოლურად განასახიერებს ამა თუ იმ მოვლენას, მაგ. ნ. ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისას" II კარი, რომელიც მდინარე არაგვისა და მისი შემოგარენის აღწერით იწყება. არაგვი თავისი მქუხარებითა და დაუდგრომლობით ერთგვარი სიმბოლოა ჩვენი ქვეყნის ბობოქარი ისტორიისა. ასეთივე დანიშნულება აქვს არაგვის აღწერას ა. წერეთლის „ბაში-აჩუკში". არაგვის ცდა ახალი გზის გაკვალვისათვის,მისი თავგამოდებული შეხეთქება ნაპირებთან სიმბოლურად მიგვანიშნებს იმ ახალი, სამომავლო გზების გაკვალვაზე, რომელსაც ასე ესწრაფოდა აკაკის თაობა.

7. პეიზაჟი, როგორც ესთეტიკური გრძნობის განვითარების საშუალება. მწერალი ბუნებას გვიხატავს, როგორც თავისთავადი სილამაზის განსახიერებას და ამით ადამიანში იწვევს ესთეტიკურ ტკბობას. ალ. ყაზბეგის „ელგუჯას" I თავის დასაწყისი, ვაჟა-ფშაველას „ღამე მთაში"..

მაშასადამე პეიზაჟს აქვს როგორც ესთეტიკური მნიშვნელობა, ისე გარკვეული იდეურ-კომპოზიციური დანიშნულება. სკოლაში შესასწავლ უმრავლეს ნაწარმოებში პეიზაჟი გვევლინება სწორედ ამ ფუნქციის მატარებლად.

პეიზაჟზე მუშაობისას მთავარია მოსწავლეებს გამოვუმუშავოთ მისდამი დამოუკიდებელი დაკვირვების, მისი როლისა და ადგილის მიგნებისა და გააზრების ჩვევა.



## მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა

ლიტერატურა მოსწავლეთა გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და პატრიოტული აღზრდის მძლავრი საშუალებაა. ლიტერატურული განათლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მოსწავლეებში მშვენიერების აღქმისა და გაგების, მხატვრული სახეებით აზროვნების უნარის განვითარება, მათი სულიერი კულტურის, ინტელექტუალური დონის ამაღლება, ისეთი მკითხველის აღზრდა, რომელიც ტექსტის ესთეტიკური ზემოქმედების ძალით ემოციურად დაიმუხტება, მიეჩვევა წაკითხულის შესახებ ფიქრსა და განსჯას.

"მშვენიერების აღქმა მხატვრულ ნაწარმოებში მოქმედი გმირის ზნეობრივი იდეალების წვდომასაც გულისხმობს, მისი პოლიტიკური მრწამსის გაგებასა და გაცნობიერებას ნიშნავს. ამიტომ წარმოუდგენელია ესთეტიკური აღზრდის გამოცალკევება აღზრდის მთლიანი სისტემიდან. მოზარდი თაობის იდეურ-ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რაში ხედავს მოსწავლე მშვენიერს, როგორია მისი ესთეტიკური იდეალები."[1] უპირველესი, ვინც ეს სწორად უნდა წარმართოს ლიტერატურის გაკვეთილზე არის მასწავლებელი. მან თავისი ემოციური, შთამბეჭდავი საუბრით, საინტერესო და მიმზიდ-

1. მ. თაბორიძე „ესთეტიკური აღზრდის პრობლემები ლიტერატურის სწავლებისას". თბ. 1985, გვ. 4.

ველი გამომეტყველებითი. კითხვით უნდა მოხიბლოს მოსწავლეები, ისეთი უხილავი კონტაქტი უნდა დამყარდეს მასწავლებელსა და კლასს შორის, რომ აღძრას ინტერესი შესასწავლი მასალისადმი, განუვითაროს გემოვნება, აუმაღლოს მეტყველების კულტურა. მაშასადამე, მხატვრული ნაწარმოების შესწავლამ მარტო ფაქტობრივი ცოდნა კი არ უნდა მისცეს მოსწავლეებს, არამედ პირველ რიგში ესთეტიკური ზემოქმედება მოახდინოს მათზე.

ტრადიციულად ესთეტიკაში განიხილავენ ოთხ ძირითად ესთეტიკურ კატეგორიას: მშვენიერს, ამაღლებულს, ტრაგიკულსა და კომიკურს. ისიც ცნობილია, რომ ამათგან მთავარი ყურადღება ექცევა მშვენიერის კატეგორიას. ჩვენი სასკოლო პროგრამის ნებისმიერი ნაწარმოები სიტყვის ხელოვნების ნამდვილი ნიმუშია არა მარტო იდეური გადაწყვეტით, არამედ თავისი ესთეტიკური ღირებულებით. ამდენად, მისი დანიშნულება მოსწავლის ზნეობრივ აღზრდასა და შემეცნებითი სფეროს გაფართოებასთან ერთად ესთეტიკური ტკბობაა. არცერთი ნაწარმოები არ უნდა გაგვიფრინდეს სწავლებისას ხელიდან ისე, რომ ჩვენმა მოსწავლემ ვერ შეიგრძნოს მასში მშვენიერი, ესთეტიკის ეს ძირითადი კატეგორია. შემთხვევითი არ არის, რომ ხშირად მშვენიერს აიგივებენ ესთეტიკურ ცნებასთან, მიიჩნევენ, რომ ამაღლებული თავისთავად მშვენიერია. იგივე ითქმის ტრაგიკულის შესახებაც. მაგალითად, როცა ვასწავლით „ოთარაანთ ქვრივს“, „გიორგის ტრაგიკული აღსასრულისა თუ მისი სიკვდილისწინა სიტყვის ანალიზისას, ყურადღებას ვამახვილებთ ამ ტრაგიკულის სულიერად გამწმენდ-ამამაღლებელ გავლენაზე. ასევე ითქმის გიორგი ლეონიძის მარიტას ტრაგიკულ ფინალზე, რომელთანაც დაკავშირებულია სოფლის კათარზისი, ან აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ ტრაგიკულ დასასრულზე, რომელმაც უნდა მოახდინოს საფარბეგის სულიერი განწმენდა და სხვ.

პიროვნებაში ესთეტიკური გემოვნებისა და იდეალების ჩამოყალიბება სწორედ ბავშვობიდან იწყება. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ჩვენს მოსწავლეებს გამოვუმუშაოთ მშვენიერების აღქმის



უნარი. საამისოდ კი მთავარი საშუალება სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად მშობლიური მწერლობის გაკვეთილები უნდა იქცეს. მითუმეტეს, რომ ესთეტიკური აღზრდა უშუალო კავშირშია ზნეობრივ აღზრადსთან. ადამიანი, რომელსაც აქვს მშვენიერების აღქმის უნარი, რომელიც ამაღლებულში შეიგრძნობს მშვენიერს, რომელსაც სულით ხორცამდე შესძრავს ტრაგიკული, ის აუცილებლად ზნესრულია.

თითქმის ყველა მწერლის სწავლებისას ჩვენ საქმე გვაქვს შემოქმედის ესთეტიკურ პრინციპებთან, რომლებშიც უნდა გავარკვიოთ ჩვენი მოსწავლეები.

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდისათვის აუცილებელია თვალსაჩინოების გამოყენება: მხატვრული კითხვის დიდოსტატთა ფირფიტების მოსმენა, ან შესასწავლი ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით შექმნილი კინოფილმის ჩვენება, ან იმ ლექსზე დაწერილი მუსიკალური ნაწარმოების მოსმენა. ამით საგანთშორისი კავშირი მყარდება და ლიტერატურა, მუსიკა, კინოხელოვნება, ფერწერა ერთად ახდენს მოსწავლეზე უდიდეს ზემოქმედებას, რაც ხელს უწყობს მათ ესთეტიკურ აღზრდას.

ლიტერატურის გაკვეთილი საგანგებო გარემოში უნდა ტარდებოდეს. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ძალისხმევა არ უნდა დაზოგოს, რომ შექმნას შესაფერისი კაბინეტი, სადაც ექნება მწერალთათვის განკუთვნილი კუთხე, ამავე დროს პერიოდული გამოფენებიც. გარდა ამისა, ხშირად უნდა წაიყვანოს მოსწავლეები ექსკურსიაზე მწერალთა სახლ-მუზეუმებში, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ასე მრავლად არსებული ხურთომოძღვრული ძეგლების დასათვალიერებლად, სამხატვრო გალერეებსა თუ მუზეუმებში. ყოველივე ეს მათ გაუფაქიზებს სულს, აღძრავს მათში მშვენიერების სწორად აღქმისა და განცდის უნარს. რაც თავისთავად მათ ესთეტიკურ აღზრდას, მათ პიროვნულ სრულყოფილებას შეუწყობს ხელს.

## კომენტირებული კითხვა

ნაწარმოების შეგნებულად ათვისების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომენტირებულ კითხვას, რომელსაც სწავლების ყველა საფეხურზე მივმართავთ. კომენტირება არ არის უბრალო ახსნა. იგი უფროს კლასებში ლიტერატურული ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზის საფუძველია, რადგან ამ დროს ხდება განსჯა, განმარტება, საკითხისადმი კრიტიკული მიდგომა და სხვ.

კომენტირებული კითხვის დროს მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელსაც მოსწავლე დამოუკიდებლად ვერ გაიგებს. მისი მიზანია ძირითადი, საკვანძო საკითხების გამოყოფა, განმარტება, წინა პლანზე წამოწევა.

კომენტირებული კითხვა განმეორებითი კითხვაა და მისი მთავარი დანიშნულებაა, გაუადვილოს მოსწავლეებს შინ წაკითხული ტექსტის გაგება, საკვანძო საკითხებში გარკვევა და ნაწარმოების იდეური შინაარსის აღქმისათვის სწორი მიმართულების მიცემა. ხოლო კლასში წაკითხული ტექსტის კომენტირების დროს მოსწავლეებს თავიდან უნდა ავაცილოთ ენობრივი სირთულე, უნდა მოვახდინოთ მთლიანი ტექსტის დანაწევრება, მთავარის გააზრება, ბოლოს კი ერთ სისტემაში გამთლიანება.

კომენტირების სხვადასხვა სახე არსებობს: ლექსიკური, ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიული. მასწავლებელმა საჭიროების მიხედვით მოხერხებულად უნდა გამოიყენოს თითოეული მათგანი.

ისტორიულ-ლიტერატურული კურსის სისტემაში ყოველი ტექსტი არ მოითხოვს კომენტირებას. როდესაც ტექსტის შესწავლას ვიწყებთ უშუალოდ მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ლექცია-საუბრის დამთავრების შემდეგ, არ არის საჭირო ხელახლა კომენტარი, რადგან ყველა ეს ცნობა მასწავლებელმა მოხერხებულად უნდა ჩააქსოვოს შესავალ სიტყვაში.



მაგრამ თუ ერთსა და იმავე კლასში ისწავლება ერთი და იგივე მწერლის თემატურად განსხვავებული ნაწარმოებები გაუმართლებელია მათი ტექსტუალური შესწავლა მასწავლებლის კომენტარის გარეშე. ასეთი კომენტარი მთლიანად ასახსნელ ტექსტს უნდა ეხებოდეს.

კომენტირებული კითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია მეცხრე კლასში, როდესაც ძველი ქართული მწერლობის ნიმუშების თანმიმდევრულ შესწავლას ვიწყებთ. აქ მასწავლებელმა ერთ გაკვეთილზე შეიძლება კომენტირების ყველა სახე გამოიყენოს.

მაშასადამე, კომენტირებული კითხვა გამოიყენება დიდტანიანი ნაწარმოების ტექსტუალური შესწავლისას და მისი ანალიზისათვის ნიადაგის მოსამზადებლად (იხილეთ ძველი ქართული ლიტერატურის სწავლების ნიმუში).

## დასკვნითი მეცადინეობა

იმის შემდეგ, როცა მთავრდება ერთი მწერლის შემოქმედების ან ლიტერატურული ნაწარმოების შესწავლა, ვიდრე ახალ თემაზე გადავიდოდეთ, უნდა მოხდეს ჩატარებული მუშაობის შეჯამება, გაანალიზება, ერთ მთლიანობაში აღქმა, ერთგვარი თავმოყრა — დასკვნითი მეცადინეობა, რაც მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანი ეტაპია.

სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს მასწავლებლის მუშაობის შედეგი. როგორ აითვისა კლასმა შესასწავლი მწერლის შემოქმედება თუ ლიტერატურული ნაწარმოები.

და ბოლოს, დასკვნით მეცადინეობაზე შემაჯამებელი სიტყვა ისევ მასწავლებელს ეკუთვნის. იგი თხრობის ან სასკოლო-სალექციო მეთოდის გამოყენებით ერთგვარად თავს უყრის, აჯამებს შესწავლილ მასალას. ხაზგასმით გამოკვეთავს თემას, იდეას,

იმ ძირითად პრობლემას, საკვანძო საკითხებს, რაც ნაწარმოებში შეხვდათ. ამით იგი ახდენს ჩატარებული მუშაობის ერთგვარ შეჯამებასა და გამთლიანებას. მართალია, დასკვნითი მეცადინეობის დროს მასწავლებელი უნდა იყოს აქტიური, მაგრამ არც მოსწავლეები უნდა დავტოვოთ პასიურ მსმენელად. ცალკეული პრობლემის განხილვისას, პერსონაჟის არსებითი ნიშნების გამოკვეთისას, ამა თუ იმ პასაჟის წარმოსახვის, თუ ნაწარმოების ექსპრესიულობაზე მსჯელობისას მოსწავლეებს უნდა მოვთხოვოთ ნაწარმოებიდან (მწერლის შემოქმედებიდან) შესაბამისი მაგალითის გახსენება. თუ მათი პასუხი არ დაგვაკმაყოფილებს, შევეცადოთ, შევავსოთ იგი, გავხადოთ სრულყოფილი. ამგვარი მუშაობით მოსწავლე არა მარტო აქტიურად ერთვება გაკვეთილში, არამედ ღებულობს საკითხის სრულყოფილი განხილვის ჩვევას, უმუშავდება მას ანალიტიკური აზროვნების უნარი.

## ფაკულტატური მეცადინეობა

საშუალო სკოლის მაღალ კლასებში აშკარად საგრძნობია მოსწავლეთა დაინტერესება სხვადასხვა საგნებით. ამიტომ ხდება მათი დიფერენცირება ინტერესების მიხედვით.

ფაკულტატური მეცადინეობა დიფერენცირებული სწავლების ერთ-ერთი ფორმაა. იგი ავსებს და აფართოვებს იმ ცოდნას, რასაც მოსწავლეები საგაკვეთილო სისტემიდან იღებენ.

ლიტერატურის ფაკულტატურ ჯგუფში, ბუნებრივია, ქართული ენითა და ლიტერატურით დაინტერესებული მოსწავლეები ერთიანდებიან. აქ მასწავლებელს საშუალება ეძლევა ინდივიდუალურად იმუშაოს მათთან. მათივე ინტერესების გათვალისწინებით აძლევს დავალებას, მოხსენებას თუ სემინარს მოსამზადებლად. მოსწავლე დამოუკიდებლად მუშაობს, ეძებს მასალას, არჩევს, თუმცა ეს ყოველივე მასწავლებლის ხელმძღვანელობით



მიმდინარეობს. მომხსენებელს ენიშნება რეცენზენტი, ისიც თავის მხრივ, საგულდაგულოდ ემზადება რეცენზიის დასაწერად, ეცდება იყოს სამართლიანი ოპონენტი. აქედან გამომდინარე, მასაც უწევს იმავე ლიტერატურის დამუშავება, რაც რეფერატის ავტორს. განხილვაში სხვა მოსწავლეებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. ასეთ შემთხვევაში იზრდება მოსწავლეთა აქტივობა, ერთმანეთის აზრის მიმართ კრიტიკული მიდგომა.

ფაკულტატურ მეცადინეობაზე მოხსენების მომზადებისას უაღრესად მობილიზებულია მოსწავლეთა შემეცნებითი ძალები, ისინი ავლენენ დამოუკიდებლად აზროვნების, ლოგიკური მსჯელობის უნარს, უვითარდებათ ჭვრეტის, ძიების, განსჯის ალღო, ავლენენ მეცნიერული კვლევის ელემენტებსა და ჩვევებს.

ბოლოს კი მასწავლებელი აჯამებს, აფასებს იმდღევანდელი მოხსენებისა და სემინარის ღირებულებას.

მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებისათვის მნიშვნელოვანია დისპუტის ჩატარება. ის ფაკულტატური მეცადინეობის ერთ-ერთი სახეა. პროფ. ა. თოფურია მას „ლიტერატურული გასამართლების“ მოქნილ ფორმად მიიჩნევს.

ფაკულტატური მეცადინეობა მათთვისაა გამიზნული, ვისაც სურს, ღრმად და საფუძვლიანად დაეუფლოს ლიტერატურას.

## კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა

მოსწავლეთა ლიტერატურულ-თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული სასარგებლო ჩვევებით შეიარაღების საქმეში განუზომლად დიდია კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის სწორი ორგანიზაციის როლი და მნიშვნელობა.

კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ფორმებსა და სახეებს სკოლა განიხილავს, როგორც იდეურ-აღმზრდელობითი და სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის განუყოფელ ნა-

წილს. ყოველგვარ ლიტერატურულ ღონისძიებას, რაც გაკვეთილის შემდეგ ტარდება, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი უწევს ხელმძღვანელობას.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში გამოითქვა მოსაზრება საგაკვეთილო სისტემის პარალელურად კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის აუცილებლობის შესახებ. ი. გოგებაშვილის, გ. იოსელიანის, მიხ. ყიფიანის, ლ. ბოცვაძისა და სხვათა აზრით, მრავალფეროვანი კლასგარეშე მუშაობა აუცილებელი იყო, რადგან ის ხელს შეუწყობდა გაკვეთილზე მიღებული ცოდნის განმტკიცება-გაღრმავებას და მოსწავლეთა საერთო განათლების დონის ამაღლებას, დამოუკიდებლობის, ინიციატივის უნარის აღზრდას.

კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა ატარებს თვითშემოქმედებითსა და ნებაყოფლობით ხასიათს. აქ ჩანს მოსწავლის მოწოდება, მისწრაფება, ინდივიდუალურობა. თუ სკოლის გაკვეთილი ზოგჯერ იძულებით უნდა მოამზადოს მოსწავლემ, კლასგარეშე მუშაობის დროს, რაც თვითონ უყვარს და იტაცებს, იმ სამუშაოს ასრულებს. ამიტომაა ამგვარი საქმიანობა მათთვის უფრო სახალისო.

კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ძირითადი სახეებია: კლასგარეშე კითხვა, წრეობრივი მუშაობა, ლიტერატურული დილა-საღამოები, კედლის გაზეთი და ხელნაწერი ჟურნალი, ლიტერატურული გამოფენა, ლიტერატურული ექსკურსია, მუზეუმებსა და კინო-თეატრებში კოლექტიური სვლა.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

***კლასგარეშე კითხვა***. კლასგარეშე კითხვის მნიშვნელობის და მისი სწორი მიმართულებით წარმართვის შესახებ თავისი მოსაზრება პირველმა მოგვცა ლუარსაბ ბოცვაძემ თავის ნაშრომში „კლასგარეშე კითხვა“. მისი აზრით: კლასგარეშე კითხვა უნდა შეადგენდეს კლასში ნასწავლის დამატებას, შევსებას. კითხვა უნდა იყოს ინდივიდუალური, უნდა მოხდეს კითხვის სწორი ორგანიზაცია და წიგნის შერჩევა ასაკობრივი თავისებურე-



ბების გათვალისწინებით, ასევე უნდა ხდებოდეს წაკითხულის შემოწმება. ლ. ბოცვაძეს მიაჩნია, რომ არსებობს კლასგარეშე კითხვის ორი სახე – სავალდებულო და თავისუფალი. პირველ შემთხვევაში წიგნი მოსწავლეს ეძლევა სავალდებულოდ წასაკითხად, მეორე შემთხვევაში კი ეძლევა სარეკომენდაციო სია და მოსწავლემ თავისი ინტერესების მიხედვით უნდა შეარჩიოს სასურველი წიგნი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც აუცილებელია მასწავლებლის მეთვალყურეობა. ასევე უნდა ხდებოდეს წაკითხულის შემოწმება. ზეპირი შემოწმებისას შეიძლება გამოყენებული ქმნეს: თავისუფალი მოყოლა, მასწავლებლის დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა, მთელ კლასთან საუბრის ჩატარება და სხვ. მაგრამ უფრო მნიშვნელოვნად მას მიაჩნია სპეციალური რვეულის შემოღების აუცილებლობა, სადაც თითოეული მოსწავლე აღნიშნავს წაკითხული წიგნის ავტორის გვარსა და სახელს, წიგნის სათაურს, მთავარ მოქმედ პირებს, წაკითხვის დროს და შენიშვნას იმის შესახებ რა მოეწონა და რა არა წიგნში.

დღესაც კლასგარეშე კითხვის ორი სახე გვაქვს: სავალდებულო და თავისუფალი. სავალდებულო საკითხავი მასალა მითითებულია პროგრამაში, შესასწავლ ნაწარმოებთა პარალელურად. თავისუფალი კითხვისას კი მოსწავლემ თვითონ უნდა შეარჩიოს საკითხავი მხატვრული ლიტერატურა.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი სისტემატურად უნდა ამოწმებდეს კლასგარეშე კითხვის მიმდინარეობას, აცნობდეს ახალი წიგნების სარეკომენდაციო სიას, ბიბლიოთეკასთან ერთად ატარებდეს მკითხველთა კონფერენციებს, ეწყობოდეს წაკითხული წიგნის განხილვა, რომელშიც რამდენიმე მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას.

სწორედ სკოლის ასაკში უნდა იყოს მოსწავლე აქტიური მკითხველი, გამოუმუშავდეს მიდრეკილება, ლტოლვა წიგნისაკენ და არა სხვა გასართობისაკენ, წიგნის კითხვის მოთხოვნილება ჩვევად უნდა ექცეს, რაც განაპირობებს განათლებული პიროვნების ჩამოყალიბებას.

წრეობრივი მუშაობა ყველაზე ახლოსაა სასკოლო-საგაკვეთილო და კლასგარეშე კითხვის სწორად ორგანიზებულ სისტემასთან. სასკოლო წრეებში მოსწავლეები თავიანთი სურვილით, თავიანთი მისწრაფების მიხედვით ერთიანდებიან. წრეში მუშაობა გაკვეთილზე მიღებული ცოდნის განმტკიცებას უწყობს ხელს, ამაღლებს მოსწავლეთა ზეპირ მეტყველებას, აჩვევს საზოგადოებაში გამოსვლას, უვითარებს ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარს.

ქართულ ლიტერატურასთან მჭიდრო კავშირშია ლიტერატურულ-შემოქმედებითი, გამომეტყველებითი კითხვისა და დრამატული წრეები.

***ლიტერატურულ-შემოქმედებით*** წრეში შედიან ახალგაზრდა შემოქმედები და ლიტერატურით დაინტერესებული მოსწავლეები.

წრეობრივი მუშაობა უნდა ტარდებოდეს თვეში ერთხელ ან ორჯერ. წრის სხდომებზე მოსმენილ უნდა იქნეს ნორჩ შემოქმედთა ნამუშევრები, უნდა ხდებოდეს ქართველ მწერლებთან და მოღვაწეებთან შეხვედრის მოწყობა, მწერლების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, თემატური დილა-საღამოების ჩატარება.

***ლიტერატურული დისპუტი*** კლასგარეშე მუშაობის ერთ-ერთი საინტერესო ფორმაა. იგი იშვიათად ტარდება, დაახლოებით წელიწადში 2-3-ჯერ. მომხსენებლად წინასწარ თავისი სურვილით შეირჩევიან მოსწავლეები, ამზადებენ მოხსენებებს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების ხელმძღვანელობით. დისპუტი ტარდება რაიმე პრობლემური საკითხის გარშემო, რასაც მეტი სიხალისე და ინტერესი შეაქვს წრეობრივ მუშაობაში.

გამომეტყველებითი კითხვის წრის მთავარ ამოცანას შეადგენს კითხვის მაღალი კულტურის დანერგვა. ამ წრეში ისინი ერთიანდებიან, ვისაც უფრო ეხერხება მხატვრული კითხვა, ან აქვს სურვილი, დაეუფლოს მას. წრეს, რასაკვირველია, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ხელმძღვანელობს. ატარებენ დილა-საღამოებს, იწვევენ მწერლებსა და პოეტებს, მოსწავლეები კითხულობენ მათ ლექსებს, ან აწყობენ ინსენირებებს, რაც მოსწავლეთა ცხოვრებას საინტერესოს ხდის.

***დრამატული წრე*** მიზნად ისახავს პროგრამული მასალის ინსენირებას ან მონტაჟირებას. აწყობს საბავშვო პიესების დადგმას. კარგად ორგანიზებული ასეთი სასკოლო წრე არა მარტო თავის სკოლაში მართავს წარმოდგენებს, არამედ შეუძლია სხვა სკოლებში ან ახლო მდებარე წარმოება-დაწესებულებებშიც ჩაატაროს. ესწრებიან მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, მოწვეული სტუმრები. ამგვარი წრეობრივი მუშაობა განსაკუთრებით ხელს უწყობს მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას.

***ლიტერატურული კედლის გაზეთი*** მზადდება ლიტერატურულ შემოქმედებითი წრის წევრთა მონაწილეობით. გაზეთის გარშემო იკრიბებიან შემოქმედებითი თუ იუმორისტული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები. ლიტერატურული კედლის გაზეთი სასკოლო ცხოვრებას კი არ ასახავს, არამედ სასკოლო ლიტერატურულ ცხოვრებას. ზოგჯერ ისე მრავლადაა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები სკოლაში, რომ ისინი ხელნაწერ ჟურნალსაც კი უშვებენ. ეს მათი დიდი გზის დასაწყისი შეიძლება იყოს, ამიტომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი უსათუოდ დაკვირვებით, მონდომებითა და სიფაქიზით უნდა წარმართავდეს მათს საქმიანობას.

ყველა ზემოთჩამოთვლილი არის კლასგარეშე მუშაობის სახეები, რომლებიც სკოლის შენობაში, ოღონდ გაკვეთილების შემდეგ ტარდება, ამიტომ ქვია კლასგარეშე მუშაობა. არსებობს სკოლისგარეშე ღონისძიებები. ესენია ლიტერატურული ექსკურსია, კოლექტიური სვლა მუზეუმებსა თუ კინო-თეატრებში, ექსკურსია სხვა ქალაქის ან რომელიმე ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად.

***ლიტერატურულ ექსკურსიას*** სკოლისგარეშე მუშაობის ფორმათა შორის განსაკუთრებული საგანმანათლებლო მნიშვ-

პედაგოგიური პრაქტიკის სწორად ჩატარება მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სწორედ პრაქტიკის დროს უნდა მიიღოს მან წრთობა, გამოიმუშაოს მოსწავლეთა სიყვარულის, მათზე ზრუნვის ჩვევა, მათთან მუშაობის მოთხოვნილება, რაც შემდგომი საქმიანობის საფუძველი იქნება.

გაკვეთილის მოდელის საორიენტაციო ნიმუში ი. ჭავჭავაძის ლექსის „ქართვლის დედას" სწავლებისას.

***გამოსაკითხი მასალა*** – ი. ჭავჭავაძე „ყვარლის მთებს"

***გადასაცემი მასალა*** – ი. ჭავჭავაძის „ქართვლის დედას"

***გაკვეთილის მიზანი:*** ა. განვლილი მასალის ათვისების ხარისხის შემოწმებით მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გრძნობის განმტკიცება.

ბ. მოსწავლეთა გარკვევა ი. ჭავჭავაძის ლექსის – „ქართვლის დედას" იდეურ-მხატვრულ არსში. მიღწევა იმისა, რომ ლექსი აღქმულ იქნას როგორც სამოციანელთა ბრძოლის მანიფესტი. ნაწარმოებზე დაყრდნობით მოსწავლეთა პატრიოტული გრძნობის, ბრძოლისა და მოქმედების აუცილებლობის შეგნების განმტკიცება.

გ. ქალის, კერძოდ, დედის როლის ჩვენება საზოგადოებრივი პროგრესის საქმეში. მოსწავლეთა მხატვრული გემოვნებისა და ლექსიკური მასალის დახვეწა-განმტკიცება.

***გაკვეთილის ტიპი:*** კომბინირებული.

***მეთოდები*** – საუბრის, თხრობის.

ვიძახებ მოსწავლეს. იგი საუბრობს ილიას ლექსის – „ყვარლის მთების" შესახებ. მოჰყავს საზეპირო ადგილები ლექსიდან. მოსწავლეს ეძლევა დამატებითი კითხვები:

1. გავიხსენოთ ი. ჭავჭავაძის სოციალური პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ჩვენ მიერ შესწავლილი ნაწარმოებების სათაურები.

– „გუთნისდედა" – „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ", „კაცია-ადამიანი?!", „გლახის ნაამბობი".



2. რომელია და რომელი წლით თარიღდება ილიას პირველი ლექსი? – ეს არის „ყვარლის მთებს", რომელიც 1858 წელს დაიწერა.

3. რა გრძნობას აღძრავს ყვარლის მთები პოეტში?

– ყვარლის მთები პოეტში აღძრავს მოწიწებას, სიამაყეს, აღტაცებას.

4. კიდევ რა ეამაყება ლექსის მიხედვით პოეტს?

ის, რომ ამ მთათა წიაღში იგი ქართველად არის აღზრდილი.

5. როგორ ფიქრობთ, რაიმე უპირატესობაა ადამიანისათვის მაინცდამაინც ქართველად იყოს დაბადებული?

– არა, ზოგადად ქართველობა რაიმე უპირატესობა არ არის. აქ მასწავლებელი შეავსებს პასუხს. ცხადია, ილიამაც შესანიშნავად იცის ეს. იგულისხმება, რომ ქართველობა უნდა ეამაყებოდეს ზუსტად ისევე, როგორც ნებისმიერი ერის ჭეშმარიტ შვილს თავისი ერის შვილობა: ფრანგს – ფრანგობა, რუსს- რუსობა, იტალიელს – იტალიელობა და ა.შ. აქ შეიძლება გავიხსენოთ დიდი გერმანელი მწერლის – გოეთეს გამონათქვამი: მე მხიბლავს იტალია, მაგრამ მივესალმები მტვერს, რომელიც გერმანიიდან გამოჰყვათ ჩემი ეტლის ბორბლებს.

კლასის საერთო მომზადებას ვარკვევ ადგილიდან საზეპირო სტროფების გამოკითხვითა და ფრონტალური კითხვებით:

1. რომელი გაპოეტურებული გეოგრაფიული ადგილების დასახელება შეგიძლიათ ყვარლის მთების გარდა?

– არაგვის მიდამოებისა – ნ. ბარათაშვილის პოემიდან „ბედი ქართლისა", ი. ჭავჭავაძის პოემიდან „აჩრდილი", ა. წერეთლის „ბაში-აჩუკიდან". მთაწმინდისა – ნ. ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე", მტკვრის სანაპიროსი – მისივე ლექსიდან „ფიქრნი მტკვრის პირზედ", გოგჩის ტბის ნაპირებისა ალ. ჭავჭავაძის შესაბამისი ლექსიდან და სხვ.

2. რა არის იდეა ლექსისა „ყვარლის მთებს?"

– მარადიული ერთგულება და სიყვარული სამშობლოსი.

3. როგორ განახორციელა პოეტმა ყმაწვილობის დროს დადებული ფიცი? – ილიას არასოდეს უღალატია ამ ფიცისათვის. მისი სიცოცხლე იყო განუწყვეტელი ბრძოლა მამულის გადასარჩენად და მისმა სიკვდილმაც იგივე საქმე გააგრძელა.

4. ილიას რომელ ლექსშია ალეგორიული ფორმით გამოხატული იმჟამინდელი საქართველოს მდგომარეობა?

ლექსებში „გაზაფხული" და „ელეგია"

5. რატომ მივიჩნევთ ამ ლექსებს ალეგორიულად?

იმიტომ, რომ „გაზაფხულში" აყვავებული ბუნების შემხედვარე პოეტი მაინც მამულის აყვავებაზე ოცნებობს. ე.ი. აყვავებაში იგი გადატანითს აზრს დებს, ხოლო „ელეგიაში" თავისი თანადროული საქართველოს ყოფას საყოველთაო ძილს უწოდებს და ოცნებობს გამოფხიზლებაზე:

"ოჰ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!"

6. ვის აკისრებდა პოეტი მთავარ როლს ერის გამოფხიზლებისა და მისთვის უკეთესი მომავლის დამკვიდრების საქმეში?

ამ საქმეში მთავარ როლს პოეტს აკისრებდა, ხალხის წინამძღოლად სახავდა მას, ხოლო ქვეყნისათვის უკეთესი მომავლის დამკივდრების საქმეში მთავარ ძალად ახალგაზრდობას თვლიდა. ეს ჩანს ლექსებში „პოეტი", „ჩემო კალამო" და „ჩემო კარგო ქვეყანავ".

ახალი მასალის ახსნა:

როგორც თქვენივე ნათქვამიდან ირკვევა, იმ ძნელბედობისჟამს პოეტს ბოლომდე მტკიცედ სწამდა სიკეთის, სამართლიანობის გამარჯვებისა. სწამდა ბრძოლის აუცილებლობა, აქტიური, ცხოვრებისეული პოზიციის საჭიროება. ილია პიროვნული მაგალითით აჩვენებდა ყველას, როგორ უნდა სამშობლოს მსახურება. აღნიშნეთ, რომ ქვეყნისათვის ბედნიერება ახალგაზრდობას უნდა მოეტანა, მაგრამ თვით ეს ახალგაზრდობა ხომ ვიღაცას უნდა დაერაზმა, განეწყო ბრძოლისათვის, ვიღაცას უნდა აღეზ რდა მათში მამულის სიყვარული, მისთვის თავდადების გრძნობა, რასაც თვალის ახელისთანავე უნდა ჩანერგვა, მაგრამ ვის ძალუძს ამ ფუნქციის შესრულება, თუ არა დედას, ჩვილის აკვანთან დახრილ ამ სასწაულმოქმედს!

დედა! მაგიური თრთოლვა ახლავს ილიას შემოქმედებაში ამ სიტყვას. ალბათ არც ერთ ქართველ მწერალს არ მიუძღვნია დედისათვის იმდენი თბილი და იმედიანი სტრიქონი, რამდენიც ილიას: „ნანა", „ქართვლის დედას", „ქართველის დედა", „ოთარაანთ ქვრივი" – აი მოკლე სია იმ ნაწარმოებებისა, რომლებშიც დედის სახე დახატა მწერალმა. დღეს ჩვენ გავეცნობით ერთ-ერთ მათგანს:

ვკითხულობ ლექსს გამომეტყველებით, შემდეგ ვაკითხებ მოსწავლეს.

ლექსის ემოციურ აღქმას მოჰყვება კომენტირება. ვამბობთ, რომ ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს მე-18 საუკუნის დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ლაიბნიცის სიტყვები:

"აწმყო შობილი წარსულისაგან
არის მშობელიო მომავალისა".

ეპიგრაფი თავისთავად ღრმა აზრის შემცველია და ცხოვრების განვითარების დიალექტიკას წარმოგვიდგენს, სიცოცხლის ევოლუციის სხარტი ფორმულაა. მასში ცხადი ჭეშმარიტებაა დაფიქსირებული; ეპიგრაფი შეგვახსენებს, რომ, თუ დღევანდელობა, ავი ან კარგი, წინა დღის მიერ გადმოცემული ესტაფეტაა, მაშინ აუცილებელია შესაბამისი გაკვეთილი გამოვიტანოთ წარსულისაგან, რათა ისე ვიმოქმედოთ აწმყოში, რომ უზრუნველვყოთ უკეთესი მომავალი. ეპიგრაფი ამძაფრებს ამ ლექსში გამოთქმულ თვალსაზრისს ბრძოლისა და მოქმედების საჭიროების შესახებ. მასწავლებლისა და მოსწავლეთა ძალებით ირკვევა, რომ პირველი ორი სტროფი კონტრასტის პრინციპით არის აგებული: პირველში ნაჩვენებია, რა იყო ძველად: დედის ნანა და მთის ქვითინი (მთის ანუ სამშობლო მიწა-წყლის ძახილი, მოწოდება) მამულს მომავალ გმირს უზრდიდა, მეორე სტროფი სავალალო ფერისცვალების მაცნეა. ლექსში დიდი ნაღველია ჩაქსოვილი, ნაღ-

ველი დაკარგული თავისუფლების გამო, რომ თვითმპყრობელობის მკაცრმა რეჟიმმა ჩრდილად აქცია საქართველოს შვილი.

ილიასა და მისი თანამებრძოლების ღვწა და გარჯაც იქითკენ იყო მიმართული, რომ ქართველ ხალხს არ განელებოდა, უფრო სწორად, სულ მთლად არ გაქრობოდა ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის სურვილი და იმედი, სიცოცხლის ძალა და მომავლისადმი რწმენა გადარჩენილიყო მათში. მესამე სტროფში პოეტი მხნეობის, ხმლის, ქველური მკლავის, მამულის მტერთან მედგარი ბრძოლის დეფიციტზე გვაფიქრებს.

მეოთხე სტროფი კი კატეგორიული, დასაბუთებული მოწოდებაა ახალი ორიენტაციის ძიებისაკენ.

ლექსში წამოჭრილია არა ერთი სამოქმედო დევიზი. ამ თვალსაზრისით „ქართველის დედას“ ერთგვარი მანიფესტიც არის. პირველ რიგში ეს არის უარყოფა რომანტიკულ-სენტიმენტალური სევდისა და უმოქმედობისა: „მოვიკლაკთ წარსულ დროებზე დარდი“. მაგრამ მხოლოდ უარყოფა იოლია. მთავარი პერსპექტივის პოვნაა და ამიტომ გვეუბნება პოეტი:

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოფადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

შემდეგ კომენტარს ვუკეთებთ უბრწყინვალეს სტროფს:

„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“.

აი, რა პროგრამას უსახავს ილია ქართველ დედას, მან მომავალი ბრძოლებისათვის უნდა გაზარდოს შვილი, შეაიარაღოს იგი ქრისტეს მცნებით (აქვე კლასს შევახსენებთ ქრისტეს ათ მცნებას, რომელიც უაღრესად კეთილზნეობრივი მოძღვრებაა და ქადაგებს ბევრ ყოველი დროისათვის გაუხუნარ იდეას, როგორიცაა არა კაც ჰკლა,არა იპარო,არა იმრუშო,არა ცილი სწამო და ა.შ.), ასწავლოს სიკეთე, სამართლიანობა, ძმობა, ერთობა, თავისუფლება. მოსწავლეებს ვეუბნებით, რომ „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ ეს იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლოზუნგი, რომელსაც პოეტი ასე მოხდენილად იყენებს. აქედან გამომდინარე, კი სრულიად ნათელია, რომ ილია ფიქრობს დემოკრატიულ საზოგადოებაზე, რომელიც დაძლევს წოდებრივ უთანასწორობას. ამგვარი სულისკვეთებით უნდა აღზარდოს დედამ შვილი. მწერალს იმედი მომავალში გადააქვს. ამიტომ აღმოჩნდა ესოდენი პრინციპული მნიშვნელობის ლაიბნიცის აზრი, რომელიც სავსებით ლოგიკურად და ბუნებრივად მოერგო იმჟამინდელ ქართულ სინამდვილეს, ქართული აზროვნების მოდელს. მწერალს სჯერა, რომ ამგვარი ცდა უშედეგოდ არ ჩაივლის, აუცილებლად ექნება კეთილი ნაყოფი.

ლექსის ბოლო სტროფი „დედავ, ისმინე ქართველის ვედრება“... სრულიად საქართველოს სახელით გამოთქმული ვედრებაა ქართველი დედებისადმი, რომ ღირსეულად აღასრულონ თავიანთი ვალი.

„ქართველის დედას“ ხმამაღალი ფიქრი და განსჯაა საქართველოს წარსულსა და აწმყოზე, სამომავლო გეგმებზე, დედის როლზე ჭეშმარიტ მამულიშვილად პიროვნების ფორმირების საქმეში.

ამ ლექსში ილია სიამაყით იხსენებს ძველ ქართველ დედებს, მამულს რომ უზრდიდნენ თავდადებულ ვაჟკაცებს. მაგრამ გაქრა ის დროც. გმირულმა წარსულმა საქართველოს ბრწყინვალება და დიდება უანდერძა. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების მთავარი საზრუნავი ეროვნულობისათვის ბრძოლა იყო. სწორედ ამიტომ მოაგონებს დიდი პოეტი ივერიელთ საამაყო წარსულს, მისდროინდელ დედებს მკაფიო მოთხოვნას უყენებს და სჯერა, რომ ამგვარი ცდა უშედეგოდ არ ჩაივლის. იცის და დაბეჯითებით მიმართავს დედას:

„მენდე, მიიღებს, ნერგს შენგან დარგულს
და მოგვცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს“.

ილიას სჯეროდა, რომ თანამედროვეობას, იმდროინდელ

აწმყოს უნდა შეექმნა მომავალი – უკეთესი აწმყო, რაც თანამედროვეთა საქმეებზე იყო დამოკიდებული. და ამ საქმეში ილიას უანგარო წვლილი შეჰქონდა თავისი შემოქმედებით. თუნდაც აღნიშნული ლექსით ის უკეთეს მომავალს უყრიდა საფუძველს მისდროინდელ აწმყოში.

ილიას ამ ეპიგრაფში მთლიანად გახსნილია ლექსის ძირითადი აზრი. ეპიგრაფიდანვე ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ აწმყო წარსულის პირმშო და მომავლის შემოქმედია, დედაა. ავტორმა იცის, რომ აწმყო, რომელიც საამაყო წარსულის ნერგზეა აღმოცენებული, კიდევ უფრო უკეთეს მომავალს მოგვცემს.

წარსულის გახსენებით, ისტორიული ამბების ექსკურსით, მოსწავლეებში ვახდენთ ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას, ეროვნული სიამაყის გრძნობის სრულყოფას. მოსწავლე კრიტიკული თვალით ჭვრეტს სინამდვილეს, ახდენს საგანთა და მოვლენათა ღრმად გააზრებას, თავისებური თვალით აღიქვამს საქართველოს გმირულ წარსულს, მის აწმყოს და ეცდება მისივე კარგი მომავლის შემოქმედი გახდეს.

მოსწავლეებს მივმართავ კითხვით – საქართველოს ისტორიიდან რომელი სამაგალითო ქალის სახე მოგაგონდებათ ან რომელი პერსონაჟის ასოციაციას იწვევს თქვენში ილიას მიერ წარმოსახვით დახატული სახე ქართველი დედისა, რომელსაც მან ერის მომავალი გადააბარა?

ვვარაუდობთ, რომ დაასახელებენ კაბადოკიიდან მოსულ ქალს წმინდა ნინოს, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული საქართველოს გაქრისტიანება, შუშანიკ დედოფალს, თამარ მეფეს, ქეთევან წამებულს, სოფიოს (ნ. ბარათაშვილის პოემიდან „ბედი ქართლისა“). დავძენთ, რომ დედის როლის ამგვარი გააზრება ძალას აცლის და აცამტვერებს თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ქალის ამქვეყნიური ფუნქცია და დანიშნულება ერთობ შეზღუდულია. აქ საჭიროა გავიხსენოთ ნაწყვეტი ილიას წერილიდან „პატარა საუბარი“, რომელშიც ის ქართველ დედებს მიმართავს, ესაუბრება.



„ქართველ დედასაც კაცად ჰხადის და ამიტომ „დედა-კაცს“ ეძახის, როგორც მამას – „მამა-კაცს“. განსხვავება მარტო იმაშია, რომ თქვენ ერთის სქესისანი ხართ და ჩვენ მეორისანი, თქვენ დედობითა ხართ კაცნი და ჩვენ მამობით. არსება კი ერთია, ორნივ კაცნი ვართ, ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენს ენას. არა გვგონია, რომელსამე სხვა ენაში დედაცა და მამაც ერთნაირად კაცად წოდებული იყოს.

აშკარაა, კაცობა დედათა ისეთივე საპატიო და დიდი სახელია ქართველის აზრით, როგორც კაცობა ერთობ ადამიანისა, დედაც კაციაო, გვეუბნება ჩვენი ენა და მამაცაო. სხვა რაა უდიდესი და უპატიოსნესი კაცობის სახელზე და ადმიანისათვის, რომლის სქესისაც გინდ იყოს!

ეხლა დედაკაცად თქვენი ხსენება საწყენია, სათაკილოა, ეს დიდი სახელი დაიფუყა, შეიკუმშა, დაპატარავდა. საგანი დაღნა, დადნა სახელიც. დღეს დედა დედაკაცი კი არ არის, ქალია. მთა ბექად გადაიქცა, მუხა ლელწმად, ზღვა წყაროდ, ადამიანი პეპელად. ცოდვა არ არის, სად დედაკაცობა და სად ქალობა! დღეს „დედაკაცი“ მდაბიოთა სახელი-ღაა, თითქო „კაცი-დედა“ მარტო მათ-ღა შერჩენიათ.

ქართველებისთვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს – „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას – „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრესს ბურჯს – „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს – „დედა-აზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი – „გუთნის დედას“. რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი!... სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრე – კი აღნიშნულია დედობით! ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა! სიტყვა „ქალი“ განა იმოდენას გვეტყვის, რახაც გვეუბნება დიდებული სიტყვა „დედა“ და მასთან ერთად „კაცი“.

როგორც ვხედავთ, ილია და საეროთდ ქართული გონი ქალზე საუბრისას ხაზს უსვამს მის დედობას, იმ წმიდათაწმიდას, რასაც ქალობის უზენაესი არსი გულისხმობს და არა საკუთრივ ქალობას. ილია ქალს მამაკაცების გვერდით აყენებს და წუხს იმის გამო, რომ მის დროს დედაკაცობის აქცენტი მიჩქმალულია. ლექსიკური ერთეული „დედა“ აქტიური სიტყვათქმნადობითი უნარით აღჭურვილი ცნებაა ქართულ ენაში და ამიტომ ეიმედება ასე ძლიერ დიდ მწერალს ქართველი დედის ზნესრულობა.

„ქართველის დედას“ დაწერილია პოეტური მიმართვის ფორმით, ამაღლებული პათოსით, ლექსში შეიმჩნევა რამდენიმე არქაული ფორმაც (კირთები, ქველი), პოეტურ ლიცენციად უნდა ჩაითვალოს „მყოობადი“, რომელიც რითმის საჭიროებით არის გაპირობებული.

უშუალობა, მძაფრი მამულიშვილური გულისტკივილი, აზრის სიღრმე და ძალა ამ ლექსს ქართული პოეზიის ერთ-ერთ მშვენებად აქცევს.

ახალი მასალის განმტკიცების მიზნით მოსწავლეებს მივმართავთ კითხვებით: 1. რა სატკივარი აწუხებდა ლექსის მიხედვით ილიასდროინდელ საქართველოს

2. როგორ ესახება პოეტს მისგან თავის დაღწევის გზა?

3. რა თვისებები უნდა ჩაუნერგოს დედამ შვილს?

საშინაო დავალებად ეძლევათ: ლექსის ზეპირად დასწავლა, იდეურ-მხატვრული ანალიზი.



# გამოყენებული ლიტერატურა


1. ბარამიძე გრ., ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის საკითხები, 1960.
2. დადიანი ჯ. ი. ჭავჭავაძის შემოქმედების სწავლება, 1960.
3. ზანდუკელი მ. ქართული ლიტერატურის მეთოდი, 1959.
4. თაბორიძე მ. ესთეტიკური აღზრდის პრობლემები ლიტერატურის სწავლებისას, 1985.
5. თოფურია ა. ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, 1983, 1991.
6. თოფურია ა. ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორია, 1969.
7. კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1981.
8. მახარაძე ვლ. ლიტერატურის თეორია სკოლაში, 1973.
9. ნიორაძე გ. ნარკვევები საბჭოთა ლიტერატურის სწავლების საკითხებზე, 1960.
10. ქურდაძე შ. გამომეტყველებითი კითხვის პრაქტიკუმი, 1967.
11. ქურდაძე შ. ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის პრაქტიკუმი, 1981.
12. ქურდაძე შ. „ვეფხისტყაოსანი“ სკოლაში, 1995.

# შინაარსი

ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის საგანი .... 3
ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კავშირი მონათესავე დისციპლინებთან .................. 5
ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის ისტორიიდან .................................. 14
ლიტერატურის სწავლების მეთოდები ................ 26
შესავალი მეცადინეობა, მასწავლებლის შესავალი სიტყვა .... 49
ისტორიულ-ყოფითი და ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარი ................................. 52
მწერლის ბიოგრაფიის სწავლება ................ 60
ლიტერატურული ექსკურსია .................... 65
ტექსტის შესწავლის გზები და საშუალებები ........... 66
შინ კითხვა და კლასში კითხვა .................. 68
ლექსიკური კომენტარი ....................... 75
გამომეტყველებითი კითხვა .................... 77
გამომეტყველებითი კითხვის ისტორიიდან ........... 80
გამომეტყველებითი კითხვის დაუფლების გზები .......... 82
შინაარსის თხრობის სახეები ................... 89
წერითი მეტყველების სახეები ................... 91
ტესტზე მუშაობა ........................... 96
გეგმის შედგენა და გეგმის სახეები .............. 98
ტექსტის ანალიზზე მუშაობა .................... 100
მოქმედ პირთა დახასიათება .................... 121
ლიტერატურის თეორიის სწავლება ................ 136
ლირიკული ნაწარმოების სწავლება ................ 152
ძველი ქართული ლიტერატურის სწავლება ............ 166
ფოლკლორის სწავლება ....................... 192
პეიზაჟი და მისი ფუნქცია ..................... 199
მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა ................ 201
კომენტირებული კითხვა ...................... 204